

917722981095006

JK1134
2024

საზოგადოებრივ-ცოცხალთა უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ-ცოცხალთა უნივერსიტეტი

სერილი

ფასი 3 ლარი



2024
1 (317)

თემა: სოფური
ცოცხალთა



სარჩევი

- შესავალი** 1 აშოტ სმბატიაანი | სომხური ლიტერატურა თავის ხალხს ჰგავს
სომხური ენიდან თარგმნა ასია დარბინიანმა
- პროზა და პოეზია** 3 გივი შაჰნაზარი | სომხური პოეზიის რჩეული თარგმანები
7 თეა თოფურია | ელიშე ჩარენცი: „მე რაც ვიყავი, ჩემი იყო“
9 ელიშე ჩარენცი | *თარგმნა თეა თოფურია*
11 ალასი აივაზიანი | სახარება ავლაბრიდან | ტფილისის მეგზური. 1912 წელი
თარგმნა მედეა იმერლიშვილმა
18 კარენ ანტაშიანი | *თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანფიმიადმა*
20 ანაიდ ბოსტანჯიანი | *თარგმნა დიანა ტერ-ბაღდასაროვა*
22 სარგის ჰოვსეფიანი | ბრტყელი ქვა | *სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანმა*
27 ვიოლეტ გრიგორიანი | *თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანფიმიადმა*
29 ქალი პოეტები სომხეთიდან | *თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანფიმიადმა*
ინტერვიუები 35 თეა თოფურია, კარენ ანტაშიანი | ორი ლექსი და ერთი ამბავი
39 „ყველაფერი, რაც მახსოვს, ჩემში უთქმელად რჩება, სანამ ცარიელ ფურცელთან არ განვმარტოვდები“ | ინტერვიუ ჰრანტ მათევოსიანთან
43 ის, რაც ენაში არ ეტევა | ინტერვიუ ვიოლეტ გრიგორიანთან
ესაუბრა და შესავალი დაურთო დიანა ანფიმიადმა
46 თანამედროვე სომხური პროზა ენის და თემების ძიებაში | ინტერვიუ არმენ ოჰანიანთან
50 მუზა, ირონია, ენა | პარალელური ინტერვიუ კარენ ანტაშიანსა და პაატა შამუგაისთან | *სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანმა*
ესე, კრიტიკა, რეცენზია 54 დიანა ტერ-ბაღდასაროვი | დაუსრულებელი მწერლობა
58 ელიშე ჩარენცი | *თარგმნა თეა თოფურია*
60 მარინე პეტროსიანი | პოეტი და სამშობლო | *სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანმა*
61 ნიკოლოზ ალექსიძე | არმენოფილები ჩვენს შორის და როგორ გამოვავლინოთ ისინი
68 დათო ქარდავა | „ქართველს სომხისაგან რათ განარჩევთ!“
75 დალი ჩიტუნაშვილი | ისტორია შუამავლების გარეშე
81 მზია ბურჯანაძე | „ჩვენი უბანი“ და „ჩვენუნბელები“

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariili"

თემატური ნომრის რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
ასია დარბინიანი

თემატურ ნომერზე მუშაობდა
ნათია დუნდუა

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე
პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო
რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ვასილ მალაფერიძე, ზვიად რატიანი,
ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე,
გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური,
ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია,
ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდობა

სულხან-სა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხუ

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ნომერი გამოიცა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის
საელჩოსა და საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის
საპატიო კონსულის, გიორგი მაისურაძის მხარდაჭერით.
ჰამარე ილია E თხუხე ყჩასათსიძე ჰაყასათსიძე
ჰასრიაყსითიქას რესაყსითიქას ; ყჩასათსიძე
ჰაყასათსიძე ჰასრიაყსითიქას აყათყაქიჩი ხიყსაყათსი
ყჩიჩიყი შაყსითაძეხე აყსიყსითაძე:

აშოტ სმბატიანი სომხური ლიტერატურა თავის ხალხს ჰგავს

2024 წლის არილის პირველი ნომერი მთლიანად სომხურ მწერლობას და სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება. ამ თემატური ნომრის გამოცემა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ელჩის, აშოტ სმბატიანის მხარდაჭერით მოხერხდა. ამ პროექტის შესახებ არილმა სწორედ ელჩთან ინტერვიუს დროს ისაუბრა.

ესაუბრა ლექსო დორეული

სომხური ენიდან თარგმნა ასია დარბინიანმა



- თქვენი დაკვირვებით, რა როლი მიუძღვის ლიტერატურას სომხური ეროვნული და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში?

- ძნელი სათქმელია, ლიტერატურა ქმნის ეროვნულ იდენტობას თუ ეროვნული იდენტობა - ლიტერატურას, რადგან ლიტერატურა ხშირად სწორედ რომელიმე ეროვნული მოვლენის დაბადებაა. სომეხი ხალხის ისტორია კი მდიდარია გარდატეხებით და, ძირითადად, განპირობებულია რწმენის, ენისა და სამშობლოსათვის ბრძოლით. სომხურ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, მაშინვე წავაწყდებით სომეხი ხალხის ისტორიას. ლიტერატურა არსებითად არის ამ ისტორიის მხატვრული ინტერპრეტაცია გრძობებისა და ემოციების ენაზე: უთანხმოება, ბრძოლა, ოცნება, მისწრაფება და მომავლის ხედვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული იდენტობის ფორმირების წინაპირობაა.

თუმცა, გლობალიზაციისა და ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის დროს, რთულია ეროვნული იმიჯის შენარჩუნება, რადგან, ნებით თუ უნებლიედ, გარე გავლენები თავიანთ კვალს ტოვებენ და ზოგჯერ ცვლიან კურსს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, პატარა ერებმა, ჩვენი იდენტობითა და ღირებულებითი სისტემით უნდა ვეცადოთ, რომ მტკიცედ შევიინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები მსოფლიოში, რა თქმა უნდა, დროის შესაბამისად, რადგან, დაიხ, ჩვენ ვართ ჩვენი ლიტერატურის შექმნელები, მაგრამ როგორც ყველაერი, მართლმაც ჩვენ არ ვითხოვლობთ და ვფასებთ მას.

- კულტურული თვალსაზრისით, სომხური ლიტერატურა უფრო დასავლური აზროვნების ნაწილია თუ აღმოსავლურის?

- სომხური ლიტერატურა თავის ხალხს ჰგავს, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. იგი შეიქმნა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, სადაც განსაკუთრებით 1915 წლის სომეხთა გენოციდის წინა და შემდგომ წლებში გადასახლდნენ სომეხები და

შექმნეს ერთი და იმავე ლიტერატურის ორი შტო: დასავლური და აღმოსავლური. მაგრამ არსებითად, აღმოსავლური და დასავლური ერთმანეთისგან განსხვავებული ნაკადები ვფიქრობ, უფრო ამდიდრებს სომხურ ლიტერატურულ აზროვნებას. ჰოვანეს თუმანიანი წერდა თავისი მშობლიური მხარის - ლორესთვის დამახასიათებელი სიმარტივით, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა თბილისის მულტიკულტურული სტილი და ისიც ისეთივე ახლობელი გახდა.

სომხური ლიტერატურის ორივე დარგი მდიდარია დიადი წარმომადგენლებით, მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა, როცა იხსენიებ დასავლელ მწერლებს: დანიელ ვარუჟანს, ვაჰან თექეანს, გრიგორ ზოჰრაბს, რუბენ სევაკს... რადგან სწორედ მათი - სომეხების გენოციდის მსხვერპლთა ლიტერატურა დარჩა დაუსრულებელი.

- როგორ დაახასიათებდით სომხურ საბჭოთა ლიტერატურას და თუ იქმნებოდა იმ დროში დისიდენტური და ანტისაბჭოთა ტექსტები?

- საიდუმლო არ არის, რომ საბჭოთა პერიოდში ლიტერატურაც ცენზურას ექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში შეიქმნა ჩვენი და, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურის მრავალი სამკაული, რადგან მწერლისთვის ხანდახან ჩარჩოები ხდება აფეთქებისა და შედეგის შექმნის წინაპირობა: ჰოვანეს თუმანიანი, ელიშე ჩარენცი, აქსელ ბაკუნცი, ჰოვანეს შირაზი, პარუი სევაკი, ვაჰან დავთიანი, გევორგ ემინი, სილვა კაპუტიკიანი, მარო მარგარიანი, ჰრანტ მათევოსიანი, ჰამო საჰიანი, ავეტიქ ისაკიანი, ვაჰან ტერიანი... სია გრძელია. ყველა მათგანი, ასე თუ ისე, მიუთითებდა საბჭოთა წესრიგსა და მის შეზღუდვებზე თავიანთ ნამუშევრებში.

სამწუხაროდ, ბევრი მათგანი 1930-იანი წლების რეპრესიებში მოყვა. მათ შორის იყო დიდი სომეხი კლასიკოსი ელიშე ჩარენცი, რომელსაც არა-



სოდეს უღალატია თავისუფლების პრინციპებისა და კალმისთვის და რომლის ბედი, მიუხედავად სხვადასხვა ვერსიისა, ბოლომდე უცნობია, თვითმხილველების თქმით, ცხენში მოკლეს, აქსელ ბაუნცივი კი დახვრიტეს.

- **ქართველებისთვის ასეთი „ვეფხისტყაოსანია“, რომელია სომხური ნაწარმოები ან ნაწარმოებები, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს სომხურ ღირებულებებს, ხასიათს, იდენტობას?**

- სომეხი და ქართველი ხალხების საერთოობა ნიგნის მიმართ სიყვარულშიც ჩანს. ჩვენ კარგად გვესმის ნიგნის ღირებულება და მისი რელიგვიო-სავით საუკუნეებით და მემკვიდრეობით გადაცემის მნიშვნელობა. ქართულ „ვეფხისტყაოსანს“ ახალდაქორწინებულებს ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერების სიმბოლოდ ჩუქნიდნენ, სომხურ „ნარეკი“ ხედავდნენ ასევე სნეულთა განკურნების მისიას. გრიგორ ნარეკაცი „ნარეკი“ / „გოდებათა მატანიან“ არის 95 თავისგან შემდგარი პოემა, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივია ნაცნობი ქართველი მკითხველისთვის და ამ თვალსაზრისით ქედს ვიხრი სომეხი და ქართველი ხალხის შვილის, ჩვენი ღვაწლმოსილი მთარგმნელის - გივი შაჰნაზარის წინაშე. გრიგორ ნარეკაცი ითვლება სომხური ლიტერატურის ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალად და მისი შექმნილი პოემა სომხური პოეტური აზროვნების საუკეთესო ნიმუშია. სრულყოფილების, ანუ ღმერთთან მიღწევის ერთადერთ გზას ნარეკაცი საკუთარი შეცდომების გაცნობიერებაში, გამობასა და მონანიებაში ხედავს, რაც, ვფიქრობ, ყველა დროში აქტუალურია.

სომხური ფასეულობების, ხასიათისა და იდენტობის ხაზგასმის თვალსაზრისით, ასევე მინდა გამოვეყო ეპოსი „დავით სასუნცი“, რომელიც სომხური ფოლკლორის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და, სხვათა შორის, ქართულადაც ითარგმნა. ეპოსი წარმოადგენს ოთხი თაობის გამორულ ბრძოლას სასუნისთვის, რომელიც ეფუძნება არა მარტო ბრძოლის სულისკვეთებას, არამედ სომეხი ქალის, ოჯახის, ტრადიციების აღწერას. ბევრი ჩვენი მწერლისთვის ეს ეპოსი შთაგონების წყაროდ იქცა და ხალხში განსაკუთრებით „დავით სასუნცი“ დავითის სახე და სახელიც კი სიმტკიცის, სიმამაცისა და ურღვევი სულის სიმბოლოა.

- **ალბათ, ცნობით თანამედროვე პოსტსაბჭოთა სომხურ ლიტერატურას. რა მიმართება აქვს მას კლასიკურ მემკვიდრეობასთან? უპირისპირდება თუ აგრძელებს?**

- თითოეულ ეპოქას აქვს თავისი გემოვნება, მოთხოვნები და ინტერესის სფერო. ეს ცვლილებები დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროსთან და დარგთან, მათ შორის ლიტერატურასთან. ჩვენ ცვხოვრობთ სიტყვის თავისუფლების ეპოქაში, სადაც ყველას აქვს თავისი მსოფლმხედველობა და, შესაბამისად, ასევე ჰყავს თანამოაზრე. არიან მწერლები, რომლებიც, დიას, აგ-

რძელებენ კლასიკურ ღირებულებებს და არსებობენ თავისუფალი სტილის შემოქმედებიც. და მაინც, ჩემი აზრით, ისტორიამ რჩებიან ისინი, ვინც ეროვნულ საფუძველზე ზოგადასაკაცობრიო ღირებულებების შექმნას ახერხებენ.


- **რამდენად კარგად იცნობს მსოფლიო სომხურ ლიტერატურას, რა კეთდება ამისთვის? ორსიტყვით გვითხარით „არილის“ ამ ნომრის მნიშვნელობაზეც.**

- ვფიქრობ, ჩემი პასუხი არ შეიძლება იყო ობიექტური ერთი მარტივი მიზეზის გამო. ყოველთვის მეჩვენება, რომ სომხური ლიტერატურა საკმარისად ცნობილია მსოფლიოში, მაგრამ როცა მას სხვა ერების ლიტერატურას ვადარებ, ცხადი ხდება, რომ ის არც ისე ცნობილია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ სომხური ლიტერატურა თავის სიღრმით, მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით ჩამოუვარდება უფრო ცნობილ ლიტერატურას. ხოლო რა კეთდება მისი ცნობადობის გასაზრდელად? ვფიქრობ, აქ დიდი წვლილი მიუძღვის სომეხი ხალხის დასაპორულ ნაწილს, რომელიც რეალურად ხდება მშობლიური ლიტერატურის ელჩი მოცემულ ქვეყანაში, როგორც შემოქმედი და გამავრცელებელი.

რა თქმა უნდა, დიდა იმ მთარგმნელების წვლილიც, რომლებსაც შეუძლიათ არა მხოლოდ საუკეთესოს არჩევა და უბრალოდ თარგმნა, არამედ ტექსტების სულის გადმოცემა, სხვისი ღირებულების საკუთარვით გააზრება და როგორც საკუთარი, ისე უცხო ერებისთვის შეყვარება. სხვათა შორის, წელიწადში ორჯერ, კალენდრის მიხედვით, სომხური ეკლესიის მთარგმნელების ხსენების დღეს აღნიშნავს და ყველა მათგანს თაყვანს სცემს. და ეს დღესასწაული ყოველთვის აღინიშნება თბილისშიც, სომხური და ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების მოყვარულები სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონში იკრიბებიან.

სომხურ-ქართული ლიტერატურული კავშირები ყოველთვის ინარჩუნებდა აქტუალობას, სიბოხსა და ურთიერთ ინტერესს. ამ თვალსაზრისით, „არილის“ როლიც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ პრესტიჟული ჟურნალის ფურცლებზე სომეხი მწერლები ხშირად ქართულად არიან წარმოდგენილი და ახლა მთელი ნომერი სომხურ ლიტერატურას ეთმობა. მადლობა მინდა გადავუხადო ინიციატორებს და ყველა ავტორს, ვინც ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ აძლევს სომხური ლიტერატურით, მისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით დატკობის შესაძლებლობას. ხოლო „არილის“ მკითხველები, ჩემი აზრით, დიდი ხანია ლიტერატურასთან ძალიან ახლოს მდგომი, მცოდნე და დახვეწილი გემოვნების ადამიანები არიან. ამიტომ ჩემთვის, როგორც სომხების ელჩისთვის საქართველოში, ეს ნომერი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით, რადგან კულტურა ხალხების ერთმანეთთან დასაკავშირებლად საუკეთესო გზაა, ყველაზე სტაბილური ხიდი - გულიდან გულამდე.

გივი შაჰნაზარი სომხური პოეზიის რჩეული თარგმანები



პარუირ სევაკი (1924-1971) დიდი აქლემის პატარა ყურში

ოდესლაც თურმე
ჩვენთვის უცნობი კანონმდებელი დამსხდარა ხალხი
და უთქვამს:
აი, ეს იყო თეთრი!
აი, იმას კი ეწოდოს თალხი!
ეს მივიჩნით უკუღმართ საქმედ!
ის - ნაღმა ბრუნვად ჩავთვალთ ჩარხის!
და განუსაზღვრავთ წესი და რიგი:
ეს უკუღმართი... ნაღმართი - იგი...
და პა, ჩვენ ახლაც მშვიდად დავდივართ...
სისულელეთა ამ მუზეუმში,
სად ტანსაცმელი კი არ გვეხევა,
არამედ - სული, სული საბრალო!
რომლის ფსკერზედაც რაღაც ისეთი
აუტანელი რამ არის, როგორც
ფეხსაცმელებში - მარცვლები ქვიშის,
ბასრი ეკალი - შერჭმული ფრჩხილში...
და ბრუნავს, ბრუნავს,
ფირფიტის ირგვლივ წრეხაზზე ბრუნავს
ცხოვრების ნემსი
და იძულებით
ამღერებს მუდამ
მარად გამტანჯველ იმ მელოდიას,
უაეტორო რომ გახლავთ დიდი ხნის! -
თუმც უაეტორო, მაგრამ შეუვალ


ციხედ ცნობილი და მიღებული...
და უცნაური
მსდევს რამ სურვილი (ექსცენტრიკული,
თბილი, სხვაგვარი)
და... დღე და ღამე აღარ მასვენებს;
მე ახლა მინდა (თქვენს მაგივრადაც)
არა ღრენა და კრუტუნი მხოლოდ,
არამედ - ბრდღვინვა, ბრდღვინვა მხეცივით!
(ოდეს შევეყმუვლებ, დრუნწს ქვას მივადებ
თუ ახალ ტიპის ამ მრგვალ მაგიდას,
განა სულ ერთი არ არის სულაც?!)

ვერ თანავუგრძნობ... ვეღარც კი ვიტან
იმ საბრალობელ ცხოველთ, რომელნიც
იარლიყს „შინაურს“ დაატარებენ,
მათივე აზრით - როგორც სამხრეებს,
ჩემი აზრით კი - სირცხვილის დამლას...
თქვენ გოლიათი აქლემი გიჯობთ?!
მე კი (ხუმრობად ნუ ჩამომართმევთ)
თაგუნას ვარჩევ, თუ გნებავთ - ვირთხას,
თაგვსა და ვირთხას, რომლებიც დღემდე
შინაურებად არა ქცეულან...
და როს კომმარულ ძილში ვირთხები
თქვენ სიყვარულით ღრღნას დაგინყებენ,
გამოფხიზლდით და სულ ერთი წამით
ასე იფიქრეთ: ღირს კი ნამდილიად,
საუკუნეთა მანძილზე ძილი
დიდი აქლემის პატარა ყურში?!

მცდარი სიტყვა შეცდომის შესახებ

„მე არ მივმართავ არავის,
მაგრამ სადღაც რაღაცა შეცდომა არის“.
უ. საროიანი

გაგიჟებული - გაზაფხული.
 პაერი - მთვრალი.
 ისეთი შუქი განფენილა, ვერ შეიცხადებ,
 მხოლოდ ნათლით რომ დაორსულდეს... თვით უშვილოც კი!..
 მაგრამ მე ჩემს ტვირთს, აუტანელს, ვენევი მაღლა,
 ჩემი თავის და ჩემი გულის ტვირთს,
 რომლის ქვეშაც
 რვარიგად ვათრევე შვიდსახიერ ჩემს სხეულს ახლა.
 ვათრევე.
 არ ვფიქრობ!
 ჩემი ფიქრიც სწორედ ეს არის!
 არ ვისმენ!
 არ მსურს, საიდანმე ხმა რამ ჩამესმას!
 მაგრამ ჩემშიც და ჩემს ირგვლივაც ერთთავად ისმის -
 „სადღაც რაღაცა შეცდომა არის“.
 რაღაც შეცდომა დედამინის ღერძშია სწორედ, -
 სწორად არ გადის... რაღაც მრუდედ უჭირავს გეზი!..
 რაღაც შეცდომა ნათელსაც კი ახლავს, ნათელსაც -
 უნდა ჰქონოდა სიმძიმე და წონა ნამდვილად!
 სარწმუნოება მცდარი თუა, ეს უკვე ვიცით,
 მაგრამ თვით რწმენაც ხომ არ არის მთლად შეუმცდარი?!
 რაღაც შეცდომა ჭეშმარიტსაც კი ახლავს, - რასაც
 ჭეშმარიტს ვარქმევთ, შემონმებას მოითხოვს ისიც!
 სისხლიც, სისხლიც კი შემცდარია: მაშ, რად იღვრება?
 და თუ იღვრება, მერე რატომ, რატომ დედება?!
 ჭიქას თუ ხელი სასომიხდით სწვდება, ლვინოც კი
 შემცდარი გახლავთ, -
 ყელში რატომ გადადის მაშინ?!
 წყალთა შეცდომა
 ვარდნა არის მათი - მუდმივი!..
 ზემოდან ქვემოთ
 ეშვებიან,
 ზემოდან - ქვემოთ!
 არც ლანჩა არის შეუმცდარი -
 გვწყვეტს დედამინას.
 მცდარია მინაც, -
 იყიდება და ყიდულობენ.
 მცდარია ცეცხლიც, -
 მაშ, ეს კვამლი რა ჯანდაბაა?!
 შეცდომა გახლავთ დაღუშება, -
 ფრთებს გვაცლის იგი.
 ხოლო გულწრფელი ლაპარაკი...
 მთლად შეცდომაა.
 მაშ, რითი, როგორ, რანაირად განესხვავება
 შლაგბაუმი და ჰორიზონტი ერთმანეთს, როცა
 ერთი თუ - ფეხებს და მეორე - მზერას გვიკეტავს?!
 შეცდომა გახლავთ მსხვრევეც,
 რადგან, ასე მგონია,
 მიწისმზომელი თუ სარგებლობს ამგვარ დაყოფით...
 დაქუცმაცება, მსხვრევა მხოლოდ ფორმებს ამრავლებს!
 ისე გასინჯეთ, შეცდომაა იმათი ცდაც კი,
 ვინც შეცდომების გასწორებას გულწრფელად ცდილობს,
 რამეთუ ამ დროს, უნებლიეთ, თვითონვე ცდება
 და ასერიგად შეცდომები ერთის შეცდომებს!..



თავი და თავი შეცდომა კი, უეჭველია,
კაცის სხეულს სჭირს:
ერთი თავით აბა რას იზამს,
როცა ცხოვრება უშეცდომომ ასე ძნელია?!
მაშ, რა გამოდის:
სიყვარულიც,
წვაც,
სიძულვილიც
შეცდომა არის?! შეცდომაა?! (გადაირევი!);
ღიბს, შეცდომა გახლავთ ასე განსჯის სურვილიც
და ეს ლექსიც ხომ... შეცდომაა, დასტურ, პირველი!

ნაჰაპეტ ქუჩაკი (XII-XIII სს.)

ჰაირენები

შენ სანამ ჩემი იყავი,
მწვანეს შვენოდა ცის ნამი,
წახედ და თოვა-ქარბუქის
ტორი დაგვეცა მრისხანი...
კვლავ ჩემკენ თუ მოიქცევი,
თუკი იქნები ის ქალი,
მზედ ამოგივალ, გაგიტობო
მკერდს მოფიფინე სისხამი,
გაბრწყინებ ისე, არ შეგჩრჩეს
იმ დიდთოვლობის მისხალიც...

სით მოხველ, უცხო ყოილო,
ქება რომ გამაბედინე...
სულს დაემკვიდრე სინაზით,
თავს კი დამასხი რეტი მე;
გულის კარს რომ ვერ მიაგენ,
თავში ამასკდი (ბედი მე
მჭონია როსმე?) და მერმე
თვალთავან ცრემლად მედინე...


ამქვეყნად თავზარდამცემი
თუა, ორი რამ არისა...
ერთზე გიჟ მეტრფეს იტყვიან,
მეორეს - კუბოს კარისას...
ღირსებით დაიტვირთებენ
მკედარ კარგ ყმას მის ხმლის, ფარისას,
ხალხო, წყალობა ჩემი თქვით,
არც ცოცხლის და არც მკედარისა!..

შინაურ კაცის არმცნობი
ტყუის! - მე ვნახე, მიჰყავდა
ერთ ჯომარდს; ქალის ტურქ-კბილმა
მიალმასა და მიყანდა.
ისეთი იყო, იტყოდი,
რა ყალბით ამოიხატა,
მკედარს მკერდში ჩაისუტებდა
და ცოცხალს ამოიყვანდა!

საიათნოვა (1712-1795)

სიყვარულით ავადა ვარ

სიყვარულით ავადა ვარ,
წამალს საშოგენელსა ვსტირი,
დამიგდო და დამანავლა,
ტანჯულ სახის ფერსა ვსტირი,
ფადიშაჰის ვექილივით
ამა სოფლის ბედსა ვსტირი,
ვით სახლიდან გაგდებული -
ადგილ-სამყოფელსა ვსტირი.
მძლე პატრონი მაინც მყავდეს,
ჩამავდებდა მსხნელთა ხელად,
ლოხმანი რომ აღმსდგარიყო,
მომარჩენდა იგი ხელად,
დამაკვირდი, ჭკვა და გონი
ამრეგია, მიცან ხელად,
წყალმა წელი გამომტაცა -
წერილ შტოსა და წნელსა ვსტირი.
გული ეშხით დადაგულა,
წყულულზე დაღი რისთვის მინდა,
უზღუდო და მორღვეული,
აბა, ბალი რისთვის მინდა,
მშვილდის ლარი გამწყვეტია,
რკალი საღი რისთვის მინდა,
ქვას ისარი მივამსხვრიე, -
წამახულსა წვერსა ვსტირი.
ველარ მინერს საწერელსა,
დაშრა ფერი ყალმის ფრთაში,
ბრძენკაცივით ველარ მომდევს
სიმტკიცე და ძალი ხმაში,
ზღვაში დანთქმულ ტაძარვით
ვერ შევსულვარ გამოთქმაში,
აღმსრულებელს ვერსად ვხედავ, -
ცოდვას გაუმხელსა ვსტირი.
სოფლად დიდი ბატონი ხარ,
ქალაქ ადგილ - სულთან-ხანი,
ბაღში - ნაზი ია-ვარდი,
მთაში - შროშან-სუსამბარი.
ოლონდ შენის ხელით მოკვდეს,
საიათნოვა ყაბულს არი,
სიკვდილისთვის კი არ მოვთქვამ,
ნეტარ მომავლებსა ვსტირი.





გრიგორ ნარეკაცი (951-1003)

გოდებათა მატეანედან

ა.
 წყალობა შენი - სასოება ყოველთა ზედა,
 პირველნათელი შენი - თვალის, გულის და გონის,
 წყარო ჭვრეტისა, ო, იესო, რამეთუ შენ ხარ,
 მხოლოდ შენ ერთი - მოვლენილი სიკეთედ ჩვენდა,
 მიმნიჭებელი სიცოცხლის და უკვდავებისა.
 შემიბრალე და შემამზადე მოქცევად შენდა,
 დაუცხრომელმა სურვილმა რომ მომიცვას ერთობ,
 თორემ ვინა თქვას შენი ნების გარეშე შველა,
 სიკვდილისჯილის შეწყალებას თუ არ ინებებ.
 არა მისხნის რა!
 დიდმეგ ზურო, თუ შენსკენ მივალ
 გზას არ მასწავლი,
 ვერ დავიხსნი თავს უფსკრულთაგან,
 მარჯვნივ და მარცხნივ ავბედითად რომ ამყოლიან.

ბ.
 განწმენდა ჩვენი შენით ხდება, უფალო ჩვენო, -
 ისევე, როგორც განიწმინდა შენგან შენივე
 რჩეული მოსე, ეს შენა ხარ, მაღალო ღმერთო,
 თვალი და ყური ვინც ნამითაც არ მოაშორა
 იაკობის ტომს, რომ ეგვიპტის წარმართულ ბნელში
 არ დანთქმულიყო,
 რომ შემეცოდე კანონმდებელიც
 ჭეშმარიტ გზაზე შენ გადმოგყავს, რასაც დავითის
 საგალობლებიც ღაღადებენ, ისევე და ისევე
 გაყინულ გულთა გამლღობელი შენ ხარ, უფალო,
 რათა მოიქცენ მსასოფარ შენი სიტყვისკენ,
 ხოლო მავანთა უსაშველო სიკერპეს მხოლოდ
 ერთ გზას უჩვენებ: შენი შიშით ძრწოდნენ მარადუჟამს...
 შენ, შენ უნერგავ ურწმუნოთა, გონს, რომ მოეგონ
 და ღმრთისმიერი სასოებით აღივსონ, როგორც
 წინასწარმეტყველთ სიტყვებიდან გვსმენია ადრეც.

გ.
 როგორც სულის ხსნა ვერ იქნება ქრისტეს გარეშე,
 უთვალისჩინოდ როგორც ნათლით ვერ ინეტარებ,
 ვით ვერ იგემებ მზის სასწაულს მზის ამოსვლამდე,
 სწორედ ასევე - გაუმხელლის აღსარების და
 მონანიების გარეშე ხომ ცოცხათა ჩვენთა
 განსაწმედელთან ზიარებას ვერც როს ვენევით!



თეა თოფურია

ელიშე ჩარენცი: „მე რაც ვიყავი, ჩემი იყო“



უცნაურია, რომ ელიშე ჩარენცს, რომელიც სომხეთის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიიჩნევა, საქართველოში დღემდე ლენინზე დაწერილი ლექსებით იცნობენ, ისიც მხოლოდ ვიწრო წრეში. ჩარენცი სტალინურ რეპრესიებს შეეწირა და მისი შემოქმედება აკრძალული იყო. თავის დროზე მისი ლექსები ქართულად თარგმნეს, მაგრამ უმეტესად ისინი, რომლებიც კომუნიზმსა და საბჭოეთზე ჰქონდა შეთხზული. ჩარენცის ნამდვილი პოეზია კი ქართული აუდიტორიის მიღმა დარჩა. იმისთვის, რომ მკითხველისთვის ჩარენცი ზე ნარმოდგენა შემექმნა, მისი რამდენიმე ლექსი ვთარგმნე, თუმცა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც ელიშე ჩარენცის შემოქმედება ჰქვია.

საბჭოთა კავშირის მსხვერპლი

ელიშე ჩარენცი (ნამდვილი გვარი - სოლომონიანი) 1897 წლის 13 მარტს დღევანდელი თურქეთის ქალაქ ყარსში დაიბადა. 18 წლის ბიჭი იყო, როცა სომხების გენოციდის შეესწრო. სწორედ გენოციდმა აქცია ბოლშევიზმის მხურვალე მხარდამჭერად. ამის შემდეგ სომხების ხსნას ელიშე მხოლოდ საბჭოთა კავშირში ხედავდა.

ელიშე ჩარენცი ალტაცებული იყო სოციალიზმით, თანასწორობით. ამ თემებზე მართლაც ბევრს და გულწრფელად წერდა. ბედის ირონიაა ის, რომ კომუნიზმსა და საბჭოთა სომხეთზე ასე შეყვარებული პოეტი ანტისაბჭოთა იდეოლოგიის ბრალდებით დააპატიმრეს და ისე აწამეს, რომ 1937 წლის ნოემბერში, ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. არის მეორე ვერსიაც - ჩარენცი მოკლეს. მისი საფლავის


ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

გიჟი კაცის სიმღერა

ყარსი ჩარენცის მშობლიური სახლი იყო, მისი წარსული და ალბათ პირველი სიყვარულიც. აქ გაცივნი კარინე ქოთანჯიანი, მისი ერთ-ერთი სატრფო და მუზა.

„დავტოვე ყარსი, მდინარესთან ქვის სახლი, ბალი, ცა მენაშული,
არც კარინეს გამოვეუბოვე.
სხვა ქალაქების გზებზე ვცხოვრობ, ეს არის რუხი, უული კაცის, გიჟი კაცის ხმა და ნამღერია.

თითქოს ვილაციის ჭრილობაა ეს ყოფა, მკერდში დაჭრეს და ახლა სიმღერებით ვისთვის ეგზუნება.



მე, ვინც წლებისგან გაიღახა, მივდივარ ზევით, სულეთში, სადაც ოცნებების ძველი გეზია.

ყარსში კარინე ქოთანჯიანს თუ სადმე ნახავთ, შემოგვითვალა ჩარენცმაო, იყავი კარგად¹

ჩარენცის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს ბევრი ქალი იყო. მისი პირველი ცოლი არფენიკ ტერ-ას-ტვანატრიანი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ოთხი წლის შემდეგ, 1931 წელს ჩარენცი იზაბელა ნიაზი-ანზე დაქორწინდა. 1932 წელს პირველი გოგონა შეეძინა, რომელსაც ყოფილი ცოლის სახელი დაარქვა - არფენიკი. 1935 წელს მეორე გოგო დაიბადა - ანა-პიტო.

„ამ გულში რაც კი რამ სიკეთეა, შენია რაც კი ნათელი და მწველია, შენია. მოგცემ, არაფერს დავიტოვებ თუნდაც ცოტას, თბილად მეყოლები ზამთარში უცეცხლოდაც“²

ჩარენცი საოცრად გულახდილი და ექსპრესიული ადამიანი იყო. მისი ბედი, გარკვეულწილად, მისმა იმპულსურმა ხასიათმაც განაპირობა. ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და ეს იმ დროს, როდესაც არათუ ლაპარაკს, ფიქრსაც კი ერიდებოდნენ. მის პოეზიაში სიყვარულის თემა ძალიან ხშირად გვხვდება. მეტიც, ეროტიკული ლექსების ციკლიც კი შექმნა. იმ პერიოდისთვის არც ეს იყო ნორმალური. ელიშე ალბათ ერთადერთი პოეტია, რომელიც ლენინზე და სექსზე ერთდროულად და ერთნაირ გულწრფელობით წერდა.

„დაო! იქნებ, ჩვენ არ ვართ“

ელიშე ჩარენცის პირველი ლექსი 1912 წელს თბილისში, სომხურ ალმანახში დაიბეჭდა. მაშინდელ საქართველოში ელიშეს კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ. მეგობრობდა პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან. ერთი-ორი ლექსი საქართველოსა და სომხეთის მეგობრობაზეც აქვს დაწერილი.

მისი პოეტური სტილი ევროპული სიმბოლიზმის და სომხური ფოლკლორის ნარევი იყო. ცნობილია მისი რომანი „ნაირის ქვეყანა“. ტრაგიკომიკურ სტილში დაწერილ რომანში ყარსის ბოლო წლების ისტორიაა გადმოცემული - პირველი მსოფლიო ომი, დამოუკიდებელ სამშობლოზე ოცნება, მარცხი.

თუმცა, ელიშე ჩარენცის მთავარი მოწოდება მაინც პოეზია იყო. მიუხედავად კომუნისტური მსოფლმხედველობისა, ჩარენცის ლექსები ძალიან მისტიკურია. „სხვა სამყაროდან მოვედი, აუწერელი ლტოლვა მაქვს რაღაც სხვის მიმართ. ქვეყანა, სადაც გადაარჩები, არ არსებობს. ხსნა არ ჩანს“, - წერს ის ერთგან.

კიდევ სხვაგან კი ამ სამყაროს არსებობაშიც ეპარება ეჭვი:

„დაო! იქნებ, ჩვენ არ ვართ. იქნებ ვილაც? და ვინლა?“

ოცნებობს, ფიქრობს ჩვენზე ლამის საკრემლის მიღმა³.

ეს ამონარიდები ჩარენცის ლექსებიდან უნებლიედ გახსენებს ქართველ პოეტს, ტერენტი გრუნელს. საინტერესოა, რომ ტერენტი გრანელიც 1885 წელს დაიბადა და ჩარენცზე სამი წლით ადრე, 1905 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა.

აქ, კი უკვე გალაკტიონი იკითხება:

„ქარი, ქარი... შემოდგომის ქარი ყვითელ მერნებს მიაგვლევს. სადმე ერთად შეჰყრის მერმე, აწყვეტს ნერვებს, აგონით ისეც დაფეთებულ მერნებს. სულით სულს ხდის შესაზარი. ქარი... შემოდგომის ქარი, მტვრის ვეება ზვინებს ზართი მიჰბლავის და ერთურთს ახლის, როგორც გადარეულ ნახირს...“³

„კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დამეხმარეთ“

1930-იან წლებში სომხეთში სტალინური რეპრესიები დაიწყო. ერთმანეთის მიყოლებით აპატრებდნენ მწერლებს, ხელოვანებს, იმთა, ვისაც სომხეთის ინტელიგენცია ერქვა. 1933 წელს ელიშე ჩარენცი მოსკოვში მოღვაწე სომხე მწერალს, მარიეტა შაგინიანს წერს, ველური, უაზრო ტერორი ჩამოწვა, მსგავსი რამ მთელ საბჭოთა კავშირში არ ხდებო: „წარმოგიდგინათ, რა გადავიტანე? განა არ შემიძლია? თავსაც მოვიკლავდი და საკუთარ ოჯახსაც ამოვზოცავდი. შეიძლება გავვიყდე. მივივრის კიდევ, ჯერ რომ გონზე ვარ. ჩემი განადგურება ძალიან ადვილია. ეს ჩემზე კარგად იცით. ამიტომ ვთხოვთ, დამეხმარეთ. იმ კეთილგანწყობის გამო, რომელიც ყველაფერ ღირებულის მიმართ გავქვთ, რაც კი ჩვენს კულტურასა და ლიტერატურაშია. კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დამეხმარეთ, ვთხოვთ“.

ჩარენცის გარშემო რკალი ვინროდებოდა. ზაფხულში, აგარაკზე ნაყვანილი ცოლ-შვილი მოულოდნელად ღამე გარეთ გამოუყარეს და ოთახში „ცეკას“ თანამშრომელი, ალი მამედოვი შეასახლეს. ელიშე სამიწად განარისხდა, ჩარენცები გამოყარეს და ვილაც თურქი შეასახლესო. ქუჩაში დარჩენილ ცოლ-შვილს ჩააკითხა და ისეც ეუფვანში წამოიყვანა. „ჩარენცმა მთელი ღამე ვერ დაიძინა, ეწოდა. ოხრავდა. ჩანს, გრძნობდა, რომ ყველაზე სამიწელი რამ იწყებოდა“, - იხსენებდა შემდეგ იზაბელა.

ერთ საღამოს ჩარენცს სომხეთის კომპარტიის პირველმა მდივანმა, ალასი ხანჯიანმა მიაკითხა და უთხრა, ხვალ თბილისში მივდივარ, ბერიამ გამომიძახა. დავბრუნდები თუ არა, არ ვიცი, შენ კი გაფრთხილი და ნაკლები ილაპარაკეო.

¹ თეა თოფურისას თარგმანი
² თეა თოფურისას თარგმანი
³ გივი შაჰნაზარის თარგმანი



ხანჯიანი თბილისიდან მართლაც არ დაბრუნებულმა, გამოაცხადეს, რომ თავი მოიკლა. ჩარენცს ამის არ სჯეროდა, არც გაჩუმება გამოსდიოდა გაბრაზებულ გულზე.

1936 წელს ჩარენცი შინაპატიმრობაში აიყვანეს, შემდეგ კი ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს.

„მხნედ იყავი, ძვირფასო, სულ ქუჩაში რომ გამოგადონ მაინც, მარტო ჩვენ ხომ არ ვიტანჯებით. კიდევ ძალიან, ძალიან ბევრია ჩვენს დღეში“, - წერდა ცოლს ციხიდან.

ჩარენცის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე

დააპატიმრეს იზაბელაც. მოგვიანებით ის ყაზახეთში გადასახლეს, საიდანაც მხოლოდ 30 წლის შემდეგ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოახერხა დაბრუნება. უფროსი შვილი ბავშვთა სახლში გაგზავნეს, უმცროსი - იზაბელას დედამ გაზარდა.

ელიშე ჩარენცის დაპატიმრების შემდეგ მისი ნიგები მალაზიებიდან და ბიბლიოთეკებიდან გააქრეს. თუმცა, ჩარენცის შემოქმედება არ დაკარგულა. ახლობელმა ხელნაწერები შეინახა.

ბინაში, რომელიც ოჯახმა დაპატიმრებამდე ორი წლით ადრე მიიღო, 1974 წელს ჩარენცის სახლ-მუზეუმი გაიხსნა.

ელიშე ჩარენცი

თარგმნა თეა თოფურიაშვილი

შენ ჩემში იწვი, ჩემში ვარვარებ, მუდმივ ალსა და სისპეტაკეში. მე ნატანჯი და ვინმე ავარა, ჩემს მინასავით ვარ სამარეში. ქვეყანა იგი დარდასა და დუმილს მოუცავს, რადგან სამყარომ განზე დატოვა. როგორ მოგიხმო ახლა და დაგენაფო, როცა მარტო ვარ?!

რა დაგიძახო, რა უნდა გვედრო? როგორ მოგიხმო, რომ ისევ შეგხვდე?

ასჯერ მინავლდა ჩემს თვალბუბო ხანძარი. ჩაკვდა. ჩემს მტკივან სულში ვარსკვლავები ასჯერ ჩაინგნენ. და მაინც, როცა განშორების დადგები კართან, ჩემს ყოფას, ქვეულს მოგონებდად შენ ნუ დანყვევლი. ჩემი ცხოვრება სრულდება და სიმღერა რჩება. ჩემი სიცოცხლე ჩაქრა როგორც ცეცხლი ჭაობში. იყო უმიზნო, გაფანტული და უიმედო. შენც იცი, რომ ჩემს სიმღერებშიც კი ვერ აღმოვჩნდი. თითქოს ჩემს სულში ამ ლურჯ სევდას სხვა კაცი თხზავდა.

უტყვმა - მუდმივი ტირილისგან - ვიარე ქვეყნად. არავინ იცის, სულ არავინ, მე რა გარდამხდა. მხოლოდ იციან რამდენიმე ჩემი სიმღერა. შენით ვაყსებდი ყველა სტრიქონს, შენი ღიმილის სხივია მათში, სისპეტაკე, ჩემი ხელების - ჩახუტება რომ ვერ შევძელი შენი - ტკივილი. ჩემი ცხოვრება კი ხრამშია გადაჩეხილი. აჰა, ბინდუბუნდი, უამინდო, ისევ მოეთრა. რა ვქნა, რომ ჩემს სულს მონატრება არ ანუხებდეს? როგორ დავლიო სული, ხელის აუთრთოლებლად, რომ მერე მაინც მაპატიონ, თუნდაც როდესმე. უცებ, დავეჭვდი, საკუთარი თავის არ მჯერა. იქნებ, არც ილტვის შენკენ ჩემი სულის სიმწველე. შენ ნუ დაწყვევლი ხელებს ჩემსას, დრო რომ დადგება, დარდია მათში, ისინი სულ შენსკენ ინევდნენ.



* * *

ჩემი სიკვდილის დღეს -
 სიჩუმე ძველი დარდით დაანება ქალაქს,
 როგორც გაზეთში ნაკითხული ცნობა კატასტროფის შესახებ.
 როგორც შეყვარებული გოგოს სევდა,
 ან ნაცნობი ქვრივის წუხილი.
 ჯერ ქუჩებს მოედება ახალი ამბავი,
 მერე კარში შევა ბებერი ფოსტლიონივით,
 ბრმად, ლასლასით დაივლის ოთახებს.
 ლანდად განვება ერთი სახლიდან მეორემდე.
 დავინწყებული სტუმარივით აინურება მთელ ქალაქში.
 მერე შუალამისას, როცა ყველაზე მშვიდი დროა,
 თითოეულის გულში შევა და შეუხებლად,
 როგორც შორეული მთვარე - დაივანებს.
 ჩემი სახე გაქრება სამუდამოდ.
 ის ხალხი, გუშინდელ დღემდე უცხო ჩემთვის,
 არსოდეს რომ არ ვუნახივარ,
 და ისინიც, ვინც ხანდახან მხედავდნენ,
 თავის ზღაპრულ ამბავს შეთხზავენ.
 ჩემი ლექსების უმეცარნიც კი,
 ჩემს ცხოვრებას მონშებვივით რომ უყურებდნენ,
 ისიც კი ეგონათ, რომ უკვე კარგა ხანია მოვკვდი,
 საერთო გლოვით შეძრულები, გაოცდებიან,
 თურმე რა მშობლიური ვყოფილვარ მათთვის,
 როგორი ძვირფასი.
 მინიდან მტვერი, სულელები კი მოგონებები აიშლება.
 ჩემი აჩრდილი, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს წარსული,
 ყრუ ქალაქებისა და სოფლების თავზე ილივილებს.
 გამვლელები, ხანდახან ერთმანეთისთვის უცხოებიც,
 ერთმანეთის თვალელები ერთი და იგივე ამბის ამოკითხვას შეეცდებიან.
 სევდიანი სახით გაიზიარებენ მწუხარებას.
 შეიძლება ვილაცამ ნაიკითხოს ჩემი ცხოვრების წიგნი.
 სვენებ-სვენებით, სტრიქონ-სტრიქონ,
 მერე კი ერთბაშად გააგდოს ხელიდან
 და დარჩეს საფლავი შორეულ მოგონებად
 და ქალი, ჩემს სურათზე თავდახრილი
 თვალელები სევდით და ცრემლებით...
 როგორც წლების წინ, სიცოცხლეში,
 მოგონებას უცებ წარსულის სუნი მიეცემა.
 შეიძლება ჩემს წარსულს ჩემს სიზმრებში ედო ბინა,
 ახლა კი ჩემს მემუარებშია.
 მე რაც ვიყავი, ჩემი იყო,
 ამას წიგნი ვერ დაიტევს.
 ვერც ერთი წიგნი დედამინის ზურგზე.
 ვერც ერთი წიგნი, ვერანაირი.



მზე


მიყვარს ჰაიასტანის სიტყვა ნამზეური
 ზარი ძველი სახის, მოთქმა.
 სიმი სევდიანი, ვარდელ ნასისხლარი,
 მისი სურნელი და როკვა
 ლაზათიანი ჩვენი გოგონების,
 ცა დაბინდული და წყალი,
 ნითელი წყაროები, წყალსატევეები.
 დრაკონის ხმა მაქვს და ვხავი
 დიდების საგალობელს
 მზის - ზამთრის, მზის - ზაფხულის.
 ქოხები წყვდიადში ქრება.
 უფშური კედლების ხაო და სიშავე,
 ძველი ქალაქები ქვებად.
 ეს ქვები ითვლიან ათას წელს,
 წელს ათასს... ვიქნები აგერ თუ სხვაგან,
 არ დამავიწყდება ჩვენებურ სიმღერებს

სევდა რომ დაჰყვება დალად.
 არ დამავიწყდება რკინა ჩამოსხმული
 რომ იქცა წიგნებად ლოცვის.
 ჩვენი იარები, ძველი იარები
 ისეთი ღრმაა და ლოდი.
 არვინ არ არის
 მსგავსი ნარეკაცის
 არც კაცი - ქუჩაკის მსგავსი.
 მიყვარს მთა მასისი, როგორც უმნიფარი
 გზები დიდების და დაფნის.
 მიყვარს ჰაიასტანი ობოლი, ნათელი,
 მიყვარს და ზღაპარი მეტი,
 არ დამჭირვებია.
 შენ - წადი აშხარში
 კაპკაშა არარატის ფეხრთით.

ალასი აივანი

სახარება ავლაბრიდან

თარგმნა მედეა იმერლიძვილი




ავლაბრიდან ჩანს ყველაფერი. მთელი ტფილისი თავისი ქუჩაბანდებით: შაითან-ბაზარი, ერევნის მოედანი, საპნის ქუჩა, ნარიყალა, წმინდა სარქისის ეკლესია, სიონი, ბერძნული ეკლესია... ავლაბრიდან ჩანს ბატონების - ხატისოვის, მელიქ აზარიანცის სახლები, თამამშვივის ქარვასლა, ზუბალოვისა და ტერ-ოსიპოვას თეატრი, გოგირდის აბანოები... ჩანს მადამ სალომეს მომწვანო-მოციხფრო თვალები, მადამ სუხანას ფიტიქია ფეხები, ქალბატონ მერის ამაყი მკერდი, ფუნიკულიორივით ზეაღმაგალი. ავლაბრიდან ჩანს ფული, რომელსაც ნაალში მალავს წვრილმანებით მოვაჭრე მარტიროსი, ჩანს სოფიოს ჭაღარა თმა, აყლაყულა საქოს საკერებლები... ეს რა არის - ავლაბრიდან მოჩანს კოჯორი, ბორჩალო, შვენაბადა და... პარიზი! ავლაბრიდან ჩანს ტფილისური ქორნილები და გასვენებები, სნეულეები და სიზმრები... ავლაბრიდან ჩანს ტფილისის მწუხარებები. და როცა ვინმეს სევდა შეიპყრობს, ავლაბრიდან დაინახავს სარქისოვის ღვინის სარდაფს, სადაც „დათობა შეიძლება აბაზად“. რაც ნიშნავს, რომ ღვინო კი არ ღირს აბაზი, არამედ ერთ აბაზად ღვინოში დარდის ჩახრჩობა შეგიძლია. სვამ, რამდენსაც გინდა და იხდი მოლოდ აბაზს. იქ იციან, რომ ბევრი გაჭირვება ტფილისში, და ავლაბრის ირგვლივ და ავლაბარში... აქ ადამიანები მკაცრად მისდევენ ღირსების კანონებს და არაფერს ჰპატიობენ, თუკი საქმე ღირსებას ეხება, ღირსების გამო არც საკუთარ სიცოცხლეს დაგიდევენ და არც სხვას დაინდობენ. და უყვართ ისევე გამეტებით, როგორც სძულთ და კლავენ. ხოლო თუკი სიყვარულში არ გაგვიმართლებს, სარქისოვის ღვი-

ნის სარდაფში ჩახვალ.

კინტო გორელის უკარება ოლია შეუყვარდა, ყოველ ღამე შეკრებდა ორმოც მედეუდუკს და მღეროდა საიათნოვას და ბესიკის სიმღერებს, ოღონდ კი როგორმე კუშტი მზეთუნახავის სახეზე ღიმილის ჩრდილს გადაერბინა, ოღონდ კი ერთხელ მაინც გაეხედა მისკენ თავისი სევდიანი თვალებით. ორმოცი დუდუკის ხმა, უშველებელ, საპურმარილო ბარაქიან სუფრასავით, მთელ ტფილისს სწვდებოდა. ამ ხმის ძალა ჯვრებს არწევდა ეკლესიებში, თითქოს ტირივები ყოფილიყვნენ.

სიყვარული დაიარებოდა ავლაბარში და განა იცოდა ვინმემ, საიდან გამოძვრებოდა და საით დაიმალებოდა? ვიღაცას განუზომლად აამალებდა, სხვას სასაცილოდ გახდიდა, ქამანჩას აპკიდებდა, მხარზე ბულბულს შემოუსკუპებდა და ეს ტაკიმასხარაც, დახეტილებდა ქუჩებში და თავის ხმას მთელ ავლაბარს და, შესაბამისად, მთელ ტფილისს აგონებდა. სიყვარულის ერთ მსხვერპლს თუ პატივს მიაგებდა, მეორეს ლაფში ამოსვრიდა და სათოფეზე არ გაიკარებდა. აი, მაგალითად, ბატონი ასატურიანი, მირზა ასატურ ხანი, ერთ დროს ყველაზე პატივსაცემი კაცი ავლაბარში, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმნახველი, თვით დიოგენეზე მოსაუბრე. თმა თეთრი ჰქონდა, ავლაბრის სისპეტაკესავით, თვალები - ცისფერი, ავლაბრის ზღვრებასავით, მაღალი იყო, ყველას ზემოდან გადმოჰყურებდა, როგორც ავლაბარი - დანარჩენ ტფილისს. ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე განსწავლული, მოსიარულე ბიბლიოთეკასავით! სოლოლაკში სომხურად მოსაუბრე, ვერაზე - ქართულად,



ეკლესიის ეზოში - გრაბარზე, სირაჩხანის ხელოსნებთან - ამხარაბარზე, სასახლის მოედანზე - რუსულად, მეიდანზე - სპარსულად, კირორნიზე - გერმანულად, ავლაბარში კი - ავლაბრულად! მაგრამ რომელ ენაზე დალაპარაკა მას სიყვარული, ეს ყველასთვის უცნობია. ავლაბარში დარწმუნებულები იყვნენ, რომ მირზა ასატურიანი არ იცოდა სიყვარულის ენა და ამ ენაზე არ უნდა ესაუბრა, მაგრამ დახედეთ, ამ ენაზეც ალაპარაკდა. უკეთესი კი იქნებოდა, ხმა არ ამოელო, მთელ ავლაბარში თავი შეიკავებინა! ახლა მისით ველარავინ იამაყებდა. დასაზანია... იყო დრო, ავლაბრელები მხოლოდ იმიტომ ატარებდნენ ქუდეებს, რომ ასატურ ხანთან შეხვედრის დროს მოეხადათ, სხვანირად თავიანთი პატივისცემა როგორ გამოეხატათ? ახლა? ერთ დროს ერთადერთი და გამორჩეული მთელ ავლაბარში, რიგით ბედმაზად გადაიქცარა და უნდა გეკითხა მისთვის, როცა თავად დასჭირებოდა სხვების რჩევა? ეჰ, ბატონო ასატურ, ძველჯული მირზა ასატურ ხანისა, ავლაბრის ძირძველ და პატივსაცემ ოჯახში რომ დაიბადე, წმინდა წყლის ავლაბრელება, ჩვენმა ჭკუამ და სინდისმა, სასწავლებლად გერმანიაც რომ შემოიარე, წმინდანივით მცხოვრებმა ღვთის სიტყვა ეწმიაძინა რომ შეისწავლე, ვენეციაში კი ფილოსოფიას და ადამიანური ტანჯვის ისტორიას დაეუფლე... განა დაეუშვებდი ჩვენი სიყვარულისა და სიამაყის ფეხქვეშ გათელვას?... მამაშენი, მირზა-ხან უფროსი რომ მიიცვალა, მთელმა ავლაბარმა დაიტირა, მისი კუბო ხელით ატარეს ყარაჩოხელებმა, არტისტებმა და მასწავლებლებმა, კინტოებს ფეხვიანად ამოეთხარათ ყვაილივით მცხეთის ბაღებიდან და კუბოს წინ გაეშალათ, უკან თავად გაბრეულა სუნდუკიანი მიჰყვებოდათ, შლიაპაც კი მოეხადა. გაატარეს მთელი ავლაბარი, რამდენჯერმე მოატარეს მთელი ტფილისი და მერე უკან, ავლაბარზე დააბრუნეს და დიდებულ სოჯივანქზე მიაბარეს მინას. შენ კი, რა ქენი, ასატურ ხან, ჩვენი შვილო და მამაჲ, ჩვენი აკადემიაჲ? ნუთუ მეცნიერება და ენების ხელოვნება საკმარისი არ იყო იმის გასაგებად, რომ სიყვარული საშემო საქმე არ იყო? შენ, შენი სპეტაკი თმით, ღვთის კაცი, მამა ავლაბრისა. და მერე ვინ შეიყვარე? შესაფერისი ყლორტი მაინც მოგეტება, აი, მაგალითად, ქალბატონი ფარაძემი, ქალი ასაკოვანი, მაგრამ ვიღაც ქარაფუტა ამოარ-

ჩიე. არავინ იცის, საიდან გამოტყვერა, მთელ ავლაბარს მიაფურთხა, შენთან კატასავით შემოიპარა იქიდან კი დაორსულებული გამოვიდა. აბა, ეს რა ჰგავს?... ამბობენ, ამ ამბავში მკითხავი ვარო იყო რუსული, რომელსაც ასატურის შერცხვენა განეზრახა. მისი დიდება მოსვენებას არ აძლევდა. ესუმრებ ვაროს თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტის სიკვდილის თარიღი, ტფილისსა და ავლაბარში, ნიკოლოზ მეორის მობრძანება ეწინააღმდეგებოდა. დღეზე გაეკრა ხელმწიფის ფოტო ავლაბრის ფონზე და ამგვარად ერთ ფოტოზე ხელმწიფე და ავლაბარს ხელი გაეერთიანებინა. ეს როგორ მოახერხა, არავინ იცის და არც არავის უკითხავს. ვაროს ეს არ გაუჭირდებოდა. მაგრამ თუკი ვინმე იკითხავდა, როგორ მოხდა, რომ ავლაბარში მეფე სხვა არავის დაუშვავს, ნერვიული სიცილით განუშმარტავდა: „ლამაზი მობრძანდა, თქვე ქარაფუტებო, თქვენი ხმამაღალ შეძახილები რომ არ გაეგონა“.

ასატურ ხანს კი, თავისი გერმანულით, თავისი ცისფერი თვალებით, უნდა, რომ ვაროს გზა გადაეჭრა. აღიხაზე, ჩემი ნამოქმედარია, დაადასტურა ვერო, - მე გაეთვალე, მინდოდა მისთვის ქედმაღლობის მომეშლევინებინა და მოვაშლევინე კიდევც“. ავლაბრელებმა არ იცოდნენ, ერწმუნათ თუ არა ვაროს ნათქვამი, მაგრამ უბრძანეს, ასატურისთვის ჭკუა-გონება დაებრუნებინა.

დიდხანს იყვნენ გამწყრალები ბატონ ასატურს თავზე ქუდე აღარ იხურავდნენ, რომ შეხვედრისას არ მოეხადათ, გაურბოდნენ მის სახლთან გავლენა ბაზარში, მისი დანახვისას საქონელს აძვირებდნენ მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ცალი თვალი მიწა მუდამ თავიანთი ყოფილი რჩეულისკენ ჰქონდათ მიმართული და დანანებით ოხრავდნენ. მათ თვალწინ მოევიწინა ქვეყანას ცეცელიას ქალიშვილი პატარა ვარდო - ვარდუშა, ვარდიკო... ნამდვილი ავლაბრელი, მისი პირმშო. ხედავდნენ, როგორ გაახავა გაზრდავდა და კიდევ უფრო დამშვენდა ასატურს წინ, ხედავდნენ მას წივრის დროს, ლოცვის შარავი დედი და თვალები ცრემლებით ევსებოდათ.

კვირაობით, პატარა ვარდოსთან ერთად ავლაბარში მოსეირნე ასატურს რომ მოკრავდნენ თვალისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, რომ ეს თავად ქრტი იყო, თავის შვილთან ერთად. ავლაბარში ახლა



სახარება ინერგობდა.

მაინც რამდენ ხანს უნდა გაბუტვოდა? და ავლა-ბარიც გატყდა. როგორ ვერ უნდა გაეგო სიყვარული თავად მის პირშმოსა და ნაყოფს? დაე, დაე... რას იზამ, თუ ცეცილია მთლად მოსანონი არ არის, თუ ეს ყველაფერი ცოტა სასაცილოც კია...

და ისევ დაიწყეს ქუდის ხდა მასთან შეხვედრისას, ისევ უღიმოდნენ და, რაც მთავარია, მონინებით ეკიდებოდნენ მის სიყვარულს და ოჯახის ღირსებას. ასეთია ავლაბარი - ერთდროულად გულგახსნილი და ეჭვიანი. ასატურ ხანის ოჯახი მისი ოჯახია და თუ გული გადაუხსნა, მისთვის სიცოცხლეს აღარ დაიშურებს. და ახარებდა ავლაბარს ასატურ ხანისა და პატარა ვარდის დანახვა და უკვირდა, ადრე როგორ ვერ ამჩნევდა ამ სილამაზეს... ასეთი სიყვარულიც ხომ შეუძლია ავლაბარს... ყოველ კვირას კინტოებს პატარა ვარდოსთვის თაბახით შავი და თეთრი თუთა მოჰქონდათ, თეატრის მსახიობები კი ყვავილებს ჩუქნიდნენ. ავლაბრელებისთვის ძვირფასი იყო ასატურის ღირსება, ტიკინა ცეცილიასაც კი პატოვისცემით ესალმებოდნენ. ღმერთმა არ ქნას, ვინმეს მისთვის ცერად შეეხება. ავლაბარი ამაყი და ეჭვიანი კი იყო, მაგრამ ბავშვის გული ჰქონდა. ერთხელ პირდაპირ თეატრის სცენიდან ჩამოათრიეს იაგო და მეტეხის კლდიდან მტკვარში მოისროლეს, მერე კი, ასეთივე გატაცებით ცვილობდნენ ამ როლის შემსრულებელი მსახიობის, სეხბოსიანის ვადარჩენას. „რას აკეთებთ, თქვე გადარეულდებო?“, - ატირდა მოსულიერებული სეხბოსიანი. „ნუთუ გაუგებარია? - გაუკვირდა ავლაბარს - იაგო დავახრჩვეთ, მსახიობი კი გადავარჩინებ“. დაფიქრდა სეხბოსიანი და დაეთანხმა. ბრძენი ავლაბარი, უგუნური ავლაბარი!..

და სწორედ ის ავლაბარი, რომელიც გაუაფიცებთ ადევნებდა თვალ-ყურს, ვინმეს ტიკინა ცეცილიასთვის ადგებული თვალით არ შეხებდა და საამისოდ მცველებიც მიეჩინა - ხან გოჩ გეგო, ხანაც შავო, - ამ ავლაბარმა ერთხელაც დინახა და შეიცხადა: „ნეტა კი მოკვდებოდე, ეს რა ხდებოა?!", - ცეცილია ავლაბრიდან გამოსულიყო და გოლოვინის პროსპექტს მიუყვებოდა, მუშთაიდის ბალებისკენ ან, სულაც, ნაძალადევისკენ მიემურებოდა! იქ რა ესაქმებოდა? მართალია, ავლაბარი თბილისის ნაწილი კი იყო, მაგრამ იქ არაფერი ესაქმებოდა. რა აკლდა? ბაზარი? იქვე იყო. ეკლესია? ისიც. თეატრი? მობრძანდით, ბატონო.

ბევრი იფიქრა ავლაბარმა ამ ქვეყნის უსამართლობაზე, დაღონდა, ჩაფიქრდა, ცოტა ხანს სარქისოვის სარდაფში ჩამოჯდა და დაასკვნა, რომ ცეცილიას ავლაბარში აღარ დაედგომებოდა და გზა ხსნილი ჰქონდა, საითაც უნდოდა, იქით ნაბრძანებულოყო. ავლაბარმა ბრალი წაუყენა, კედელთან მიაცენა. ოღონდ ეს მათი სათაყვანებელი ასატურ ხანის სახელის შუებლავად უნდა მომხდარიყო. ის არ უნდა გამტყდარიყო, იმიტომ, რომ ცნობილი იყო, თუკი ადამიანი ერთხელ მაინც გატყდებოდა, თავის სინდისს და ღირსებას გადააბიჯებდა, უსათუოდ დაილუპებოდა. ჯერ ერთს აპატიებდა, მეორე მეორეს, ნებას დართავდა, მოეტყუებინათ, მისთვის შეუჩაცყოფა მიეყენებინათ, მერე კი თვითონაც მოიტყუებოდა... და მისი ღვთიური არსიც გაქრებოდა. ასატურ ხანიც, შესაძლოა, დაცემულიყო, თავისი ცი-

ური სახე დაეკარგა და, ღმერთმა დაიფაროს, იალა სტეკვას დამსგავსებოდა... ქვეყანა ხომ დაილუპებოდა... არც ისე ადვილია ღვთის ხატისა და გულმართალი, წესიერი, სამართლიანი კაცის შექმნა, რომ დასაკარგად გემეტებოდეს.

სიცრუე ასატურ ხანს არ უნდა გაჰკარებოდა, ჩვენ თუ გავიგეთ, ასატურ ხანსაც უსათუოდ უნდა შეეტყო, რომ ავლაბარის ყბაში არ ჩავარდნილიყო. მისი სიმართლეც ფასს დაკარგავდა და ტყუილზე უარესი შეიქნებოდა...

და დაელაპარაკა ავლაბარი ცეცილიას, მასაც, სხვა რა გზა ჰქონდა, დანებდა, შეჰპირდა, რომ რასაც უბრძანებდნენ, შესასრულებდა. მაგრამ ეგეც კაი ოხერი იყო, როცა ასატურ ხანს ავლაბრელების თანდასწრებით თავის თავგადასავლებში გამოუტყდა, დასძინა - მიიღეთ, რაც გინდოდათო და როცა იფიქრეს, ყველაფერი დასრულდაო, შეკრებილებს თვალი მოატარა და მერე, თითქოს ირგვლივ რაღაც აფეთქდაო, მისი ნათქვამი შემოესმათ - არც ბავშვია შენო. გაოგნდნენ ავლაბრელები: „ოხ!“ - აღმოხდათ და ეს ამოძახილი მთელ ავლაბარს ღრუბელივით ჩამოეფარა. ავლაბარი ხომ ყველას ხელისგულზე უდევს - გოლოვინის პროსპექტი იქნება, ვერა, ნარიყალა თუ, ეშმაკსაც წაულია, ნაძალადევი, და ამ საყოვლთაო „ოხ“-ის გაგონებაზე ყველამ ზემოთ აიხედა - იფიქრეს, ახლა დაიქუხებდა, დელგმა მოვარდებოდა და შებილწულ, სინდისგარეცხილ ავლაბარს მიწასთან გაასწორებდა. „ჩვენი თვალისჩინი, ქრისტესმიერი ვარდო ბაზრის გოგოა, ალებ-მიცემის საგნად გვექცა“.

ასატურ ხანი დაამწუხრა ცეცილიას სიტყვებმა, მაგრამ მერე წყნარად წარმოთქვა: „ვარდო ჩემი შვილია“.

ავლაბრელებმა კიდევ ერთხელ შეჰყვირეს გოცებისაგან: „უჰჰ!“

„ეს როგორ, ასატურ, აკი, თავადა სთქვა?“
„მან არ იცის“, - უპასუხა ასატურმა. მისი ნათელ მზერა სიმართლეს ასხივებდა.

„როგორ თუ არ ვიცი?“ - გააჩნლდა ცეცილია.
„არ იცი“ - გაიმეორა ასატურ ხანმა და ცეცილია დაიბნა, ჯერ გადაიხარხარა, მერე ავლაბრელებს უნდოდ გადახედა და უმწეობისგან ატირდა.

„კარგად დაფიქრდი, ასატურ ხან, - თავი გამოიდო სინდისის მკაცრმა მცველმა დავითმა - რადგან თავად ამბობს, მანდ რალაც ამბავია“.

„არაფერიც არ არის“, - გაიღიმა ასატურმა და დავითიც გაჩუმდა.

ასატურ ხანს სჯეროდა, და ყველა მიხედა, რომ მან იცოდა ის, რაც არ იცოდა ბუბიაქალმა და ეს ცოდნა სცდებოდა ადამიანის სხეულის მარტივი კანონების ცოდნას. „ნუ ტირი“, დაუყვავა ასატურ ხანმა ცეცილიას და მანაც დაუჯერა. შეხედეს ავლაბრელებმა ვარდოს და მიხედნენ, რომ ის მართლაც ასატურის შვილი იყო, კარგი გოგო, სასწაული პატარა გოგო. და დაინახეს სიყვარულის ძალა, რომლითაც ასატურს ეს გოგო უყვარდა და მის სიმართლეში ეჭვი ვეღარ შეიტანეს. სიყვარული ყველაფერში ხსნიდა. ასატურ ხანს უყვარდა ვარდო, ვარდოს უყვარდა ასატურ ხანი და მათი სიყვარული ანათებდა, გინდაც თვალს მოფარვოდნენ ერთმანეთს. თუ ასატურ ხანი ავლაბარის ერთ ბოლოში აღმოჩნდებოდა, ვარდო კი - მეორეში, ეს შუქი მთელ ავლაბარს ანათებდა.



აღასი აივაზიანი

ტფილისის მეგზური. 1912 წელი

თარგმნა მედეა იმერლიძემ

ვანო ხოჯაბეკოვის, ფიროსმანის, კარაპეტ გრიგორიანცის, იეთიმ გურჯის, გიგო შარბაძის, კარა-დარვიშის, გევორქ ჯოტოს, ზაფხუქუის, კარალოვის და „ტფილისის ორდენის“ სხვა დარდიმანდების სულის შესანდობარი

ტფილისის ყველაზე დიდი და მშვენიერი ქუჩა გოლოვინის პროსპექტია. თუკი გავყვებით უცნობი, მაგრამ გენიალური მხატვრის ამ ქმნილებას და მისი საჩვენებელი თითის მიმართულებით გავეშურებით, აღმოვჩნდებით მიხვეულ-მოხვეულ, ვიწრო და ოღროწოდრო ქუჩებში, სადაც მწუხარებას ღვინის გემო აქვს, დრო კი, ძმრის მსგავსად, ჰაერში პანანინა ბუშტებად იშლება.

ტფილისის ჩამოუღის მდინარე მტკვარი. მასზე ექვსი ხიდია გადაჭიმული - მიხაილის, ვერის, მუხრანის, ავლაბრის, მეტეხის და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - მნაცაკანოვის. ამ ხიდის ასაგებად ოცდახუთი ათასი რუბლი გაიღო და ქალაქს აჩუქა მნაცაკანოვმა. ამისთვის მას ტფილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ამბობენ, რომ ამის შემდეგ მნაცაკანოვი ფულს ხიდის ერთეულებით ითვლიდა. „დღეს ბირჟაზე ორი ხიდი მოვიგე“. თავის ქალიშვილს ამუშათებდა: „შენი კაბები და შლიაპები ექვსი ხიდი დამიჯდა“. ოცნებობდა, ხიდები ერუქებინა სანკტ-პეტერბურგისთვის, პარიზისთვის, ლონდონისთვის... ხელს ჩამოისვამდა ხოლმე თავის ბლანყზე და წარმოიდგენდა ლონდონის ვატერლოოსთან მნაცაკანოვის ხიდს - ოჰ, დიდებული იყო!

ამ ხიდს სხვებისგან გამოარჩევდა ის, რომ მის ქვეშ ხეჩო ჩოფუროვი ცხოვრობდა, სოფელ შინიხიდან. პატარაობისას მამა - ჩოფურეთიმოვი ძილის წინ საოცარ ამბებს მოუთხრობდა, უყვებოდა იმას, რაც, მისი აზრით, პატარა ხეჩოს უნდა დასიზმრებოდა. მაგრამ უამბობდა ამბის მხოლოდ ერთ ნაწილს, დანარჩენი ხეჩოს ძილში უნდა ეხილა. ბავშვი იძინებდა, მაგრამ მის სიზმრებში არცერთი ის სანახევროდ ნაამბობი ამბავი არ დასრულებულა. მოგვიანებით, როცა გაიზარდა და მნაცაკანოვის ხიდის ქვეშ დაიდო ბინა, მიხვდა, რომ მისი ცხოვრება იყო სწორედ დაუსრულებელი ამბების გაუმხელებელი ნახევარი... თავს ზემოთ - ხიდი,


მტკვრიდან მონაბერი სიცივე, შორეული ხეები, რომლებსაც მასთან არაფერი აკავშირებდა...

ბატონო მნაცაკანოვ! ბატონებო! თქვენ ცხოვრობთ სიმყუდროვესა და კმაყოფილებაში. ყველაფერი გაქვთ - რაც გჭირდებათ და ისიც რაც არ გჭირდებათ. გაქვთ თბილი ადგილი სადაც შეგიძლიათ დაიძინოთ, გაქვთ ფული საჭმელი... თქვენ, ბატონებო, და თქვენ, ბატონო მნაცაკანოვ, ერთადერთი რამ გაკლია - უბედური ადამიანი, რომელსაც სცივა, შიშო, რომელსაც ბედმა განუსაზღვრა უბედურება. თქვენ გჭირდებათ ასეთი ადამიანი იმისათვის რათა ღამით, მსუყედ ნავაშმევესა და ლოგისში ჩათბუნებულმა, გაიხსენოთ და შეედართო ამგვარი შედარება თქვენთვის აუცილებელი რათა ბოლომდე გაისიგრძეგანოთ თქვენი ცხოვრება, კმაყოფილება, რბილი ლოგინი, ჯანმრთელობა და ნაზი კანი, საკუთარი ბედნიერება... ასეთი ადამიანია ხეჩო. შეიხვედეთ ხიდის ქვეშ და იხილავთ მას... ხეჩოს არაფერი აბადია და არც არასდროს ექნება. მან საკუთარ სურვილებზეც კი თქვა უარი სხვათა სურვილების გამო... ისიც კი, რაც არ ებადა, პირველივე მსურველს გაუზიარა... მთელი ცხოვრება ითხოვებოდა და ითმენდა გაჭირვებას. ხეჩო თავისი გიძღვნი. მიიღეთ და საკუთარი ლოგინი კიდევ უფრო მყუდრო მოგეჩვენებათ, ცხოვრებაც - კიდევ უფრო უზრუნველყოფილი...

ჰაერის წნევა ტფილისში - 406.
ვაჭარ თამამშევის თავზე - 4040.
ვორონცოვ-დაშკოვის თავზე - 308.

ჩვენი კარა-ვურდის თავზე კი - ათასი. ალბათ ამიტომაც, არ აქვს სახლი და სძინავს ღამის ქვეშ - წნევის თუნდაც უმნიშვნელოდ შემცირებლად. სძინავს, სადაც მოუხდება: გაზაფხულობით - ფაეტონებში, ზამთარში - მირზოევის აბანოებში, ზაფხულობით - მუშთაბის ბაღში...

ვურდის სძავს სახლი, ქუჩა, ტანისამოსი




მაგრამ რალაც მაინც ხომ უნდა ატაროს, ამიტომაც ახურავს ფართოფარფლებიანი შლაპა, მორთული ქათმის ფრთით, სერთუკის ღილიკილოში კი ყვავილის ნაცვლად გაუყრია წითელი ბოლოკი. სადღაც ხომ უნდა ჭამოს კიდეც, ამიტომაც დაიარება დუქნებში და ყიდის თავის აზრებს, იგონებს სადღეგრძელოებს, ამკობს საფლავის ქვებს ათასნაირი სიტყვებით, აი, მაგალითად: „ღმერთმა აცხონოს ცოცხლებისგან მკვდარი“. ვურდის დასცინიან, მაგრამ მის სიტყვებს კი იმახსოვრებენ, თავიანთ ცოლ-შვილს, უფროსებს და საყვარლებს უამბობენ... და ვურდის ფიქრები და გრძნობებიც ხალხის საკუთრება ხდება...

აი, რა სიტყვები უსახსოვრა კარა-ვურდიმ რესტორან „ბომონდში“, „ვოლტერის თაყვა-

ნისმცემელთა-ინტელიგენციის იმპერატრიცა მარია ფედოროვნას სამზრუნველო კავკასიის განყოფილების“ გამაძღარ წევრებს, კბილებს რომ იჩიქნიდნენ, საზეიმო შეხვედრის შემდეგ: „თქვენ - მეშჩანების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებო! ადამიანურ გენიას დავარქმევ აზრს. ვოლტერი იყო აზრი და არა ინტელიგენტი და მისი ყველაზე დაუძინებელი მტრები ხართ თქვენ, ინტელიგენტები, იაფფასიანი მომხმარებლები, პარაზიტები, რომლებიც მრავლდებით აზრების ირგვლივ, იჭრებით მასში, იკვებებით მისით და ბოჭავთ მას. თქვენ, ფარისევლებო, ღუპავთ აზრს და მკვდრისგან კერპს ქმნით!“

ამ სიტყვებისთვის ერთი თვით მეტეხის ციხეში გამოკეტეს. დღეს ანტონის ფაეტონში



ათევს ღამეს, თუკი მისი მჭრელი ენის არ გე-
შინიათ, შეგიძლიათ ენვიოთ...

კინოთეატრი „მულენ-ელექტრიკი“. გამ-
ვლელთა რიცხვი რომ შეთხელდება, „მულენ-
ელექტრიკის“ პიანისტის, მაღამ აუფერმანის
მუსიკა იპყრობს ქუჩას, და მან იცის, რომ ახ-
ლა უკვე ქუჩისთვის უკრავს... ეს ბოლო სეან-
სი მისი ბენეფისია, მისი შთაგონების წყარო,
მისი საზეიმო წამები...

მოდი, შევიხედოთ „მულენ-ელექტრიკში“
და მოვინახულოთ მოხუცი აუფერმანი და უფ-
რო, ტაში, აფიშების უხელებო მხატვარი. დი-
ახ, მას არ აქვს ხელები. „ღმერთმა მშვენივ-
რად იცის, რას აკეთებს, - ამბობს ტაში, - მას
არ უნდა, მის გარდა კიდევ ვინმე ქმნიდეს. მან
დახატა სამყარო და არ უნდა, მიბაძონ, მით
უმეტეს, რამე შეცვალონ მის მიერ შექმნილ
სამყაროში. ბეთჰოვენი ყრუ იყო, ჰომეროსი -
უსინათლო, მე კი - უხელებო ვარ, ტფილისე-
ლი ტაში, ერთადერთი და გამორჩეული. მან
იცოდა, რომ მეც შემეძლო სამყაროს შექმნა
და წამართვა ხელები... ოხ! - კბილებს აღრჭი-
ალებს და ყვირის, ცაში იყურება და ღმერთს
წყევლის. - მაგრამ მეყო თავხედობა და მაინც
ვხატავ. შეხედეთ, აი, ყინულივით ვერას, მა-
როინ ლეონარდის პორტრეტები... ჩემი გრძელ-
წამწამებიანი ანგელოზების“.

„მულენ-ელექტრიკის“ ვესტიბიულში ტი-
ლოს აფენს, შემდეგ ფეხსაცმელს მოისვრის,
ფეხის თითებით ფუნჯს იღებს, მოირგებს და
თავდაჯერებულად უსვამს ტილოს. თითქოს
უნდა, საკუთარ თავსაც და ღმერთსაც დააჯე-
როს, რომ ადამიანს ხელები არ სჭირდება. გან-
საცვიფრებელ პოზებს იღებს, წევა, გადაბ-
რუნდება, ცეკვავს აფიშაზე, ჰაერში დაფრი-
ნავს, ცალი ფეხით სიგარეტს იღებს პირიდან,
მეორით ოფლს იწმენდს და ხატავს... დარბაზ-
ში დროდადრო ძლიერდება როიალის ხმა და
ისმის მაღამ აუფერმანის გაძვალტყავებული
თითების კაკუნის კლავიშებზე. თუ ამ დროს
ვინმე გაიცინებს, ვესტიბიული კიდევ უფრო
ცარიელდება, მარტოსული ტაშიც ფანტასტი-
კურ არსებად გარდაიქმნება... მუშაობას რომ
დაასრულებს, გვიან ღამით, სანაპიროზე ერთ-
ი პატარა დუქნისკენ გაემართება. თან გაი-
ყოლებს კარა-ვურდის ფაეტონიდან ხეჩოს, რო-
მელიც ხიდის ქვეშ ცხოვრობს... იქ ტაში ფეხის
თითებით აიდებს ბოკალს და სვამს თავისი
უხელებო ბედნიერებისას და ტფილისისას.

სადღეგრძელოებს შორის, მართალია, კბი-
ლებს აღრჭიალებს და ღმერთს ლანძღავს, მაგ-
რამ ბოლოს, ძილის წინ, - საოცარო სამყაროვ,

საოცარო ტფილისო! - მოთქმით ტირის, -
მიტევე, უფალო, დამიფარე და მომიტევე, -
ფეხის თითებით იწერს პირჯვარს.

მოედინება მტკვარი დღითა და ღამით, ხ-
ვაუბედავად, თითქოს თავზე თავსაფარი ნა-
ხურავს, თავისი ტანიდან ამოჩრილი ლოდის
გამო ირცხვენს, მერე უცებ ახმაურდება, დუ-
მორეული ფაშატივით აიფოფრება. ზოგჯერ
შენელდება და ნაპირებზე ჩარიგებულ მა-
თეთრ ნისკვილებს დაუნყებს თვალიერებ-
ან შეჩერდება და წყალზე გადმოზნექილ
რანდებიდან გადმოღვრილ თარისა და ქამ-
რის ხმებს დაუნყებს სმენას, რამდენჯერ უს-
ნაც კი დაბრუნებულა, საიათნოვას მოგულ-
ლი სიმღერის კიდევ ერთხელ ჩასასუნთქ-
ათედიდება. არ ადარდება, რომ სახეში აფუ-
თებენ „ფრანგული სანოსონო საზოგადოე-
პავე და კ“, „ჩრდილოეთის ნაოსნობა“, სან-
ოსონო საზოგადოებები „ავსტრიული ლოიდ-
და „გერმანული ლოიდი“. თავიანთ ბინძურ
წყლებს მტკვარში ღვრიან და ტფილისელ
ლიონერებს ატლანტის ოკეანეში, გემზე, „გლ-
ბუსი“, საკარნავალო რეისზე ეპატიუებიან.

მტკვარი ყლაპავს ფურთხსაც და ჭუჭყსაც
ატრიალებს ნარჩენებს და ნალვლიანად აცხ-
ბიერებს, რომ ტფილისი მისი ბატონ-პატრო-
ნია, ტფილისის საუკუნოდ მიჯაჭვია...

ზედ ეკლესიის პირისპირ, ჩამდინარე წყლ-
ბის ერთი ვიწრო გვირაბია. ეს გვირაბი მარტ-
ვად მიგიყვანთ ბედოს სამფლობელომდე. გე-
რაბი გაივლის ეკლესიის ქვეშ და გამოდის სუ-
სხვა, განსაკუთრებულ სამყაროში. სხვა სან-
ყაროში, ტფილისის გულში... აქ გროვდება ჩან-
დინარე წყლები და მერე გვირაბის გავლი-
მტკვარში ჩაედინება. საკანალიზაციო წყალი
შეიძლება იქცეს ჩანჩქერად და გრუხუნით გად-
მოიღვაროს...

კოჩკოჩანი - ტფილისური ნიაგარაა. მთ-
ლი ქალაქის ჩამდინარე წყლები: სუპ-ხარჩო-
ნარჩენები, დაკლული ცხვრის სისხლი, ღამ-
ქოთნების შიგნეულობა, ნერწყვი და ნახვედ-
- ყველაფერი კოჩკოჩანში გროვდება და მერ-
ე უცებ, თითქოს იფეთქებს, ხმაურით ამოინთხ-
ვა, უსირცხვილოდ გაშიშვლდება, მზეზე აკ-
ვაშდება და ერთბაშად გამოაჩენს თავის ბ-
ლას და მივინვარებას... აქ იზრდება განსა-
ვიფრებელი მცენარეულობა - მწვანე-მწვა-
ხვიარა-ხვიარა, ხშირი-ხშირი... ზოგჯერ მც-
ცავ არსებებადაც მოგეჩვენება - მწვანე ხვდ-
კებად, ჭიაყელებად, ერთმანეთში გადახლ-
თულ მწვანე გველებად, ნახევრად მიწაში ჩა-
ლულები, თითქოს კბენენ ერთმანეთს, გაუ-



ბიან, ეუფლებიან. ზოგჯერ მოგეჩვენება, რომ კუდებს არხევენ, ტირიან, იცინიან, უსტვენენ, კნაიან...

ზემოთ, ამ მცენარეულობაში, მზის შუქს რომ ჩრდილავს, ერთი სახლი დგას. ამ სახლში შუშანიკი ცხოვრობს. დღისით სიცილს იწვევს, ღამით - შიშს და გაკვირვებას. სახლი, ერთიანად გახვეული ხავსში, ქანდაკებად ქცეულია. მცენარეებს მისი ერთადერთი ფანჯარაც ამოუგმანიათ, თითქოს ცდილობენ, ტფილის შუშანიკის ამბავი დაუშალონ...

შუშანიკი ერთი უბრალო გოგო იყო. სარკმლიდან გადმოსცქეროდა ტფილისს და საათობით იწნავდა თავის გრძელ ნაწნავებს. რომ მიგვევთ, წელსაც ჩასცდებოდნენ, ქუსლებამდე მიაღწევდნენ, მერე ეზოში ამოზრდილ წვინიან და აკოკრილ მცენარეებს გადაეწვებოდნენ და ეს გრძელი ნაწნავები, დაწნული მომწვანო-მოიისფრო ყვავილებისგან, შავი ბალახისგან, სიბნელისა და ოხვრისგან, კედლებს გარს შემოეკვრებოდნენ...

ხოლო თუკი გაიშლიდა, შუშანიკის თმა შემოეხვეოდა მთელ ტფილისს, ნაწილი ტფილისის თავზე ბაირალივით აფრიალდებოდა, ნაწილი კი გადაეფარებოდა მის ქულბაქებს და ქურბანდებს - მნაცაკანოვის ხიდს, „მულენელექტრიკსა“ და ღვინის სარდაფებს.

შუშანიკი უბრალო გოგო იყო, მოხუცი მამის, გულუბრყვილო და მიაპიტი მასწავლებლის, გაბრიელის სიხარული. ვერის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეს, „სოიუზ-კაპეიკის“ ამხანაგობის ახალგაზრდა წევრი, გედევანოვი შეუყვარდა. მათი ჯვრისწერა წმ. კარაპეტის ეკლესიაში მოგაგონებდათ იმ ეზოს ჩურჩულს, სადაც ცხოვრობდნენ. შუშანიკი რომ გაიშლიდა ნაწნავებს, თმა მთელ ტანს უფარავდა, ჩამოისვამდა ხოლმე ხელს თმაზე და ტანზეც, თმის ქვეშ. შუშანიკის სხეულში ახალი სიცოცხლე ისახებოდა...


გედევანოვი სანიმუშო მეუღლე იყო. მის სწორ, მტკიცე და სრულყოფილ სახეზე სხვა აღარაფრისთვის დარჩენილიყო ადგილი - არც გადაჭარბებული გაცეცხისთვის, არც გადაჭარბებული სიხარულისთვის, არც გადაჭარბებული მწუხარებისთვის. როდესაც მელოგიანის ოთახიდან გამოსულმა ბებიაქალმა, მაღამ ხოჯაპარუხოვამ უსასოოდ შეხედა შუშანიკის ქმარს და მამას, გედევანოვი ღირსეულად შეხედა ბედის გამონვევას... მის სახეს არც მაშინ დაუკარგავს გამომეტყველება, როცა შუშანიკის მამა ატირდა. მაგრამ მოგვიანებით... მოგვიანებით ყველაფერი ძალიან გაუგებრად წა-

რიმართა. „ჩემს შვილს სხეული არ აქვს“, - განაცხადა შუშანიკმა გაცისკროვნებული და ჭკვიანი სახით. რა უნდა ექნათ ან რა უნდა ეთქვათ, არავინ იცოდა. შუშანიკი ბედნიერი იყო და უყვარდა თავისი უხილავი შვილი - ძუძუს აწოვებდა, მშვიდი და კმაყოფილი სახით ათვალიერებდა ცარიელ სახევეებს, არწევდა ცარიელ აკვანს... ამას ისე ბუნებრივად და შეუცდომლად აკეთებდა, რომ გედევანოვი და გაბრიელი ზოგჯერ შევიდოდნენ ხოლმე შუშანიკთან ოთახში და აკვანში იხედებოდნენ... მოიყვანეს გერმანელი ექიმი. „ხდება... სულიერი ტრავმა. სიმშვიდე სჭირდება“, - თქვა ექიმმა. მაგრამ შუშანიკი სულ უფრო და უფრო ეჯახებოდა ცარიელ აკვანს, უყვარდა, ელაპარაკებოდა, უმღერდა. ბედნიერი იყო და ეს ყველაზე მეტად აფრთხობდა მის ახლობლებს.

მოიწვიეს ფსიქიატრი გოცირიძე-გომართელი. ის დაფიქრდა, წარბები აზიდა და სულიერი აშლილობა გამოიცილა. შემდეგ ჩქარ-ჩქარა რეცეპტების წერას შეუდგა. მერე მიმოიხედა, რეცეპტები ნაკუნებად აქცია და ჩაილაპარაკა: „მედიცინა ასეთ შემთხვევას არ იცნობს... მაგრამ ვინ იცის... იქნებ მართალიცაა... სული გააჩინა... უსხეულოდ?... აბა, რას იტყვით?“, - და წავიდა. აი, აქ კი, მოერღვა სახე გედევანოვს, შეშინდა, რომ მიწა ფეხქვეშ საბოლოოდ გამოეცლებოდა და წავიდა, გაიქცა შორს გველების მსგავსი მცენარეებისგან, გრძელზე გრძელი ნაწნავებისგან, მომწვანო-მოლურჯო თილისმებისგან და ცოლისგან, რომელიც სულს აჩენდა... რამდენიმე დღის მერე აღესრულა შუშანიკის მამა, თვითონ შუშანიკი კი, ამბობენ, რომ კვლავ აჩენს სულს... ტფილისში მას „სულთა მშობი შუშანიკი“ შეარქვა. კიდეც, ამბობენ, მისი შვილები სწრაფად იზრდებიან და თავს აფარებენ ქალაქის დაკლანკილ ქუჩებს, ღვინის სარდაფებს, ხიდების ხიმინჯებს... თუ მათთან გასაუბრებას მოისურვებთ, უკან მოითოვით სასახლის ქუჩის მდიდრული და მაძღარი მალაზიების კანდიერი ბრწყინვალეობა. ნუ შეგემინდებათ. გადაუშალებთ გული და გაანდეთ თქვენი მწუხარება, იყავით ზედმინვნით გულწრფელები. ოღონდ არასოდეს მოითხოვოთ მათგან არაფერი მატერიალური, არ ისურვოთ საგნები, ფული, ნუ დაელაპარაკებით საქმეზე: მათ არაფერი გაეგებათ მატერიისა, საგნების ძალაუფლებიდან. მართლები და გულწრფელები დაინახავთ მათ და ისინი გაზიარებენ ყველაზე რთულ და ყველაზე მარტივ ქვეყნარტებას - როგორ მიაღწიოთ ბედნიერებას...

კარენ ანტაშიანი

თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანდუმიანმა



მიღება

ამბობენ, როცა მარკო პოლომ,
ოცდარამდენილაცა წლის,
რაფირამდენიათასი კილომეტრი გზის,
განსაცდელის, თავგადასავლის, აღმოჩენის,
უბედურების, სულის შეხუთვისა
და ამოსუნთქვის დღეების,
წარმოუდგენელი სასწაულების,
ჩაფლავებების და საქსეს სთორების
გადალახვის მერე
ევროპული რენესანსისთვის
ახალი და რევოლუციური იდეებით გატენილმა,
როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია,
შინაურები რაღაცნაირად ცივად დახვდნენ.

უკანასკნელი წერილი

ლომ გუშინ თქვა, რომ დახია
თოვლის ბაბუის წერილი,
რადგან თოვლის ბაბუა არ არსებობს,
ორი ძმა მთელი წლის მანძილზე
გულისფანცქალით წერდა ამ წერილს.
წერდნენ, ლუქავდნენ, სსნიდნენ, ასწორებდნენ
ისევ ლუქავდნენ, სსნიდნენ, ცვლიდნენ
ახალ წლამდე მორჩენილ დროში.
დრო გადიოდა,
მოლოდინი კი იცვლებოდა და იზრდებოდა,
ახლა... წერილი დახეულია.
ოკ, ძმებო, მაშინ მეც ამოვიღებ
„თოვლის ბაბუის“ საჩუქარს



ამაზონის ვეითინგ ლისტიდან.
 რადგან სიმართლისთვის თვალის
 გასწორებისთვის
 ყველამ თავისი ჯიბით უნდა გადაიხადოს.

განცხადება

მცველის აშკარა, მამაპაპური ინსტინქტით,
 დიპლომიანი, მსოფლიომოვლილი,
 ზრდილობიანი, ხელოვანი
 მამალი ძალღი
 ერეყენის ახლოს
 არარატისხედიან ნაკვეთს
 საყიდლად ეძებს,
 ცივილიზაციისგან მოცილილ დღეებში
 ინსტინქტებისთვის ხარკის გადახდის,
 ქოშინით რბენის,
 მერცხლებისთვის უაზრო ყეფის,
 ნაშუალამეცს არხეინი ყმუილის,
 პეპლების საქმიანად გარეკვის,
 მოცილობისას საკუთარი კვერცხების ლოკვის,
 კედლების შარდით მონიშვნის,
 და ერთი სიტყვით -
 მოჩვენებითი დაცვის მიზნით.

სიკვდილი საშინლად მოსაწყენია

პირველად ამას მაშინ ხვდები,
 როცა დაღუპულთა პატივსაცემი
 ნუთიერი დუმილისას,
 უნებლიედ და ცინიკურად
 ითვლი დროს,
 რომელიც 15 წამზე ხანგრძლივი
 არასდროსაა,
 მაგრამ მეორედ პირიქით იგებ -
 რომ სიკვდილი
 სიცოცხლისთვის აღთქმული
 ერთადერთი გვირგვინია.
 როცა სუპერმარკეტის
 საყოფაცხოვრებო განყოფილებაში
 ერთმანეთს შეებრებულ
 ტკბილ ცოლ-ქმარს ხედავ,
 რომლებიც ტელეფონის კალკულატორზე
 ანგარიშობენ,
 ორი პატარა ყუთი ტულეტის ქაღალდი
 უფრო მომგებია, თუ ერთი დიდი,
 რომელსაც თან კოლას ქიქაც მოჰყვება.

ცვლილებები

ჩემი მეზობლის ტულეტის კარს
 ჭრიალისას
 გულის სიღრმიდან,
 რალაცნაირი,
 მრავალხმიანი,
 სევდიანი კენესა გაუდიოდა,
 ისე, რომ კედლის მიღმა

ყველამ ვიცოდით,
 ამ ღამის მიწურულს
 კიდევ შეანუხეს სანყალი
 და სიცოცხლემობზრებული
 ბებერი ძაღლივით,
 იძულებულია
 უადგილო შემთხვევითობებს
 პასუხი გასცეს.

მაგრამ აი, უკვე სამი ღამეა
 მოულოდნელი ცვლილებები
 შემოიჭრებიან ჩვენს ყოფაში.
 მტკივნა კარი, კი არ ჭრიალებს,
 არამედ რალაცნაირ ოცნებას კენესის,
 მგონი, სახსრებმტკივანი ღერძები
 ბოლოს და ბოლოს
 გაუპოხეს,
 მაგრამ ლუბრიკანტით.

მნიშვნელოვანი ზარი

ყოველდღიური საქმეებიდან
 ყველაზე რთული
 სიყვარულის დარღვევაა.
 არასდროს არის საკმარისი,
 ზოგჯერ ზედმეტად ცოტა რჩება
 და ყველა შემხვედრს
 ვერ ამყოფინებ.
 სხვა გზა არ გაქვს,
 ზოგჯერ არ უნდა შეიმჩნიო,
 ყურთან მიიძო ტელეფონი,
 რომელიც არ რეკავს.
 და საქმიანად დააშტერდე
 იქაურობას ცივად გაცლად
 შენს ფეხსაცმელს
 თითქოს ამ წუთას შეამჩნიე,
 რომ შენია
 და თანაც ძალიან გასარეცხი.



ანაიდა ბოსტანჯიანი

თარგმნა დიანა ტერ-ბაღდასაროვმა



განწყობა

არ შეცვლილხარ,
 ისევ იმ პატარა გოგონას ტყვე ხარ,
 გრძელ ნაწნავეებს, ბაბთებს
 რომ გაფანტავდა დაღონების ჟამს,
 ან კობტად შეკრავდა სიხარულის ჟამს:
 ახლაც ისეთი ხარ,
 თუმცა აღარ გაქვს ნაწნავი, ბაბთა,
 რომ გაფანტო ან და შეკრა სევდანარევედ ან
 სიხარულით,
 მაგრამ სტრიქონები და ლექსები გაქვს,
 რომელთაც ამრავლებს სიხარულის ჟამს,
 ან ანადგურებ დაღონების ჟამს,
 ბავშვით იქცევი ისევ,
 განწყობავ...
 გონს მოგვე,
 დრო არის სხვა, ადამიანიც სხვაა,
 მას რომ შეჰყურო, ახლა დაგატყვევებს
 ხან აღმაფრენა, ხან კი დაცემა,
 ხან სითბო და ხან კი სიცივე,
 გამჭოლი ქარის ქროლევებში მოყვები,
 გულს უღალატებ,
 რასაც გაპატიებს ის არასოდეს -
 გონს მოგვე,
 ჩემო განწყობავ,
 დაემშვიდობე შენს ემოციებს...

კიდევ ერთი დღე

ამ დღემაც გაიარა,
 დღესაც მხოლოდ ღიმილი მოჩანდა
 ჩემი ფანჯრიდან...
 ფანჯრის გამოღმა დღესაც ძველი ვარამი
 გულს მწვავს კაეშანივით...
 დღესაც მოგონებამ გაშალა ფრთები,
 გაფრინდა და შეჯდა ქანდარაზე
 სისხლისფერ გვერდისას ჩემი ცხოვრების,
 რომ გადაიქცა ნაჭრილობევად,
 აღარ მენვის, აღარ მწვავს, აღარ მშანთავს,
 მაგრამ მტანჯავს,
 უსწორმასწოროდ,
 მაბრკოლებს,
 მფანტავს
 აგერ უკვე რამდენი წელი, უსასრულოდ,
 თუმცა დღემდე კოჟრივით ჩანს,
 და როგორც კი არ უნდა ვფურცლო წიგნი
 ცხოვრების,
 იჭმუჭნება, სხლტება თითებს შორის,
 ამძიმებს და ართულებს სელას ცხოვრების...
 ამ დღემაც იქოშინა,
 დღესაც მარტოდენ ღიმილი მოჩანდა
 ჩემი ფანჯრიდან...

18 იანვარი, 2016 წ. ავარიში დალუბულ
მეუღლის, ვლადიმირ ბოსტანჯიან
დაბადების დღე

სველ გაზაფხულზე

გაზაფხული ნალველივით მოდის...
მძიმედ მოაბიჯებს გაზაფხული...
სველ ქუჩაში ვილაც გიჟი ტირის,
პურს სთხოვს გამველელთ და წყალობას...
სიცივეს თუ ეზიარა ნეტავ? გაზაფხულის რაობა თუ
იცის?

სიცივედ გული ევლინება იქნებ,
და გაზაფხული პურია მისთვის.
გაზაფხული ისე მძიმედ მოაბიჯებს,
გაზაფხული ნისლად მოდის,
სველ ქუჩაში ვილაც გიჟი მათხოვრობს
და უშელოდო დუდღუნით მღერის.

თოვლი

თოვლო,
ბრილიანტის მტვერო,
სწრაფო,
ქათქათავ,
ჰაერს წმინდავ...
განგეწმინდა ნეტავ
გარემო,
ადამიანი,
გრიბი...
ჩქარა განგეწმინდა,
დიდი დოზით...
თოვლი:
დილა:
ფანჯარა:
ქუჩა:
მანქანები:
ხალხი - ნაკლები...
განიწმინდებიან?
ვინ იცის...
ფანჯრის გამომღმა
მხოლოდ ფიქრი,
სურვილი მხოლოდ,
ფანჯარა
დაბრკოლებათ,
და არა მხოლოდ...
თოვლი,
თოვლი სუფთაა,
თოვლმა უნდა განწმინდოს,
სულში უნდა ითოვოს,
რომ განწმინდოს ქვეყანა,
გარეთ კი თოვლი
ქუჩისთვისაა
და, თვალების, ალბათ,
სულზე გამწყრალის,
ხშირად:
მოქიშპე
სულს
განწმენდა სნადის,
განწმენდილ,
სუფთა
სულისკენ მიილტვის,
თოვლივით სუფთა..

შენ იმ რიტმს ჰგავხარ,
რომ იბადება დაუსრულებელ
პაუზებს შორის.
მეც ვემსგავსები თანდათან
ამ რიტმს.
ვტრიალებ და ეს ტრიალი
ცეკვად იქცევა.
მძაფრდება რიტმი:
კვლავ პაუზები,
და, ისევ შენ...
რიტმი უფრო მძაფრდება;
შენც ტრიალებ,
და ეს ტრიალი ცეკვად იქცევა:
განსხვავდება ჩვენი რიტმები,
ცეკვა კი ერთია...
ეს ცეკვა მხოლოდ ჩვენი გგონია?
პაუზებს შორის
რიტმად რომ იშვება,-
ამ ცეკვას
ყველა ცეკვავს...
რადგან ყველა ამ რიტმის ქვეშ
ტრიალებს,
ამ წრეში,
დაუსრულებელ
პაუზებს შორის,
დრო რომ ჰქვია...
და როცა ვტრიალებთ მე და შენ ერთად,
შენი რიტმის ქვეშ რომ ვცეკვავთ,
ვგრძნობ, მეც დროის წილ ვარ
დროის წილ ხარ შენც,
ასე ვტრიალებთ და ერთმანეთს ვერასდროს
ვხვდებით,
ცხოვრება...
რიტმი ცხოვრების...

© ინტელექტი




სარგის ჰოვსეფიანი

სარგის ჰოვსეფიანი თანამედროვე სომეხი პროზაიკოსი, სცენარისტი და დრამატურგია. დაამთავრა ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი კინოდრამატურგიის სპეციალობით. იგი სერიოზული და მხატვრული ფილმების სცენარისტია. მისი მოთხრობები 2007 წლიდან ქვეყნდღი ლიტერატურულ პრესაში. პირველი წიგნი, მოთხრობების კრებული „დომინო“ 2012 წელს გამოიცა. სარგის ჰოვსეფიანმა 2016 წელს დააარსა გამომცემლობა „მეტრო“, 2018 წლიდან კი თუმოს კრეატიულ ტექნოლოგიების ცენტრში ასწავლის კრეატიულ წერას. 2022 წელს გამოიცა მისი რომანი „სიმშვიდე“.

ბრტყელი ქვა

სომხურიდან თარგმნა ასია დარბინისი



ბრტყელი ქვა უსაფრთხო პოზიცია იყო, უსირცხვილოდ უსაფრთხო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რომ ავედით, მაშინ ასე იყო. მთელი შუადღე ბალახებში განოლილები მზეს ვეფიცებოდით, ქონდრის სურნელში, ღამით კი საძილე ტომრებში გახვეულები შუბლით ცვარს ვაგროვებდით, ხმების დაჭერას ვცდილობდით. და ველოდით. დილით, როცა ჯერ კიდევ მხნედ ვიყავით, როცა შემოდგომის მზის სხივებს ჩვენი სხეულები, ფანტაზია და გონება ჯერ კიდევ არ მოეთენთა, ნიჩბით მიწაზე ნავიშუავედით ხოლმე, ქვებს წავტეხავდით, მერე სწრაფად, მობეზრებულები, საქმეს განზე ვდებდით და ისევ მზეს ვნებდებოდით. და ველოდით.

პაღო ამბობდა: - ბიჭო, ერთი-ორი ყუმბარა მაინც გადმოაგდონ ჩვენკენ, დროზე მოვითავოთ ეს სანგარი. შესაძლო, თეორიული, მომავალი საფრთხე არასოდეს აიძულებს ჯარისკაცს დაძლიოს თავისი

კოსმიური სიზარმაცე ისე ეფექტურად, როგორც მსგავრდით აფეთქებულ ჭურვს შეუძლია ეს. პაღო სიზარმაცის დაძლევის მისეულ ფორმულას ამბობდა და მყისვე გვერდით გადაისვრიდა ხოლმე წერაქვს და მზეზე განვებოდა. და ველოდით. დღისით ღამით დადგომას ველოდით, ღამით - გათენებას. განსაკუთრებით ღამით, მოლოდინი მეტი იყო და მრავალფეროვანი, დიდი და პატარა, უმნიშვნელო და ზოგადსაკაცობრიო. ველოდით მთვარის ამოსვლას ცის მონმენდას, წვიმის შეწყვეტას, ნისლის გაფანტვას, ქარის ჩადგომას, ბაიდენის არჩევას... თუმცა მკიდია ბაიდენის არჩევა, სმენჩიკის მოფსმას, დაბრუნებას ბუჩქების უკნიდან, ყავის მოდულებას, ბოლო და ბოლოს დინჯის ერთ გეოპოლიტიკურ ნაბოვარს... ვთქვათ, - ბიჭო, მაგრამ იქნებ მეჭრიბანმა... მეჭრიბანი?.. მეჭრიბანი ქმარს ოინს უკეთებს, მერე რომ გადააგდოს და ვლასტი ხელში ჩაიგდოს... პაღო



მაშინვე კითხულობდა, - ეგეთი პადაზრენი არი, ძაო? პადოს მესტასხელი სწორედ სიტყვიდან პადაზრენი მომდინარეობდა, ის გამჟღავნებდა „პადაზრენი ვატი“ იყო და თავის სკეპტიციზმს ნებისმიერი შესაძლებლობის შემთხვევაში გამოთქვამდა. დინჯი კი უპასუხებდა, რომ პადაზრენი კი არა, მხოლოდ ანალიზი იყო... უბრალოდ, ფაშაელების კლანი... ბიჭო, შენეში რა, შევეცი ფაშაელების კლანსაც და მეპრობანსაც... ერთხმად ამბობდნენ მზვერავები, მე-რე კი დინჯი იტყოდა ხოლმე: - კაი, ავდგები, ყავას მოვააღებ.

ისე კი, საზოგადოდ, ველოდით, რომ პირველი ხაზი გახდებოდა. ველოდით ფრონტის ხაზად გადაქცევას. ეგრეთ ნოდებული ბრტყელი ქვა მალეობი იყო - მდინარით და მის გარემოში ორ ხეობას შორის მოქცეული, მცენარეულობას მოკლებული, საკმაოდ დაქანებული, არც გლევი და არც ბრტყელი. იქ გადიოდა მეორე ხაზი, რომელიც რალაც მომენტში პირველი გახდებოდა და მერე უცებ სახელმწიფო საზღვარი. მალეობის მარჯვენა მხარე, უმდინარო ხეობისკენ რომ იყურებოდა, ქვიან, მცენარეულ საფარს მოკლებულ ფერდობზე იყო, ხოლო მარცხენა მხარე, მდინარისკენ რომ იყურებოდა, ხეებით დაფარული იყო, მაგრამ სავსე - ჯაგანრებით, ეკლებითა და ბუჩქებით. ორივე ფერდობი საკმარისად რთული მისასვლელი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მიუწვდომელი არა, მეორე ხაზის ეს პოზიცია ავბ არავის სურდებოდა. უბრალოდ ველოდით. პადო ამბობდა: - ბიჭო, ამათ მგონი დავგივინყეს, ეგეთი აშუშენია მაქვსო... იქნება მაინც პადაზრენია გაქვს, პადო... ჰო, რა, შეთქვი ცოტა სხვანაირად გამოვხატო ჩემი აზრი...

ფრონტის ხაზი ბრტყელი ქვიანად რამდენიმე კილომეტრში იყო, ამიტომ მთავარი საფრთხე ნაკლებად სავარაუდო დივერსიული შეღწევა ან ტყეებში დაკარგული დივერსიული ჯგუფების წარჩენები იყო, რომლებიც, მორიგი წარუმატებელი შედეგების მცდელობის შედეგად ცოტა ხნით დახეტიალობდნენ ჩვენს ტყეებში. სანამ ვასკობის შესაძლებლობას მოძებნიდნენ, ან ნადგურდებოდნენ. ბრტყელი ქვა ჩვენი ლოდინით უფრო ბრტყელი იყო, ვიდრე სინამდვილეში. როგორც დინჯი ამბობდა: ბრტყელი ქვის ბრტყელი რაზმი, რომელიც ფრონტის ხაზის გახდომას ელოდა, ლოდინისგან თანდათან პადოსნაირი სკეპტიკოსი და დინჯისნაირი ფილოსოფოსი ხდებოდა.

ერთ დღესაც ძალლი გამოგვეცხადა: თეთრი, შერეული ნაბლისფერი ხალებით. მოვიდა და სანკარში განვა, შუა გზაზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც დინჯი ჩვეულებრივ მშრალი სპირტით ყავას ადუღებდა. თაიდან ყველამ ცუდად მივიღეთ, რა თქმა უნდა, სკეპტიკოსი პადოს გამო. გაუგებარი ჯიშის, გაუგებარი წარმოშობის ძალლი იყო. ვერაფრით გავარკვეეთ, საიდან იყო. არცერთი მახლობელი სოფლიდან არ იყო, არც რომელიმე ჯარისკაცის. „პადაზრენია“ გვქონდა, რომ ძალლი სიფხიზლეს დაგვისუსტებდა უაზრო და გაბმული ყეფით, მაგრამ პირველ ღამეს ყველა გავვაოცა, რადგან მთელი ღამის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაიყეფა. ერთხელ გვერდითი

პოზიციიდან ჩვენს პოზიციაზე მომავალ მზვერავზე, ერთხელ ჩვენგან ცოტა ქვემოთ გამგულ ირემზე. ირემიც ძალიან მაზლო ცხოველი აღმოჩნდა. მთელი ღამე ტყეში ტრიალებდა და მწვეული კაცივით ახვლებდა, დაახლოებით ასე: ჰჰ, ჰჰ... ჰჰ, ჰჰ... დინჯი კი ყოველი დახვევლებისას ამბობდა, - ბიჭო, ცოტა ნაკლები მონიე რა... და სიგარეტს უკიდებდა. პადომ თქვა, მაგარი ძალლია, უაზროდ არ იჭაჭება შუაზეო. თქვა, რომ ნამდვილი სადარაჯოს ძალლია, თუ ყვეს, ესე იგი რამე ხდება. თქვა, რომ ჩვენ ზუსტად ასეთი ძალლი გვეჭირდება სიფხიზლის შესანარჩუნებლად... თუმცა, იქნება და... პადო, რა იქნება და რა?... არაფერი, რალაც გავიფიქრე, მაგრამ ისეთი არაფერი.

დინჯმა ძალღს ზგონი შეარქვა. საღამოს ძალღს უკვე ვზგოვ ერქვა, რაც, რა თქმა უნდა, უფრო უპირანი იყო. რასაკვირველია, ვზგო პოზიციისთვის დიდი მონაპოვარი იყო.

ღამით, როცა ელოდები, ისედაც შეზღუდული და განუვითარებელი გრძნობის ორგანოების იმედად, გესმის, თუ რაოდენ სუსტი ცხოველია ადამიანი, და ერთი კარგი მზვერავი ძალლი თავისი სიფხიზლით, ყნოსვით, გამბედაობით და ერთგულებით ნამდვილი იარაღია, ნამდვილი უპირატესობა მომლოდინისთვის.

პადო ამბობდა: - ფაქტობრივად, გვაქვს: რამდენიმე აკაემესი, ერთი პეკა, ერთი გრანატამიოტი, ერთი ყუთი ფ-1 და ვზგო გვეყავს... თუმცა პეკას სტვოლი თითქოს მოლუნულია, შეამჩნიეთ? თუ მე მეჩვენება?.. კარგი, რაც არის... მართალი იყო პადო, თვალები ღამე გვალაატობენ, რადგან ღამეული ნადირობისთვის არაა გათვალისწინებული. დაძაბულობისას ჩვენი თვალები უფრო მეტად წინალობაა, ვიდრე დამხმარე, რადგან ჩვენს გონებას დამახინჯებული წარმოსახვებით კვებავენ, განვაშს გვაიძულებენ. ჩვენი სმენა, რომელიც გათვალისწინებული არაა ნაზი ხმების მოსასმენად, გამუდმებით გვანდის საუჭყო, საპანიკო ხმებს, ყნოსვა ხომ საერთოდ არაფრად გვივარგა... მოკლედ, ჩვენი გრძნობის ორგანოები სუსტი იარაღია ჩვენთვის, ხოლო როცა დაძაბულები და შეშინებულები ვართ, როცა ველოდებით, ისინი შეთქმულებივით გვატყუებენ და შეცდომაში შევყავართ. ვზგო, თავისი განვითარებული გრძნობის ორგანოებით, მართლაც სერიოზული მხარდაჭერა იყო. ვზგო ერთდროულად იყო მომლოდინეთა თერმოგამომსახველი, ღამის ჭოგრიტი და ძლიერი ანტენა, პოზიციის ირგვლივ ყველანაირი მოძრაობისა და ხმის სენსორი იყო ვზგო, ჩვენი ტექნოლოგიური მოწყობილობა იყო ვზგო.

ვზგო ვზგობდა, მაგრამ უკანასკნელი იმედი მაინც რკინის ნაგლეჯია, რომელსაც ჩახუტებული აქეთ-იქით დაატარებ სამყაროს მოწყვეტილ რომელიცა მთის მწვერვალზე. სიბნელებაში, როცა დროდადრო ხელს უსვამ იარაღის ლითონის სხეულს, სიცვიისგან სული გენვება, რადგან მისი ერთგულებისა და სანდოობის შეგრძნება გეუფლება. გესმის, რომ არაფერია იმაზე ახლობელი, ვიდრე სხეულზე მიმაგრებული ცივი ავტომატი. ჯარისკაცის შემოქმე-

1 ზგონ/ყვის სომხ. „გონებაფხიზელი“.
2 ვზგო სომხ. ვაზგენ საკუთარი სახელის შემოკლებული ფორმა.



დი, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია მისი შექმნა, კიდევ ერთხელ სამყაროში მოვლენა, გაცოცხლება. მომლოდინეს ცივი ავტომატი. მიძიმე, მოუხერხებელი, ღამით დაღლილობისგან, სიცივისგან მოკრუნჩხულ კუნთებზე მიძიმედ დადებული, საძულველი, საშინელი, მაგრამ შენი ერთადერთი ახლობელი. და, რა თქმა უნდა, ფ-1-ები, რომლებიც ზედ გკიდია, და რომლებსაც პადო ზაპას კვერცხებს ეძახდა, თან ამბატებდა, მე ამით საკუთარ კვერცხებზე მეტად ვენდობო... თუმცა, ვაიდა, საჭირო მომენტში არ აფეთქდნენ, ჰა?.. არა, არა მგონია. დინჯი პადოს ნათქვამში არსებული წინააღმდეგობის შემჩნევისთანავე ეშმაკურად ეკითხებოდა: - პადო, მოგიინდებოდა ცოცხლად გადარჩენა, მაგრამ კვერცხების ადგილას ფ-1 გქონოდა... დაუშვით, გოგონა ნაგეყვანა სასტუმროში, შარვალი ჩაგესხა, კალეცო გაგეძრო და კვერცხები ვიღაც სიუზის ფეხებს შორის მოგეთავსებინა. პადო ერთი წამით დაფიქრდებოდა ხოლმე, მერე კი სახეზე მწარე გამომეტყველების მიღებით ამბობდა: „პადაზრენია“ მაქვს, რომ ენას ატლიკინებ... და დინჯის ნაბურცყუნების საპასუხოდ ყავის მოსადუღებლად მიდიოდა. მომლოდინე, უსაკმურ ჯარისკაცზე მოსახყენი, ცინიკური და ვულგარული ადამიანი მეორე არ მოიძებნება დედამინის ზურგზე.

სიცოცხლის გამაუფასურებელი და გამანადგურებელი, დისკრიმინაციული, შეუწყნარებელი და დამამცირებელი სამხედრო საუბრები, რომლებიც თხრილიდან თხრილში გადადის, რეალურად გადამრჩენი და სიცოცხლის მომტანი ვაქცინაა, რადგან არ შეიძლება ამდენი ხანი ელოდო სიკვდილს და არ გაგიჟდე. როგორც პადო ამბობდა: „ძმაო, რომ არ შევივინო, შეიძლება სიბრახისგან ვიღაც შემომაკვდეს, ბოზნივილი ვიყო, ტყუილს თუ ვამბობდე“. დინჯი პადოს ეუბნებოდა, - გოგონებს შეუყვარდები, მათ წარმოსახვაში სამშობლოს დამცველი ღამაზი ჯარისკაცი ხარ, შენ კიდევ მთელი დღე სიბინძურეებს ლაპარაკობ.


პადო კი პასუხობდა, - არა, მე აბლოშკის სიმპათიური ბიჭი არ ვარ, არ შემეყვარებენ, არც სურათით და არც სინამდვილეში, ისეთი შეუხედავი ვარ, რომ ჩემი დანახვისას იტყვიან: დეზერტირი მაინც ყოფილიყყო, ამის მიმართ მოვალეობის გრძნობა არ გვექნებოდაო. ყველანი ვიციოდით და მერე საკუთარი თავების დაცინებას ვინყვლით. ერთი ამბობდა: „მე ისეთი მახინჯი ვარ, ვინც შემომხედავს, იტყვის: „ნამდვილად ამან ჩააბარა ჯიბრაილი“, მეორე ამბობდა: „შენ რა, მე ისეთი მახინჯი ვარ, ვინც შემომხედავს, იტყვის: „ნამდვილად ამან ჩააბარა პადრუთი“, ბოლო კი სერიოზულად და მკვეთრად ამბობდა: „ბიჭებო, მგონი, მე შუშის ჩაბარებას ვაპირებ“. მერე ისევ ეხარხარებდით და დაფიქრებულები ვიფანტებოდით ჩვენს ადგილებზე, რათა ყოველდღიური ჩვეულებისამებრ, ბრტყელ ქვაზე გაშოლტილები ჩახვებოდით ჩვენს იარაღს და დაელოდებოდით.

სალამოს რვა საათი იყო, გვერდითა პოზიციიდან ადამიანის დაკარგვის აშავი რომ მოგვივიდა. შევთანხმდით, რომ ყოველი შემთხვევისთვის სიფრთხილე გამოვჩვენებინა, ვაიდა, ჩვენიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე დინჯის ნათქვამს დავეთანხმეთ, რომ - გათენდება და რომელიმე ბუჩქის ქვეშ დამხინჯულს იპოვი-

ან - და ყველანი ჩვენს საქმეებს დაუბრუნდით. ჩენი საქმე ყავის სმა იყო, რომელიც ჩვენი ერთადერთი სიხარული იყო და ერთადერთი რამ, რაც ვარბი არსებულ სამყაროსთან გვაკავშირებდა. დინჯი ყავადუღებდა, მერე მოსვამდა ცხელ სითხეს და ამბობდა, - ძმებო, ყავა ადამიანად ყოფნის ერთადერთი შუალეობა ახლა, ყველა ნორმალური ადამიანი ყველგან სვამს, ჩვენც სვავით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენც ადამიანები ვართ... დანარჩენი ყველაფერი, რაც დღის განმავლობაში ვაკეთებთ, არანორმალურია... პადო პასუხობდა, - მართალია, ნორმალურადამიანები ტყემი, დაღმართზე, ხევში ჩაყვარდნის შემთხვევაში ტოტალურ მოკიდებულებას არ ვვამენ. დინჯი რძელვებდა, - ჰო, ნორმალური ადამიანები დღემდე საათი თოფჩახუტებულები არ ცხოვრობენ, ტალღებში, წვიმაში, მაგრამ ყველა ნორმალური ადამიანი ვას სვამს... ინგლისის დედოფალიც სვამს, მოსკოვს აფალატის დამგები კატოკის მოფერიც სვამს, ტენის კენტის ბაზარში ცხელი ლიპიშკების გამყიდველები უზბეკიც სვამს... კი მარა, ძმაო, უზბეკები სვამენ პადო ჯან, რუ ახლა შეიძლება ჩაის სვამენ, რა მინი ვნებლობა აქვს... სანამ დინჯი პადოს უპასუხებს, ერთი ბიჭი ყავას მონრუპავს და ამითიხრებს: კარდაშინიცი კი სვამს ყავას... ყველანი აღფრთოვანებულები შევხედავით უკანასკნელს, რადგან პირველად მას მოუვიდა აზრად, რომ ნაშებიც სვამენ ყავას. აქტიურობას ვიწყებთ და აღარ ვუსმენთ დინჯის ნაწყობის გაგრძელებას ყავის ჰუმანიტარული ბუნების შესახებ.

ღამის განმავლობაში დინჯი მესამე თუ მეოთხე ყავას ადუღებდა, მშრალ სპირტზე, მოხრილი. პადო დანერგ მოშორებით ქვამე მჯდომი თვლემდა, დინჯი დინჯო განგაშით ახვალბას თვალებს და აქეთ-იქეთ იყურებოდა, იმდენად თურქების არ ეშინოდა, რამდენად ჩვენი, ვაიდა, მისი ჩათვლენა შეგვექმნია, ბუნებრივ მიყრდნობილი, ცაზე მიპყრობილი თვალდაკრულად ვარსკვლავებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ რაღაც მესმოდა ასტრონომიის, და არც იმიტომ, რომ ბავშვობიდან მაინტერესებდა ციური სხეულები, თანავარსკვლავედები, ნითელი გიგანტები და თერაჯუჯები ან კოსმოსო ყოველთვის იზიდავდა ჩემს მხრივ სულს, არამედ იმიტომ, რომ ირგვლივ ისე ბნელიყო, რომ მხოლოდ ცაში შეიძლებოდა რაიმე დანახვა. მოკლედ, რადგან ზევით რაღაც იყო სანახა, ვი. რამდენიმე ბიჭი ოციოდე მეტრის მოშორებით თხრილში ჩურჩულებდა, მხოლოდ ვგზო ინვა მინახა ჩემსა და დინჯს შორის და მიძიმედ სუნთქავდა. ყველანი დაარბუნებულები ვიყავით, რომ ვგზო სიტუაციას აკონტროლებდა, ამიტომ მშვიდად ვიყავით. დინჯი კონცენტრირებულია ყავის მოდუღებასა და არგადმოღვრაზე და უცებ გრძნობს, რომ უკნიდ ვიღაც ყურადღებით აკვირდება. ამ ვიღაცის სუნთქვა ათობს დინჯის კეფას. დინჯს რომელიმე ჩვენგანს ჰგონია, ამიტომ აუჩქარებლად ტრიალდება, მაგრამ როცა ხედავს, რომ ვიღაც უცხო დგას მის უკან, მხოლოდნელი ისტერიული მოძრაობით გვერდით ადგმადულარას და ყვირობით ეცემა რამდენიმე მეტრის ხორლის კედელზე მიყუდებული ავტომატს.


ყველამ სწრაფად ავიღეთ იარაღები და ჩვენს გილებზე დავდექით, თვალებით მივაჩერდით იმ



გილს, სადაც რამდენიმე წუთის წინ დინჯი იყო. ჩანითლებული თვალებით უცნობი გაკვირვებული გვიყურებდა, დროდადრო ტუჩებს ილოკავდა და აგრძელებდა ჯიბეების ხელისგულებით ტკეპნას, თითქოს სიგარეტს ეძებდა. სანამ რომელიმე ჩვენგანი კითხვას დასვამდა, უცნობი გახუნებული მზერით მიაშტერდა დინჯს, რომელიც შეშინებული გართხმულიყო ოდნავ მოშორებულ თხრილში და უთხრა: - ბრატ, შენ მგონი ვერ ხარ კარგად, ხო? ეგ ყავაც პიზდეცია ახლა, სულ დაღვარე? ბოლოს ჯიბიდან სიგარეტები ამოიღო და მოუკიდა. ვინ ხარ, ძმაო?... როგორც იქნა, ჰკითხა პადომ, რაზეც უცნობმა მშვიდად უპასუხა - პოკტემბერიანელი ჰამო ვარ, ძმაო... რომელი ჰამო?... პოკტემბერიანელი ბრატ... კი, მარა, როგორ... რა ჰამო, ბრატ... ძმაო, შენ დაიკარგე გვერდითა პოზიციიდან?... - ბრატ, მანყენინებ, მე რა, ქათამი ხომ არ ვარ, რომ დავიკარგო, ყავის დასალევად ავდექი... შეებით ამოვისუნთქეთ, რადგან მივხვდით, რომ ნამდვილად მეზობელ პოზიციაში დაკარგული ჰამოა, მაგრამ მინც ფრთხილად მოვიწვიეთ დასაჯდომად, სანამ დინჯი ყველას კიდევ ერთხელ არ მოგვიდულებდა ყავას. ჰამო აშკარად მოწეული იყო და ვერ ხსნიდა, რატომ და როგორ მოახერხა ჩვენს პოზიცი-

აში მოხვედრა. მარტო ამას იმეორებდა: - ბრატ, ყავა მინდოდა, რას მომკალით უაზრო კითხვებით? მაგრამ რა მოეპრიანა, რომ ყავის დასალევად თავისი კილომეტრ-ნახევარი სიშორის პოზიცია დატოვა და ლამით ტყის ბილიკებით მოაღწია ჩვენს პოზიციაზე, როგორ გაიარა ეს ბილიკები, როცა ადგილობრივებსაც კი უჭირთ ღამლამობით მათზე გავლა, როგორ იპოვა პოზიცია და შეუმჩნევლად მიუახლოვდა, თუმცა ეს ჩვენი პრობლემა იყო და ჩვენ უნდა აგვეხსნა და არა ჰამოს და ბოლოს და ბოლოს საიდან იცოდა, რომ ჩვენს პოზიციაზე ზუსტად მაგ დროს ვაპირებდით ყავის დალევას.

ყოველ შემთხვევაში, ჰამოს ყავა დავალევივით, ტკბილუულით გაუუმასპინძლდით, ადგილი და საძილუ ტომარა მივეცით დასაძინებლად, მის პოზიციაზე ამბავი მივანვდინეთ, რომ ჩვენთან იყო, კარგად იყო და დილით გავაგზავნიდით და ჩვენს საქმეებს დავუბრუნდით. ჩვენი საქმე კი ვზგოს გასამართლებად იყო. უფრო სწორედ, პადომ მოულოდნელად ამოიღო იარაღი, ვზგოს თავთან მიიტანა და განაცხადა, რომ გასროლას აპირებდა. თავიდან ყველას ძალიან გაგვიკვირდა, მერე ავანერვიულდით, მერე გავბრაზდით კიდევაც და პადოს გასროლის გადანყვეტილ-



ბის დასაბუთება მოვთხოვეთ. დინჯმა განაცხადა კიდევ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ძაღლის დახვრეტას და რომ ცხოველის მიმართ იმ მოთხოვნების ნაყენება არ შეიძლება, რომლებსაც ჩვენ ადამიანებს ვუყენებთ, საქმე იქამდეც კი მივიდა, პაღო ჩათვლელში დაადანაშაულა და რიტორიკული კითხვა დასვა: - ხომ არავინ ამბობს, მოდით, პაღოს ვესროლოთ?... პაღო ძალიან გაბრაზდა, თქვა: ძაღლი რომ არ ყოფილიყო და თვითონაც ასეთი პრავალი რომ მოსვლოდა, ისიც უნდა დაეხვრეტათ და ეს სწორი იქნებოდა, მერე თქვა, რომ ძაღლმა შექმნა ძალიან კონკრეტული პრობლემა, პოზიციაზე რომ დარჩენილიყო, გვინდა თუ არა, მასზე დავამყარებდით იმედებს. ამ უკანასკნელმა კი შეიძლება ბევრად უფრო სახედისწერო მომენტში არ დაიყვოს, რაზეც დინჯმა უპასუხა: - პაღო, ძაღლია რა, რას ართულებ... პაღომ კიდევ: - ძაღლმა უნდა დაიყვოსო, პოსტის ძაღლმა კი სწორ დროს უნდა დაიყვოსო... ერთი სიტყვით, პაღომ თქვა, რომ სახუმარო საქმე არაა პოზიციაზე არასანდო მზვერავის ან იარაღის ქონა, რომ ჩვენ ველოდებით და ყოველ წამს შეიძლება ძალიან გამწვავდეს ყველაფერი ჩვენს პოზიციაზე და რომ მას თვითდამიზნული სისასტიკე არ უყვარს და რომ მისთვის პრინციპული არაა ძაღლის მოკვლა, მისთვის პრინციპული კონკრეტულად ამ ძაღლის პოზიციაზე არყოფნა იყო. მერე ცოტა ხანი ამოისუნთქა და დაამატა, - კაცი პოზიციაზე შემოვიდა, თხრილში მოაღწია, მზვერავებს გაუბა ლაპარაკი, ამას კიდევ აქამდე სძინავს. ისღა დამრჩენია, რამე დავაფარო, რომ არ შესცივდეს, ამას უყურე რაა. ვისაც ძალიან ადარდებს, გათენებისთანავე მოკიდოს ხელი ძაღლს და პოზიციიდან სადაც უნდა, იქ წაიყვანოს. სადაცაა მოვა თურქი, ამას კიდევ ყლზე კიდა. ზეგ ეს ძაღლი პოზიციაზე რომ იყოს, დახვრეტა და არავინ სცადოს ჩემი შეჩერება!

ბოლო სიტყვების შემდეგ პაღომ იარაღი განწია და თხრილის ბოლოსკენ წავიდა. ვზგო აგრძელებდა ერთსა და იმავე ადგილას მობუზულ მდგომარეობაში ყოფნას, თითქოს არაფერი ხდებოდა, თითქოს ამნუთას მისი ბედი არ წყდებოდა. მართლაც, უცნაური ძაღლი იყო. ჩემიც ვაღივცა სხვა ბიჭების დამოკიდებულებაც მაშინვე შეიცვალა ვზგოს მიმართ. სანამ გათენდებოდა, ეჭვის მარცვალი ჩვენში ამოიზარდა, ეჭვი ზაოზაბად იქცა და დილით, როცა დინჯი სოფელში პოსტის მანქანით ჩავიდა, ვზგო ხელში ეჭირა, მარტო მას ანუხებდა ვზგოს ბედი. ჩვენ ისეთი გულგრილები ვიყავით, რომ დინჯიც კი არ შევიმჩინეთ და არ დაველაპარაკეთ. ვზგოს მიმართ გულგრილობა დინჯზეც გადავიდა, რადგან ამ უკანასკნელმა აიღო ვზგოს სიცოცხლის გადარჩენის პასუხისმგებლობა.

დილით დინჯი ამაღლებული განწყობით დაბრუნდა, გაპარსული, ნაბანავები, სურნელოვანი, ისე, თითქოს სუნამოს ფლაკონი მთლიანად ზედ დევალა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სასხვათაშორისოდ მოვიკითხეთ ვზგო, ვკითხრა, რომ სოფელში ვიღაცას მისცა და თითქოს ვიხსნამ შეკვეთით დავივინყეთ ვზგო. იმ დღემ მშვიდად ჩაიარა. ბევრი თხრილი გავთხარეთ, პატარა ქოხის სახურავისთვის ტყიდან მო-

რები დაფრეხეთ და გადავხურეთ. რაღაცნაირად კუთარი თავებისთვის უნდა დაგვემტკიცებინა, რჩვენ ვზგოზე მეტი პასუხისმგებლობა გვერს დაბნელებისთანავე თითქოს ლაპარაკის სურვე გაგვიჩნდა. დინჯმა თქვა, ვფიქრობ, ამ ომს წავეთო... რატო, დინჯ? იმიტომ, რომ ჩვენ დათქები სხვადასხვა ომებს ვომობთ, ერთსა და იმომში არ ვართ... დინჯ, სოფელში როგორი იყო ხის განწყობა, შენსავით დუხდაცემულები ხომ იყვნენ?... პაღომ მაშინვე იეჭვა, რომ დინჯს სოფელში გადადევნო დამარცხებულის განწყობა და ვზურგს უუკან ასეთი განწყობის იყო, ეგ ძალიან დი იყო. დინჯმა უპასუხა, რომ არ იცოდა, რას ურობდნენ გლეხები, მას საკუთარი აზრები ჰქონდა მისი ფიქრები კარგს არაფერს მოასწავებდნენ. დინჯ, სისულელების ლაპარაკის მაგივრად ვზგო ყავა მოაუღლო.

დინჯი უსიტყვოდ ადგა და მშრალი სპირტი დაანთო. პაღო თხრილის ბოლოსკენ წავიდა და იქვე დაიყვირა: ყავა მზად რომ იქნება, დამიძახეთო... და თავისი ქცევით გვიჩვენებდა, რომ ყველაფერ კონტროლს ექვემდებარებოდა და რომ ვზგოს მათან ვერც კი მოვა. დინჯმა საგულდაგულოდ გაზავლო ყავის ჭქები, სათითაოდ აავსო თთხი ჭქმხრებში გაიმართა და დაიყვირა: პაღო, მოდი, ყავა დალიეო... და მაშინვე შეამჩნია მის ფეხქვეშ მხოლოდ არე ვზგო. დინჯი გაშეშდა, ელდანაცემივით იყო გაოგნებული ათვალეირებდა ვზგოს თავიდან დალომდე, რომელიც ჩვეულ მობუზულ მდგომარეობაში აგრძელებდა ძილს. ცოტა ხანში მის წინ პაღო ჩუმად იდგა. დინჯმა თავისი ყავა აიღო და წავიდა არ იკამათა, არ დაიკვია, არ მოითხოვა, ჩააბარა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, პაღო საკუთარი ძლით მოდულებულ ყავას სვამდა, როცა ცნობი გახდა, რომ ბრტყელი ქვა ფრონტის საზო გამხდა იყო. ჩვენებს მოპირდაპირე პოზიცია დაეტოვებინდა ახლა იქ თურქები განლაგებულიყვნენ. მან კი ერთი ყლუში ყავა მოსვა, შემდეგ ბუშულატი დაიდა და თოფის დაძალა დაიწყო. პაღო იარაღს დეტარად ასუფთავებდა, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა რომ გადარჩენის ერთადერთი შანსი საიმიდო იყო იყო, ახლობელი რკინის ნაჭერი. დინჯი ფიქრდა, რომ პაღოს სამყაროზე ბრტყელი ნარმოდ ჰქონდა და გადარჩენის არავითარი შანსი არ აზობოდა. ჩვენ გვეგონა, რომ პაღო მართალი იყო, რამ რადგან პაღოს მიდგომა მუშაობა მოიაზრებდა, მუშაობის სურვილი კი არ იყო, გზიარეთ დინჯის მიდგომა, რომელიც არაფრის თებას და ლოდინს მოიაზრებდა, რადგან, თქმით, ყველაფერი გაცილებით რთულადა ჩვენზე არაფერია დამოკიდებული. გამოდის, თუ ყველაფერი რთულადაა, შეგვეძლო უბრალოთავი დაგვეჭირა და არაფერი გვექნა და პირითუ ყველაფერი მარტივად იყო, მაშინ ბევრი სგვექონდა გასაკეთებელი. თუმცა, გვინდოდა, ყველაფერი მარტივად ყოფილიყო და არა გვექონოდა გასაკეთებელი. ბრტყელი ქვა სწინასეთი პოზიცია იყო. იქ ლოდინის მეტი არა იყო გასაკეთებელი, თუმცა პაღოს ეჭვი ჰქონდა რომ ლოდინის დრო დასრულდა.

ვიოლეტ გრიგორიანი

თარგმნეს ასია დარბინიანმა
და დიანა ანფიმიადმა

ნანყვეტი პოემიდან

ეს არის სხეული, რომელიც სიყვარულს ჩაბარდა.
 ეს არის სისხლი, რომელიც აჩქარებულ ძარღვებში დახტის,
 ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი,
 ამაღამ დღესასწაულია,
 ჩემი სხეულის კვირას ვზეიგობ,
 უძვირფასესი სტუმრისათვის გადანახული
 ჩემი ქალობა შეყვარებულს გადავუშაღე.
 მოდი, მობრძანდი და ინებე,
 აპა, მიირთვი,
 ხაჩიკის გოგო გიმასპინძლდება:
 - მაკოცე და...
 აღარ დაბერდები,
 მაკოცე და...
 აუად არ გახდები,
 მაკოცე და
 აღარ დამთავრდები.

სასიყვარულო სარეცელი ამთელებს სნეულს,
 ბრძას ეხილება თვალი ვენების დასანახავად,
 ამეტყველდება მუნჯი, გულის დაფდაფით ფეთქავს.
 კოჭლი ღვება და მიუყვება ტანის გზა-შარას,
 მზეთუნახავის სიკვდილის ძილს აღვიძებს კოცნა
 მეც მაკოცე და...
 არ მოგვედები აღარასოდეს.

ნახე, ჩრჩილმა და ჟანგმა გადაძოვა ჩემი საუნჯე,
 ჩემი ლამაზი ტანსაცმელი, სამკაული, ბრძენი წიგნები,
 ქურდმა კედელი გამოჩინა, მთელი ჩემი ფული წაიღო,
 მაგრამ შენს კოცნას დაჟანგება არ ემუქრება
 და ჩემი ნალღლის ჩინურ კედელს ეგ კოცნა გახვრეტს.
 ჯერ ტუჩებთან და მერე კიდევ ტუჩებში მყავხარ,
 ენის ცეცებით მოვიარე შენი სხეული
 და თაფლის სკასაც მივაგენი.
 ოჰ, რა ტკბილი და ფაფუკია სატრფოს ტუჩები,
 თავნება ენამ ვირტუოზი პიანისტივით
 ჩემს კბილებზე გადაირბინა.
 რა ვქნა, დედა?
 მივიღო მისი სიყვარულის მალული ალექმა?
 მისი თითების თბილ ბალიშებს მოვეაღერებო?
 ენის ნოტიო ხიჭვუკათი მოვუღიტიტინო,
 მოველამუნო აღერიღ ზროს?
 ვუმასპინძლო ტრფობის ბანაკში?..

მუქთად მივიღე,
 მუქთად გავცემ
 სხეულის ჯილდოს,
 ადვილად მერგო
 არამტყვეფნიურ ლატარიაში
 (აფცხი! თანხმობის ნიშანია)

მამ, შუა თითით დააკაკუნე ჩემი დახშული სალაროს კარზე
 მე გაგხდი სიტყვის საჭურველს და სიტყვის მუზარადს,
 მოდი, მიშველმა შემოცურე ჩემს ცხოვრებაში.
 ჩემს ყურეში ისროლე ლუზა,
 დაგტორავ შიდა დინებებით,



გახურებული საშოს მირონით
გაგნათლავ, ჩემო მიმდევარო,
ჩემო მოციქულო, ოღონდ მინებე.

მელთა ხერელი აქეთ და ფრინველთა ცის საყოფელი,
ჩემი ტანია ფრინველის ბუდე, მელიის სორო,
დასახლდი ჩემში, საყვარელო,
შეგიძლია სულ აქ იცხოვრო.
რა მსუბუქია შენი ტვირთი,
რა ტკბილია შენი უღელი.

ამოემართე ამბიონზე ჩემი სარეცლის,
და იქადაგე მაგ სხეულით,
დამარცვლით,
სხეულის ბრუნვით,
სხეულის სიტყვით
და სხეულის წინადადებით,
ტრფობის და ვნების ლაშქრობათა მარქვი ამბები,

ითხოვდი და მოგეცეს,
ირეკდი და განგელოს,
გზისა და კარის სივინროვემ
არ შეგაჩეროს -
დამძახებლის ხმა
გესმოდეს და გახსოვდეს.

გზა მოგიმზადე,
ბილიკები გაგითანაბრე,
მართე ეგ ეტლი დაკუნთული,
ტყავნული, ნაზი მათრახით მმართე,
ვნების დამფრთხალმა მდინარებამ არ გადაგჩეხოს,
მენჯებზე ზოლად აღმიბეჭდე კვალი საშენო,
ააფრიალე შენი დროშა!

მე ველური წყალი ვარ,
ყურძნის დიდრონი მტევანი ვარ,
მყიფე ჰაერის კალაპოტი ვარ,
ჩემში დაგმაღავ,
ჩამისუნთქე და ამომისუნთქე,
ჩამისუნთქე, ამომისუნთქე,
ღრმად ჩამისუნთქე,
ოჰ, ამომისუნთქე,
აჰ, კიდევ ერთხელ...

რა საამოა შენთან შერთვა,
სიყვარულის მასწავლებლო,
ჩემო ბალიშის თანაზიარო,
ქალთა შორის ბადალი არ გყავს...
და ნეტარ არს მუცელი ჩემი, რომელიც შენი ენის შეხებისას დაიბურძღლა,
და ნეტარ არიან ძუძუნი ჩემნი, რომელნიც აიკვირტენ შენი ენის შეხებისას,
ნეტარ ვარ მე-ბატონის მოახლე, რამეთუ კურთხეულ ვარ ქალთა შორის...

დე, ნუ ბრაზობ,
ნახე, რა ჯანმრთელი ვარ,
ნახე, როგორ დაეხელოვნდი სიყვარულის გაკვეთილებში,
ნახე, ჩემი გული გახარებულია, ენა-მზიარული
და სხეული იმედით ცხოვრობს,
სიყვარულია ჩემი ადგილი.

ვისაც თვალნი აქვს სახილველად, დაე, იხილოს
რა მომწუსხველი სურათია
შედულებული წყვილი სხეული -

სპეტაკ ზენარზე გაბნული -
სურნელოვანი ყვავილნული,
დიდი შრომანი
ხამანკის გახსნა და დახურვა
და მოქანავე საქანელა,
დაარნიე ჩემი ნავი,
ცქვიტო ნიავო,
ჩემო მკვირცხლო შეყვარებულო,
დაარნიე ჩემი ნავი,
საუკეთესო ნიჩბოსანო,
შლეგო მეკობრევე,
დამარნიე, სანამ მოლიანად დავისარჯები,
გამითავდება ჩემივე თავი,
გამიყუჩდება ჩემივე თავი,
მარნიე, სანამ არ მივალნევე იქ ანუ არსად -
ნეტარების სანაპიროზე.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ,
ასე სიტყვა-სიტყვით,
ასე მისხალ-მისხალ
ასე ნაბიჯ-ნაბიჯ,

ჩემი სხეულის ჯურღმულეებში
მჭიდროდ შემომყევე!

ასე კოცნა-კოცნით,
ასე რწვევა-რწვევით,
ასე კოცნა-კოცნით,
ასე ბგერა-ბგერით,
ასე დაღლა-დაღლით,

ჩემი სხეულის ზღურბლს გადამცდარს
სიხარულის მანახე ბინა,

და აი, კიდევ ერთი ბიჯი,
და აი, კიდევ ერთი რხევა,

და თეთრი ზენრის თეთრ ფურცელზე
ორწვერიანი სინტაქსით ვანერთ:
იქმნა ნათელი!

ქალი პოეტები სომხეთიდან

თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანფიმიადმა

ტათევ ჩახეანი

2016

იმ ზამთარს პასპორტი არ მქონდა.
 რაც ნიშნავს, რომ არ ვარსებობდი,
 საგადასახადოსთვის,
 პოლიციისთვის,
 ადგილობრივი თვითმმართველობისთვის
 და ყველა დანარჩენისათვის, გარდა გულისა,
 სადაც ვცხოვრობდი.
 იმ ზამთარს იგი გულის შეტევით
 კლინიკაში გადაიყვანეს.
 იმავე ზამთარს ჩემი სახელი
 ათასმა უცხოენოვანმა პირმა აბრუნა.
 თათი, ტატიანა, ტანია, თინა...
 ჩუმად დავთანხმდი ყველა ვარიანტს,
 როგორც თანხმდები შემთხვევითი უცნობის
 გარეგნობას პირველი შეხვედრისას.
 იმ ზამთარს დავინყე ვარჯიში,
 რომ არ დამეკარგა უკანასკნელი კავშირი მასთან,
 ვინც ჩემი ბავით ლაპარაკობს,
 ხოლო როცა მწერტენელს ვკითხვებ:
 „სად მიდის ჩემი დაკარგული კილოგრამები?“
 მთხოვა, მისნაირ უბრალო ბიჭს
 ასეთი რთული შეკითხვები აღარ დავუსვა
 და თან უკბილოდ გაიხუმრა:
 „თანდათან ქრები, არ გიხარია?“

ანუშ ქოჩარიანი

სალამოს ხილვა ან შეყვარებულის ბოლო

წმინდა ძაფით დანწული ეს ბიჭი
 ერთ დღეს ლამაზად მოკვდება -
 თვალეში გაქრება კადრი, როცა თითები გააცურა
 ძაღლის კისერზე სხვისი თითების გემოს გასასინჯად.
 ყველაზე დიდ სიყვარულსაც დაამთავრებს
 ერთის სიკვდილი.

ყველა სხეულის ყველა მოძრაობა,
 ყველა სიტყვა ძვირფას ბაგეებში
 და ნორჩი ვაშლისა და ბებერი მუხის ბალები
 და შემინებული კურდღლები გალიებში
 და მშობლიური წარწერები კედლებზე, თვალეებში,
 ქართან ერთად მოძრავი ორბორბლიანი გზები,
 ყველა გამოსახულება,
 რისი მოყოლაც შეიძლება და არ შეიძლება -
 ამ ნაზი ბიჭის წასვლას გაჰყვება.

ის, ვინც სამყარო აღდგომას გაცივს,
 და თავი მორწმუნედ გამოაცხადა,
 ის, ვინც სინათლეს მიუახლოვდა
 და არ შეშინდა,
 ის, ვინც ნუგეში



და სილამაზის ხილვა ისწავლა,
 ისევე ნაზად დასრულდება,
 როგორც დღე ჩამავალი,
 როგორც ომი,
 როგორც კომმარი,
 როგორც გმირობა
 და დამარცხება,
 და ყველა წმინდა შესასვლელი
 და გასასვლელი,
 იმ თვალბივით დასრულდება,
 უკანასკნელად რომ იხილეს
 ცოცხალი ქრისტე.

პასმიკ სიმონიანი

მეფუტკრე გოგონა

*თაფლით შობილო,
 თაფლთან მიკითხე.
 ძველი ინდური პოეზიიდან*

ბაბუაჩემი მეფუტკრეა,
 მე კი დედაჩემზე მინდა გაიბოთ,
 გამრჯე ფუტკარზე, რომლის ზღაპრულად გემრიელი ნამცხვრების სუნნი
 იფრქვევა სახლში.
 რომლის გული იის ფაფუკი ფურცელია
 და ჩვენ ყველანი მახრებივით ვხრავთ განუწყვეტლად.
 ის კი ილიმის ჩუმად და ნაზად,
 ჩვენი როყო სიტყვის პასუხად, სადაც
 ხმოვნები ჭარბობს, თანხმოვნები - მეტად მოკლეა.
 დედა დილიდან საღამომდე შრომობს და შრომობს,
 ალბათ ერთხელაც დაისვენებდა,
 დასვენება რომ საქმედ მიაჩნდეს,
 თავის თავზე რომ ლაპარაკობს,
 ყველაზე ხშირად იმეორებს სიტყვა „ბედნიერება“
 და თან ისეთი დარწმუნებით,
 რომ სულ ადვილად ამოიცნობ ბედნიერების იშვიათ ნუთებს,
 რადგანაც მხოლოდ უბედურებმა იციან ასე დარწმუნებით,
 ბედნიერები - მუდამ ეჭვობენ.
 დედაჩემს უყვარს ყვავილები.
 ყვავილებს კიდევ დედაჩემი,
 ეს სიყვარული არ ისვრება სიტყვებითა და ჭრელაჭრულა წარმოსახვებით.
 ეს აყვავებასა და ალერსს შორის მყუდრო სივრცეა,
 ჩვენ რომ უაზროდ გვეჩვენება,
 განსაკუთრებით მამას, რომელიც ფიქრობს, რომ მათ ფანჯრის რაფა დაიპყრეს
 და ამ მწვანე ავაზაკების სახლიდან გაყრით იმუქრება.
 დედაჩემს უყვარს ყვავილები,
 ყვავილები კი დედაჩემზე გიჟდებიან და უკეთესად იზრდებიან.
 დედა აცხობს ხვეულ, ფენოვან, ოთხკუთხედ და მრგვალ ტკბილეულს,
 ის ექსპერიმენტატორია, რომელსაც არ აფასებენ
 ტკბილისადმი კონსერვატორულად განწყობილ სახლში,
 და ფქვილის კვალი მის ლოყაზე გამბედაობის ჯიუტი ნიშანია,
 რომელსაც მე ან ჩემი ძმა გულგრილად ვაშლით.
 კითხულობს წიგნებს და ახლებიდან ყველა იცის,
 ნამდვილად იცის, განა მხოლოდ ყდით და ფოტოთი,
 რამდენიმე მოსწონს კიდევ - მათ რიცხვში არ ვარ,
 განსაკუთრებით ჩემს თარგმანებს მიიჩნევს უნიჭობად,
 ხოლო ჩემი ენობრივი თამაშები მისთვის ენაზე ძალადობაა.
 წლების სიმორით გახუნებულ სამზარეულოს ჩანანერებში

სევაკის ცნობილ სტრიქონებს ნახავთ,
ნაწყვეტებს პრუსის „თოჯინადან“
და რამდენიმე მითითებას -
ორხაზუმი მომზადებისა და ორსულობის გამოთვლის ნესით
- სასურველი სქესის შვილისთვის.
დედა არ სვამს და არ ეწევა, მწველ ქალებს ვერ იტანს
და ყოველ ჯერზე თავიდან კვდება,
როცა სიგარეტის სუნით ვყარვართ მე ან ჩემი ლექსები,
ან ინტერნეტში თავისი სიგარეტიანი გოგოს ფოტოს იპოვის,
დედას გული ეკუმშება, შემომტირის, ცრემლით მახსენებს,
რომ მოწევა კბილებს აყვითლებს, ხმას აბოხებს, თმის ცვენას იწვევს.
(მამას პირველი სანთებელა დედამ აჩუქა).
ზოგჯერ ვკამათობთ,
დედა ამტკიცებს, რომ შემცვალეს ჩემმა წიგნებმა
რომ წაიყვანეს მისი გოგონა, გაზაფხულზე გაჩენილი, მე ის აღარ ვარ,
რომ მე კი არ ვკითხულობდი, პირიქით, წიგნები მკითხულობდნენ,
და შენიშვნებსაც მიმანერდნენ წითელი კალმით,
დედა მახსენებს, რომ ლოგიკასთან ვერ ვმეგობრობდი,
და როცა ერთად ვანგარიშობდით სკამის ფეხების რაოდენობას,
იდიოტივით ვჩუმდებოდი.
დე, მინდა გითხრა,
არაფერი შეცვლილა დიდად,
ღუმილი ისევ ჩემი მთავარი გატაცებაა,
და შენი დარდიც უცვლელია,
მინც როგორ ვარ შენი შვილი,
თუ ერთადერთი, რაც შენგან მაქვს -
- უზარმაზარი ტერფები.
ანდა ასეთი ფეხზემკიდია ვის დავემსგავსე,
სულ უფრო გიკვირს.
შენთან ერთად ვარ, დედაჩემო,
და შენთან ვუძლებ
ამ გაუსაძლისად სასტიკ,
მიტოვებით, განგაშითა და სიყვარულით სავსე ცხოვრებას,
ერთი პანია ფისო მითბობს ცარიელ მუცელს -
ხელს გინვდი, მეტი აღარავინ მყავს,
მხოლოდ შენ დამრჩი, რაც გამაჩნია -
შენი არასდროს გაყოფილი,
მიტევებით აღსავსე გული,
რომელსაც ხშირად უყვირია
ბრაზით და იმედგაცრუებით,
დედიკო, სახლში წამიყვანე,
პირი დამბანე,
და როცა ლიტერატურა მოვა ჩემს წასაყვანად,
უთხარი, რომ ძალიან დავილაღე,
უთხარი, რომ ძალიან მარტო ვარ
უთხარი, რომ სახლში ვბრუნდები,
ყვითელ და ნათელ,
მარდსა და თაფლში,
ოქროსა და მზეში გაზავებულ
ჩემს ბავშვობაში,
უთხარი, რომ ყველაფერი ისე კარგად დაიწყო,
რომ ცუდ დასაწყისს არაფერი მოასწავებდა,
უთხარი, რომ მე აქ აღარ ვარ,
უთხარი, რომ მე შენთან ვრჩები,
უთხარი, რომ გადავწყვიტე, ფუტკარი გავხდე,
აღარ ვჩანდე, მხოლოდ ვბზუოდე
აღარ ვჩანდე, მხოლოდ ვბზუოდე
აღარ ვჩანდე, მხოლოდ ვბზუოდე.

მარინე პეტროსიანი

ვიოლეტ, გახსოვს მზე რომ ორი იყო?
 როცა ერთი ამოდიოდა, მეორე ჩადიოდა,
 და ღამე არ იყო, საერთოდ არ იყო მაშინ
 ჩვენ კი ვიყავით.

ვიოლეტ, გახსოვს? არარატი რომ ერთი იყო?
 მეორე, პატარა ჯერ არ იყო, მერე გაჩნდა,
 ელიშე ამბობს, რომ ის პატარა თვითონ გააჩინა,
 ხომ იცი, ეგ გიჟია, რამდენ სიგიჟეს ლაპარაკობს.

ვიოლეტ, გახსოვს, ერევანი რომ კუნძული იყო?
 უსახელო ოკეანეში, ადამიანთა ამეტყველებამდე
 და ღამე არ იყო, არა, ღამე არ იყო მაშინ,
 რადგან წყვილი მზე, ორი მზე ჩახჩახებდა.

არფი ვოსკანიანი

სახელმწიფოს მართვის კურსი

პირველ რიგში, პური დათესე,
 ხალხი შიმშილით არ დაგეზოცოს,
 მაგრამ კარგადაც თუ გამოაძღე,
 მშენებლობებზე, მინდვრებსა და სამტეხლოებში ვინ იმუშავს?
 ააშენე კლუბი, კაზინო -
 გართობისა და ფულის ფლანგვის წმინდა ადგილი,
 ბოძანე ურთიერთსიყვარული და გამრავლება,
 კეთილდღეობას მუშახელი სჭირდება,
 საზღვრების დაცვას (თუ გაგიმართლა, სხვა მინების შემომტკიცებას) -
 მუდმივი ჯარი!
 ეკლესიებიც ააშენე,
 შიში, ძრწოლა და მორჩილება რომ იქადაგოს,
 აჯანყება აკვანში ჩაკლას,
 ასწავლოს საქმის ერთგულება,
 ზღვარი ჭამის და სიყვარულის,
 ჯვარი დასწეროს ადამიანებს
 და აკურთხოს მათი ერთობა
 და შეაჩვენოს მარტოობა,
 როგორც ფიქრის საშიში სივრცე.
 განათლებაც არ დაგავიწყდეს,
 ადამიანი ბავშვობიდან გამოაშტერე.
 მეცნიერება დააფინანსე,
 ილაპარაკე კულტურის როლზე
 მაგრამ მწერლები, მხატვრები და
 მათნაირი ნაყარ-ნუყარი
 არასოდეს გაათამამო:
 იყიდე პრიზით, ცოტა ფულით,
 ციცქნა დიდებით,
 პანთეონში აღუთქვი ორმო,
 ჯამბაზები, ოინბაზები,
 ყველა ყბედი და სასაცილო,
 არაფრის კარგად თქმის ოსტატი
 ოპოზიციის ველზე გარეკე,
 ბოლო იმედიც გაუცრუონ,
 გაართონ ხალხი.

გამოცხადდი ოპოზიციად,
 დემოკრატიის, ადამიანის



უფლებების, სიტყვისა და სინდისის მცველად. შესახელმწიფოებს თვალეში ნაცარი შეაყარე, რაც გაგაჩნია, შესთავაზე, აიღე ვალი. და როდესაც ბოლოს და ბოლოს სტაბილურობა დაისადგურებს, იმას ნიშნავს, რომ ომისათვის მარჯვე დრო დადგა, სახელმწიფო ხაზინისა და შენი ჯიბის

დასამძიმებლად ამ ქვეყნის ყველა ინტელექტუალი მიტინგზე იხმე, პატრიოტული სიტყვები თქვან, შურისძიება დალუპული პაპების გამო, ეროვნული თვითშეფასების აღდგენის დროა! დე, მკვლელებიც წმინდანებად გამოაცხადონ, იქადაგე „შეგნებული სიკვდილის უკვდავება“, „სიკვდილი ან თავისუფლება“ და კიდევ მსგავსი რამეები. ომზე ფილმებით, ძალადობის მძიმე სცენებით გადააფე ტელევიზორი დაიმახსოვრე: ქვეყნისთვის ომი იგივეა, რაც მულტფილში ბავშვისთვის და „PLAYBOY“ მუნუქიანი მოზარდისთვის და მის გარეშე ამ შტერულ თამაშს აზრი საერთოდ ეკარგება.

ანაიდ ჰაირაპეტიანი

ცხელება

ჩემი შვილი ძილში იცინის, დაულელდა, გაუჩერებლად, უშეცდომოდ, იცინის, ყინვის არ ეშინია, იცინის რეალობასა და სიზმრებზე პუტინზე, ილონ მასკსა და უამრავ სხვა დეპუტატსა და პრემიერზე, იცინის გრეხილ ხესა და კონნიალა მაიმუნებზე, ბიბინა ბალახზე, ქვებსა და ძმებზე ჩემს დანერილ ყველა ლექსზე (ამაზეც, მათ შორის) მთელი ძალით იცინის. ფერმიხდილია, სახელზე არ მეპასუხება, ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ იგებს, უძლურებისგან ხელები მიკანკალავს, ძლივს ხვდი ტანსაცმელს, ძმრიანი წყლით ვზელ, ფანჯარას ვაღებ, სახეზე სულს ვუბერავ, სახელით ვუხმობ, წყლიან საფენებს ვაღებ შუბლზე, ნამლებს ვასმევ, ნელ-ნელა ფერი უბრუნდება, სიცოილი ტოვებს და რამე ზღაპრის მოყოლას მთხოვს. - იყო და არა იყო, უფრო სწორად, არის ერთი ქვეყანა - ავადობისგან მისუსტებულ, თვალეებბრიალა ჩემს ბიჭუნას ვუამბობ ზღაპრს: ბოროტი და გადამთიელი ხელმწიფეები

ცდილობენ, რომ დაიპყრონ იგი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ეკუთვნით, ქვეყანას ფლეთენ, ჯარისკაცებს ხოცავენ, ქვეყნის საზღვრებს ანაკუნებენ, ციება აქვს ქვეყანას, შვილო, და შენსავე სიცოილით კვდება, არავინ ჰყავს ხელში ამყვანი, რომ ტანსაცმელი შემოაგლიჯოს, ძმრიანი წყლით კარგად დაზილოს და ოთახი გაუნიავოს, სახეზე სული შეუბეროს და იმდენჯერ დაუძახოს, იმდენათასჯერ დაუძახოს, როგორმე გონზე მოიყვანოს, შუბლზე ძმრიანი საფენი და წამლიანი სალბუნი დაადოს, ქვეყანა ვაცივებულა, ყველა ჩვენგანზე იცინის, შვილო, მთელი ძალით დაგვცინის, იცინის ყველა დანერილ ლექსზე (ამაზეც, რა თქმა უნდა) და არავინ ჰყავს, ვინც მოუვლის, გამოაკეთებს და მშვიდობის ზღაპრს უამბობს.

ანა დავითიანი

ალენი

ალენ მარგარიანი, 21 წლის მასწავლებელი, დაიღუპა 2020 წელს მთიან ყარაბაღში

და მთების ფონზე ალენი ცეკვავს. მე ვასრულებ ჩემს დაპირებას, დაეყრუვდით, მაგრამ სონა ამბობს, რომ საიქიოდან დაუკავშირდი.

სონა ამბობს:

- ან, ალენი მეუბნება, ნახე, როგორ მლენეს იმ ბოზიშვილებმა, და იცინის, იცინის, ცდილობს, შენი სიცოილი გამახსენოს.

სონა ამბობს:

- ნავიდა, ან ჯან, ჩვენიანი, ჩვენი სიყვარული, ჩვენი მეგობარუკა.

(რა ლამაზად ამბობ, სონა ჯან, ამ მეგობარუკას)

სიცოცხლეს ვდარდობ, შენს პატარა, ლამაზ სიცოცხლეს, თორემ ჯანდაბას ოცნებები, მათ გარეშეც კარგად გაძლებდი.

სონა ამბობს, ალენი დაიღალა სიყვარულის განაწილებით,

ხარბები ვიყავით,
ბევრი სიყვარული გვინდოდაო,

ამბობს: ალენს სიკვდილის არ ეშინოდა.
ამბობს: საერთოდ.

და ჩვენ სლუკუნით ვცლაპავთ
შენს დანერილ ბოლო ბარათებს.

გეჩხუბებით.
ვკამათობთ
გიბღვერთ.

მე და სონა კაფეში შენზე ვიციხოდით,
რომ კოცნისგან ნიკაპი გაგეხეხა,
რომ ნიკაპი უდროოდ გიტკაცუნებს
და ექიმმა გითხრა -
არ არის საჭირო ასეთი დეტალები, ახალგაზრდავ!

დეტალ-დეტალ
დეტალებად გადაიქეცი,
სინათლის იშვიათ მარცვლებად.

ჩვენს საიდუმლოს დაეკარგე,
მე ჯერ ვყავარ,
დაბნეული რომ გიყურებს
და არ იცის, როგორ მოიქცეს.

შენ დანერე,
მიგვანიშნე, რომ მიდიოდი,
რომ ეს ბოლოა,
მაგრამ ბოლომდე არ დაგიჯერეთ,
სხვა რა გზა დაგვრჩა?
- უსხეულოდ დარჩი და რა ვქნათ?

შენზე აკრული
გავდივარ გარეთ ამ ვიწრო კარით,
ერთ სხეულს ვიყოფთ,
შენი მეტისმეტად სისხლიანია,
დაე, აქ დარჩეს და იცეკვოს.

ამ გზას დავარქმევ შენს საყვარელ სიტყვა „სიმშვიდეს“,
დაბადებიდან,
პურიტა ხოლო
სულიტა ხოლო
ჩემო სულო,
ჩემო ძვირფასო,

კვალი ხარ,
შიგნით დამჩნეული,
ოდესმე,
მუდამ
ამიერიდან
ყოველ საათს,


მეშინია,
მეშინია
არ დამავინყდე.





თეა თოფურია

ორი ლექსი და ერთი ამბავი



თუ ქვეყნების ბედი ერთმანეთს ჰგავს, მათი პოეზიაც ერთმანეთს ემგვანება. ეს კანონზომიერება მაშინ აღმოვაჩინე, როდესაც ერევანში პოეზიის საღამოზე კარუნ ანტაშიანმა თავისი ლექსი წაიკითხა: „რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო“... მეც მაქვს ერთი ასეთი ლექსი, პირობითი სახელით: „ჩვენ უნდა“. ჩემი ლექსი ქალის სათქმელს ამბობს, იმ თაობის ქალების, რომელთა ახალგაზრდობამ ომში და გაჭირვებაში გაიარა. რომლებიც, შესაძლოა, გათხოვილიყვნენ და ბავშვები გაეჩინათ, მაგრამ მათი მომავალი ქმრები ომში დაიღუპნენ.

კარუნის ლექსში, პირიქით, კაცი ამბობს სიტყვას, ომში დაღუპული ჯარისკაცი, ვისაც, წესით, ოჯახი უნდა შეექმნა, მაგრამ ვერ შექმნა. თავისი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, მაგრამ ვერ იცხოვრა, რადგან იყო ომი, შესაძლოა, უზრო, შესაძლოა, თავსმობეული, შესაძლოა, გმირულიც, მაგრამ აშკარად სისხლიანი. ასეთი ომების შემდეგ შეიძლება ბევრი სამადლობელი სიტყვა დარჩეს, იქნებ გმირის ნოდებაც... მაგრამ აუცილებლად დარჩება ადამიანური ტრაგედია, ისეთი, გულს მხოლოდ ლექსებში თუ მოიხებ.

და ამითაც ამ სევდას ბევრი არაფერი დააკლდება.



კარენ ანტაშიანი

სადიდებელი რიგით მარტიროსიანს

სომხურიდან თარგმნეს ასია დარბინიანმა და დიანა ანფიმაძე

რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,
 დღეს სამსახურის, ოჯახური ვახშმის,
 ბავშვების დაძინების, სერიალის მერე,
 დიდსულოვნად ვცადა დროის გამონახვა,
 ვორდის ახალი დოკის გახსნა,
 საყვარელი ფონტის შერჩევა,
 რომ შენს სიკვდილზე დამენერა
 ეს პოსტმოდერნული, გაუპრანჭავი,
 მედიდური სადიდებელი.
 რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,
 ერთხელ ხომ დავნერე შენი სახელი,
 ახლა ყოველ ხუთ სტროფში ერთხელ,
 კალენდარულ დღესასწაულში ერთხელ,
 ყოველ ალლუმში ერთხელ,
 დანარჩენი ძმების სიკვდილში ერთხელ,
 შემიძლია დავაკოპიპეისტო,
 სათქმელი რომ არ გამენელოს.

ერთბაშად მოვჭრი,
 რომ შენი ღირსეული დატირებისთვის
 უამრავი ჰეშთეგია სადარაჯოზე,
 ვთქვათ სამშობლო, ჯარისკაცი, ნორჩი, სამსხვერპლო, გმირი, სასიქადულო, ქედს ვიხრი, ისინი დაეცნენ
 რომ ჩვენ... ისინი აღარ არიან, რომ ჩვენ... მათი სახელი ჩვენ.
 ერთბაშად მოვჭრი, რომ შენი გლოვისთვის დაამტკიცეს ზუსტი წესდება
 და დროებითი კომისიაც დაარსდა
 და ჯერ არ დაშლილა,
 თანამშრომელი სრულ განაკვეთზე სათანადო დროს გაჩუმდება და ცრემლებს დაღვრის.
 რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,
 შენი სიკვდილის გასამართლებლად
 გავიხსენეთ ეპიკური პრეტენდენტები,
 ჯერ შენი ნისლიანი წინაპრების ხელით ამ ქვებზე დაყრილი
 და ჩუმად მპოსტავთა ენებზე შხამის ლოკვით დაშაშრული
 შეთქმულების სიამოვნება და ამ ცინიკური ამბების ნაკადში
 მშიშარა სნობებისთვის,
 სულ ზევით, ზევით ასასქროლი
 შენი ნაშლის, დავინყების მახრჩობელა.

რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,
 შენ არ იცი,
 მაგრამ შენი სიკვდილი უბნის სახლმართველობიდან
 გაეროს ნიუიორკულ ოფისამდე მოძრაობის პოტენციალს ქმნის ამ ვებერთელა სამყაროსთვის
 - ერთი ამბობს, არ შეიძლება, რომ სამოთხე არ არსებობდეს,
 წინააღმდეგ შემთხვევაში, სად განისვენებს ჩვენი ძმა-გმირი?
 მეორე ამბობს - ვერ მოვისვენებ, სანამ არ დავლევ მაგ ბოზიშვილი თურქების სისხლს,
 მესამე ამბობს - მე ამირჩიეთ და არსებითად შევამცირებ ახალწვეულთა დალუპვის ფაქტებს,
 მეოთხე ამბობს - აჰა, ეს ფული და ქალაქის კედლები მშვიდობისა და ტოლერანტობის მხარდამჭერი
 პროექტებით გადააჭრელეთ,
 კიდევ სხვა ამბობს - ეს სომხური გენის გამარჯვებაა,
 ჩვენ ასეთმა თავგანწირვამ გადაგვარჩინა.
 ის ერთი კი არაფერს ამბობს,
 მაგრამ გულისხმობს:
 - მანდ ძალიანაც ნუ ფართხალბთ, ჩემი იმპერიის პროვინციაში,
 თორემ თქვენს ბიჭებსაც, თქვენც იგივე გელით....
 ჩვენც არ ვფართხალბთ.
 რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,



ბოდიში, მაგრამ მე და ჩემი ცოლი ძილის წინ და ძილის დროსაც
 სულ გამონმებთ არარატის ხედს ჩვენი ფანჯრიდან და
 ჩვენი ბიჭების მშვიდ მომავალს
 სულ სხვა, უშარო და ზღვისპირა ქალაქში ვხედავთ,
 სადაც ტყვია, რომელმაც შენ გავფატრა, ველარ მოაღწევს,
 თუმცა ის მაინც განაგრძობს ფრენას,
 თან შენი რაზმის წევრებს გაიყოლებს.
 რიგითო მარტიროსიან, მრდო, ძმაო,
 შენს სიკვდილთან დაკავშირებით ყველაზე ნალდი
 ამ ქალწული ჩიტების სევდაა,
 რომლებიც შენი სიყვარულის ყვავილების გარეშე დაჭვნებიან,
 სიზმრებშიც კი ვერ იგემებენ შენი ბარძაყების თაფლს
 და არ დაეცემიან შენი საამაყო შუბით დაჭრილნი.
 შენი სახელის ხსენებისას
 მათ ტუჩებზე ატმის ყვავილი კვდება,
 მათ სიცოცხლე უნდათ, შვილები უნდათ, იპოთეკით სახლი უნდათ, პარიზის საგზურიც
 და უნდათ, დატანჯო, ყელში ამოუხვიდე,
 შენმა უმწეობამ დაღალოს, მაგრამ
 შენი სიკვდილი არ უნდათ, ძმაო.


რიგითო მარტიროსიან, მრდო,
 ყველაზე მძიმე დედაშენის გატეხილი გულია,
 მისი მზერის ნანგრევებში ფურისულები აღარ აყვავდება,
 რაც არ უნდა, სიკვდილის შემდეგ მედლებით აავსონ,
 რაც არ უნდა ფული შეაგროვონ შენი სახელით,
 უფერო საკლასო ოთახებს შენი სახელი დაარქვან,
 რაც არ უნდა მქადაგებულთა კამპანიებში დაატარონ

და ოპერებში გააკონცერტონ,
 სულ შვილდაკარგული, სულ მგლოვიარე, სულ შავოსანი, სულ გამირობამისჯილი,
 ჩვენ ისევ ავსკროლავეთ და დავივინყებთ,
 მაგრამ შენი შუბლის სიცივე
 ყოველთვის დაუნვავს ბაგეს,
 - სულ მიანიშნებს საიქიოს უდაბნოს სუსხით,
 რომ მიგატოვა სამუდამო სიმარტოვეში.

თეა თოფურია

ჩვენ უნდა


ჩვენ უნდა ვყოფილიყავით გოგოები,
 შემდეგ კი ქალები.
 ჩვენ უნდა გვევლო კაფეებში და კინოებში.
 უნდა ეჩუქებინათ ყვავილები და სუნამოები,
 უნდა მიგველო წერილები და გვეპასუხა,
 ზაფხულობით წავსულიყავით სოხუმში.
 ჩვენ უნდა გავპარულიყავით ლექციებიდან პაემანზე.
 ჩაგვექრო სინათლე და აგვენთო სანთლები.
 გვევლო ქორნილებში და ჩვენიც გადაგვეხადა.
 თაფლობის თვეს წავსულიყავით სოხუმში.
 ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ნაზები და სუსტები,
 გვენერვიულა, როცა ბავშვს სიცხე აუნევდა,
 ხოლო, თუ შეამცივნებდა ქმარს,
 გაგვეთბო ჩვენივე სხეულებით,
 ისე, როგორც თაფლობის თვეს სოხუმში.
 მაგრამ ჩვენ არ ვიყავით გოგოები,
 შემდეგ კი ქალები,
 არამედ უცნობი ჯარისკაცების ქვრივები,
 რომლებიც წავიდნენ, სანამ ჩვენ გავიცნობდით,
 რომლებიც წავიდნენ სოხუმში.
 ჩვენ კი დავდიოდით მეტროში
 და ვირთხებით სავსე გვირაბებში.
 ვყიდულობდით ყვავილებს დაღუპული ბიჭებისთვის.
 გვიცდებოდა ლექციები
 და ვისხედით უნივერსიტეტის წინ,
 ხოლო, როდესაც ვისხედით ლექციებზე,
 გაყინულ ხელებზე მეტად ვდარდობდით გაყინულ ფეხებზე,
 რადგან ქალს ფეხი არ უნდა გაუცივდეს.
 გვეცვა შავები, როგორც ჭუჭყის ამტანი.
 ვყიდულობდით ფუნთუშებს შეგროვებული ფულით,
 ვრჩებოდით იმ მეგობრის ბინაში,
 რომლის კაბელიც საავადმყოფოს იყო მიერთებული.
 ხოლო თუ შუქი მაინც გამოირთვებოდა,
 ვანთებდით სანთლებს და ვითვლიდით,
 რამდენი ავადმყოფი მოკვდა ხელოვნური სუნთქვის გარეშე.
 ჩვენი ქმრები დიდი ხანია გარდაიცვალნენ.
 ისინი დაიღუპნენ ისე, რომ არც იცოდნენ,
 რა ფერის თვალები გვექონდა ჩვენ -
 შავი თუ მოლურჯო.
 მით უმეტეს არ იცოდნენ,
 რა ფერის იყო ჩვენი თვალები ნამტირალებზე,
 ახლად გაღვიძებულზე.
 დღემდე არ იციან, როგორ ვუერთგულეთ ჩვენდაუნებურად.
 როგორ გავგვიჭალარავდა აბრეშუმით თმები,
 ისე, რომ მასზე ხელიც არავის გადაუსვამს.
 როგორ ვაკლავდით თავს სამუშაოს,
 როგორ შეგვეძულდა ქორნილები,
 როგორ არ დამთავრდა
 ყოველ ღამე ერთი და იმავეს დასიზმრება,
 თითქოს მივდივარ სოხუმში...



„ყველაფერი, რაც მახსოვს, ჩემში უთქმელად რჩება, სანამ ცარიელ ფურცელთან არ განვმარტოვდები“

ინტერვიუ ჰრანტ მათევოსიანთან

თარგმნა ასია დარბინიანმა



- ჰრანტ იგნატოვიჩ, მართალია, ლიტერატურული ინტერვიუს უანრი შედარებით ახალია, მაგრამ უკვე მოახერხა გარკვეული უანრული პირობითობის მოპოვება. მინდა მიღებული წესის დარღვევა და მსურს დასაწყისშივე დაგისვათ კითხვა, რომლითაც ჩვეულებრივ ამთავრებენ ხოლმე საუბარს: ახლა რაზე მუშაობთ?

- ხელახლა ვკითხულობ დასავლელ სომეხ რომანისტ ჰაკობ მნძურის შესახებ დანერვილ ჩემს სტატიას. მნძურის შემოქმედებამ, რომელიც თავისთავად საუცხოოა, ჩემი ყურადღება მიიქცია იმითაც, რომ მდიდარ მასალას იძლევა სომხური ლიტერატურის გზებსა და ბედზე, ჭეშმარიტ და ცრუ სიახლეებზე დასაფიქრებლად. მტვირთავი, საბაზი, დღიური მუშა, სიბერეში ის სანთლებს ყიდდა სომხურ ეკლესიაში. მნძურის ძველი სომხური სოფლის დაკარგულ დესპანად ვხედავ ახალ დროში. თითქმის თუმანიანის თანატოლი, ის თერთმეტი წლით უფ-

როსი იყო ჩარენცზე, მაგრამ ისე აღწერს წარსულსა და ამ საუკუნის დასაწყისის სომხურ სოფელს - ხოლო ეს სოფელი შემორჩენილია ისე, როგორც იყო ქუჩაკის დროს და უფრო ადრე - ბაგრატიუნებისა და არაბების შემოსევების დროს და მანამდეც - ქსენოფონტეს დროს - ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დღეს ის არის გასული საუკუნეების რეალობის მონმე და მათი დესპანი მომავლის ლიტერატურაში.

ჰაკობ მნძური 92 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისი სიკვდილი ისეთივე შეუმჩნეველი დარჩა, როგორც მისი ლიტერატურული ცხოვრება. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენი ხალხის დასავლური სომხური ნაწილი, რომლის ბიოგრაფი და ადვოკატი იყო მონოდებით, აღარ არსებობდა. პირველი მსოფლიო ომის აურზაურში, ისინი მონდომებით აღიგავნენ პირისაგან მინისა ახალგაზრდა თურქების მიერ. გარდა ამისა, მნძურის დაუღალა-



ვი ეთნოგრაფიის გამო ნამდვილ მწერლად არ მიიჩნევდნენ. მნძურნი, იისფერი მთების შვილმა, საველე მცველის სიზუსტით აღწერა თავისი ქვეყნის ნაწილი, არც ერთხელ არ დაავიწყდა იმის აღნიშვნა, თუ რას ჭამდნენ მისი თანამემამულეები, როგორ იცვამდნენ, როგორ თესავდნენ და რას მოიპოვებდნენ... ამასობაში ის, რაც ნაკლოვანებად მიიჩნეოდა, უზირატესობა იყო. მნძურის მიერ შემონახული ჩაცმულ-დახურულობით შეიძლება ჩვენი ფეხშიშველა და მიშველი ისტორიოგრაფიის შემოსევა, ხოლო მნძურის მიერ შემონახული კერძებით შეიძლება ქსენოფონტეს დროიდან მცხოვრები და მომუშავე მთელი ჩვენი ხალხის გამოკვება. მან მოგვცა გეოგრაფია, აღწერა იმ მიწისა, რომელზეც დგას ჩვენი ლიტერატურა, მან ჩვენს ლიტერატურას მისცა გემო და სურნელი. მნძური სოფლის ცხოვრების ენციკლოპედიაა, ამ სიტყვის სრულიად არამეტაფორული მნიშვნელობით და სომეხი ლექსიკოგრაფები მუდამ მის ტომებს მოიხსენიებენ. არცერთი ხე, არცერთი წყარო, არცერთი ყვავილი, არცერთი ხუმრობა ან შემთხვევა არ უგულბებულყო, არ გამოპარვია მის თვალებსა და ყურებს, ყნოსვასა და შეხებას. ყველა პერსონაჟსა და ყველა ხმას თავი მოეყარა მის, მომავალი პოეტის, გულში და სოფლის მასწავლებლისა და მთიბავეის კუნთებში. და ყველა ამ ხმის, ძახილისა და სურნელისთვის, ის იქცა საცავად... არ არსებობს შესაფერისი სიტყვა. ეს ფერადი ხმოვანი-გამომსახველობითი ჩანაწერი იყო თუ არა შეგნებული „მოსამზადებელი“ სამუშაო მომავალი ლიტერატურისთვის, ცალკე საკითხია. საქმე ის არ არის, რომ ეს სამყარო, ასე თუ ისე, უნდა გამჭრალიყო, არამედ ის, რომ გაქრობამდე მან მოახერხა მისი შეილისა და მემატრიანეს სულში აღბეჭდვა ისე, როგორც არის.

- ესე იგი, თქვენ აზრით, მნძური შეგნებული და მუშაობდა მომავლისთვის, ასე ვთქვათ, ხვალინდელი დღის სულიერი მოთხოვნების გათვალისწინებით?

- არა, ასე არ ხდება. ჩვენ ყველანი დღევანდელი დღისთვის ვმუშაობთ. ზოგიერთი ჩვენგანი მომავალს თან მიჰყავს, უმეტესობა რჩება აწმყოში. მნძური ხვალინდელი დღის რჩეულია. და თუ ხვალ, არა უგვიანეს ხვალისა, სომეხი, თუნდაც ასიდან ერთი, მოისურვებს თავისი მამებისა და ხალხის გზის ნახვას, მოისურვებს თავისი ფესვების პოვნას, მაშინ გუშინდელში ის იპოვის მშვიდობიანი შუქით სავსე სუფთა მდელის, ჰაკობ მნძურის მდელის და ამ მდელში მშვიდობიან, კეთილ, შრომისმოყვარე ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობს მატრიარქატი და სინდისად წოდებული შუქი ყოველთვის იქნება იქ და უსასრულოდ აივსება და დაცარიელდება, სანამ ამ სამყაროს ბატონები და მსახურები დედები არიან.

- თავად თქვენ როგორი ურთიერთობა გაქვთ გეოგრაფიასთან და სოფლის ცხოვრების ეთნოგრაფიასთან?

- ძალიან მარტივი და, მგონი, სწორედ ისეთივე,

როგორც ჰაკობ მნძურის ჰქონდა.

- თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში საკუთარ ნმაკუტის „ფოტოგრაფი“ და „ესეისტი“ უწოდებდით ვალიარებ, ამან ძალიან გამოაცხა. რადგან, აზრით, მაინც არასოდეს ყოფილხართ ესეისტი თუნდაც მცირე რომანში „ჩვენ ვართ ჩვენი მთები“. მხოლოდ პირველი წაკითხვისას აღიქვამდა ველას, როგორც მსუბუქ მინიშნებას „იდილური“ ზნეობაზე, რომელიც თითქმის უპრალისტურებით აფიქსირებს „ქალაქსა“ და „სოფელს“ შორის არსებული „ზრთა სხვაობების“ ზოგიერთ მიზეზს. მეორედ წაკითხვით ვლინდება მკვეთრი სოციალური რომანი - ჰატარა, ფრაგმენტულ მაგრამ რომანი. ალეს ადამოვიჩმა მოლოდინო პროზის ერთ-ერთ დიკუსიაზე თქვა, რომ მოლოდინო ლიტერატურაში, ბელარუსულიდან განსხვავებით, „შეინარჩუნა თავისი მუყიკი“, როგორც პროტოტიპი და ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული ფენომენი: მის უკან არის ცხოვრების წესი და „ყაირათიანობის“ საშუალება. რომანი „ჩვენ ვართ ჩვენი მთები“ საქმარის სერიოზულ დონეზე განმარტავს, თუ როგორ სოციალური ცვლილებების შედეგად ქრება გლახი, როგორ იცვლება განსაკუთრებული „იდილური“ ტიპის ცნობიერება და თვითშეგნება და მეთანხმებით, რომ ყველაფერი აშკარად სცილდება ნარკვევის მოთხოვნებს, განურჩევლად გარისა, ლირიკული თუ დოკუმენტური... მეტი მაშინაც კი, როცა ნათლად ხედავ, რომ ორი განსხვავებული ტემპერამენტი ერთსა და იმავე ველწყაროზეა“ აგებული, მაინც გძნობ განსხვავებების მნიშვნელობას, ანუ იდეის სხვაობის რომელსაც ესა თუ ის პერსონაჟი ემსახურება თუ სანყის წერტილად ავიღებთ, ვთქვათ, საფუძვლიან სასიცოცხლო ფაქტს, არ შეიძლება არღვეთანხმობით ი. ზლოტოუსკის მტკიცებას, რომ მცირე ზომის რომანში „შემოდგომის მზე“ მოთხრობაში „შენი ტომი“ „იგივე დედაა“. როგორც შემთხვევაში მისი მამა არის იშხანი, ვაჟი იგივე ვაჟია და მთელი ტომი, რომლის შტოშიც შეიქმნის მოვონებები (და საყვედურები) ვრცელდება, იგივე შთამბავლობაა. „მაგრამ, ჩემი აზრით, წმინდა ბიოგრაფიული მსგავსების მიუხედავად, ანუ დოკუმენტურობის, ალუზიური ნიშნების დაძლევისა, სრულიად განსხვავებული ნამუშევრებია. „შემოდგომის მზე“ ოჯახური მცირე ზომის რომანია, ხოლო მოთხრობა „შენი მთი“ („ჯამბა ზების ჩვენი ტომი“), ერთი შეხედვით ესე ოჯახური ამბავი ჩანს, საკმაოდ საფუძველანად მიიჩნევა ბევრად უფრო მაღალი, ბევრ უფრო ზოგადი ბუნების გააზრებად და შეგნებად. და ეს, ბუნებრივია, არ შეიძლება არ განსახოს იმ ნაწარმოებების მთავარი გმირების სახებ ჩვენს აღქმებში.

- რა თქმა უნდა, ვიცი, რომ არც „ფოტოგრაფი“ ვარ და არც „რეპორტიორი“. და თუ საკუთარ ასე ვუნდობ, მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული ჩვენგანი, თქვენც

და ჩემი პატარა ვაჟიც, უკვე განზოგადდები ვართ, კაცობრიობის ნაყოფი და რომ ცხოვრება, როგორც ამბობენ, ბუნებრივი სახით, უკვე ლიტერატურაა. ასეთი სტრიქონები აქვს პარაფრაზი სევაკს. „შექსპირს დასცინის სიცოცხლე / თავისი ტრაგიკული დრამებით... / ჩვენ კი, მე და შენ... ხელოვნებას ვთამაშობთ / და... ისეთი დარწმუნებით / სერვანტესის გმირსაც რომ არ ჰქონია...“. მაგალითად, რა ვიცოდა ჩემი განზოგადების წიგნებიდან 1930-იანი წლების შიმშილის, კოლექტივიზაციის, ომის, ერევნის წყალდიდობის შესახებ. თითქოს ყველაფერი, მაგრამ არაფერი. ასე რომ, მოვლენების უცნაური განვითარებით, მე წავაწყდი ხელნაწერს, დურგალი ზაქიანის, ნახევრად განათლებული კაცის ჩანაწერებს. იმ ხელნაწერში ისეთი ნათელი დეტალები აღმოვაჩინე, რამაც ამ მოვლენების უშუალო მონაწილე გამხადა. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა ეპიზოდმა. ზაქიანის ოჯახი მრავალშვილიანი იყო და კოლმეურნეობამ მათ ციხეხალი საარსებო შემწეობა მისცა: ძროხა, ძროხა დაავადდა, სასწრაფოდ უნდა დაეკლათ, მაგრამ არავინ იყო. მამა სიკვდილის პირას იწვა, მეზობლისთვის ან ბიძისთვის უნდა ეთხოვათ. ხორცი გადარჩა, გაყიდეს, მხოლოდ თავი და ფეხები დაიტოვეს, რადგან ყველამ იცოდა, რომ მამა სიკვდილის პირას იყო, ქეღები უნდა გადაეხადათ.

ლიტერატურული რეპორტაჟი და მხატვრული ფოტოგრაფია გვასწავლის პატივი ვცეთ იმ ლიტერატურას, რომელსაც თავად ცხოვრება ქმნის პროფესიონალი მწერლების დახმარების გარეშე. მე ვერ ვიწყებ ჩემს საქმეს კონკრეტული ტემპერამენტის, კონკრეტული ბედის გარეშე. ორიგინალის გარეშე, ფიქტიურს ვერაფერს ვიგონებ. მამოძრავებელი სტიმულია საჭირო. დასაწყისი. მერე კი, როგორც ნესი, არაფერი რჩება პროტოტიპისგან.

- დიახ, მაგრამ თქვენი მკითხველი, რომელიც ამ დეტალებს არ იცნობს, თქვენს პერსონაჟებს, ძირითადად, ავტობიოგრაფიულად მიიჩნევს, ასეთია თქვენი „პირველი პირის“ ემოციური დარწმუნება...

- ალბათ. სიუჟეტი მართლაც ხშირად „პირველ პირში“ და „ავტორის“ სიტყვების ნაკადი, თვითმხილველის თხრობის ფორმა, ავრთიანებს ჩემს აზროვნებას, საუბარს, თხრობას. თავიდან, მართლა მეგონა, რომ ჩემი „პირველი პირი“ ჩემი „მე“ იქნებოდა. სხვანაირად გამოვიდა. ჩემ მიერ დაწერილი ნაწარმოებები, შესაძლოა, უკვე ჩაფიქრებულიც, მე - პიროვნულად, მაინც ვერ მიტყვეს. ამის განცდით, თამაში დაეტოვე როგორც „პირველმა პირმა“.

- თქვენს პროზაში ბევრი ბიოგრაფიაა?

- არის, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მწერლობა, ანუ ის, რაც შეიქმნა ნახაზის, შემოქმედის, მოსმენილის საფუძველზე, განსაკუთრებით, რომ გარდაქმნილი და შევსებული, გამდიდრებული და გაფართოებული წარმოსახვით, მაგრამ არის პირდაპირი ბიოგრაფიაც: ვთქვათ, სიმონს, ალუნის ქმარს („შემოდგომის მზე“) ბევრი რამ აქვს მამაჩემისგან.

ისევე როგორც იელიშეს, მამაჩემს ყოველთვის სურდა რალაციის ჩუქება ჩვენთვის, თავისი შვილებისთვის. ხელი მუდამ ჯიბისკენ მიჰქონდა, ჯიბე კი ცარიელი იყო... ბავშვობის სკივრიდანაა ასევე არაიკის დამოკიდებულება დედის მიმართ, ბავშვობიდან არიან ნითელ საცურაო კოსტუმებში გამონყოფილი გოგონები და მდინარე. მაგრამ ეს ყველაფერი ცალკეული დეტალებია, ფაქტები, გრძნობები და არა მთლიანობა მთელი თავისი სირთულითა და მასშტაბებით.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ თქვენთვის ყველაზე ძლიერი შემოქმედებითი იმპულსი სომხური ენის პოეზიაა...

- დიახ, არა მხოლოდ ენა, არამედ განსაკუთრებით ენის პოეზია. და სწორედ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ პოეტურ სისტემაში, რომელიც შეიქმნა სომხური ცის ქვეშ, უნდა ეძებო ყველა „დასასრული“ და ყველა „დასაწყისი“ ამ სამყაროში, ისეთივე რეალური, როგორც ფიზიკური სამყარო. ჩემი ხალხის ინდივიდუალურობამ სრული მხატვრული გამოხატულება პოვა ენაში. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ამ სამყაროში შეღწევა. თუმცა ეს მხოლოდ „ტაშკენტის“ წერისას გაგებდე, რომანის მთელი სივრცე „გადავაცი“ სოფლის კულუბს, სადაც კვამლის გარდა არაფერი ჩანს, სადაც მხოლოდ მოსმენა შეგიძლია.

გარდა ამისა, ენა პრაქტიკულად ხალხური მეხსიერების ყველაზე სრულყოფილი „რჩეულია“. და ხალხური მორალის. თუმანიანის ან პუშკინის სინდიკატის საიდუმლო იმამში მდგომარეობს, რომ მათ ეს გამოიცნეს თავიანთ თანამედროვეებზე ადრე.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ შემქმნელი გამეგო, რას გრძნობს ქვა, როცა მას მზე ტოვებს, რას ფიქრობს მარტოხელა მხსლის ხე... და ამის ისე დაწერა, რომ არა მხოლოდ ჩემთვის ყოფილიყო საინტერესო, არამედ სხვისთვისაც. ნელი პროზა გამოვიდა, იმდენად ნელი, რომ ამ სინელემ ჩემს ტემპერამენტთან კონფლიქტი დაიწყო. შევამჩნიე, რომ ხელნერა მიფუჭდებოდა, რომ წინ ვერ მივდიოდი, დავილაღე „მასალის ქვეცნობიერის“ გაცოცხლებით. და ახლა ეს ყველაფერი ისე მომეზურდა, რომ მოძრაობა მომენატრა.

ყველა მწერალს აქვს თავისი პატარა „საიდუმლოებები“, თვითგანკურნებისა და თვითგადარჩენის საშუალება. და აი, მეც საკუთარი თავისგან გადარჩენას ვცდილობდი და დედაჩემის მონათხრობს ჩავეჭიდე მამის შესახებ, რომლისგანაც მერე ჩემი იმხანი „შევექმენი“, თუ როგორ ესროლა ვიღაცამ საფლავის ქვაჯვრის უხეიდან. და ხალხური ენის სტიქიაში აღმოვჩნდი, ენობრივ ზღვაში ჩავიძირე, იმ მორევმა ჩამითრია და შორს წამიყვანა... რალაც ამის მსგავსი დამემართა, თუმცა ამის უფრო მარტივი ვერსია, შემოდგომის მზესთან“ მიმართებაში შემემთხვა. მაგრამ ორივე შემთხვევაში საფუძველი მონოლოგი იყო, მონოლოგში ერთი ხმა, ერთი ტიპის ლინგვისტური ცნობიერება ჭარბობდა. ხოლო „ტაშკენტში“ მრავალხმიანობა პრინციპულია.



- მე კი მგონია, რომ თქვენ მრავალხმიანობით დაიწყეთ, „ჩვენ ვართ, ჩვენი მთები“-ს გვეულისხმობ.

- რომ მოგესმინათ, თუ როგორ საუბრობენ ჩემი თანასოფლელები, დარწმუნებული ვარ, რომ ამ მრავალხმიანობის ჩანაწერი (იმ, ძველი რომანის დონეზე, არ მინდა ახლის განსჯა, ვგრძნობ, რომ ცხელია, არ ვიცი, გამოვიდა თუ არა) თქვენ ბუნდოვანი და გამოუთქმელი მოგჩვენებოდათ.

- რომდეა დიალექტზე საუბრობენ ნმაკუტში?

- ლორეს დიალექტზე, რომელიც დიდი ხნის წინ გახდა პანსომხური, რადგან ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ამ დიალექტზე წერდა ჩემი გენიალური თანამემამულე, პოვანეს თუმანიანი. მან თავისი რეგიონის ენა ლიტერატურულად აქცია, ამიტომ ენა, რომელიც ახლა ყველას საერთოა, წარმოშობით ლორელია, ისევე როგორც თუმანიანი... თუმცა პრობლემა დიალექტი არ არის, ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკა, თუმცა ეს ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არამედ თხრობის სიტყვათა წყობა - მისი გამა, ის, თუ რას უსვამს ხაზს მთხრობელი და რას უვლის გვერდს. როცა ვწერ, საშინლად მეშინია, რომ სტილიზაციის ცოდვას ავიკიდებ, არ ვილაპარაკებ არც ჩემს ენაზე და არც იმ ენაზე, რომლითაც საკუთარ თავს ველაპარაკებ. ამის მხოლოდ ქალაქის წინ არ მეშინია. მაგალითად, უცებ მამაჩემს რომ დავვლაპარაკებო და მის ენაზე რომ ავუბა ტონი, ეს კი არ დაგვაახლოებს, არამედ პირიქით, დაგვაშორებს. და ვიცი, რომ ამ დროს იფიქრებს: თუ ქალაქური პალტოთი და ხელთათმანებით ხარ, რატომაა შენი ენა „მეჯინიბის“? სხვათა შორის, თანამედროვე სიუჟეტები იმის გამოც არ მაკმაყოფილებს, რომ მათ სრულიად აკმაყოფილებს ენის მხოლოდ ერთი ნაწილი. ისინი ჩემში არ აღვიძებენ იმ დიდ სომხურს, რომელიც, თითქმის დარწმუნებული ვარ, ჩემი ქვეცნობიერის წიაღშია მიძალული, იქ სძინავს, დავიწყებულს და გამოუსადეგარს... ძალდატანებით იქ ვერ შევალწევ. მხოლოდ დიდ დაბრკოლებას, დიდ საჭიროებას შეუძლია ამ საიდუმლოების გახსნა. მხოლოდ მას შეუძლია ენობრივი მეხსიერების შემკვიდრებითი საწყობების გახსნა. მეხსიერება ზოგადად უცნაური რამ არის. თითქოს ბევრი ისეთი რამ მახსოვს, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამახსოვრებოდა. მაგალითად, მეზობლის შავი კატა - ამღვრეული და ბოროტი თვალებით. უიმედო ნაძირალა უნდა ყოფილიყო, რადგან ხშირად სცემდნენ, ხან მამაჩემი, ხან უმცროსი ბიძა. ის კატა გაქრა, სანამ ერთი წლის გავხდებოდი. ომი კი წმინდა ემოციურად მახსენდება, დეტალების გარეშე: წითელი გვალვა, სიცივე და შიმშილი. მაგრამ ესეც - და საერთოდ ყველაფერი, რაც მე, როგორც ირკვევა, მახსოვს - ჩემში უთქმელად რჩება, სანამ ცარიელ ფურცელთან არ განვმარტოვებდი. სწორედ აქ მერთვება მეხსიერება, ისე უბრალოდ არ მუშაობს...

- ძველი სომხური უპამათლმწერლობა არის წყაროები, რომლებიც სცილდება ლიტერატურის ფარგლებს. რით შეუწყო ხელი თქვენმა თა-

ნამოკალმეთა ძალისხმევამ თქვენს ძიებას?

- სომხური პოეზიის გარეშე, ქუჩაკითხა და ნაკაცით დაწყებული, ჰამო საპიანით დამთავრებული ჩემს პროზას დღევანდელი სახე არ ექნებოდა.

- აქ გამოჩნდა კლის არ წარმოადგენთ. ახლა ქართულმა პროზამ ალბათ ასე სწრაფად იმპროვიზაცია იპოვა საკუთარი თავი, რომ არჩვეულ რივი ფევეტურობით შემოიტანა ქართული პოეზიის გამოცდილება. ვფიქრობ, რუსული პროზა ბევრ სიახლეს მსგავსი წარმოშობა აქვს. ამიტომ მეტი სიზუსტეა სასურველი.

- ჩარენცს ვუმაღლი, ჩემს, თუ შეიძლება ითქვას, პრინციპულ დემოკრატიას. ზუსტად მიძლია ვთქვა, რა მომცა აქსელ ბაკუნცმა. მისი ლია დავასახლო ბაკუნცის კონკრეტული ნაწილი მოვებო, რომლებმაც პირდაპირი გავლენა მოახდინეს ჩემზე. „მირჰავი“, „პროვინციის დაისი“, „რა თქმა უნდა“, „მორჩილი გოგონა“. ბაკუნცი სომხეთში მკითხველს მხოლოდ 1956 წლის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ უფრო ადრე, 1952 წელს, მისი თარგმანი გავიცინა, უფრო სწორად - მისი ლიტერატურული ხელწერი, ისე ნავიკითხე „ტარას ბულბული“ რომ არ ვიცოდი, ვინ იყო მთარგმნელი. რა ზოგად იყო, ენის ნამდვილი დღესასწაული! დიდ სიმბოლოვან რაღათა შორის ბაკუნცმა პირველმა მისცა თუთი გამოხატვა ხალხის უფრად დარჩენილ ნაწილს ხმის უფლება გადასცა შუამავლებს, რომლებმაც ქალაქსა და მსოფლიოს უამბეს უფრთა შესახებ. ბაკუნცმა უარყო „შესახებ“, ის წერდა არა ხალხს არამედ ხალხისგან. ვცდილობდი შიგნიდან ყოველის პრინციპი გამეფრცველებინა, რამდენადაც ჩემს შესაძლებლობებში იყო, ორგანული და არა ორგანული სამყაროს მიუღ არეულზე. ეს სინამდვილე არა ხეზე, არამედ ხის შიგნიდან წერას, არცხენზე, არამედ ცხენის შიგნიდან.

- როგორი დამოკიდებულება გაქვთ კრიტიკასთან? როგორი ფიქრობთ, ვისთვის არის კრიტიკა?

- კრიტიკა მათთვისაა, ვისთვისაც ის ლიტერატურაა. კრიტიკა არის ჩვენი დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. და ის თანაბარ გავლენას ახდენს მკითხველისა და მწერლის ურთიერთობებზე ყველაფერი განუყოფლად არის დაკავშირებული ლიტერატურას შემოქმედებისთვის განსაკუთრებული, ხელსაყრელი გარემო სჭირდება, კრიტიკის ლიტერატურული გარემოს შექმნას უნდა ეხებოდეს. მიხარია, როცა ვხედავ, რომ ჩემი კრიტიკოსები ჩემზე ჭკვიანები არიან, ფიქრობენ ჩემსავით, უფრო სწორად, იმავე მიმართულებით, როგორც მე. იყურებიან იმავე მიმართულებით, მაგრამ უფრო შორს და ჩვენ ერთად ვაკეთებთ ერთსა და იმავეს, ასე რომ, პრობლემა არ არის კრიტიკის გაცივებით, მე ყოველთვის არ ვიყენებ საკუთარ განცხადებებს, არამედ მაქვს ვულნერფელი სურვილი და მესმარონ ისეთ მარტოხელა საქმეში, როგორც შემოქმედება.

ინტერვიუ ჩანერა ალა მარჩენკო

ის, რაც ენაში არ ეტევა

ინტერვიუ ვიოლეტ გრიგორიანთან

ესაუბრა და შესავალი დაურთო დიანა ანფიმიადმა

ვიოლეტ გრიგორიანი თანამედროვე სომხური პოეზიის ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება ითქვას, ვარსკვლავური სახეა, მრავალი პრემიის ლაურეატი, მკითხველის საყვარელი პოეტი, ერთგვარად, თაობის სახე. მის შესახებ ბევრს წერს სომხური ლიტერატურული პრესა:

„მისი ლიტერატურული ენა ჰარმონიულად მოიცავს სხვადასხვა ლექსიკურ ფენებს: სამეცნიერო, სასაუბრო და თუნდაც ჟარგონს. მის პოეზიაში იჭრება რამდენიმე არაპოეტური სტილი: კრების დღის წესრიგი, სატელევიზიო განცხადება, სივარეტის კოლოფის წარწერა და ა.შ. ვიოლეტ გრიგორიანი ამ ენობრივი „რეალიზმი“ ადასტურებს თავის პოეტურ პიროვნებას. „ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტებას ვამბობ“ კრებულის ავტორი სომხური პოეზიის მრავალწლიანი ისტორიის ლირსული მემკვიდრეა“.

რამდენიმე წლის წინ, როცა ასია დარბინიანმა ლიტერატურული რედაქტირებისა თუ „გალექსებისთვის“ ვიოლეტ გრიგორიანის ლექსის პნკარედი გამომიგზავნა, ვიფიქრე, რომ ამ ტექსტის „მოქართულება“ ძალიან რთული საქმე იქნებოდა. ასეც აღმოჩნდა, ეს იყო რთული და, ამავე დროს, ძალიან საინტერესო პროცესი.

ვიოლეტ გრიგორიანი ძალიან საინტერესო პოეტიცა, ენობრივად რთული და მრავალფეროვანი. მისი ტექსტებისათვის დამახასიათებელია ურთულესი ლექსიკა, ძველი და ახალი სომხური ენის წესებით თამაში, სრულიად განსაკუთრებული, უნიკალური სიტყვათნარმოება, ახალი სიტყვაფორმები, რისთვისაც ქართულ თარგმანში ახალი სიტყვა-კომპოზიციების მოფიქრება დაგვჭირდა, სხვადასხვა დროის ენის გამოსახატავად გამოვიყენეთ ქართული ლიტერატურული თარგმანის სხვადასხვა ეტაპი, ძველი და ახალი ქართულის სინტაქსი.

გრიგორიანის პოეზიის ენისთვის დამახასიათებელია სომხური ენის სხვადასხვა პერიოდის ფორმების გამოყენება. ქართულ ვერსიაში ამ ენობრივი თამაშისთვის გამოდგა თანამედროვე პოეზიის, ჟარგონის, კლასიკური ხანის პოეზიის (ბესიკი) და მეცხრამეტე საუკუნის თარგმანის ენისა (მაჩაბლის შექსპირი) და ენობრივი მეტაფორები, მთანმინდელეების ნათარგმნი ბიბლია, საღვთო წერილის ზურაბ კიკნაძისეული ვერსია და სხვა.

ვიოლეტ გრიგორიანის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სიტყვაშემოქმედებაა, ის, გარდა იმისა, რომ საინტერესო კომპოზიციებს ქმნის, ახალ სიტყვებსაც იგონებს, დერივაციული მარკერების საშუალებით გამოხატავს ლინგვისტურ, მეტალინგვისტურ და პარალინგვისტურ ნიუანსებს. სიტყვაქმნადობა ქართულშიც შევინარჩუნეთ, მივიღეთ ფორმები: „ვილერნამსალამურებ“, „ლერნმულს არ ვფლობ“, „თავფეხშიშველი“, „ნახევარსტრიკონი“ „მეგობარიკო“, „მთხრობელი-კო ლერნამი“ „ლერნამვიოლეთი“, ასევე, ფონეტიკური, ხმაბაძვით ჩანართები „თხკ-თხკ“ (კოდალას ხმა), „ზგნ ზგნ“ (ზარი).

სინტაქსური თავისებურება, ფონეტიკური თამაშები, ერთგვარი ენობრივი „გახსნილობა“, ლიბოა თუ სითამამე, მრავალწრიანი მეტაფორა და უნიკალური ენობრივი ქსოვილი ვიოლეტ გრიგორიანს თანამედროვე სომხური პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ, საინტერესო და მკვეთრ სახედ აქცევს.

„არილის“ პუბლიკაციისთვის ვიოლეტს რამდენიმე კითხვა დავუსვით. ინტერვიუს წარმოგიდგინებ მისი პოემის, „სიყვარულის“ ერთ-ერთი თავის თარგმანთან ერთად.

დიანა ანფიმიადი

- ყველაზე მარტივი და რთული კითხვა მინდა დაგისვა, როგორი პოეზია გიყვარს?

- ჰმ, ამ კითხვაზე ჩემს თავსაც კი არ ვპასუხობ, რადგან სხვადასხვანაირი პოეზია მომწონს. შემეძლია ვთქვა, რომ მიყვარს მნიშვნელოვანი პოეზია. საბედნიეროდ, ძალიან გამიმართლა და სწორად მიწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებაზე და ხშირად შემინიშნავს, რომ პოეზია თითქოს ვინრო პროფესიულ პრაქტიკაში გადაიზარდა. ადამიანთა ერთი ჯგუფი წერს, ერთი ჯგუფი კი სპეცია-

ლურად განსაზღვრულ გარემოში - უნივერსიტეტებსა და ლიტერატურულ ღონისძიებებზე კითხულობს. ეს პოეზია კარგი პოეზიაა, მაგრამ ეს კარგი ჩემს თვალში ცუდია, არ მომწონს. ლექსი, რომელშიც ყველაფრის „სწორი“ დოზაა, რომელიც თითქოს წიგნის რეცეპტის მიხედვითაა დაწერილი (მაგალითად, 200 გრამი ლიტერატურული ტექნიკა და უნარი, 250 გრამი ნატიფი და ღრმა გრძნობები, 150 გრამი იუმორი და ერუდიცია, 150 გრამი დრამა, 250 გრამი კარგ-კარგი აზრები, ნახევარი კილოგრამი ჰუმანიზმი, 125 გრამი



თანამედროვე ცხოვრების ნიშნები და ტერმინები, 200 გრამი ექსკლუზიური აღიარება), მაგრამ „გამომცხვარი“ არა როგორც სასიცოცხლო საკვები, არამედ სადილის შემდეგ მისართმევი დესერტი. ის ჩემთვის მხოლოდ სუროგატია საშუალო კლასის კულტურული მადისთვის, სოციალურ ქსელებში რომ დაწეროს: დღეს 5 ლექსი ნაკითხვით, კარგი იყო.

ჩემთვის პოეზია და ლიტერატურა პროფესია არ არის, ეს არის ადამიანის ინტელექტუალური და ეთიკური საქმიანობის ერთ-ერთი უმაღლესი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების გზების, რეალობის, სამყაროების შექმნას. და ეს უნდა იყოს ფასეული, მნიშვნელოვანი. მით უმეტეს ახლა, როცა მსოფლიო ყოველდღიურად იცვლება. ჩემთვის პოეზიის შესახებ ყველაზე აქტუალური კითხვა არის, თუ როგორი შეიძლება იყოს ის დღეს, საყოველთაო სტიქიების, ომებისა და დანაკარგების პირობებში. და თუ მას მხოლოდ რაღაც ჰუმანისტური სწრაფვა აქვს, მიზნად კი რაღაც ფსიქოლოგიური, თერაპიული როლის მორგება, მხიარული ენობრივი თამაშები... მაშინ ის დამარცხებულია, რადგან ამ ყველაფრისთვის ბევრი სხვა და უფრო ეფექტური საშუალება არსებობს. კიდევ შემოიღია დავამატო, რომ სტიქიაში მცხოვრები ადამიანისთვის ფარსი, სიცრუე უფრო აუტანელი ხდება, ფიზიკურ ზიზღს ვგრძნობ თუ ამას პოეზიაში ვხედავ.

- რას ნიშნავს სომხურ ენაზე წერა? გულისხმობს იმ მოცემულობას თუ გამონკვევას, რომელსაც ის ენა გვთავაზობს, რომელზეც ვწერთ. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ სრულიად სხვა პოეტი ვიქნებოდი, რომელიმე უფრო მარტივი სინტაქსის ენაზე რომ ვწერდე. შენ როგორ ფიქრობ?

- ძალიან საინტერესო კითხვაა, რომელიც თითქოს გვიჩვენებს, რომ ჩვენ არ ვწერთ ლექსს, არამედ ლექსი თავისთავად იწერება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ლექსის საშუალებით ხსნის თავის ფარულ შესაძლებლობებს, მწერალი კი უზარალოდ მისი გამოვლინების საშუალებაა, ლაბორატორია. განსხვავებულობა უნიკალური შესაძლებლობაა, თავი დააღწიო საკუთარ თავს, შენ ჩარჩოებს. ყველა ენა გვთავაზობს ამ შესაძლებლობას, უზარალოდ, ხშირად ამისთვის ბევრი, ზოგჯერ ყველაფრის გაღება გინევს. ყველას არ აქვს იმის გამბედაობა, უცნობი და გაურკვეველი სახლის გამო დაკარგოს ის, რაც აქვს.

ვინაიდან სხვადასხვა ენობრივი ექსპერიმენტებით ვწერ სხვადასხვა ტიპის ლექსებს, სომხურს სინტაქსის „გალიად“ არ აღვიქვამ. ეს არის ჩემი წყალი, სადაც იმდენს ვცურავ, სანამ არ დავიხრჩობი. გამონკვევები იზიდავს ენის დაშლასა და ხელახლა შეკრების ცდუნებას, მაგრამ ეს არ არის თვითგამიზნული თამაში, არამედ ფორმების ისეთი აღმოჩენა, რომელიც თავისთავად ქმნის



შინაარსს. მე თავს სხვა „გალიაში“ ვგრძნობ, რაც სომხურია, ზოგადად, როგორც რამდენიმე მოლაპარაკის ენა მილიარდობით სხვა ენაზე მოლაპარაკე სამყაროში. ოღონდ წარუმატებლობად არ მიმაჩნია, პირიქით, მათავისუფლებს არაცნობიერი სურვილისგან, რომ ვასიაშოვნო ბევრ მკითხველს. ცნობილმა დიასპორელმა სომეხმა ინტელექტუალმა, მარკ ნშანიანმა, რომელმაც წლების წინ დაწერა სტატია ჩემს ლექსებზე, ერთხელ მითხრა: შენ განწირული ხარ, სხვა ენაზე მკითხველთათვის ნაუკითხავად დარჩენისთვის, შესაძლოა ასი წლის შემდეგ კარგი მთარგმნელი გამოჩნდეს, რომელიც შენს ლექსებს სხვა ენაზე ალაპარაკებს, შეიძლება არც კი გამოჩნდეს. მიხარია, რომ, ქართველი მკითხველის დამოკიდებულებით თუ ვიმსჯელებთ, შენი და ასია თანამშრომლობით ჩემი ლექსების თარგმანებმა დიდი მონწილევა დაიმსახურა.

- შენს პოეზიაში ბევრი გამოგონილი, შექმნილი სიტყვაა, ერთგვარი ვოლექტივები და ვარქვი, რატომ დაგჭირდა სიტყვების გამოგონება? არსებული ენის ლექსიკონი არაა საკმარისი?

- ყველა ადამიანი იკონებს სიტყვებს, განსაკუთრებით ბავშვებთან, საყვარელ ადამიანებთან, ცხოველებთან, მტრებთან საუბრისას. მე უბრალოდ ვწერ ჩემს გამოგონილ სიტყვებს. როგორ შეიძლება ლექსიკონის სიტყვებით, რომლებიც ყველას კუთვნილებდა, უთხრა შენი განსაკუთრებული, უნიკალური, ყველაზე პირადი და საიდუმლო სიტყვა შენს გამორჩეულ, უნიკალურ, საყვარელ ფისოს, კაცს, ქალს? როგორ შეიძლება დაწყველო შენი საძულველი მტერი იმ სიტყვებით, რომლებსაც ყველა იყენებს? ისინი იმსახურებენ საგანგებოდ მათთვის შეთხზულ სიყვარულისა და სიძულვილის სიტყვებს.

- რა არის ის მთავარი ნიშანი, რითაც სომხურ და კონკრეტულად, თანამედროვე სომხურ პოეზიას დაახასიათებ? როგორია სომხური პოეზიის მთავარი ხაზი? ჩვენ სულ ვამბობთ, რომ ქართული ლიტერატურის ძირითადი, მთავარი ფორმა პოეზიაა, როგორაა სომხურის შემთხვევაში?

- ჩვენც ხშირად მივიჩნევთ პოეზიას სომხური ლიტერატურის ძრავად, თუმცა, როგორც მთელ მსოფლიოში, ახლა უფრო მეტ პროზას ვკითხულობთ. მიჭირს მთავარი ხაზის აღნიშვნა, ასეთი განზოგადებისთვის საჭიროა კვლევა, რომელმაც, პირიქით, შეიძლება გამოავლინოს მეტი რღვევა, ბევრი შიშველი ფეხი, რომელთაც ერთი და იგივე საბანი ვერ მალავს. მაგრამ თუ ეპოციურ დონეზე ვიტყვი, სომხური პოეზია თითქოს უზარმაზარ მარტოობაშია დატყვევებული და ამ მარტოობიდან იზადება მისი დიდი სიყვარულის მოთხოვნილება. შემეიყვარეთო, აშბობს თანამედროვე სომხური პოეზია, მე ვარ, თუმცა თქვენ ვერ მხედავთ.

- მთავარი ნიშანი თუ განსხვავება, რაც სომეხი პოეტი ქალების პოეზიაში შევამჩნიე, მაგალითად, თანამედროვე ქართველი ქალი პოეტებისგან განსხვავებით, ერთგვარი გახსნილობა, შეიძლება მეტისმეტი ლიაობაცაა, სხეულს, სექსუალობას ვგულისხმობ. როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლება ასეთი განსხვავება იყოს?

- საინტერესო დაკვირვებაა, არ ვიცოდი ასეთი სხვაობის შესახებ.

არ განვაზოგადებდი სომეხ მწერალ ქალთა მახასიათებელს, რომელიც ერთი და იმავე ტენდენციის ნიშნად ახსენეთ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ნიშნავს აჯანყებას ტრადიციული სომეხი ქალის სტერეოტიპის წინააღმდეგ (ასეთი აჯანყებისკენ მისწრაფება, სამწუხაროდ, მიუთითებს იმაზე, რომ მე-20-ე საუკუნის დასაწყისის დიდი ემანსიპაციის მოძრაობების შემდეგ მოხდა პრემოდერნისადმი გარკვეული დაბრუნება), სხვა შემთხვევებში, ბუნებრივი გამოხატულებაა. ისე, თუ მამრობითი, მამაკაცური არსებობს პოეზიაში, ქალის სექსუალობის არარსებობა ნიშნავს ადამიანთა დიდი ჯგუფის არარსებობას. ზოგიერთ შემთხვევაში, ასე წარმომიდგენია ლიბერალური ფემინისტური პრინციპებისადმი ერთგულება, რომელიც შეიძლება იყოს წარმატებული, თუ ის ხელოვნური კი არ იქნება, ცხოვრებისეული გამოცდილებით, კულტურის ცოდნით და პოეზიის შეცნობით ისაზრდოებს.

სწორი იქნება ჩემს ნაწერებზე თუ ვილაპარაკებ: სექსუალობა ჩემს ლექსებში პოლიტიკურია ამ სიტყვის ფართო გაგებით. ის ყოველთვის თამაშდება კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტში, აერთიანებს სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ თემებს.


მაგალითად, ჩემს ლექსში „პარემის ვარდი“ ქალის სექსუალობა განასახიერებს ჩადრში დამალული მუსლიმი ტერორისტი ქალის სტერეოტიპს, როგორც თეთრი დასავლელი კაცის ფობიას, რომელიც აღმოსავლეთს ქალის მსგავს გაუგებარ საიდუმლოდ აღიქვამს: რას მალავს ჩადრის ქვეშ, საშოს თუ ბომბს? მისთვის გაუგებარია, მაგრამ ორივე ერთნაირად აშინებს.

- ვისთვის წერ? მკითხველზე ფიქრობ წერილს? მკითხველის რომელიმე ტიპი წარმოგიდგენია?

- უკვე რამდენიმე წელია მკითხველზე საერთოდ არ ვფიქრობ. მე და სომხური ენა ვართ, რომ ვეფერებით ერთმანეთს და ვცემთ, სანამ ორივე არ დავიღლებით ან ძალა არ გამოგველევა. გარკვეული მომენტის შემდეგ შენ აღარ წერ, თუ, რა თქმა უნდა, შეგიძლია აღარ წერო. უნდა შეძლო საკუთარი თავის, ეგოს მოთოკვა, თავისთავად რომ დაინეროს, რადგან ხელოვნების ყველა ნაწარმოები სუბიექტურად იწყება, მაგრამ უნდა შეძლო მისი ობიექტურად დასრულება, როგორც რაღაც, რაც შენ გარეთ, შენგან დამოუკიდებელი კანონებითა და წესებით არსებობს.

თანამედროვე სომხური პროზა ენის და თემების ძიებაში

ინტერვიუ არმენ ოჰანიანთან



სომეხი პროზაიკოსი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არმენ ოჰანიანი დაიბადა 1979 წელს მისი ლიტერატურული ფსევდონიმია - არმენ ჰაიასტანცი. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ასევე ერევნის ამერიკული უნივერსიტეტის მთარგმნელობითი სკოლა. იგი არის მოთხრობების კრებულის „კიკოსის დაბრუნება“ და ტრილოგიის „მაირენიქ“ ავტორი. არმენ ოჰანიანი თანამედროვე სომხური პროზის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია. მას განუწყვეტელი შემოქმედება ნიშნავს სომხურ პროზაში, როგორც თემატურად, მაგალითად, ტაბუების დარღვევით და ლგბტ ადამიანების საკითხების წამოჭრით, ასევე ლიტერატურული ექსპერიმენტების თვალსაზრისით, არღვევს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ნორმებს. 2010-იანი წლების დასაწყისში მან აღიარება მოიპოვა თავისი ინტერაქტიული მოთხრობებით, სადაც კითხვის გამოცდილება თამაშად იქცეოდა, მისი ზოგიერთი თამაში-მოთხრობა ასევე შევიდა 2012 წელს მოთხრობების კრებულში „კიკოსის დაბრუნება“, რომელიც ბესტსელერად იქცა.

არმენ ოჰანიანი ასევე არის მთარგმნელი, 2020 წელს გამოიცა მის მიერ თარგმნილი მაიკლ კანინგემის კრებული „ველური გედი და სხვა ზღაპრები“. არმენმა საბავშვო მწერლადაც მოხიზჯა ძალები, 2022 წელს გამოიცა მისი პირველი საბავშვო წიგნი „უნო, ბენო და თავისუფლების ფრთები“, თანაავტორის - პარუთიუნ თუმალიანის ილუსტრაციებით. იგი ასევე არის არაერთი პიესისა და ერთი ანიმაციის სცენარის ავტორი.

არმენ ოჰანიანი ასევე ცნობილია თავისი საზოგადოებრივი აქტივიზმით, ის ამჟამად არის PEN სომხეთის პრეზიდენტი, ასევე Transperance International სომხეთის საბჭოს პრეზიდენტი და ადამიანის უფლებათა სახლის ერევნის საბჭოს წევრი.

„კიკოსის დაბრუნება“ ცნობილი სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჰოვანეს თუმანიანის „კიკოსის სიკვდილი“ ზღაპრის ალუზიაა.

არმენ ოჰანიანის „კიკოსის დაბრუნება“ პირველად ჟურნალ „არმალანი“ (2019 წ.) დაიბეჭდა.

ესაუბრა ეკა ქვეანიშვილი

- არმენ, როგორ დაახასიათებდით ლიტერატურულ პროცესს სომხეთში - განსაკუთრებით მაინტერესებს, რა ხდება თანამედროვე სომხურ პროზაში?

- ჩემი აზრით, თანამედროვე სომხური ლიტერატურა დღეს თემების, ამბების და ენის ძიების პროცესშია. სომხური პროზისთვის დღეს რაღაც ახლის მოხელთების მცდელობის აქტიური პერიოდია, რადგან აქამდე თითქოს ეს პროცესი ჩიხში იყო შესული.

ამ სფეროში ცენზურა არ გვაქვს და გამოხატვის თავისუფლებაც არსებობს - რაც გინდა, დანერგე, თუმცა, ცხადია, სხვა საკითხია, რამდენად წარმატებულია ის, რაც იბეჭდება. შეზღუდვით კი მწერლებს არაფერია ზღუდავს.

თუმცა ჩვენი საზოგადოება, ალბათ, ისევე როგორც საქართველოში, საკმაოდ ტრადიციულია და არსებობს თემები, რომლებზე წერაც და წიგნის სახით წარდგენა, დღესაც არ არის მარტივი. წარმომადგენელია, რა მოხდება, ვინმემ რამე დადებითი კონტექსტში რომ დანეროს თურქებზე ან თურქი გმირის პერსპექტივიდან - ამას საზოგადოება არ მიიღებს.

სულ ვფიქრობდი, რომ აზერბაიჯანს, სადაც დღეს ცენზურაც არსებობს და, საერთოდ, დიქტატორული მმართველობაა, ჰყავს მწერალი აქრამ აილისლი, რომელმაც დანერა წიგნი, სადაც სომეხები დადებით კონტექსტში არიან მოხსენიებულნი. მას, მართალია, შინა პატიმრობა მიუსაჯეს და დღემდე ასეა, თუმცა თავად წიგნი მაშინვე ითარგმნა სომხურად. ასეთი ავტორები ჩვენ დღეს არ გვყავს.

ჩემი აზრით, დღეს სომხური ლიტერატურა ძალიან არმინოცენტრულია. შეიძლება ამის მიზეზი ისიც არის, რომ მისი ენა - სომხურია, ქვეყანა ძალიან მონოეთნიკურია, საზოგადოების მოთხოვნაც საკმაოდ ტრადიციულია - ხალხი ელის ამბებს ისე

სომხეთზე, სომხურ ამბებს. თუმც კი გყავს ახალგაზრდა ავტორები, რომლებიც ცდილობენ გაარღვიონ ეს ზღვარი. ზოგი ასეთი მწერალი დღეს ქვეყნის გარეთ ცხოვრობს და წერს, მაგრამ მათი ნიგნები სომხეთში არ არის პოპულარული.

ერთი დადებითი ტენდენცია, რაც ბოლო დროს შეინიშნება, მეტი პროზაიკოსი ქალის გამოჩენაა, რომლებიც წერენ კარგ რომანებს. მაგალითად, ასეთია ანა დავითიანის რომანი „ხანა“, ჩემი აზრით, ძალიან კარგი ნაწარმოებია, რომელიც მკითხველმაც დადებითად მიიღო. ქალი ავტორები წარსულშიც გვყავდა, ცხადია, თუმცა მათი რიცხვი იზრდება და წიგნის მაღალი თაროებზეც სულ უფრო მეტი ქალი მწერლის წიგნს შეხვდებით.

- სომხეთშიც რომანის უნარი უფრო პოპულარულია, ვიდრე, მაგალითად, მცირე პროზა, მოთხრობების კრებულები?

- ვერ ვიტყვოდი ასე. პირიქით, სომეხი მკითხველი რატომღაც უფრო სწყალობს მცირე პროზის უნარს. ზოგი ამბობს, რომ ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქვეყანაც პატარაა, პატარა რამეები უფრო გვიხიდავს. 700 გვერდიანი რომანები ჩვენთან ძალიან იშვიათია. თუმცა ხანდახან ჩვენთანაც იწერება ე. წ. საოჯახო საგები. როცა რამდენიმე თაობის ამბავია მოთხრობილი. ასი წლის განმავლობაში მიმდინარე ამბები, მაგალითად, სუსანა ჰარუთუნიანის ახალი რომანი „ანდრანიკის ცხენი“, რომელშიც ამბავი მეოცე საუკუნეში იწყება და კოვიდის პერიოდამდე გრძელდება.

კიდევ ერთი ტრენდი, რომელსაც თანამედროვე სომხურ პროზაში გამოყოფდ, არის ის, რომ ავტორები სულ უფრო ხშირად ცდილობენ წარსულზე რეფლექსიას და რალაცნაირად მთელი ეპოქის შეჯამებას - ეხებიან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდს, დამოუკიდებლობის პერიოდს. ყველას აქვს შეგრძნება, რომ მომავალში რაღაც განსაკუთრე-



ბული უნდა მოხდეს, რომ მომავლის სომხეთი სულ სხვა ქვეყანა იქნება. დაბოლოს, მეტაფორულად რომ ვთქვათ, დღეს ლიტერატურა არის პოზიციაში, როცა შიშველი ხარ, ახალი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა, მაგრამ არ იცი - რომელი.

- საბჭოთა წარსულის გააზრების მცდელობები თუ ჩანს სომხურ ლიტერატურაში, თუ წერენ იმ ეპოქაზე? თუ არა, მაშინ რა არის თანამედროვე სომხური პროზის „მთავარი თემა“?

- სომხური ლიტერატურის ყველაზე აქტუალური თემა, ალბათ, მაინც ომია. ბევრი იწერება ომზე და ეს ბუნებრივიცაა, ომის შემდგომი უამრავი ტრავმა არსებობს, ახლაც, ფაქტობრივად, ომის ვითარებაა და მწერლებს სურთ რეაქცია ჰქონდეთ აქტუალურ თემებზე. ვერ ვიტყვი, რომ შედეგები იწერება, მაგრამ განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორები ინტერესდებიან ამით და ცდილობენ დასვან შეკითხვები. რა მოხდა. რა ხდება. ზოგი სათქმელს დოკუმენტური პროზის ფანრში ამბობს, ზოგი სრულად მხატვრული ტექსტის ფორმას ამჯობინებს. ხანდახან ძალიან შაბლონურ ტექსტებსაც ვხვდებით, მაგრამ მთავარი მაინც ის მგონია, რომ ავტორები არიან პასუხების ძიებაში.

რაც შეეხება საბჭოთა წარსულს - ეს ტენდენციაც იყო სომხურ ლიტერატურაში, ისევე როგორც 90-იან წლებზე წერის ტალღაც.

- ბესტსელერები თუ იწერება და თუ კი, როგორი წიგნი ხდება პოპულარული სომხეთში?

- ყოველთვის სასაცილოა ბესტსელერზე ლაპარაკი სომხურ რეალობაში, წიგნის ასეთ მცირე ბაზარზე. რამდენიმე ასეული წიგნის გაყიდვა უკვე ნიშნავს ხოლმე, რომ წიგნი ბესტსელერია, მაგრამ ცხადია, ჩვენებურ ბესტსელერს არაფერი აქვს საერთო საერთაშორისო ბესტსელერებთან. თუმცა მაინც გვაქვს პოპულარული წიგნები, არსებობენ პოპულარული ავტორებიც, რომელთა ცნობადობაზე გამოძიებები ზრუნავენ ხოლმე. როგორც ნესი, ამ გამოძიებებს აქვთ წიგნის მალაზიებიც და ახალი წიგნის დაბეჭდვიდან მის გაყიდვამდე მთელი პროცესი მათ ხელში გადის - რაც დიდია გამოძიებლობა, რესურსიც მეტი აქვს და ეს, ცხადია, სხვა ავტორებს არათანაბარ პირობებში აყენებს. წიგნის ბაზარზე ეს პრობლემა არსებობს.

- ზემოთ რამდენიმე თანამედროვე ავტორი ახსენეთ. მაინც რომ გვითხრათ იმ მწერლების სახელები, ვინც თანამედროვე სომხურ პროზაში გამოჩნეულად მიგაჩნიათ?

- ანა დავითიანი უკვე ვახსენე. ასევე უნდა ვახსენო **ლუსინე ვაიაჩიანი**, რომელიც ახლა აღარ წერს, ის საფრანგეთში წავიდა საცხოვრებლად, თუმცა ძალიან კარგი რომანი დაწერა - „ბალაგო“. ეს იყო პირველი რომანი სომხურ ლიტერატურაში, სადაც ქალი ღიად ჰყვებოდა სხეულზე, სექსუალობაზე და თან მთელი ეპოქის სურათს აღწერდა. ასე 90-იანი წლების პერიოდის ამგები არავის მოუყოლია. **სუსანა ჰარუთუნიანიც** უნდა ვახსენოთ, ის უფრო ტრადიციული სტილის ავტორია, მაგრამ ძალიან ძლიერი. **არამ პაჩიანი** - ასევე ერთ-ერთი წარმატებული სომეხი ავტორია, რომელმაც მიიღო

ევროკავშირის ლიტერატურული პრემია. **პრამ რიბეკიანი**, რომელიც ასევე გამორჩეული ავტორია. თან, ეს მწერლები არიან ძალიან კარგი მკითხველებიც... **ჰამბარცუმ ჰამბარცუმიანი**ა საინტერესო ავტორი - ის მცირე პროზას წერს. ასევე, **ვარამ მარტიროსიანი**. მისი რომანებიც გამორჩეულია. **არფი ვოსკანიანი**, პოეტი და პროზაიკოსი **სარქის ჰოვსეფიანი**, რომელმაც დაწერა რომანი „სიმშივიდე“... კიდევ მეტის ჩამოთვლაც შეიძლება.

- ლიტერატურული პრემიები თუ არსებობს სომხეთში და როგორ განსაზღვრავს ისინი ლიტერატურულ პროცესს?

- ბევრი ლიტერატურული პრემია გვაქვს, მაგრამ არც ერთია ისეთი, როგორიც მაგალითად თქვენს ქვეყანაში „საბა“ - თუ შევადარებთ, ეს არის სახელმწიფო პრემიები. კერძო პრემიებიც გვაქვს, მაგრამ, როგორც ნესი, ეს არის პრემიები, რომელთაც ერთ კონკრეტულ ნრეში გადასცემენ ერთმანეთს. ჩვენთან დაყოფილია ლიტერატურული ნრე ერთგვარ კლანებად და ეს ჯილდოებიც ამ კლანებში ნაწილდება. ან ისეც ხდება, რომ პრემიას რაღაც სოციალური შინაარს აქვს - ამა და ამ მწერალს დედა უყვდება ან სიმსივნე აქვს და ამ მიზეზით გადასცემენ ხოლმე. ცხადია, ეს არ არის ლიტერატურის შეფასება. მოკლედ, სომხეთში ჯერ არ არის ასეთი პრემია, რომელიც ლიტერატურულ პროცესზე რასაც ვაგვლენს მოახდენდა და მისი გადაცემის შემდეგ ხალხი წავიდოდა დაჯილდოებული ავტორის წიგნის საყიდლად. ალბათ მოვა ეს დროც, რადგან სომხეთში ნელ-ნელა ვითარდება წიგნის ბაზარი. თუმცა დღე, მაგალითად ჩემთვის, არ არსებობს ისეთი ლიტერატურული ჯილდო, რომლის მიღებაც ბევრ როგორც მწერალს მენდომებოდა.

- რას გვეტყვი თარგმანებზე, ითარგმნება სომხური ლიტერატურა უცხოურ ენებზე?

- სამწუხაროდ, ძალიან მცირე ნაწილი. ბევრი ფიქრობს, რომ სომხებს ამხელა დიასპორა აქვთ მთელ მსოფლიოში, ამხელა რესურსი, ალბათ ბევრ ენაზე ითარგმნება მათი წიგნები. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ბევრმა ამ დიასპორიდან საერთოდ არ იცის სომხური ენა. და თუ იცნან, ეს არის სულ სხვა, დასავლეთ სომხური ენა, რომელიც განსხვავდება აღმოსავლური სომხური ენისგან, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ და ვწერთ. მოკლედ, თარგმანში დიასპორის იმედზე ვერ ვიქნებით.

არც ბაზარია დიდად თარგმანზე ორიენტირებული. ვთქვამს ცნობილი მთარგმნელები, ვინც სომხურად თარგმნის წიგნებს - ეს პრობლემა გადაარჩილია, მაგრამ, პირიქით - ნაკლებად. შედარებით მეტი თარგმანი არსებობს ინგლისურად. რასაც ვე ვიტყვი თ გერმანულზე ან სხვა ენებზე.

სხვათა შორის, ჩემი ახალი წიგნი, პირველ სხვა ენაზე ახლა ითარგმნება, მას ასია დარბინია თარგმნის და ის იქნება ქართულად! მოთხრობენ კრებულის, რომელიც, წესით, მომავალ წელს გამოვა. და მე ძალიან მიხარია ეს, რომ პირველად სწორედ ქართულად ითარგმნება ჩემი წიგნი. ეს სიმძრედი ფაქტია, ჩვენ, მეზობლებმა უნდა ვთარგმნოთ ერთმანეთი. აქ იმედი და შანსი მაქვს, რომ ჩან



ვალ, ხალხს შევხვდები, გავცინობ, დიალოგი ვაიმართება. რალაც ნაცნობი იქნება მათთვის და ჩემს წიგნს წიგნის მალაზიაში მტკერი არ დაედება.

- რა ადგილი უჭირავს ენას თანამედროვე სომხურ ლიტერატურაში? თანამედროვე ავტორებს უფროთ ექსპერიმენტები ენაში? თუ უფრო ამბებს აქცევეს ყურადღებას, შინაარსს?

- სომეხი ავტორები ლიტერატურული სომხურით წერენ, ენით, რომელსაც ყოველდღიურად არ ვიყენებთ და ეს ენა საკმაოდ განსხვავებულია სალაპარაკო ენისგან. მაგალითი რომ მოვიყვანო, ისეთი მარტივი სიტყვებიც კი, როგორც არის „კი“ და „არა“ - ლიტერატურულ სომხურში სხვანაირად ფლერს. ბევრი ავტორი არჩევს წეროს სწორედ ამ, ლიტერატურულ ენაზე, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ერთმანეთში ურევენ ამ ენას, სლენგს, ყოველდღიურ სასაუბრო ენას. მე თუ მკითხავთ, ესეც ძიების პროცესია, თუმცა ექსპერიმენტული ენა შემდგომ მთარგმნელებისთვის ხდება თავისიტკივილი. მაგალითად, ჩემს ტექსტებში, თითქმის 90 პროცენტი უფრო ენასა და ფორმაზეა აქცენტი, ვიდრე ამბავზე.

ზოგადად, ჩემმა თაობამ ძალიან ბევრი ექსპერიმენტი სცადა ამ მხრივ. რადგან არის თემები, რომლებზეც მხოლოდ იმიტომ ვერ დანერ, რომ მის აღსაწერად შესაბამისი სიტყვები არ გაქვს. მაგალითად სექსი რომ ავიღოთ - ან ძალიან უხეში სლენგი გვაქვს ან სამედიცინო ტერმინებს ვიყენებთ. ამიტომ ამ ძიებაში დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ სომეხი მწერლები.

დღეს, მგონია, რომ ახალგაზრდა ავტორები ამ მხრივ შედარებით გაკვალულ გზაზე დგანან, რადგან ჩემმა თაობამ ეს საქმე ნაწილობრივ უკვე გააკეთა.

- თქვენზეც გვითხარით ცოტა რამ, თქვენ სად ხედავთ საკუთარ ადგილს თანამედროვე სომხურ ლიტერატურის სივრცეში, რა არის თქვენთვის

საინტერესო თემები, რაზეც წერთ?

- მე პენ სომხეთის პრეზიდენტიც ვარ და ამიტომ, სხვა მისიაც მაქვს სომხეთში. ვცდილობ ხალხი ერთმანეთს შევხვდებოდ, მათ შორის დიალოგი შედგეს. ამავე დროს, მე ვარ მწერალი, რომელსაც აქვს ძალიან მტკიცე პოზიცია დემოკრატიის, ადამიანის უფლებების მიმართ. ჩემი შემოქმედებაც ამ ღირებულებებზე დგას. ეს იშვიათია სომხეთში, რადგან, როგორც წესი, მწერლებს ეს თემები ნაკლებად ალელვებთ ჩვენთან. ბევრს აქვს პოზიცია, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის, მას „არ ეხება“ და თითქოს განყენებულად დგას. სჯერათ, რომ თითქოს ხელოვნება უფრო მაღლა დგას და ა.შ. ესეც პოზიციაა, მესმის, მაგრამ მე არ ვიზიარებ მას.

ჩვენ არ ვცხოვრობთ დღეს მთავრზე, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრობლემები, ჩვენ ვართ საზოგადოების ნაწილი და არა რალაც პრივილეგიებული ფენა.

მე არასოდეს მქონია ეს გრძნობა, რომ ჩემი მწერლობის გამო პრივილეგიებული ვიყავი. პირიქით, მთელი ცხოვრება მარგინალიზებული ვიყავი როგორც ავტორი და როგორც ადამიანი ჩემი არჩევანის გამო. თუმცა კი, უმცირესობაში ყოფნის გამო, მე მქონია განცდა, რომ მსხვერპლი ვარ. ყოველთვის მჯეროდა, რომ რასაც ვაკეთებ, ეს უნივერსალური საქმეა და ერთ დღეს ეს დაგვეხმარება, გვექნდება დიალოგი ისეთ ჰომოფობიურ და არატოლერანტულ საზოგადოებაშიც, როგორც სომხეთშია.


რაც შეეხება წერას, ჩემი მოთხრობების კრებულის შემდეგ, რალაც ხანი აღარ ვწერდი, მაგრამ არ გაჩერებულვარ. უსაფრთხო სივრცე ვიპოვე ლიტერატურაში, და ეს სივრცე საბავშვო ლიტერატურა აღმოჩნდა. მე მგონია, რომ თუ გადამწვარი ხარ, თუ რალაც კრიზისი გაქვს, უბრალოდ, შეგიძლია სხვა სცენაზე გადაინაცვლო და წერა მაინც გააგრძელო. ლიტერატურაში ეს შესაძლებელია.



მუზა, ირთნია, ენა

პარალელური ინტერვიუ კარენ ანტაშიანსა და პაატა შამუგიასთან


სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანი



არის თქვენთვის, თუ ამ ანაქრონიზმს გამოვიყენებთ, „შთაგონება“, ის შინაგანი თუ გარედან მოსული შეტყობინება, შეგრძნება, რომელიც წერას „გაიძულებთ“? როგორ გგონიათ, განიცადა თუ არა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ტრანსფორმაცია ე.წ. მუზამ? იცვლებოდა თუ არა მისი შინაარსი?

კარენ ანტაშიანი: მიუხედავად იმისა, რომ შთა-

გონება ისტორიის მანძილზე გარდაიქმნა ღვთოვრი ჩარევიდან ისეთ კოგნიტიურ პროცესამდე, რომლის განვითარებაც შესაძლებელია, ის მაინც რჩება იდუმალ, მისტიკურ მდგომარეობად, როდესაც გეჩვენება, თითქოს სამყარო გელაპარაკება. მაგრამ მინახავს, როგორ აქვთ ჩემს სახლში მომუშავე დურგალს და ელექტრიკოსსაც მსგავსი სიტუაციები, როცა მოულოდნელად, სასწაულებრივად




ადვილად პოულობენ გამოსავალს პრაქტიკული პრობლემიდან, თითქოს ზემოდან იყო ნაკარნახევი. დიას, არის ისეთი მომენტები, როცა სათქმელი უბრალოდ გადმოიღვრება პირიდან ან თითები დამოუკიდებლად ავტოპილოტის რეჟიმში ღირსეული ხარისხის ტექსტს ქმნიან, მაგრამ ამ მომენტამდე მისასვლელად დიდი ხანი უნდა ავარჯიშო ყურადღება. ძალიან ხშირად გინევს საკუთარ არარსებულ თმაზე მოჭიდება და სასონარკვეთილებისა და სიზარმაცის ჭაობიდან საკუთარი თავის ამოყვანა და მუშაობის იძულება, საშუალო სტატისტიკური ტექსტების წერა, უდაბნოში წყლის მეძებარი ბედუინებით, რომელიც ერთსა და იმავე ადგილს თხრის სანატრელი წყლის მოპოვებამდე. ეს ის მომენტია, როცა ნიჟარასთან ჩამოკიდებულ ჭიქაში შენი და ცოლის კბილის ჯაგრისებს ამჩნევ, ერთმანეთს მიყრდნობილები თითქოს ერთმანეთსვე კოცნიან, ეს უსაქმური, ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ შენში ნაპერწკალს ანთებს და შთაგონების დიდ ცეცხლს აგიზგიზებს.

პაატა შამუგია: ანაქრონიზმი სულაც არ მგონია, რაკი მის გარეშე ვერაფერი წარმომიდგენია.

ჩემი შთაგონების წყაროდ შეიძლება იქცეს უფმური მეზობელი, ავტობუსის გამონაბოლქვი, ნაგავში აღმოჩენილი წიგნის ნაფლეთი, გატეხილი სანთებელა, გონებაჩლუნგი ჩინოსანი ან საქართველოს პრემიერი (ბოდიში ტავტოლოგიისთვის). ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც დამეხმარება, შევავსო საკუთარ თავსა და დასაწერ ტექსტს შორის არსებული უფსკრული. /

რეალობა სხვა არაფერია, თუ არა ე. წ. „შავი მასალა“, რომელიც უნდა გადაათეორო, გადაწერო და გაამზადო რეპრეზენტაციისთვის. ამისათვის შთაგონება აუცილებელია, სხვა შემთხვევაში, სატელევიზიო ნიუსის სიზუსტედ ნოდებულ ბლაგვ პრიმიტივიზმს ვერ გაცდები.

ჰომეროსი თუ ასე იწყებდა „მიმღერე, მუზავ“, ჰავიოგრაფები წმინდა სამებას შესთხოვდნენ, გაესხნა მათი გონება, კომუნისტები ლენინს ახსენებდნენ დასაწყისშივე და ა.შ. ასე რომ, სახელები კი შეიცვალა, მაგრამ მუზის არქეტიპული დანიშნულება იგივეა. ბოლოს და ბოლოს, მწემოსინეს შვილი იყო ცხრავე მუზა, მეხსიერების ქალღმერთის. ეს კი კოლექტიური მეხსიერების უწყვეტო-



ბასთან გვლინკავს.

- ორივენი კონცეპტუალურად იყენებთ ირონიას როგორც სტილისტურ ხერხს, აღწერის მეოთხს. რას მიემართება ის? რას უპირისპირდება? რით განსხვავდება ის პაროდისგან?

კარენ ანტაშინი: ყველაზე დიდი ირონია არის: ტრაგედებით, ეპიდემიებით, ომებით, დისკრიმინაციებით, ძალადობით, შიმშილითა და მომავლის გაურკვეველობით სავსე სამყაროში ლექსის დაწერის აუცილებლობა, რომელიც თან სდევს ადამიანს. სინამდვილეში ადამიანი არ ენდობა ღმერთს, არც თავის მეგობრებს, არც სამშობლოს, არც დროს, არც საკუთარ თავს - ადამიანი ენდობა მხოლოდ ენის მეხსიერებას, ქვეშე დარჩენილ გაუგებარ ნიშნებს, რომლებიც ვილაცის სასონარკვეთილი ღაღადაა. მისი გაშიფვრა ჩვენი წმინდა მოვალეობაა, მარცხისთვის განწირული მოვალეობა. ის ადამიანიც კი, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს, განწირულია გაუშიფრავად დარჩენისთვის, ამოუცნობია სხვა ადამიანების შინაგანი სამყარო. ჩემთვის ირონია არის ენის ჩამოსხმული სხეულის გათავისუფლება, ენის შეკრულობის გახსნა, ენით გამოხატული მნიშვნელობების ეჭვქვეშ დაყენება, მისი გაცლეკება, წმინდანობიდან გამოყვანა, რათა ის გახდეს უფრო რეალური და საიმედო, ჰაერივით და წყალივით ჩაედინოს სხვა ადამიანისგან და მასში მყოფმა ორმა უცხო ადამიანმა ერთმანეთის მიმართ ნათესაური კავშირი იგრძნოს. არ მიყვარს პაროდის ჟანრი, ის მხოლოდ დაყურებლის გასართობადაა, ის კი არ ანგრევს სერიოზულობის ჩარჩოებს, არამედ მიანიშნებს მათ ხელშეუხებლობაზე.

პაატა შამუგია: მე ირონიას ამოვეფარებთ იმიტომ, რომ საკუთარ შიშებს და სასონარკვევთას გაუშვლავდე, დაფვარო და შეენიღო ისინი, რათა უსაფრთხოების ილუზია შევიქმნა და ეს ილუზია გადავდო მკითხველსაც. პაროდია კი მეხმარება საკუთარი თავის დაშლა-ანყობაში, რაც, საბოლოოდ, ისევ შენიღბვის ერთ-ერთი სახეობაა. დეკონსტრუქცია ჩემი საყვარელი საქმიანობაა, მათ შორის საკუთარი თავის დეკონსტრუქცია. ასეთ მოცემულობაში მიიღობდა საკუთარი ნამსხვრევებისგან ერთგვარი ლიტერატურული მონსტრის შექმნა. მონსტრი ხომ წსროდე ეგაა - დეკონსტრუირებული და შემდეგ ისევ შეკონსტრუირებული არსება, ოღონდ შეკონსტრუირებული მრავალი სხვადასხვა არსებისაგან (თხის ჩლიქი, ვირის კუდი მაიმუნის ტანი და ა.შ.). ზუსტად ასე, პაროდია მეხმარება, რომ დავშალო საკუთარი თავი და სხვა დაშლილი „არსებები“ ნაწილებთან შეერთებით ავანყო ერთგვარი „უნივერსალური ჯარისკაცი“, რომელსაც შეუძლია (ან ვიმედოვნებ, რომ შეუძლია) გარემოებების კანში უკეთ შეღწევა. /

ერთმანეთის პოეზიის კითხვისას თუ გქონიათ შეგრძნება: ეს ხომ მე ვარ! ან: ამას ხომ მეც დავწერდი! და თუ კი, როგორი შეგრძნებაა ეს პოე-

ტისთვის? თავად თუ ხედავთ მსგავსებას თქვენს ტექსტებს შორის?

კარენ ანტაშინი: პაატას კითხვისას სულერი კავშირი ჭარბად ვიგრძენი და ეს პირველ გრძნობა დღემდე გრძელდება, უკვე ნამდვილი სოლიდარობისა და მეგობრობის სახით. მაგრამ შენათესაობა იყო არა მხატვრული გამოგონებებისა და სტილისტური რეალიზაციით განპირობებული არამედ რეალობასთან ურთიერთობის მსგავსი მოდელით; რეალობასთან, რომელსაც ჩვენ ვცხოვრობთ პოეტური ტექსტებით. ეს იყო ჩემთვის მუსანიშნავი კონვერგენციის მაგალითი, როგორ მივეყვანა ერთი და იმავე პრობლემების გადაჭრის აუცილებლობამ ერთსა და იმავე ადგილზე სხვადასხვა გზით. ამა, პაატა შამუგია ეროვნების მიუხედავად, თანამედროვე, პოეზიის აღქმისა და შეფასების უნივერსალური სკალის მიხედვით, მშვენიერი პოეტია. ამას იმ იმედით ვამბობ, რომ ჩვენც იმავე აზრს გამოთქვამს.

პაატა შამუგია: ცხადია, მსგავსება არაერთია, რაკი მსგავს ისტორიულ ტრაგედიებში ვართ მოხარშულნი. სომხეთიც და საქართველოც მუდმივოებისა და ნაციონალური იდენტობის კრიზისების დროში არსებობს, ორივე ქვეყანა იმედგაცრუებული და, ცოტა არ იყოს, სასონარკვეთილი მოქალაქეების სამყოფელია და, მიუხედავად ყველაფრისა, ორივე ქვეყანაში უიმედოდ ოპტიმისტი ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ რაც უნდა იყოს, ისე როგორც შენ მაგივრად ვერ მოკვდება ვერაინი შენს ლექსსაც ვერ დანერს სხვა შენ ნაცვლად. ასე რომ, „ეს ხომ მე ვარ“ ან ამას ხომ მეც დავწერდი“ ასეთი შეგრძნება, ცხადია, არ მქონია. კარენის პოეზიის კითხვისას გამიჩნდა შეგრძნება, რომ ვილაც ძალიან ახლობელს, სულიერად ნათესავს გავეცანი. სულ სხვაა ის სიხარული, რომელსაც ახალს, ხარისხიანი პოეზიის ნაკითხვა განიჭებს. აი, ეგ სიხარული მქონდა.

- ორივე ძველი და რთული ენების წარმომადგენლები ხართ. როგორ ფიქრობთ, რა ზეგავლენას ახდენს ენა თქვენს ტექსტებზე? რამდენად არის თქვენთვის პოეზია ენობრივი პრობლემა?

კარენ ანტაშინი: ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტისთვის ენა არის ინსტრუმენტი, პრობლემების ახსნისა და გადაჭრის გზა, მხოლოდ პოეზიას შეუძლია ენით, საკუთარი თავით აღფრთოვანება, საკუთარ თავში დაეჭვება, საკუთარი თავის შეყვარება, ღალატი, განადგურება და თვითღადგენა. პროზაული ლიტერატურისთვისაც კი ეს პრობლემა სულაც არ არის პირველადი, მაგრამ ქვეყნარტი პოეზია ყოველთვის, პირველ რიგში, ენის თვითრეფლექსიაა, მერე სამშობლოს ახალი ოდა, სიყვარულის აღსარება თუ ფსიქოლოგიური დრამა. სომხური და ქართული ძალიან ლამაზი მაგრამ უკვე ძველი, რელიქტური ენებია, შესაძლოა, მომავალში სიკვდილისთვის განწირული. პო-

ეტი ენაზე მომუშავე დაულაღავი ფუტკარია, რაც მეტს მტვერავს, მით უფრო დიდხანს ცოცხლობს ენა.

პაატა შამუგია: ენა სოციალური ჩვევაა, ამიტომ როგორც სოციალის ნაწილს, განსაზღვრული ნესრიგის შიგნით მინევს მუშაობა, რომელთა გარეგნული ილუზია პერიოდულად მეძლევა ხოლმე. სხვა ენაზე რომ ვწერდე, დარწმუნებული ვარ, სხვა-ნაირად დაგწერდი და ის, რასაც სტილს ვუწოდებთ, ერთიანად შეიცვლებოდა.

- როგორ წარმოგიდგენიათ ქართული და სომხური პოეზიის ადგილი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში?

კარენ ანტაშიანი: მე ვფიქრობ, რომ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში შესვლისთვის უნდა დანერო იმ რამდენიმე ენიდან ერთ-ერთზე, რომლის გაგებაც მსოფლიოს შეუძლია. მსოფლიო პოპულარობის მოლოდინს და სომხურად ან ქართულად წერას თავიდანვე აზრი არ აქვს. ჩვენი ამოცანა ძალიან მარტივია: გადავდლოთ ჩვენი ენის სიკვდილი, არ დავთმოთ თარგმანდობის გამო უთარგმნელი ენობრივი ხრიკების გაკეთების შესაძლებლობა ან არ დავთმოთ ადგილობრივი კონტექსტების გამოყენების შესაძლებლობა, რასაც გერმანელი და ბრიტანელი ვერ გაიგებს და სხვა ენაზე თარგმნაც კი შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ეს აზრი არანაირად არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ძალიან მინდა, რომ ჩვენი ავტორები ითარგმნონ და მათი ნიგნები გამოიცვას საზღვარგარეთ, ბოლოს და ბოლოს, ეს არის კარგი შესაძლებლობა მოგზაურობისთვის და დამატებითი შემოსავლისთვის. თუმცა, სიმართლე გითხრათ, როცა ვიგებ ამა თუ იმ სომეხი მწერლისა თუ პოეტის ნიგნის პოლინიური ან ნიდერლანდური თარგმანის შესახებ, საკუთარ თავს ვეუბნები: მერე რა? მაგრამ ამ აზრს არაფერი აქვს საერთო სომხურ-ქართულ კავშირებთან, ჩვენი კავშირები ძიობად უნდა იქცეს, რადგან ჩვენ შორის ყველა განხეთქილება ხელოვნურადაა გაზვიადებული. ამ რთულ რეგიონში გადარჩენისთვის ერთმანეთი უკეთ უნდა გავიცნოთ და ერთმანეთის ნდობა ვისწავლოთ.

პაატა შამუგია: ორივე ქვეყანას ჰყავს ძალიან დიდი პოეტები, რომელთა შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენ ვიცით. ერთგვარად ძვირფასი საიდუმლო მატარებლები ვართ. თუმცა მე არ მენიყინება, თუ ამ საიდუმლოს სხვებიც შეიტყობენ.

- რას ფიქრობთ მცირე ქვეყნების ლიტერატურის ბედზე? თქვენთვის ვინ არის თქვენი ეროვნული ლიტერატურის ყველაზე იკონური ფიგურა და რატომ?

კარენ ანტაშიანი: ჩემთვის ცალსახად დამოუკიდებელი სომხეთის მინიმუმ პირველი ოცი წლის განმსახიერებელი ნომერ პირველი მწერალი არმენ შეკოიანია. პოეზიასაც წერდა და პროზასაც, ორივე ჟანრის ნაწარმოებები პოპულარული და ცნობილია. დროის სულისკვეთების ზუსტად და-

ჭერის, ცვალებადი დროების უცნაურობებისა და წინააღმდეგობების ძალიან მკვეთრად ირონიული და, ამავე დროს, ძალიან მგრძობიარე დრამატიზმით წარმოჩენის მისი ნიჭი შეუდარებელია. ალბათ ის არის ყველაზე დიდი მწერალი, რომლის ტექსტიც ზუსტად ახსიათებს მის ცხოვრებას და არმენ შეკოიანი თავისი დროის სწორედ ასეთი მწერალია.

პაატა შამუგია: ლიტერატურის განვრცობა გეოპოლიტიკის კვალდაკვალ ხდება, ამიტომაც მცირე და უგაველენო ქვეყნების ლიტერატურა ყოველთვის დაჩაგვრულია. რას ვიზამთ, ასე გამოვიდა. ვერც გალაკტიონი და ვერც სევაკი ველარ გახდებიან თანამედროვე მსოფლიოსთვის ისეთივე მნიშვნელობის მქონენი, როგორიც შექსპირი ან სერვანტესია.

- რა არის ის ძირითადი თემები, რომლებსაც თქვენი პოეზია ეხება? რა დოზით არის ის „აქტუალური“? ომის თემა თუ გვხვდება გარკვეული ფორმით?

კარენ ანტაშიანი: ემიგრაცია, ეროვნული იდენტობის კრიზისი, ომი, ყველა ადამიანის მარადიული კითხვებია ნებისმიერ დროში, კონსუმერიზმი, გლობალიზაცია, კოლონიზაცია, სუპერმარკეტში დაკონსერვებული პომიდვრის აქციიდან საომარ ქმედებებში წვევამდელი ჯარისკაცის სიკვდილამდე, შეიძლება ჩემზე იმოქმედოს ამა თუ იმ ფორმით და გახდეს ლექსის საგანი. ბუნებრივია, თემა, რაზეც ვწერ, ჩემთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი, უფრო მნიშვნელოვანია, მისი მხატვრული რეალიზების ჩემი უნარი. მაღალი და დაბალი თემებისა და ენების პოპულარული იერარქია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც არსებობს, ჩემთვის პოეზიის ზედაირული ალქმის მაჩვენებელია. მეზიზლება ჩემი ომის თემაზე შექმნილი ტექსტები, რომლებიც ყველაზე მოთხოვნადია. მინდა ვწერდე ყვავების კაკლის გატყვის ცბიერ უნარებზე, სეზონურ მელანქოლიაზე, ხაშის დიდებულ ბარბაროსობაზე, მწვანილიანი და უმწვანილო ხინკლის მოყვარულთა მორალურ და ფსიქოლოგიურ განსხვავებებზე, ომზე წერა არ მინდა.

პაატა შამუგია: ვწერ ყველაფერზე, რაც მეხება ან არ მეხება, რაც მტკენს ან მრგებს, რაც განაპირობებს ჩემს ყოფნას.

ომის შვილი ვარ. აფხაზეთიდან დევნილი ვარ და მას შემდეგ კიდევ ბევრი ომის მომსწრე გავხდი. მიუხედავად ამისა, ომზე იშვიათად ვწერ. არ ვიცი, რატომ ვაკურბივარ ამ თემას. შეიძლება რეტრავმატიზაციის შიში მაქვს და ცვდილობ ამ ყველაფრის მიღმა დავაყენო თავი, რაც, საბოლოოდ, არ გამოდის, შეუძლებელია. როცა ნაპოლეონი გერმანიამ შეიჭრა და მისი ჯარი ვაიმარს მიუახლოვდა, გოეთეს უნატრია, ნეტავ ამ ყველაფრის მიღმა ვყოფილიყავიო, მაგრამ ასეთი „მიღმა“ არ არსებობს. ამიტომაც მჯერა, რომ ოდესმე ომზეც დავწერ. მშვიდობაზეც.

დიანა ტერ-ბაღდასაროვი

დაუსრულებელი მწერლობა

გენოციდის მცირე ქრონიკა



ოსმანთა იმპერიის ხელისუფლებაში 1908 წელს მოსულმა ახალგაზრდა თურქების მთავრობამ 1915 წელს განახორციელა სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ამ მოვლენების პირველი საერთაშორისო გამოხმაურება იყო საფრანგეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის 1915 წ. 24 მაისის ერთობლივი განცხადება, სადაც სომეხი ხალხის მიმართ განხორციელებული ძალადობა განისაზღვრა როგორც „კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“. მხარეები ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას თურქულ მთავრობას აკისრებდნენ.

სომეხთა გენოციდის ძირითადი ორგანიზატორები იყვნენ ახალგაზრდა თურქების ლიდერები: თალეათი, ჯემალი და ენვერი, აგრეთვე „სპეციალური ორგანიზაციის“ ხელმძღვანელი ბეჰედდინ შაქირი.

სომეხთა გენოციდის ხსენების დღედ ოფიციალურად 24 აპრილი მიიჩნევა, ეს დღე სომხური ინტელიგენციის წარმომადგენლების გადასახლების დასაწყისი იყო.

სომხური ინტელიგენციის გადასახლებას უწოდებენ აგრეთვე წითელ კვირას. 1915 წლის 24 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრის თალეათ ფაშას მიერ გაცემული ბრძანებით ოსმანთა იმპერიის დედაქალაქის სომხური სათვისტომოს ცნობილი ლიდერები, შემდეგ კი იმპერიის სხვა სათვისტომოების ცნობილი წარმომადგენლები დააპატიმრეს და გადაიყვანეს ანკარასთან მდებარე ორ საკონცენტრაციო ბანაკში. 24 აპრილის საღამოს სომხური ინტელიგენციის პირვე-

ლი ნაკადი, 235 ადამიანი, დააპატიმრეს კონსტანტინოპოლში. დააპატიმრებულთა საერთო რიცხვი იყო. გადასახლების შესახებ კანონის მიღების დღე, 1915 წლის 29 მაისს, დაპატიმრებულები განილეს იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო უმრავლესობა მოკლეს. მათგან განსაკუთრებულად დამკობლობის შედეგად ერთეულები გადარჩნენ. აღუპულთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი მწერ როგორებიც იყვნენ: დანიელ ვარუჟანი, სიამა გრიგორ ზოჰრაპი, რუბენ სევაკი და სხვ.

1915 წელს ოსმანთა იმპერიის მიერ განხორციელებული გენოციდით ტრაგიკულად შეწყდა დიდ სიკოსის, კომიტასის შემოქმედებით მოღვაწე რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ კომიტასი აქის ელჩის, მორგენტაუს შუამდგომლობით ფირად გადარჩა, ის მომხდარის შედეგად წარმოუვლად მძიმე სულიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1919 წწ. კომიტასი კონსტანტინოპოლის შიშლინის ფსიქიატრიულში იმყოფებოდა, ხოლო სიცოცხლე უკანასკნელი 16 წელი პარიზის ვილ-ევრარი ვილ-ჟუიფის გარეუბნების სამედიცინო დაწესებულებაში გაატარა.

კომიტასი (სოლომონ სოლომონიანი) და 1869 წლის 26 სექტემბერს, ოსმალეთის იმპერიულ ქუთაისში. 1876-1880 წწ. კომიტასი სწავლ ქუთაისის ოთხწლიან სკოლაში, შემდეგ კი ბასწავლებელში.

1881 წ. ქუთაისის წინამძღვრის მოვალეობი



სრულბელი არქიმანდრიტი გევორგ დერძაკიანი ევ-
მიანიში მიემზადებოდა, სადაც ის ეპისკოპოსად
უნდა ყოფილიყო ხელდასხმული. ყოველთა სომეხთა
კათალიკოსის, გევორგ III-ის კონდაკის თანახმად,
დერძაკიანი ევმიანიში უნდა ჩაეყვანა კარგი ხმის
მქონე ობოლი ყმაწვილი, გევორგიანის სასულიერო
სემინარიაში სასწავლებლად. დაახლოებით ოც ყრმა-
თაგან სოლომონი აირჩიეს.

1895-1896 წწ. კომპოზიტორ მაკარ ევმიანიანის
ხელმძღვანელობით კომიტასი თბილისში მუსიკის თე-
ორიულ საგნებს სწავლობდა. 1896 წ. მსხვილი ნაე-
თომენარმისა და ქველმოქმედის, ალექსანდრე მან-
თაშიანის სტიპენდიით ის სწავლის გასაგრძელებ-
ლად ბერლინში ჩაიწია. 1899 წელს დაამთავრა ფრიდ-
რიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის (ახლანდელი ჰუმბ-
ოლტის უნივერსიტეტი) ფილოსოფიის ფაკულტეტი
და რიზარდ შმიდტის კერძო კონსერვატორია. კომი-
ტასი სწავლობდა გამორჩენილი მუსიკატორდენების:
ოსკარ ფლაიშერის, ჰაინრიხ ბელერმანისა და მაქს
ფრიდლენდერის ხელმძღვანელობით.

1907 წ. პარიზში გამოიცა კომპოზიტორის პირვე-
ლი კრებულის „სომხური ქანარი“, რომელიც შედგება
სომხური გლეხური სოლო და გვერდუფური სიმღერების
შემუშავებული ვარიანტებისაგან.

1910 წელს კომიტასი კონსტანტინოპოლში დაბ-
რუნდა და იქ დააარსა 300 კაცისაგან შემდგარი ვაჟ-
თა და ქალთა მაგლობელითა დასახლება „გუჟასანი“ და სხვა-
დასხვა ქალაქში კონცერტებს მართავდა.

1912 წ. ლაიფციგში გამოიცა კომიტასის კრებუ-
ლი „სომხური გლეხური სიმღერები“, რომელიც მოი-
ცავდა სომხური ხალხური სოლო და გუნდური სიმ-
ღერების შემუშავებულ ვერსიებს. ამ პერიოდის შე-
მოქმედებითი მიღწევა იყო ხელოვნების ერთ-ერთი
შედევრი „წირვა“, რომელიც მან დაწერა დაჟმგალო-
ბელთა გუნდისთვის.

გევორგიანის სემინარიაში სწავლის წლებში (1881-
1893) კომიტასმა დაიწყო სომხური ხალხური სიმღე-
რების შეგროვება და შესწავლა, აგრეთვე თვითონ
წერდა სიმღერებს.

1890 წ. სოლომონი დიაკვნად იქნა ხელდასხმული.
სწავლის დამთავრების შემდეგ სემინარიაში მუსიკას
ასწავლიდა. 1894 წ. ბერად აღიკვეცა და მიიღო კომი-
ტასის სახელი, მე-7 საუკუნის სომხური საგალობლე-
ბის ავტორის, სომეხთა კათალიკოს კომიტას I აღცე-
ცის საპატივცემოდ. 1895 წ. კომიტასს არქიმანდრი-
ტის წოდება მიენიჭა.

სემინარიის ოთხხმედიან გუნდთან ერთად კომიტა-
სი კონცერტებს მართავს ევმიანიანიში, ერევანში, თბი-
ლისსა და ბაქოში. ზემდინვნით მუშაობს შუასაუკუ-
ნეების სომხური მუსიკის ჩანერის სქემებზე - ხაზე-
ბის გამიფრვის მიმართულებით.

სომხური მუსიკის შესახებ კომიტასი ლექციებს
კითხულობდა ევროპისა და აღმოსავლეთის მთელ
რიგ ქვეყნებში (პარიზი, ბერლინი, ციურიხი, ჟენევა,
ლოზანა, ვენეცია, ალექსანდრია, კაირო). მის გამოს-
ვლელს დიდი გამოხმაურება ჰქონდა ყველგან, ის მა-
ღალ შეფასებებს იღებდა იმ დროის მონინავე მუსი-
კოსებისგან და მწერლებისგან (ლუი ლალუა, რომენ
როლანი, კლოდ დებიუსი, შტეტერ ვაგნერი და სხვ.).

კომიტასი გარდაიცვალა 1935 წლის 20 ოქტომ-
ბერს, პარიზში. გარდაცვალებიდან ერთი წლის შემ-
დეგ მისი ცხედარი გადასვენეს ერევანში, სომხეთის
ხელოვნების მოღვაწეთა პანთეონში, რომელიც ამჟა-

მად კომიტასის სახელობისა.

მე-20 საუკუნეში დასავლურ სომხურ პოეზიას სა-
მი უკვედავი სახელი ახსოვს. ესენი არიან: დანიელ ვა-
რუჟანი, მისაქ მენარენცი და სიამანთო. დანიელ ვა-
რუჟანი და სიამანთო უმონყალოდ მოკლეს გენოცი-
დის დროს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ
გარდა, კიდევ ბევრი მწერალი მოკლეს ან გადასახ-
ლეს. მათ შორის ცნობილი სომეხი ნოველისტი გრი-
გორ ზოჰრაპი, პოეტი რუბენ სევაკი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ დანიელ ვარუჟანი ახალ-
გაზრდა ასაკში დაიღუპა, მან მოასწრო მნიშვნელო-
ვანი მემკვიდრეობის დატოვება.

დანიელ ვარუჟანი (დანიელ ჩაუქქარიანი) 1884
წ. დასავლეთ სომხეთის სებასტიის მხარის სოფელ
ბრგნიკში დაიბადა. 1896-1902 წწ. სწავლობდა კონ-
სტანტინოპოლის მხითარაიანის, ხოლო შემდეგ ვატი-
გიულის (კონსტანტინოპოლი) სასწავლებლებში. ჰა-
მიდიანთა ხოცვა-ჟლეტა სამომავლოდ აღიბეჭდა მის
შემოქმედებაზე. დანიელ ვარუჟანი დაინტერესებუ-
ლი იყო რენესანსის ეპოქის კულტურით, სიღრმისეუ-
ლად სწავლობდა აგრეთვე სომხეთის ისტორიას, ძველ
და ახალ ლიტერატურას.


1909 წ. დანიელ ვარუჟანმა დაამთავრა გენტის
(ბელგია) უნივერსიტეტი, შემდეგ დაბრუნდა სამშო-
ბლოში და 1911 წლამდე ასწავლიდა სებასტიის არამი-
ანის სასწავლებელში, 1911-12 წწ. - თოქათის (ახლან-
დელი ევროკა) ეროვნულ სემინარიაში, 1912-15 წწ.
კონსტანტინოპოლის ლუსავორჩიანის სასწავლებლის
დირექტორი იყო. ის გახლდათ იმ დროის ზეგავლენი-
ანი და მონინავე პედაგოგი და მწერალი. წერა დაიწყო
1896 წლიდან. დანიელ ვარუჟანის კალამს ეკუთვნის
ლექსების კრებულები: „ძრწოლა“, „მოდგმის სული“,
„წარმართული სიმღერები“, „პურის სიმღერა“ და სხვ.
დანიელ ვარუჟანი დასავლური სომხური პოეზი-
ის წარმომჩენილი სახე იყო, ნეორომანტიზმის დამ-
ფუძნებელი სომხურ ლიტერატურაში.

ლექსების კრებული „ბაგინზე“ პატრიოტული სუ-
ლისკვეთებით გამოირჩევა. მისი ერთ-ერთი ნაწარ-
მოებია „ხოცვა-ჟლეტა“, სადაც გამოსახულია 1984-
1986 წწ. აბდულ ჰამიდის მიერ განხორციელებული
ხოცვა-ჟლეტა. დანიელ ვარუჟანმა ეს ტექსტი დაწე-
რა 1906 წელს და 1 წლის შემდეგ ჟურნალ „ანაპიტში“
დაბეჭდა, ხოლო 1908 წ. კვლავ გამოიცა. აქ
სომხეთი წარმოდგენილია თმაგამილილი მგლოვიარე
ქალის სახით, რომელიც ნანგრევებზე ზის:

„იტირე, სომხეთო, ბედნავო ქალო, და
მოიგლიჯე
შაეი თმა. უარყოფილ
თავზე
დაიყარე მღვივარი ნაცარი“.

1915 წლის 24 აპრილს დაკავებულ ინტელიგენ-
ციის წარმომადგენელთა შორის იყო დანიელ ვარუ-
ჟანიც. 1915 წლის 26 აგვისტოს დანიელ ვარუჟანი,
პოეტი რუბენ სევაკი და სხვები უმონყალოდ დახო-
ცეს.

სიამანთო (აჭომ იარჭანიანი) დაიბადა 1878 წლის
15 აგვისტოს დასავლეთ სომხეთის (ოსმანთა იმპერი-
ის) ქალაქ აჯნში. დაწყებითი განათლება მიიღო აჯნის
ნერსისიანის სასწავლებელში, სადაც მისი მასწავლე-
ბელი იყო ცნობილი პროზაიკოსი გარეგინ სრევანძი-
ანცი, რომელმაც მას მიანიჭა სიამანთოს ფსევდონი-



მი. 1894-96 წწ. სომხების ხოცვა-ჟლეტის შედეგად სიამანთო უცხო მხარეებში აღმოჩნდა. გარკვეული პერიოდით კაიროში იმყოფებოდა, ხოლო 1897 წ. ყენევაში ჩავიდა, შემდეგ - პარიზში, სადაც იყო სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურის განყოფილების თავისუფალი მსმენელი. ამ გარემოში ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა და ლიტერატურულ-მხატვრული ინტერესები.

სიამანთოს შემოქმედება ტრაგიკულის პარალელურად ოპტიმისტურიც არის. ის წერდა აგრეთვე საგმირო ლექსებს. ლექსში „მე სიმღერით მინდა მოვკვდე“ ავტორი იმ აზრს ანვითარებს, რომ სიმღერით გმირებმა სამართლიან ომში უნდა იბრძოლონ. აქვე მოვიყვან ერთ მონაკვეთს ზემოხსენებული ლექსიდან:

სიამანთო

მე სიმღერით მინდა მოვკვდე

ლოდინისა და იმედის
ნეტარებასთან მარტო ვიყავი
იმ საღამოს,
გადარჩენისა და წამების
სასწორზე სამშობლოს ბედი
უნდა ამეწონა...
ჩემს შორეულ სახლის კარზე,
ღამის საზარელ სიბნელეში
კაკუნის ხმა მომესმა...
ვინმე მოყვასი შემოვიდა ღიმილით,
დიდებული, ლამაზი, ძმობილი,
და მრისხანე...

ბ

ჭაბუკი იყო. თვალეებში
ნაპერნკალი ვარცკელავთავან
მოედინებოდა...
აღნაგობა მარმარილოს
მსგავსად ნაძერნი...

ბ

ფიქრი საკაცობრიო
სამართლიანობაზე
ანთებული კანდელივით ინვოდა...
შუბლზე ტკივილისა და
სიკეთის გვირგვინი ჰქონდა.

დ

ერთად ვისხედით და
სამშობლოს ტკივილზე
გულწრფელად ვმსჯელობდით,
მისი თავი, ფიქრორეული, მგლოვიარე
ნახევარდმერთის სისხლიან
გულს მივამსგავსე...
ხოლო მზერა ჩემს თვალეებში
მსგავსი ბედისწერის
ნიშანს ეძებდა...
და სევდანარევი ღიმილები
სულიდან სულამდე მშვიდად
ჰფენდნენ სხივებს...

ი

საათობით დუმდა. ჩუმად ვიყავი.

მოგონებებმა ქვითინით
დაგვისველეს თვალეები.
ლამპრის სურჯი შუქი
მავიდაზე ლისლისებრ
მოედინებოდა...

გავკრთი, სიზმარივით,
გამთენიისას
რომ უჩინარებოდა...
მან, გმირივით,
ამაყად ხელი ჩამომართვა,
აღვა და მითხრა:

„ეს საღამო რწმენისა და
დამშვიდობების საღამოა, ძმობილო,
დავადგი რაშს უნავირო, და კართან
ახლა ჭიხვინებს გახუებულები,
სიკოცხლისა და ბრძოლის სურვილით.
და ან ნახე, რომ შიშველია
ჩემი ხმალი, სიმიშველით
ზეადამიანური განაჩენებისა.
შუბლი ბაგეზე მომაბჯინე...
რწმენისა და დამშვიდობების საღამოა, ძმობილო.

3

და შენ, სუფთა ქალაღებზე, ერის ტკივილი
და ძალა ლექსად დაწერე,
მომავალ თაობას, ნაღვლიან წარსულს
საჩუქრად უბოძე,
მე ბოლი ვარ და მეამბოხე, მშვიდობით იყავ,
დანაკარგის საძებნელად მივიჩქარი...
შენს სიმღერათავან მაჩუქე ერთი, მე სიმღერით მინდა
და მოვკვდე...“.

საგმირო ლექსებს შეიცავს მისი კრებული „ბრწყინვალე“ და „სულთმობრძაობა და იმედის კანდელები“ გარკვეული ნაწილი.

1912 წ. დაწერილ პოემაში „წმინდა მესრობი“ სიამანთო ოპტიმისტურად ოცნებობდა თავისუფალ სამშობლოზე, სადაც აყვავდებოდა სული და გონიერება ღრმად სწამდა სამშობლოს მარადისობის.

1913 წელს სიამანთო კავკასიაში იმყოფებოდა იგი თბილად მიიღეს სომეხმა მწერლებმა.

სომეხთში, ჩარენცის სახელობის ლიტერატურულ სა და ხელოვნების მუზეუმის არქივში, სიამანთოს ფონდში ინახება მწერლის ხელნაწერი დაუთავისებელი ნაწარმოებები, თარგმანები, წერილები. აქ ინახება ფილოლოგიის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, რაფაელ პაზარჭიანისა და სიამანთოს მიმართული წერილები. იტალიაში მცხოვრები, სიამანთოს შემოქმედების მკვლევარი, რაფაელ პაზარჭიანის აზრით, პეტრე ნობელის პრემიის ღირსი იყო. 1914 წელს ის ეტის სწერდა, რომ სურდა ევროპელი თანამემამულეების ყურადღება გაემახვილებინა იმაზე, რომ მათ ეტის კანდიდატურა წარედგინათ ნობელის პრემიაზე. რაფაელ პაზარჭიანი წერდა: „ეს პრემია თანამედროვედ გეკუთვნით. ევროპას არა თუ თქვენს უკეთესი, თქვენწიარი პოეტი არ უშობია“. მაგრამ 1915 წლის 28 ივლისს პირველი მსოფლიო ომი იწყება და სიამანთოსა და პაზარჭიანის მიმონერიდან ცნობილი ხდება, რომ პაზარჭიანი ამის შესახებ გაზეთებში იგებს და სიამანთოს წერილს სწერს იმის თაობაზე,



რომ სურს მისთვის გამოსასყიდის გამოგზავნა, რათა პოეტს ომში არ გაიწვიონ. სიამანთოს პასუხიდან ირ-ვევს, რომ მას არ სურდა ომში წასვლა, ის წერს, რომ ბევრი მისი მეგობარი აგროვებდა გამოსასყიდს, 43 ოქროს, მისთვის, ერთ ღარბ ქალს 5 ოქრო მიუცია. მაგრამ სიამანთოს ხალხის ბედისწერა უფრო ადელ-ვებდა. ის წერს? „არ შემძლია იმის წარმოდგენა ან აღწერა, თუ რა ხდება ამ წყეულ ქვეყანაში“... მისი თქმით, შიმშილით უფრო დაიხოცებოდნენ იმ დღეებ-ში, რადგანაც თურქები ქრისტიანული უბნებიდან პა-რადღენ ფეცილს და ყველაფერს, რაც კი ჰქონდათ მათ და თურქულ უბნებში არიგებდნენ. სიამანთო წერს: „სად ვივად, არ ვიცი. მაგრამ ჯობია სხვაგან მსახური ვიყო, ვიდრე აფთრების ჯარში - ჯარისკა-ცი“. 1915 წელს ინტელიგენციის სხვა წარმომადგენ-ლებთან ერთად, სიამანთოც დააპატიმრეს და გადა-სახლეს, ხოლო შემდეგ მათი გარკვეული ნაწილი ვი-თომ სხვაგან გადაწყავდათ, თუმცა ანკარას მახლობ-ლად მდებარე მინდორში იარაღის, წერაქვის, ქვების, ნაწახის გამოყენებით ნაემბით დახოცეს. მათ შორის იყო სიამანთოც. ხმები ვრცელდებოდა, რომ მთ-მ-დელო დღეს თურქი ბაშიბოზუკები ანკარას ქუჩებში ინტელიგენციის წარმომადგენლების ევრო-პულ ტანსაცმელს გამოწყობილი დადიოდნენ.

სიამანთოს შემოქმედება ეროვნული მოვლენაა, მაგრამ ზოგადასაკებროლი ღირებულება აქვს. ის წერდა იმპერიალიზმის ეპოქაში განადგურების ზღვარ-ზე მყოფი პატარა ერის შესახებ და ეწინააღმდეგებო-და ყოველგვარ ძალადობას. სიამანთო მრავალი ლექ-სისა და კრებულის ავტორია. საყურადღებოა მისი „ნითელი ამბები, მეგობარო“. სიამანთო სომხური პო-ეზიის ერთ-ერთი ყველაზე თავისებური სახე იყო. მან ფორმა მისცა სომხურ თავისუფალ ლექსს (ვერლიბ-რი). ის იყო ნეორომანტიზმის გამორჩეული წარმო-მადგენელი, თუმცა თავის ლექსებში აქსოვდა რომან-ტიზმისა და სიმბოლიზმის მხატვრულ პრინციპებს. მის ლექსებს ეტყობოდა მუა საუკუნეების სომეხი პო-ესულიერი პირის, ღვთისმეტყველის, მისტიკური პო-ეტის, ფილოსოფოსის, გრიგორ წარეკის (სომხური ეკლესიის წმინდა) „გოდვანის ნიგნის“ ზეგავლენა. სიამანთოს მთელი რიგი ლექსები თარგმნილია რუ-სულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე.

გრიგორ ზოჰრაპი, რომელიც აგრეთვე გახლავთ 1915 წ. განხორციელებული სომეხთა ენოციდიის მსხვერპლი, დაიბადა 1861 წელს, კონსტანტინოპო-ლის ბუმიკთაშის უბანში. ის არის ცნობილი რეალის-ტი სომეხი ნოველისტი და პროზაიკოსი. ზოჰრაპმა დაწყებითი განათლება ბუმიკთაშის მაქროპიანის სას-წავლებელში მიიღო. 1870 წელს ზოჰრაპის მამა გარ-დაიცვალა. ზოჰრაპი დედასა და ძმასთან, მიჰრანთან ერთად გადადის ორთავიულში და სწავლას აგრძე-ლებს მთარგმნელთა (თარგმანჩა) ცნობილ სასწავ-ლებელში. აქაურობასთან არის დაკავშირებული ზოჰ-რაპის წერის პირველი მცდელობები (ლექსები). 1876 წელს ზოჰრაპი ჩაირიცხა იმდროინდელი თურქეთის ერთადერთ უმაღლეს დანესებულეზაში - გალათასა-რის სასწავლებელში, რომელიც 1868 წელს გაიხსნა საფრანგეთის მთავრობის მფარველობითა და კონ-სტანტინოპოლის ელჩის უშუალო ზედამხედველო-ბით. აქ ზოჰრაპი გეომეტრიკას სწავლობდა. 1880 წელს გალათასარის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტ-ში იწყებს სწავლას, მაგრამ სასწავლებელი მალევე

დაიკეტა, რადგანაც არ ჰყავდა მუსლიმი სტუდენტ-ები. შემდეგ ჰუგუგის სასწავლებელში ორი წელი სწავ-ლობს სამართალმცოდნეობაზე, რომელსაც აგრეთ-ვე ვერ ამთავრებს, 1884 წელს ქალაქ ედირნეში გა-მოცდებს აბარებს და იურისტის მონშობას იღებს.

ზოჰრაპი ლიტერატურულ ასპარეზზე 1878 წელს გამოჩნდა, როდესაც შეხვდა ნიკოლაოს (ნიკოლოზ) თიულპენჭიანს და მის მიერ გამოცემული „გაზეთის“ თანამშრომელი გახდა. 1883 წ. მან გამოსცა აზიური საზოგადოების ჟურნალი „დედამინა“, ჰაკოპ ჰარო-ნიანის რედაქტორობით. 1885 წელს აღნიშნულ ჟურ-ნალში ცალკე სათაურით დაბეჭდა თავისი პირველი რომანი „გაუჩინარებული თაობა“, სადაც ყველა კონ-სტანტინოპოლელი სომეხი ახალგაზრდების ცხოვრე-ბაზე. 1887 წელს რომანი ცალკე წიგნად გამოსცა. ზოჰრაპის ლიტერატურულმა მოღვაწეობამ მწვერ-ვალს მიაღწია 1880-იანი წლების დასასრულსა და 1890-იანების დასაწყისში. გაზეთ „არველქში“ (ალ-მოსავლეთი), ხოლო შემდეგ „მასისში“ დაიბეჭდა მისი ნოველები. ამ მონაკვეთში დაწერა მან თავისი მეორე და დაუსრულებელი რომანი „ნარდიკ“.

1894-96 წლები ცნობილი ჰამიდიანის ხოცვა-ჟლე-ტის გამო დასავლელი სომეხებისთვის საზარელი იყო. ასეთი სასოწარკვეთის დროს ზოჰრაპი აღარ ჩანდა ლიტერატურულ ასპარეზზე და მხოლოდ იურიდიუ-ლი და სასამართლო საქმიანობით იყო დაკავებული. 1908 წელს ზოჰრაპი აირჩიეს თურქული პარლამენ-ტის დეპუტატად. ის აქტიურად მონაწილეობდა ყვე-ლა საპარლამენტო მსჯელობაში. საკუთარ თავს ის „კონსტიტუციის უფლებადამცველს“ უწოდებდა.

1909-1911 წწ. გამოიცა სხვადასხვა დროს დაწე-რილი ნოველების სამი კრებული: „სიციცხლე, რო-გორიც არის“, „ჩუმი ტკივილები“, „სინდისის ხმა“. ამ ნოველებში ზოჰრაპი რეალისტურად გამოხატავდა ცხოვრებისეულ მოვლენებს, ადამიანის არსის სილ-რმეებს სწვდებოდა.

გრიგორ ზოჰრაპი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რა-თა დახმარებლად 915 წლის 24 აპრილს დაკავებულ თანამემამულეებს - ინტელექტუალური წრეების წარ-მომადგენლებს. მან მიმართა სახელმწიფოს მაღალ-ჩინოსნებს, რომელთა უმეტესობასთან მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა, მათ შორის მიმართა შინა-გან საქმეთა მინისტრ თალეათ ფაშას და პარლამენ-ტის თავმჯდომარე საიდ ჰალიმ ფაშას. ისინი დამაი-მედებელ და დადებით პასუხებს სცემდნენ. მაგრამ მალევე ზოჰრაპიც დააკავეს და გადასახლების გზა-ზე 1915 წელს სასტიკად მოკლეს.

კიდევ ბევრია რიცხვი იმ მწერლებისა, რომლე-ბიც სასტიკად დაიხოცნენ 1915 წლის საზარელი მკვლე-ლობების დროს. ზოგი მათგანი საკმაოდ გავლენიან-ნიც კი იყო თვით ოსმანთა იმპერიაში. რომ არა 1915 წლის მოვლენები, რამდენი ღირებული რომანი, ნო-ველა, ლექსი თუ სიმღერა დაემატებოდა სომხურ ლი-ტერატურას, კულტურას. ყველა მოკლულ თუ დაკა-ვებულ მწერალს ჰქონდა ევროპული მისწრაფებები, აზროვნება ევროპულად, კარგად იცნობდა ევრო-პულ ლიტერატურასა და მუსიკას, მხატვრობას, კულ-ტურას. ისინი განათლებასაც კი ევროპაში იღებდნენ. ისინი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დააკლდა ზო-გადსაკაცობრივი მრავალფეროვნებას. ისინი დღესაც არიან აღიარებული და ცნობილი ყველგან, სადაც არსებობს სომხური სათვისტომოები და ეკლესია.

ელიშე ჩარენცი

თარგმნა თეა თოფურიამ

* * *

შენ ჩემში იწვი, ჩემში ვარვარებ,
მუღმივ ალსა და სისპეტაკეში.
მე ნატანჯი და ვინმე ავარა,
ჩემს მინასავით ვარ სამარეში.
ქვეყანა იგი დარდსა და დუმილს
მოუცავს, რადგან სამყარომ განზე
დატოვა.
როგორ მოგიხმო ახლა
და დაგენაფო, როცა მარტო ვარ?!

რა დავიძახო, რა უნდა გვედრო?
როგორ მოგიხმო, რომ ისევ შეგხვდე?

* * *

ასჯერ მინავლდა ჩემს თვალეში ხანძარი. ჩაკვდა.
ჩემს მტკივან სულში ვარსკვლავები ასჯერ ჩაინუნენ.
და მაინც, როცა განმორების დადგები კართან,
ჩემს ყოფას, ქცეულს მოგონებად შენ ნუ დანყველი.
ჩემი ცხოვრება სრულდება და სიმღერა რჩება.
ჩემი სიცოცხლე ჩაქრა როგორც ცეცხლი ჭაობში.
იყო უმიზნო, გაფანტული და უიმედო.
შენც იცი, რომ ჩემს სიმღერებშიც კი ვერ აღმოვჩნდი.
თითქოს ჩემს სულში ამ ლურჯ სევდას სხვა კაცი თხზავდა.
უტყვემა - მუღმივი ტირილისგან - ვიარე ქვეყნად.
არავინ იცის, სულ არავინ, მე რა ვარდამხდა.
მხოლოდ იციან რამდენიმე ჩემი სიმღერა.
შენით ვავსებდი ყველა სტრიქონს, შენი ღიმილის
სხივია მათში, სისპეტაკე, ჩემი ხელების -
ჩახუტება რომ ვერ შევძელი შენი - ტკივილი.
ჩემი ცხოვრება კი ხრამშია გადაჩხილი.
აჰა, ბინდბუნდი, უამინდო, ისევ მოეთრა.
რა ვქნა, რომ ჩემს სულს მონატრება არ აწუხებდეს?
როგორ დავლიო სული, ხელის აუთოროლებლად,
რომ მერე მაინც მაპატიონ, თუნდაც როდესმე.
უცებ, დავეჭვდი, საკუთარი თავის არ მჯერა.
იქნებ, არც ილტვის შენკენ ჩემი სულის სიმწველე.
შენ ნუ დანყველი ხელებს ჩემსას, დრო რომ დადგება,
დარღია მათში, ისინი სულ შენსკენ ინევენენ.

* * *

ჩემი სიკვდილის დღეს -
სიჩუმე ძველი დარდივით დაანება ქალაქს,
როგორც გაზეთში ნაკითხული ცნობა კატასტროფის შესახებ.
როგორც შეყვარებული გოგოს სევდა,
ან ნაცნობი ქვრივის ნუხილი.
ჯერ ქუჩებს მოედება ახალი ამბავი,
მერე კარში შევა ბებერი ფოსტლიონივით,
ბრმად, ლასლასით დაივლის ოთახებს.
ლანდად განება ერთი სახლიდან მეორემდე.
დავინყებუი სტუმარივით აინურება მთელ ქალაქში.
მერე შუალამისას, როცა ყველაზე მშვიდი დროა,
თითოეულის გულში შევა და შეუხებლად,
როგორც შორეული მთვარე - დაივანებს.
ჩემი სახე გაქრება სამუდამოდ.
ის ხალხი, გუშინდელ დღემდე უცხო ჩემთვის,
არსოდეს რომ არ ვუნახივარ,



და ისინიც, ვინც ხანდახან მხედვედნენ,
თავის ზღაპრულ ამბავს შეთხზავენ.
ჩემი ლექსების უმეცარნიც კი,
ჩემს ცხოვრებას მონმეებივით რომ უყურებდნენ,
ისიც კი ეგონათ, რომ უკვე კარგა ხანია მოვკვდი,
საერთო გლოვით შეძრულები, გაცდებიან,
თურმე რა მშობლიური ვყოფილვარ მათთვის,
როგორი ძვირფასი.
მინიდან მტვერი, სულბში კი მოგონებები აიშლება.
ჩემი აზრდილი, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს წარსული,
ყოფ ქალაქებისა და სოფლების თავზე ილივილებს.
გამეღლები, ხანდახან ერთმანეთისთვის უცხოებიც,
ერთმანეთის თვალბში ერთი და იგივე ამბის ამოკითხვას შეეცდებიან.
სევდიანი სახით გაიზიარებენ მწუხარებას.
შეიძლება ვილაცამ წაიკითხოს ჩემი ცხოვრების წიგნი.
სვენებ-სვენებით, სტრიქონ-სტრიქონ,
მერე კი ერთბაშად გააგდოს ხელიდან
და დარჩეს საფლავი შორეულ მოგონებად
და ქალი, ჩემს სურათზე თავდახრილი
თვალბში სევდით და ცრემლებით...
როგორც წლების წინ, სიცოცხლეში,
მოგონებას უცებ წარსულის სუნი მიეცემა.
შეიძლება ჩემს წარსულს ჩემს სიზმრებში ედო ბინა,
ახლა კი ჩემს მემუარებშია.
მერე ვიყავი, ჩემი იყო,
ამას წიგნი ვერ დაიტევს.
ვერც ერთი წიგნი დედამინის ზურგზე.
ვერც ერთი წიგნი, ვერანაირი.

მზე
მიყვარს ჰაიასტანის სიტყვა ნამზეური
ზარი ძველი საზის, მოთქმა.
სიმი სევდიანი, ვარდი ნასისხლარი,
მისი სურნელი და როკვა
ლაზათიანი ჩვენი გოგონების,
ცა დაბინდული და წყალი,
ნითელი წყაროები, წყალსატევეები.
დრაკონის ხმა მაქვს და ვხავი
დიდების საგალობელს
მზის - ზამთრის, მზის - ზაფხულის.
ქოხები წყვილადში ქრება.
უძმური კედლების ხაო და სიმავე,
ძველი ქალაქები ქვებად.
ეს ქეები ითვლიან ათას წელს,
წელს ათასს... ვიქნები ავერ თუ სხვაგან,
არ დამავინყდება ჩვენებურ სიმღერებს
სევდა რომ დაჰყვება დალად.
არ დამავინყდება რკინა ჩამოსხმული
რომ იქცა წიგნებად ლოცვის.
ჩვენი იარები, ძველი იარები
ისეთი ღრმაა და ლოდი.
არვინ არ არის
მსგავსი ნარეკაცის
არც კაცი - ქუჩაკის მსგავსი.
მიყვარს მთა მასისი, როგორც უმნიფარი
გზები დიდების და დაფნის.
მიყვარს ჰაიასტანი ობოლი, ნათელი,
მიყვარს და ზღაპარი მეტი,
არ დამჭირვებია.
შენ - წადი აშხარში
კამკამა არარატის ფეხრით.



მარინე პეტროსიანი

პოეტი და სამშობლო

სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანი



უკვე ბნელოდა, თითქმის გრილოდა უკვე, სიბნელებში, თითქმის სიგრილეში, ჩვენს სარალანჯის ქუჩაზე, რომელზეც მატარებლები დადიოდნენ ჩემს ბავშვობაში, გუშინ კასკადიდან - ლილით ბლენის კონცერტიდან, სახლში რომ ვბრუნდებოდი. უცებ ბავშვის ხმამ ძალიან ახლოდან ხმადაბლა მკითხა: „ლილითის სიმღერები მხიარული იყო თუ სევდიანი?“ გავუქვავდი. შემოვბრუნდი. ჩემ ირგვლივ არავინ იყო. მაგრამ კითხვა გაისმა და ჰაერში წკრიალებდა, ჩვენი სახლის ფანჯრებზე, ჩემი ბავშვობის დღეებში, მატარებლები ზევით რომ მიქროდნენ. კითხვა დამისვენდა მე ვუპასუხე: - ლილით ბლენის სიმღერების სევედა ისეთი სევდაა, რომლისგანაც შენში ძალა იბადება და ამ ძალისგან - სიხარული.

- არ გახსოვარ? - მკითხა ხმამ. და გამახსენდა პატარა მარინე, რომელსაც უკვე გადანყვებილი ჰქონდა, პოეტი გამხდარიყო.

ახლა კი ჩვენს აივანზე ვდგავარ და ირგვლივ ვიყურები. შორს შენობებია, ახლოს შენობებია. ჩემ წინ შენობებია, მარცხნივ შენობებია, მარჯვნივ შენობებია. ლამე ახლახან დაიწყო და შუქების უმეტესობა ანთებულია. თუ შენობებში შუქი ანთია, ესე იგი შიგნით ხალხია და არ სძინავთ. და მათი უმეტესობა მიცნობს.

ამ ბოლო დროს ხალხი უფრო მეტად მესალმება. ყველგან - ჩვენს შენობასთან ან ერევნის სხვადასხვა კუთხეში. მისალმების ტალღის რყევები დიდი ხანია ჩემთვის ნაცნობია, ძირითადად, ტელევიზიასთან იყო დაკავშირებული: ტელე-შეხვედრაზე თუ მივდიოდი, მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში მისალმებები მატულობდა. მაგრამ ამჯერად ეს არ შეიძლება იყოს მიზეზი, ახლა ტელევიზიაში დიდად აღარ დავდივარ, ბოლო ორი თვეა, საერთოდ არ ვყოფილ-

ვარ. მისალმებები კი სულ უფრო და უფრო მატულობს. რას ნიშნავს ეს? ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ ხალხის მოლოდინის ტალღა ისევ მატულობს. ადრე ასეთ შემთხვევებში მესალმებოდნენ და მეკითხებოდნენ: მარინე, რა იქნება? ახლა სიტყვებით აღარ მკითხებიან, მხოლოდ მესალმებიან და კითხვის ნიშნავნი სახით დაჟინებით შემომყურებენ.

და კანი მიწითლდება.

სომხეთს დღეს თავისი ისტორიის საუკეთესო დღეები არ უდგას. ხალხი სასოწარკვეთილია, ყველანი ჩიხში ვართ. ყველა სტანდარტული პოლიტიკურ გადანყვებილება გამოიცადა და ჩაიშალა. უფრო სწორმისიული, ფუნდამენტური გადანყვებილებებისა ჭირო იმისათვის, რომ სომხეთში ვითარება შეიცვალოს და სასოწარკვეთა გაქრეს. ხოლო სიღრმისეულ გადანყვებილებების მიღება, ჩემი ღრმა რწმუნებით შეგვიძლია ჩვენ, მწერლებს. ჩვენმა ისტორიამ ეს ვალება მოგვცა. როგორც ჩანს, ჩემი თანამოქალაქებიც ამ აზრზე არიან, ამიტომ მიყურებენ ქუჩაში დაჟინებით.

და კანი მიწითლდება, რადგან ჩვენ შეგვიძლია მაგრამ ჯერ არ გავაკეთებთ. მე შემიძლია, მაგჯერ არ გამიკეთებია.

შუქი ჩაქრა. არაა.

სომხეთში ბნელა. ყველგან.

ადამიანებმა კარები გააღეს და დგანან.

ყველა მიხვდა, რომ შუქი არ იქნება. დიდხანს იქნება შუქი. შესვენება იქნება.

ცხოვრების შესვენება. საწამ ნინადადება არ ძებნება.

უთვალავი ნინადადებიდან მოიძებნება ის ედღერთი, რომლის შემდეგაც ცხოვრება ისევ იქნება.

ნიკოლოზ ალექსიძე არმენოფილები ჩვენს შორის და როგორ გამოვაკლინოთ ისინი

ზაზა ალექსიძის ერთი ძველი ნერილის გამო
ამტყდარი რისხვის გახსენება



ფოტო: სსა, კრიტიკა, ჩვენთვის

ძნელია, მოიძებნოს სხვა ორი ერი, რომელთა ისტორიული და თანამედროვე ბედიც ისე ყოფილიყოს გადაჯაჭვული, როგორც ქართველებისა და სომხების. და კიდევ უფრო რთულად მოიძებნება ორი ისეთი ერი, რომელთა ერთობასა და ერთიანობას ასე საგულდაგულოდ, თანმიმდევრულობითა და მიზანდასახულობით უთხრიდნენ ძირს დღიდან ამ ორი ერის და სახელმწიფოს არსებობისა. რომის იმპერიისა და მისი მეტოქე ირანის, ბიზანტიისა თუ არაბული საემიროების, ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების და ბოლოს რუსეთის, მისი სხვადასხვა მანიფესტაციით, ყველა ამ აგრესიული ძალის დაპყრობითი პოლიტიკისა და ამიერკავკასიაზე გაბატონების ქვაკუთხედი ქართველთა და სომეხთა შორის განხეთქილების ჩამოგდება და განმტკიცება იყო.

ამიტომ, თუ საერთოდ არსებობს ისეთი რამ, რასაც ეროვნული ინსტინქტი ჰქვია და თუ ეს ინსტინქტი რამე მისტიფიკაცია არაა, მაშინ მისი ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე მდარე და პრიმიტიული გამოვლინება არმენოფობიაა. სამწუხაროდ კი ისე მოხდა, რომ არმენოფობია, მისი ექსტრემალური, თუ თითქოს უვნებელი გამოვლინებები, ქართული ნაციონალიზმისვე დნმ-ში აღმოჩნდა. თუ დღევანდელ საჯარო სფეროს გადაგხედავთ და მის ყველაზე, ასე

ვთქვით, მეტყველ, სივრცეს, facebook-ს, ამ ინსტინქტს გავარჩევთ ყველგან და ყველაფერში: თითქოს უწყინარ ხუმრობაში, ისტორიულ ნიაღვრებში, სომეხ მეზობელზე მოყოლილ „ნამდვილ“ ამბებში და ეთნოფსიქოლოგიურ დაკვირვებებში, თუ უბრალოდ ისე, სიტყვის მასალად. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ყველაზე ნათელ დროშიც, როცა ეროვნული იდენტობა ინართობდა და საქართველოს და მისი იდენტობის რაობაც ისაზღვრებოდა, არმენოფობია ამ პროცესის თანმდევი სული იყო. და რამდენადაც უნდა გვევაყებოდეს ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღალადი“, რითაც ილია საქართველოს წარსულს იცავს რამდენიმე რუსი და სომეხი მეცნიერის პრეტენზიებისგან, იმდენადვე უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ის დამამცირებელი ეპითეტი, რომლებითაც სომეხები იმკობდნენ ათნლეულების მანძილზე, სწორედ ამ ნაციონალური ტექსტივიდან იღებს სათავეს. რადგან ისე მოხდა, რომ მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მარჯვნივაც და მარცხნივაც, საკუთარ ეროვნულ პროგრამას ნაწილობრივ მაინც ანტი-სომეხურ სენტიმენტებზე ამყარებდნენ („ვაზულუქებუი“ სომეხი ვაჭრების თუ ჩამოსახლებული სომეხური თემების დემონიზებით), დღესაც, ბევრ სივრცეში ეს ორი რამ, ერ-



თი მხრივ, ქართული პატრიოტიზმი თუ ნაციონალიზმი და, მეორე მხრივ, არმენოფობია, ტოქსიკურადაა გადაკვეთილ-გადაბმული. ცხადია, არავინ, ვინც არმენოფობიულს სჩადის რამეს, ასეთად თავს არ მიიჩნევს (არც ანტისემიტი, სხვათა შორის). არმენოფობია, პირველ რიგში, არის სომხური იდენტობის ესენციალიზაცია, სომხებისთვის, როგორც ერისთვის, ამ სიტყვის უფართოესი განმარტებით, რაღაც კოლექტიური თვისებების მინიჭება. ვინც ამ წერილს კითხულობს, ალბათ ყველამ იცის რაც: მერკანტილიზმი, უსამშობლობა, უნდობობა. ერთი სიტყვით, სომხებს აკლიათ ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის, ქართველებისთვის ორგანულია: სამშობლოს სიყვარული, გულუხვობა, ერთგულება, პატიოსნება და ა.შ.

ამ წერილში კი არმონოფობიისავე კონტექსტში შექმნილი უცნაური ნეოლოგიზმის, „არმენოფილიის“ შესახებ მინდა ლაპარაკი ერთი ოცდახუთი წლის წინანდელი ისტორიის გახსენებით. ოღონდ არავის, ვისაც სიტყვა არმენოფილია გამოუყენებია ან ვინმესთვის არმენოფილია დაუნამებია, ეს სიტყვა დადებითად არ გამოუყენებია. არმენოფობიურ დისკურსში „არმენოფილი“ არაა ანგლოფილივით კეთილშობლივი, მისი ფილია იმ სხვა, ცუდი ფილიების რიგში უფროა. ჰოდა, მე მგონი, პირველად და ყველაზე მკაფიოდ ეს ეპითეტი შეარქვეს მამაჩემს, ზაზა ალექსიძეს, რის შესახებაც მინდა ქვემოთ მოგითხროთ.

მაგრამ ჯერ ცოტა შორიდან დავიწყეთ და ერთგვარ ტრუიზმებს მოვყვეთ. ორივე ერს, ქართველსა და სომეხსაც, განსაკუთრებით გამძაფრებული აქვს ისტორიის აღქმა და ამ ისტორიაში საკუთარი არსებობის საზღვრის ძიების წყურვილი. ორივე ერისათვის თანამედროვეობა თითქოს რაღაც სამწუხარო რეალობაა, რომელიც ლოგიკურად არ გამომდინარეობს დიადი წარსულიდან. ნამდვილი ქართველობა და ნამდვილი სომხობა კი იქ, იმ წარსულში, მის დაცვადა და პრობაგანდაში ინახება. მიიტომ სომეხს და ქართველს მეცნიერება შორის სადავო საკითხი, რაც შემდეგ ფართო პუბლიკაში გადაიღვარა კიდევ უფრო პრიმიტიული სახით, უამრავია და ყოვლის-მომცველი: ვინ და როდის შექმნა ქართული ანბანი? ქართველები და სომეხები მეშვიდე საუკუნემდე „მონოფიზიტები“ იყვნენ თუ არა? პირობითად ოშკი ქართული ტაძარია თუ სომხური? გრიგოლ ბაკურიანისძე ქართველია თუ სომეხი? ესა თუ ის სიტყვა ქართულიდანაა შესული სომხურში, თუ სომხურიდან - ქართულში? ბიბლიის ესა თუ ის წიგნი სომხურიდან ითარგმნა ქართულად თუ ბერძნულიდან? ესა თუ ის ტოპონიმი სომხურად აიხსნება თუ ქართულად? მოკლედ, ვერ ნახავთ შუა საუკუნეების ქართველოლოგიის ვერც ერთ საკითხს და, მით უმეტეს, კავკასიოლოგიას, რომ არ იყოს აზვლილი ქართულ-სომხურ ტოქსიკურ ურთიერთობაში. თუმცა, პარადოქსულად, არსად, არც ერთ ძველ წყაროში, არც სომხურსა და არც ქართულში არ იკითხება მსგავსი პოლემიკა რაიმეს სომხურობის ან ქართულობის შესახებ, არც ერთ ეკლესიაზე და არც ერთ ადამიანზე, იმ უბრალო მიზეზით, რომ ასე მკაცრად დიფერენცირებული კატეგორიები მაშინ არ არსე-

ბობდა. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ნაციონალური სენტიმენტები, ერისა და ეთნოსის გაყვების (ჩემი აზრით, მავნე) ტენდენცია, მე-ს და სხვა კატეგორიულად გარჩევის ვნება გადასწვდა ისტორიოგრაფიას. იქ, სადაც ისტორიულად არ ყოფილა გარჩევა ან არ აღიქმებოდა განსხვავებად, დღეს ძებთ განსხვავებასა და უნიკალურობას; „სომხობა“ და „ქართველობა“ აქცია რიგიდულ, შეუვალ და განუღებოდა, რომელსაც დაცვა და გააჩვენა ესაჭიროება და ხშირად, სამწუხაროდ, სწორედ ერთმანეთისგან.

ზაზა ალექსიძემ (1935-2023) მთელი თავისი ცხოვრება დაუთმო ამიერკავკასიის ისტორიისა და კულტურების კვლევას. ამ ხანგრძლივ კარიერაში, ჩემი აზრით, სამი ძირითადი ხაზის გამოყოფა შესაძლებელია: ქართველოლოგიურის, ალბანოლოგიურის და არმენოლოგიურის, თუმცა ის ამ სამს სამართლმანად არც განარჩევდა და ერთად უწოდებდა კავსიურ კვლევებს.

აქედან ორი სათავეს იღებს სინის მთის მნიშვნელოვან კვატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ხელნაწიბიდან. 1975 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად, ნაწილად და გიორგის სამლოცველოს ჩამონგრევასთან ერთად, იატაკში დამალული ათასობით ხელნაწი ფურცელი აღმოჩნდა, მათ შორის ათობით ქართული ხელნაწი წიგნი. სწორედ ამ ხელნაწერთა შორის გაირჩა „მოქცევა? ქართლისა?“ და „ასურველი მამათა ცხოვრებების“ ახალი რედაქციები, რომელთაც ბევრად გამაძიდრეს ჩვენი ცოდნა ამ ტექსტებისა და ეპოქების შესახებ.

კვლევების მეორე და ხანრთაშორისი მნიშვნელობით ალბათ ყველაზე გავლენიანი ხაზი იყო ალბანოლოგიისთვის, საერთოდ როგორც დარგისთვის, საფუძვლის ჩაყრა. იმავე ხანძრის შედეგად აღმოჩენილ პალიმფსესტთა შორის მან მიაგნო, გამოუშვა და ამოიკითხა კავკასიის ალბანეთის მწერლობის მუშები, რაც სულ სხვა თავგადასავლებით გაგვიჩვენებული ისტორიაა და ცალკე სტატიას იმსახურებს.

ზაზა ალექსიძის ყველაზე ხანგრძლივი კვლევითაა საგანი კი იყო ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა და უფრო ზუსტად მეშვიდე საუკუნის დასაწყისში მათ შორის მომხდარი საეკლესიო განხილვები. გარდა უამრავი სტატიისა, მან ამ საკითხში სამი ფუნდამენტური გამოცემა და გამოკვლევა შეუძღვნა.

ჩემი, ალბათ სუბიექტურიც, მაგრამ უფრო პირველადი აზრით, მისი „ეპისტოლეტა წიგნი“, არა ქართულ ენაზე დაწერილ ისტორიოგრაფიულ მოკვლევათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. საუკეთესოა იმიტომ, რომ ერთდროულად მოიცავს ეკლესიოლოგიურ სიზუსტეს, ორი ენის ზედმიწევნით გვიცხურ ცოდნას, წყაროთმცოდნეობით ანალიზს და, რაც მთავარია, შემოქმედებითობას, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი ქართულითაა დაწერილი. ამოიკითხავთ ამბებს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ, მცხეთის ჯვრის ტერიას და, რაც მთავარია, კირიონ ქართლის კავსიოლოგიის ცხოვრების აღდგენის დეტექტიურ მც-

ლობას. ალექსიდის აზრით, კირიონ კათალიკოსი, სომეხებთან საეკლესიო განხეთქილების არქიტექტორი, იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიული ფიგურა, რომელსაც გამოკვეთილად ესმოდა საქართველოს ეროვნული ინტერესები და განსაზღვრა ამ ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ტრადიციონალიზმის შემდეგი საუკუნეებისათვის, რითაც იყო გრიგოლ ხანძთელის ერთგვარი იდეური წინამორბედი. ყველაზე საინტერესო კი ის მსჯელობაა, რითაც ალექსიძე ასაბუთებს, რომ კირიონ კათალიკოსი იგივე კიროს ფაზისელია, იმპერატორ ჰერაკლეს თანამებრძოლი და მოკავშირე, რომელიც შემდეგ დაინიშნა ალექსანდრიის პატრიარქად და ცნობილი გახდა როგორც კიროს აღმუკავების, ეგვიპტის დე-ფაქტო მმართველი, რომელმაც პირველი კონტაქტი დაამყარა მუჰამედთან. ასე რომ, თუ ერთდროულად ეძებთ მეცნიერებასა და თავგადასავლებს, წაიკითხეთ „ეპისტოლეტა ნიგნი“.

ეპისტოლეტა ნიგნის მოჰყვა უხტანესი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ და შემდეგ არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“. ეს ორი ავტორი ერთი სომეხი და მეორე ქართველი, მათე და მეთერთმეტე საუკუნეების გადმოსვლიდან იხსენებენ იმ მეჭვირველ საუკუნეების ამბებს, როცა პირველად მოხდა განხეთქილება ქართველთა და სომეხთა შორის და დაიწყო ამიერკავკასიის ერთობა. ორივეც ტრაგიკულ ამბად მიაჩნია ეს მოვლენა, თუმცა ორივე თავისი თანამედროვეობისთვის და თანამედროვე პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესების სამსახურში აყენებს იმ ძველი ამბების გახსენებას.

ამავე დროს ათნლეულები მიუძღვნა სომეხ მეცნიერებთან პოლიემოსს, რადგან მიიჩნევდა, რომ კავკასიოლოგია არ არის მხოლოდ მეცნიერება და ეროვნული ინტერესების დაცვასაც მოიაზრებს. მასა და ცნობილ სომეხ მეცნიერთა შორის დავა კავკასიის ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესახებ არის მაგალითი, ერთი მხრივ, მეცნიერული პოლემიკისა და, მეორე მხრივ, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვისა. ასევე კარგად მახსოვს, თუ როგორ გულწრფელად განიცადა მამაჩემმა, როცა მისი ყველაზე უკომპრომისო სომეხი მეტოქე, ცნობილი მეცნიერი პარუტიან მურადიანი გარდაიცვალა. მისდამი მიძღვნილი გამოსამშვიდობებელი წერილი ასე დაასრულა: „ჩვენი ურთიერთობები ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებს ჰგავდა, ვკამათობთ, ვდავობთ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოგვიდგენია“.

ასე რომ ათნლეულების მანძილზე ზაზა ალექსიძემ საერთაშორისო აკადემიაში თავი დაიმკვიდრა, როგორც ქართულ-სომხური ურთიერთობების ყველაზე ავტორიტეტულმა მცოდნემ. ამავე დროს, მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე, როცა ადამიანი ნაციონალისტური დარწმუნებულობის ნაცვლად, ნაკლებად კომფორტულ, უფრო შუალედურსა და ბევრისთვის ბუნდოვან სივრცეში მოექცევა ხოლმე. ზაზა ალექსიძე სომხური მეცნიერების გარკვეულ ნრეგში ნაციონალისტად შერაცხეს, თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იმ დროს სომხური მეცნიერების ელიტამ მოიკვთა ყველა, სომეხიცა და არა სომეხიც, ვინც არ იზარებდა ოფიციალურ სომხურ

ისტორიოგრაფიას. ზაზა ალექსიდისთვის ყველაზე მტიკვენული იყო ის, რომ საქართველოში „სალანდღავი“ ნეოლოგიაში შეთხზეს - არმენოფილი! თავის თავად ამ სიტყვაში ცუდი არც არაფერია, ოღონდ მათ, ვინც ეს სიტყვა მოიგონეს, ყველაფერი ცუდი და „ანტიქართული“ ჩადეს მასში. სწორედ ამ ამბავზე მინდა ქვემოთ მოყოლა, ტენდენციან, რომელმაც მტიკვენული ხასიათი ეროვნული მოძრაობის პერიოდში მიიღო, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრი გახდა შემდეგი დეკადების მანძილზე.

1998 წლის გაზაფხულზე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომრებში გაიმართა პოლემიკა, თუმცა, მე რომ მკითხობთ, ეს სიტყვა ზედმეტი პატივია იმისა, რაც მოხდა და რის გამოძახილებაც დადემდე სპორადულად შეხვდებით ხოლმე. არ მგონია, ბერს ახსოვდეს, მაგრამ მე მახსოვს იმიტომ, რომ მახსოვს ზაზას განცდები და ტკივილი, რაც ამ ყოველივეს შედეგად მიადგა. 25 წლის მერე, იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა მთიან ყარაბაღში და იმ გარდატეხების ფონზე, რაც ხდებდა ამიერკავკასიაში, მგონია, რომ მნიშვნელოვანია იმ ყოველივეს გახსენება, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს, მთიანი ყარაბაღიდან სომეხების მორიგი განდევნის შემდეგ, უკვე მეც გავხდი შემწნეული სომეხებისადმი ზედმეტ სიყვარულსა და გულშემმატკივრობაში.

1998 წლის 11 იანვარს ზაზა ალექსიძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „კავკასიის ისტორიის გაკვეთილები“, რომელსაც რედაქციამ „ჩვენი ისტორიის გაკვეთილები“ დაარქვა. თუ არ ვცდები, მოხსენება ბუდაპეშტში რაღაც კონფერენციისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ნასვლა ვერ შეძლო და ბოლოს ცოტა შეცვლილი სათაურით გამოაქვეყნა.

მოკლედ რომ გადმოვცეთ წერილის სათქმელი, ეს იყო შემდეგი: ის ჯერ მსჯელობს ამიერკავკასიის ქვეყნების, კერძოდ სომხეთისა და საქართველოს ისტორიაზე და უნდა, რომ ახსნას ამ რეგიონის განსაკუთრებულობა, ოღონდ არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ წარმოაჩინოს ის, როგორც გაკვეთილი თანამედროვე მსოფლიოსთვისაც. წერილს ცოტა წინასწარმეტყველურად იწყებს, თითქოს იცის, თუ რა მოჰყვება მას:

„კავკასიისმცოდნე არ შეიძლება მხოლოდ მეცნიერების სამსახურში იდგეს. იგი უნდა იყოს წამკითხველი და მქადაგებელი იმ დიდი გაკვეთილებისა, რომელიც ჩვენ ისტორიამ დაგვიტოვა. მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ის დიდი საფრთხეც, რომელიც ჩვენში არ ემოქრება ჰუმანიტარული მეცნიერებების არც ერთი სხვა დარგის წარმომადგენელს ისე, როგორც კავკასიისმცოდნეს. მას მუდამ აწევს ტვირთად არაპროფესიონალი წრეებისა და ახლომხედველი პოლიტიკოსების სუბიექტურ განწყობილებათა მოთხრენა, გაამართლოს მათი იმედები და მოლოდინი“.

წერილის დასაწყისშივე აშკარა გახდა, თუ რა ქარიშხალი ბატვებოდა მალევე, მით უმეტეს, რომ ის უნდა შეხებოდა ქართული ისტორიოგრაფიისთვის ერთ განსაკუთრებით მტიკვენულ საკითხს: საქმე ისაა, რომ მეთერთმეტე საუკუნის ქართველი



ისტორიკოსი, რუისის ეპისკოპოსი ლეონტი, რომელსაც მიეწერება „ქართლის ცხოვრების“ ავტორობა, კავკასიელ ხალთა წარმომავლობაზე მსჯელობისას წერს, რომ ქართველთა და სომეხთა, ასევე ყველა ავტოქტონი კავკასიელი მოსახლეობის წინაპარი იყო თარგამოსი, იგივე ბიბლიური თოგორმა. ხოლო თარგამოსის შვილი ჰაოსი, „უმეტეს გმირი იყო ყოველთასა“, რომელიც დაემკვიდრა არარატის მიდამოებში, და მამისგან მემკვიდრეობით არარატის მიდამოებში „ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა“ მიიღო. ჰაოსს ჰყავდა უმცროსი ძმა ქართლოსი, რომელიც ქართველთა ეთნარქია და ქართლოსის უფროსი შვილი კი მცხეთოსია და ა.შ. ლეონტი მროველი მეტსაც და კიდევ უფრო სკანდალურ რამეს ამბობს, რომ სანამ ქართველთა ენა ქართული გახდებოდა, მანამდე სომხური იყო.

ასე რომ, ლეონტი სამ რამეს ამტკიცებს: ა) სომეხთა ეთნარქი კავკასიის ეთნარქთა შორის ყველაზე უფროსი და უგმირესი იყო ბ) მან მემკვიდრეობით „უმჯობესი“ მიწები მიიღო და გ) ქართველთა ენა, სანამ ქართული ჩამოყალიბდებოდა, სომხური იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ბევრი სიტყვა დაიხარჯა ლეონტის ამ ცნობის ასახსნელად. ხან ის ითქვამს, რომ რაღაც სხვას გულისხმობდა, ხან რომ შეცდომა დაუშვა, ხან ვიღაცის ჩამატებულიაო, ხან სომეხთს კი არა ურარტუს გულისხმობდაო და ბოლოს, რომ ლეონტის საერთოდ არაფერი დაეჯერება. ზოგმა ისიც თქვა, რომ საერთოდ ამოღებული უნდა იყოს ეს ცნობა ქართლის ცხოვრების ახალი გამოცემებიდანო, ან თუ იქნება, მკაცრად გაკრიტიკებული ფორმით უნდა დარჩესო! ფაქტია, რომ ვერაფრით აიხსნა, თუ ჯერ რატომ თქვა ასეთი წარმოდგენილი რამ ლეონტმა, მერე შემდგომმა რედაქტორებმა, მაგალითად, ვახტანგ მეექვსემ, რატომ „გაატარეს“ ის, და თუ იმათ ვერ უქნეს ვერაფერი, ახლა რაღატომ იბეჭდება ხოლმე ეს ერესული პასაჟები. 1955 წელს სიმონ ყაუხჩიშვილიმა ქართლის ცხოვრების აკადემიური რედაქცია გამოცა. ორი წლის შემდეგ გამომეთო ლეონტის პასაჟით აღმოვაჩინე ძველი ბოლშევიკი პოეტი ალიო მირცხულავა და, ზოგადად, ეჭვი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის საჭიროებაში: „ზღაპარზე აგებული ისტორია ქართველ ერს არ სჭირდება!“ საბოლოო ჯამში, ერთგვარი დაუნერვლი კონსენსუსით, ლეონტი მროველი არმენოფილი, ხოლო მის ამ ცნობას არმენოფილი ეწოდა!

სწორედ ამ ცნობის ანალიზს ეთმობა „ისტორიის გაკვეთილების“ პირველი ნაწილი. ზაზა ალექსიძეს ხაზგასმით არ ანტერესებს და არ არჩევს ამ ცნობის სიმართლეს, მეტიც, ეჭვიც არ ეპარება მის არაისტორიულობაში. წერილის ფოკუსი არის თვითონ ლეონტიზე, რომელიც ბიბლიური და კიდევ სხვა უცნობი წყაროებით სარგებლობს და საერთოდ არ განიცდის ამ ამბავს, საერთოდ არ ფიქრობს, რომ მას და მის ქვეყანას ამ ცნობით რამე აკლდება და თავშიც არ მოსდის ამ ამბის მიჩქმალვა. რატომ? იმიტომ, რომ ლეონტის არ ანუხებს არც რაიმეს ფობია და არც არასრულფასოვნება და საერთოდ არ

ფიქრობს, რომ თუ იმ ცნობას, რაც მან წყაროებში ამოიკითხა, პირუთვნელად გადმოსცემს, რამეს და აშავებს. ლეონტის დროს იწყება ქართველების ერთ კავკასიის გაერთიანება, ქართული სამეფო ელფი და ძლიერია ამიერკავკასიის სახელმწიფოებში რის და ლეონტიც, როგორც თავისი დროის მელთავდაჯერებულია. რატომ არ ფიქრობდა ლეონტი რომ ამბის გადმოცემით რაიმე შავდებოდა და რატომ არის ეს ცნობა დღეს სრულიად მიუღებელი იმდენად, რომ ამ ცნობის ტექსტში მოსახვედრად სრულიად ფანტასტიკურ ახსნას ეძიებენ? აღსანიშნავია იმიტომ, რომ დღეს ნაციონალიზმი ზოგადად ან ფორმით, რა ფორმითაც დღეს არსებობს, შიშობდა და არასრულფასოვნების ბაცილითაა დაავადებული, ყოველივე იმით, რაც ლეონტის არ ადარდებდა ალექსიძე ავრძელებს:

„ყოველივე იმით, რაც ლეონტის არ ადარდებდა ალექსიძე ავრძელებს: თველი და სომხეთი“ არასდროს უპირისპირდებოდა ერთმანეთს სამ კულტურო-სასიცოხლოდ; არამცთუ ერთმორიცხავენ, გარკვეული თვალსაზრისით ავტორი კიდევ ერთმანეთს, რის გამოც არასდროს რეალობაში ამიერკავკასიაში კრიტიკულ წერტილამდე მიღწევა კულტურის უცხო ძალისა და კულტურის ტოტალური დაპყრობისა და კულტურის სწორედ ამ მწვერვალზე ქრისტიანული და ტიპოლოგიური განსხვავებების გაუთვალისწინებლობის შედეგია... უსაგნოდ ვა ერთი ქვეყნის მეორეზე უპირატესობისა და გულგნულობის შესახებ“.

ამის შემდეგ ალექსიძე ავითარებს მნიშვნელოვან მსჯელობას, თუ რა პერიოდს მოიხსენებენ ქართველები „ოქროს ხანად“ და რას - სომეხები. ამბობს, რომ ქართველებისთვის ეს იყო მე-12 საუკუნე, პოლიტიკური ძლიერების ზენიტში ყოფნის ეპოქა, როცა შესაბამისმა შემოქმედებითმა ენერგიაშიც მწვერვალს მიაღწია „ვეფხისტყაოსნის“ სახით. ხოლო სომეხებისთვის ასეთი დრო მე-5 საუკუნე იყო, როცა მიქმნა სომხური ლიტერატურის შედეგები და მისი მაშინ, როცა აღარც სამეფო არსებობდა უკვე და სომეხ ერს ზოგადად არსებობისთვის ჰქონდა განსაკუთრებული გადამწყვეტი ბრძოლა სასანურ ირანის ამიტომ იდენტობის გადარჩენის, შენახვის, დაფიქსირების ინსტინქტი ყოველთვის ძლიერი იყო სომხურ ტრადიციაში. წერდნენ ყველაფერს და ყველაფერზე, აფიქსირდნენ ყველა ავლასა და ჩავალადან მუდმივად საფრთხეში მყოფი ან გაუქმებული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული იდენტობის პირობებში, მესხიერება იყო ის, რაც მათ უნაღვეკვისგან იხსნიდა. მართლა ასეც მოხდა. ასე იქნებოდა მესხეთი საუკუნეში და ასეა დღესაც, როცა მთელი საუკუნის განმავლობაში ოსმალების მიერ სომეხების სისტემური ხოცვა-ჟლეტა, ეთნომეცნობა და გადამსახლება მესხიერების ერთგვარი წმინდა ლოკუსი რომელიც განაპირობებს თანამედროვეობასაც.

შემდეგ ზაზა სომხურ „ოქროს ხანას“ ადარებს ქართულს, ეპოქას, რომელიც ყველაფერთან ერთად გამოირჩეოდა თავისი კოსმოპოლიტიზმითა და შემოქმედებით. ამ პერიოდში ქართველი მეფეები თავს სომეხთა მფარველებად და მცველებად

1 ინტერნეტი სიტყვა „არმენოფილი“ მოქმედა ავლილად დაადასტურებს ამ ამბავს.

მიზნებდნენ, რადგან სომხურ მიწები ამიერკავკასიის განუყოფელი და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო.

„სხვათა რვეულისა და სხვა მრწამსის შექმნარებული ქვეყანა და ეკლესია შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომელიც თვითონ ურყევად ერთგულია თავისი სარწმუნოებისა და თავის მრწამსის. სხვაგვარად შექმნარებლობა ვაუკებადია და უაზრო. როგორ შეიძლება შექმნაროს თავის თავში მერყევამის, ვინც არ ღალატობს თავის სარწმუნოებას. როგორ შეიძლება დააფასოს სხვისი ერთგულება ორგულმა?“

შემდეგ მსჯელობს საქართველოს გაერთიანების იდეაზე და თუ როგორ ცალიბდებოდა ეს იდეა მიწა-საუკუნიდან, როცა „ნელადრე შეკრბა ქართლი“ და როცა აიგო მცხეთის ვაკარი „მცველად ყვოლისა ქართლისა“ და თუ როგორ ვახდა უკვე გრიგოლ ხანძთელის დროს ქართული ენა და ღვთისმსახურება ქართული იდენტობის განმსაზღვრელი.

ბოლო ნაწილში საუბარია საქართველოს საბოლოო გაერთიანებაზე დავით აღმაშენებლის მიერ, როცა საქართველოს ნაწილი ვახდა ჩრდილოეთ სომხეთიც. მოთხრობილია, თუ როგორ მიიღეს დავითი და მისი შთამომავლები სომხებმა როგორც საკუთარი სუვერენები და როგორ მიიჩნიეს თამარის ეპოქა კავკასიაში მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენად. ალექსიძეს მოჰყავს გიორგი მეშვიდის მაგალითი, თუ როგორ უწევდა გააფთრებულ წინააღმდეგობას თემურ ლენგს და როგორ ჩაბარდა მხოლოდ მაშინ, როცა თემურ ლენგი სომხეთის აოხრებით დაემუქრა. წერილს შემდეგი სიტყვებით ასრულებს:

„საქმე ის არის, რომ ქართველი მეფისათვის მამონ სომხეთი საქართველოს ნაწილი იყო, ხოლო სომხები საქართველოს მეფის შვილები და ის ამ თვალსაზრისით არაფრით განსხვავდებოდა, ვთქვათ, კახეთისა და კახელებისგან. ამავე დროს, სომხეთი იყო უმნიშვნელოვანესი სამხრეთი კარიბჭე საქართველოსთვის... მაგრამ ეს ყველაფერი პრაგმატული არ-გუმენტებია. საქართველოს მეფის საქციელს, შეესაძლოა, უფრო ღრმა მორალური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს მეფე თავს სომხეთა მფარველად აღიქვამდა, ხოლო მფარველი მისთვის თავშეფარებულს საკუთარი და თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ფასადაც არ ვასცემდა. ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ ისტორია ლამაზი და ჭკუისასწავლებელია სწორედ ასეთი პარადოქსებით.“

იმ რეაქციის მასშტაბს, რაც მოჰყავს ამ წერილის გამოქვეყნებას, თვითონ წამდებოდა არ მოელოდა. იმავე საქართველოს რესპუბლიკაში“ და მის მიღმაც ატყდა ერთი ამბავი, ქვეყნდებოდა წერილები, სადაც იგმობოდა ალექსიძის „არმენოფილობა“. უწუნებდნენ მეთოდოლოგიას, საეჭვოდ მიაჩნდათ მისი მოტივაცია, სწამებდნენ ანტიმეცნიერულობას. ყველა პასუხს ვერ მივაგენი, მაგრამ 24-ე და 25-ე ნომრებში გამოქვეყნებული გამობმაურება, ალბათ, ყველაზე ტიპური იყო, როგორც ყველაზე მკაფიო გამოვლინება ქართულ ცნობიერებაში გამჯდარი ანტი-სომხური სენტიმენტებისა.

იმავე თვის ბოლოს გამოქვეყნდა თავის დარგში, მაგრამ არა კავკასიისმცოდნეობაში, დამსახურებული მეცნიერის წერილი, სადაც ალფოთებულმა ავტორმა ზაზა ალექსიძეს დააბრალა ისტორიოგრაფიაში „მაკრატულია და ნუბოთი“ ოპერირება, დაგმო მისი „არაკეთილსინდისიერება“, დაუწუნა კრიტიკული ცნობიერება და ეჭვი შეიტანა მის ცოდნაში თანამედროვე ისტორიოგრაფიული მეთოდებისა. შესავალშივე ავტორი, მისი აზრით, აჯამებს ალექსიძის ნათქვამს და მკითხველს უყვება, თუ სინამდვილეში რაზეა ალექსიძის წერილი:

„ავტორს უნდა ბოლო მოუდოს ქართველ და სომხ ინტელექტუალებს შორის საუკუნოვან დავას. იგი პრობლემას ასე წყვეტს: ქართველებმა მართებულად უნდა მიიჩნიონ სომხების ყველა პრეტენზია და დაინახონ ის დიდი სიყვარული, რომლითაც სომხები გამსჭვალულები იყვნენ ქართველების მიმართ.“

ეს დასკვნა, ცხადია, გათვლილია მათზე, ვისაც არ ნაუკითხავს თავდაპირველი წერილი და ვისთვისაც გრენლანდიაში წასვლა არაა საჭირო, რომ იცოდეს, რომ იქ ცივა. ფილოსოფიისა და სხვა ამდგვარი ამბების პროფესორი ხელად აწყობს ცვილის კაცს და ხმაღამოღებულ ეცხმის თავს: ალექსიძის წერილის ძირითადი მოტივი ყოფილა „იძის დამტკიცება, რომ ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხი სომხური წარმოშობისაა“ და „ამ საქმეში“ ალექსიძე ემყარება ლეონტი მროველს - ერთი არმენოფილი - მეორეს. ავტორი სვამს რიტორიკულ კითხვას, თუ „რა მეთოდოლოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს ის, როცა ქართველებს ჰაოსიანთა ბანაკს მიგვაკუთვნებს?“ ავტორი კიდევ ავრძლებს შეჯამებას: „მშასადამე, პირველ ნაწილში კავკასიის რვა რეგიონი ცხადდება სომხურად, მათ შორის საქართველოც და მათი ენაც სომხურად“. ამ სტილში გრძელდება სტატია და ყველა ის მაგალითი ისტორიიდან, რაზეც ალექსიძე მსჯელობს, მოკლედ ასეა შეფასებული: „ყველა ზღაპარი, რომელსაც ავტორი გვიყვება; დაუჯერებელია“. ავტორი ასევე კატეგორიულად თხოვს, რომ ალექსიძემ „ლეონტი მროველის მტკიცებები დაასაბუთოს!“

ავტორი განსაკუთრებით ერთი სიტყვის გამოყენებით გაღიზიანდა. ალექსიძემ ახსენა, რომ ლეონტი ეს ცნობა თავისი და შემდგომი დროის ნაციონალისტების საპასუხოდ, ვინც ბევრად ნაკლები შემსყნარებლობით გამორჩეოდნენ, შეიტანა საკუთარ თხზულებაში. მოპასუხემ კი ილია ჭავჭავაძის, მიხაკო წერეთლის და სხვა დიდი ნაციონალისტების წინააღმდეგ წასვლაში დასდო ბრალი.

ლეონტის მტკიცებასაც, რომ ჰაოსი კავკასიაში „უმჯობეს“ მიწებს ფლობდა, ავტორი, ცხადია, ალექსიძეს მიანერს და ამბობს:

„რაც შეეხება საუკეთესო მიწებს, როგორ უნდა დაეიჯეროთ, რომ სომხეთის ტერიტორია სჯობია საქართველოსას? მაშინ რატომბა სომხები მიგრაციითა და უცხო გარემოსადმი ადამტაცებით მთელს მსოფლიოში გამორჩეული? დღეს სომხების მიგრაციულობით გამორჩეულობას დემოგრაფიული ცნობიერებაც კი აღიარებს, რისი ერთ-ერთი მიზეზი

մათի օրոկոսիա և այդ փարտեղեղները միգրაციით արգամորհիվում, ამის ერთ-ერთი მიზეზი փարտեղեղների მიწის հյուսիսում და սիլամառում²։

ამ ყველაფერზე დიდხანს არ გავჩერდები, რომ არა ავტორის ეს ბოლო პასაჟი, რაც, მე თუ მკითხვეთ, ერთგვარი კინტესენციაა ქართული არმენოფობიისა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში - ანტიმედიტიზმისა. დღეს, როცა კიდევ ერთხელ ვიხილეთ სომხების მასობრივი გამოსახლება, მნიშვნელოვანია ამ რამდენიმე წინადადებაზე ფოკუსირება. ეს არის სტერეოტიპი სომხების შესახებ, რომელიც მუდამ მეორდება, გზავდება ყველგან და ყველა დისკურსში, რომ თითქმის სომხთა ევენციური თვისებაა მიგრაცია და მინაზე მიუჯაჭვებლობა და, შესაბამისად, უსამშობლობა, ხოლო ქართველებს კი მხოლოდ საკუთარ მინაზე შეუძლიათ თვითრეალიზაცია. ამ აზრს ზემოთ ავტორი კიდევ უფრო აპრობირებულს იმის მიტოვებით, რომ თურმე სომხეთი რომ ნაკლებად ლამაზია, ამიტომ ეძებენ სომხები სხვაგან სამშობლოს, ხოლო მათგან თვისებრივად განსხვავებული ქართველები ასე შეყვარებულიები ვართ საკუთარ ცა-ფირფხ-ხმელეთ-ზურმუხტზე. თუ ჩავეძიებთ, ადვილად აღმოვაჩინებთ, რომ ზუსტად ასე მსჯელობდა მეოცე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი გერმანელი მოაზროვნე ებრაელებთან მიმართებით და საკითხის ასე დასმას მკაფიო სახელიც დაერქვა თავის დროზე.

საქმე ისაა, რომ სწორედ სომხების ვითომც მიგრაციისადმი არსებით მიდრეკილებაში არის არმენოფობიის კინტესენცია: სომხებს გენოციდი კი არ მოუწყვეს 1915 წელს, არამედ მათი მინაგანი ბუნებაა, რომ ოდნავ პრობლემას თუ შეეჩხებიან, გამოსავალს გადასახლებაში მოუძებნენ. ოსმალებს მთელი სოფლები კი არ გაუნყვებიათ, კი არ გაუსახლებიათ, გადაუნვათ, მოუსპიათ მათი კულტურული მემკვიდრეობა და კი არ ამოუძირკვავთ მათი სახსენებელი კი ჩრდილოაღმოსავლეთ ანატოლიიდან, არამედ ამერიკაშიც და ევროპის კონტინენტზე თავისი ნებით და უკეთესი ცხოვრების საძებნად წასულან. და სანამ ჩვენ სალს კლდეებს არ ვთმობთ, სომხებს თავისი ულაშაზო სამშობლო სხვის სილამაზეებში გაუფიქვლიათ. მანტრასავით მეორდება Facebook-ზე, ყოველგვარი ცოდნის უშრეტ წყაროში, რომ მე-11 საუკუნიდან სომხებს სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ და უსამშობლობაში, მიკედლებულობაში, სხვის ქვეყანაში ცხოვრებით კმაყოფილდებიან. თუ დააკვირდებით, დღესაც, როცა მთიან ყარაბაღში (სომხურად არცახში) კიდევ ერთი ეთნონმენდა მოხდა და ამჯერად დაიცალა მკვიდრი სომხური მოსახლეობისგან, სადაც სომხები, მართლაც რომ, ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობენ, სადაც ყველა ქვა ჰღალადებს სომხთა ისტორიას, ბევრმა ამაში ნებაყოფლობითი მიგრაცია დაინახა. აზერბაიჯანი ხომ ჰპირდებოდა უსახფოთხოვების გარანტიებს, მაშ, რაღას მიდიოდნენ? არმენოფობიას არ აინტერესებს ისტორია, ის ბრმა არის

იმისადმი, რაც თანამედროვე სომხებისთვის გელტენციალური საფრთხეა, რომ სამშობლოს დაკარგვა, რაც არაერთხელ გამოუცვლიათ, მათი ფუნქციონალიზაციის შიშია და არა ჩვეულება, ყოველდღიურ ბა და მიდრეკილება, რასაც ქართველი არმენობი ამტკიცებს. არმენოფობია ბრმა და ყრუ არისტორიისადმი, იმ ბრძოლისა და თავდადებისას, რასაც სომხები, ქართველებით და ქართველების მხარდამხარ, იჩენდა დამპყრობელთა წინააღმდეგ, მეხუთე საუკუნიდან მეოცემდე. არმენოფობიის ძირი შეგნებულ უცოდინარობაშია, როგორც ვასნავლით „შუმანიკის ნაშეგნას“, როდისმე რომღიმე მასწავლებლის მოუყოლია შუმანიკის მანვარდან მამიკონიანის და მისი თაობის, ათათაობით სომხის მიერ სომხეთისთვის და ქრისტიანულკავკასიისთვის თავდადების ამბები? არა. როცა ქართველებს დემოკრატიური რესპუბლიკის დანერგვად სომხურ-ქართული ომის შესახებ ვუყვებით, არ ვე დროს, ვუყვებით იმ მართლაც საოცარი გმირების შესახებ, როცა სარდარბადათან სრულიად უნანსწორო ბრძოლაში სომხებმა დაამარცხეს ოსმალები და ამით კიდევ ერთხელ იხსნეს თავისი უნუფიციონერობა? (ცხადია, არა. ან როცა აფხაზეთის ომის ვყვებით, რამდენჯერ გვიამბია საქართველოსთვის დაღუპული ეთნიკური სომხების შესახებ? ეს ყველაფერი და ბევრად მეტი იგნორირებულია ქართველი კოლექტიური უსამშობლო სომხის ფონზე, უცოდინარობით განმეტიკებული ნაციონალურ ნარცისიზმში. ამიტომ ეს ის არცოდნაა, რომელიც არცოდნა არაა. რადგან სამაგიეროდ კოლექტიურად ვიციო და მანტრასავით ვიმეორებთ აფხაზეთში ბაგრატიანის ბატალიონის შესახებ და იმას, რომ სომხებს ბაჭაპურსა და არუსთაველს ითვისებენ და ამ დასრულებლად.

სხვა ერეტიკული მტკიცებების გამოვლენასთან ერთად, მოპასუხეები განსაკუთრებით აღშფოთლდნენ ამ წინადადებით: „ამიერკავკასიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი) ეკუთვნიან იმ იმპერიულ ქვეყნების რიგებს, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში წყვეტილებით, მაგრამ შინაარჩუნეს თავისი სახელმწიფოებრიობა ანტიკურობიდან დღემდე“. აქაც თითქოს ავტორი ქართველების რაღაფუნდამენტურ უპირატესობას შეეხო და სომხეთი თანგათანაბრებით დაამცირა. მაგალითად, ალექსანდრე აბდალაძე პასუხობს: „ამ მხრივ საქართველოს და სომხეთის შედარება ნუთუ შეიძლება? ან ერკავკასიაში სომხური სახელმწიფოებრიობა და რაც XI საუკუნეში და 1918 წლამდე (დამნაკება) აღიარებულა. სომხები თანდათან აიყარნენ თეონითი სამშობლოდან და სხვადასხვა ქვეყნებში იფანტნენ“.3 ამ წინადადებაში ბევრი საკვანსიტყვავა, მათ შორის „თანდათან“, თითქოს ეს არაღალც ბუნებრივი, თავისთავადი და ნებაყოფლობითი პროცესი იყო, თავი რომ დავანებოთ სომხეთის პირველი რესპუბლიკის უბრალოდ „დამნაკება“ მოხსენებას.³

2 <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/abdaladze-2/>

3 თუ მკითხველს ამ მეცნიერის სხვა მსჯელობის გაცნობა სურს, youtube-ზე ადვილად მოიძებნება მისი რეგულარული სტუმრობა ტელეკომპანია ობიექტივში (სად, თუ არა), სადაც წამყვანთან ერთად გამოავლენენ,



მაშინ, როცა ან წინადადების მთავარი სათქმელი ისაა, რომ საქართველომაც და სომხეთმაც ყველა პლატონობის საპირისპიროდ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა. მართლაც, გეოპოლიტიკურად ისეთ ადგილას, სადაც საქართველო და, მით უმეტეს, სომხეთი იმყოფება, ის, რომ ეს ორი სახელმწიფო არსებობს, შეიძლება სასწაულადაც ჩაითვალოს ან აიხსნას სწორედ ამ ორი ხალხის გააზრებული თუ გაუაზრებელი თანამშრომლობით, ურთიერთ თანადგომითა და თუნდაც პაექრობით.

სომეხი ერის მუდმივად, ხან გაკვერით და ხან ურცელი მსჯელობით, უსამშობლოდ მოხსენიება, მთელი ერის დამცრობის ყველაზე ვერაგი მეთოლია, ერთდროულად ნარცისიზმითა და უცოდინარობით გამოკვებილი. სინამდვილეში ამ „უსამშობლო“ და „უმიანაწყო“ ერის ძველი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი მთლიანად მიძღვნილია მშობელი მიწის დამცველებისადმი. სწორედ ისტორიკოს ლაზარ ფარპელის ფორმულაზე აიგო მეოცე საუკუნის სომხური იდენტობის კინეტისენცია და ფორმულა: „თავდადება სამშობლოსა და რწმენისათვის“, რამაც თანამედროვეობაში 1915 წლის გენოციდის გახსენებისას გაიჟღერა. ისეთი დიდი ისტორიკოსების თხზულებები, როგორებიც არიან ფავსტოს ბიზანტიელი, ლაზარე ფარპელი თუ ელიშე ვარდაპეტი, ყველა იმ ადამიანის, ქალისა და კაცის უკუდავსაყოფად შეიქმნა, ვინც საკუთარი ქვეყნისთვის დაღვანა სისხლი. მესხეთე საუკუნიდან დღემდე, იმ ყველა ქართველის მანძილზე, რაც სომეხ ერს თავს დაატყდა, სწორედ იმ ავბედით მესხეთე საუკუნეში იცქირებოდნენ, რათა სამშობლოსთვის თავდადების მაგალითები ეპოვათ და გაძლიერებულიყვნენ.

ქართველიც, რომელსაც ზუსტად იგივე ქართველობები, იგივე ეგზისტენციალური ბრძოლები აქვს გადატანილი, თითქოს მთელი არსებით უნდა განიცდიდეს მეზობლისა და მოყვარეს მიმართ ემპათიას, მასში სარეკლავით საკუთარ თავს უნდა ხედავდეს. მაგრამ დიდი კვლევა იმას არ უნდა, რომ ასე არ არის.

„ისტორიის გაკვეთილები“, როგორც ნახეთ, ითხოვს მხოლოდ ერთ რამეს - ემპათიას და იმის გააზრებას, რომ ქართველთა და სომეხთა ბედი იმაზე ბევრად მეტადაა გადახლართული, ვიდრე ჩვენ გგონია. სომეხი ერის ყოველ მარცხზე, ყველა მომდევნო გადასახლებაზე სიხარული კი, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, ცუდად მოგვიბრუნდება. დღეს სომეხთა ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანაა ამიერკავკასიაში, რომელიც, ავად თუ კარგად, ორ ფრონტზე იბრძვის - ერთი მხრივ, თურქეთისა, რომელმაც უკვე ერთხელ მოუწყო გენოციდი და, მეორე მხრივ, ცდილობს რუსეთის მარნუხებიდან საბოლოო გათავისუფლებას. ამაში მას, წესით, ერთადერთი მოკავშირე უნდა ჰყავდეს - საქართველო, რომელიც დღეს სულაც არ არის საიმედო პარტნიორი. თუ ისტორიას გადავხედავთ, თითქოს ახა-

ლი არც არაფერია. იყო დრო, როცა სომხეთს რომ უჭირდა, საქართველო ეხმარებოდა და პირიქით, მაგრამ იყო ის დროებიც, როცა ერთმანეთის დასუსტებით სარგებლობდნენ და სწორედ მაშინ ატყდებოდა თავს ამიერკავკასიას ყველაზე დიდი ტრაგედია. „ისტორიის გაკვეთილების“ სათქმელი კი სწორედ ესაა, ყველანაირი ფობიის, შიშისა და უნდობლობის წყარო საკუთარ თავში დაურწმუნებლობაა. ლეონტი მროველს არ მიაჩნდა, რომ ამ მის იდენტობას, ქართველობას ან მართლმადიდებლობას რამე ჩრდილი მიადგებოდა, თუ განიმეორებდა ცნობას, რომ კავკასიის ეთნარქებს შორის უფროსი ძმა ჰაოსი იყო, ან რომ თავიდან ყველა სომხურად ლაპარაკობდა, ან რომ ჰაოსს უმჯობესი მინები ერგო წილად. ამით არც ლეონტის და არც იმდროინდელ საქართველოს, რომელიც თავის ძლიერების მწვერვალს აღწევდა, არაფერი დაჰკლებია.

„ისტორიის გაკვეთილებს“ ყველანაირი გამოხმაურება ჰქონდა, ნაკლებად და მეტად აგრესიული, ნაკლებად და მეტად საქმიანი. მაგრამ ყველამ ვასდევდა ერთი საერთო ხაზი: ზაზა ალექსიძე უკრიტიკოდ იზიარებს ლეონტი მროველის არმენოფილობას, და თავადაც არმენოფილია, მაშინ როცა ლეონტის ამ უცნაური ცნობის ახსნა ბევრი სხვა გზით შეიძლება.

იყო კიდევ სხვა ბრალდებები, რაზეც გაჩერებაც არ ღირს. ამავე დროს, იყო თავდასხმის კიდევ ერთი და საქართველოს უახლოესი ისტორიისთვის ყველაზე ნაცნობი, ავისმომასწავებელი ხაზი: „რა დროს ეს იყო?“ „რა დროს ამაზე ლაპარაკია?“ - ისევე, როგორც რა დროს დემოკრატია იყო, რა დროს უფლებები და თავისუფლებები, როცა ქვეყანა იყო გადასარჩენი.

სამი თვის შემდეგ, განერვიულებულმა ზაზამ გამოაქვეყნა პასუხი იმ პირველი პოლემიკოსისადმი. გამოუქვეყნა აქვს შემდეგი წინადადება:

„ამრიგად, თქვენც, მეც და, დარწმუნებული ვარ, ყველა სხვა ერის მთელიც, ვინც „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილს იცნობს, ერთი აზრისა ვართ. ლეონტი მროველის თეორია მცდარია! მაგრამ ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ თქვენ ლეონტი მროველი ამისათვის გეზიზღებთ (ამიტომ ცდილობთ მას შეფარვით ქართველობაზეც კი უარი უთხრათ), ხოლო მე კი მომწონს და მემამყება, რომ გვყავდა ისტორიკოსი, რომელსაც შეეძლო კონცეფცია შეექმნა (თუნდაც მცდარი) და იმდენად გაბედული ყოფილიყო, რომ ამ კონცეფციის საფუძვლად შიშველი პატრიოტიზმი არ დაედო.“

გამოიყვანა ახლა ანან სომეხები ანგელოზებად. და აბა ბაგრატიონის ბატალიონი? და „ქვათა ლაღადი“? და რუსთაველი? და ხაჭაპური? ...

განხილავენ და დაგომბენ სხვადასხვა არმენოფილურ გამოვლინებას მეცნიერებაში თუ საჯარო სფეროში ლეონტი მროველიდან დღემდე. ასევე მკითხველს შეუძლია გაეცნოს მის გამოკვლევას მეტყველი და აკადემიური სათაურით: „სომეხები თბილისიდან გაასახლებდნენ ქართველებს?!“

დათო ქარდავა

„ქართველს სომხისაგან რათ განარჩევთ!“





ძველ თბილისში, გასაგები მიზეზის გამო, მხოლოდ ფოტოებითა და ტექსტებით შეგვიძლია შევიხედოთ, თვალი შეგვავლოთ უხმო ქალაქს, რომლის ყველაზე ძრელი და ხმაურიანი ნაწილი ასე აღწერა იოსებ გრიშაშვილმა თავის „საიათნოვამი“:

„აქ შეხვდებით მრავალ თრინჯულ ხალხს. აქ დუქნები: ალაფებისა, დერციკებისა, ჭონებისა, მიკიტებისა, მეთევზეებისა. აქვეა ექიმბაშების აფთაქი, სადაც იყიდება: ჰინა, მურდასანგი, ბასმა, ინდუყაირი, ხაშხაში, თიხაფარუხი, დარიჩინი, ზარნიკი, ჯავზი, ყარაბაფილი და იახოსების თუ დეკოტივისის შესამზადებელი სხვადასხვა სანელებელი მცენარეულობა. აქვე არიან ხელზე მოვაჭრე კინტოები, რომელთაც თავზე თასაკით უჭირავე უხელოდ მთელი თაბახი ხილუულით დატვირთული. აქ სოლინარიდან წყალს ავსებენ თულუხრები, აქ ყოველ დილით ურმებით მოდის ყაზახ-ბოჩლოდან სურსათ-სანოვაცე. ტაბახმელიდან სახედრებით მოაქვთ გუდურა, ფიჩხი, შეშა-ნახშირი და სხვ. ნახშირთან დგანან პატარა ბიჭები, რომელთაც მეტსახელად „გროშუას“ უწოდებენ, ალბათ იმიტომ, რომ მიყიდვლმა ერთი ორიოდე გროში აჩუქოს და სახლში წააღებინოს. საპალნეს ეს გროშუა დასცლის და ვირს და ტომარას ცალკებს ისევ პატრონს უბრუნებს. აქვე არიან ფაღონიანი რაჭველი მუშები, აქვე დგას მიკიტის ბიჭი და ბოზბაშს ქაფსა ხდის. ნაპირა ვაჭრების წინ კი დგას ვალკივებელი მაყალი, რომელზედაც შშინებს მცერიანი შშილიგი“ (ი. გრიშაშვილი, „საიათნოვა“).

1883 წელსაც, როცა 14 წლის ჰოვანეს თუმანიანი პირველად ჩავიდა თბილისში, მასაც მოეჩვენა, რომ ქალაქში კი არა, ერთ უზარმაზარ ქორნილში მოხვდა.

„ზურნა, დოლი, დაირა, ნალარა, ტაში-სიცილი, ცეკვა, სიმღერა, და თანაც არა სახლში, არამედ გარეთ, სახლების წინ სახურავებზე. კვირას და სადღესაწაულო დღეებში ხომ თავი უნდა გვექონოდა ამდენის ატანის. მორთულ, მოკაზმულ ქალაქს წკრაილი გაჰქონდა“.

ძველი თბილისის ამსახველი უამრავი ფოტოა შემორჩენილი, თუმცა ყველაზე მოუხელთებელი მინც ეს „ნკრალი“ და პოლიფონია, უფრო ზუსტად ქალაქის ხმა, რომელიც ბევრი ენის ერთვარის ნახავი, პარციალური ენაა, ალასი იფაზიანს რომ დავესხსოთ, თბილისური ესპერანტოა, რომელშიც ქართული, სომხური, რუსული, თათრული, სპარსული და ა.შ. ისე არეულან და გათქვეფილან ერთმანეთში, როგორც ინგრედიენტები შეითანბაზარში მოხარულ შარისაში.

ასიკო ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ თუ გახსოვთ, კნიაზ დავით ჯამბარაშვილის დასათეთქვად და ტაისიას დასახსნელად რომ მიიქრანან საქუას ძმაკაცები ავეტიქა, ვიჟუა, ფიჩხულა და სოასანა (ქალაქის ბიჭები), რას ეუბნება ავეთიქა ვიჟუას?

„მერე შენ იცი, ტუტუცების უსტაბაშო, შენებურად შარი მოუდე და ისე დანაყე, რომ ძვალი და

რბილი შარისასავით აეროსო!..“


შარისა ტფილისური (ასურელების სადღესასწაულო) კერძია ფაფის მსგავსი, კეთდება დათუქველ ხორბლისგან, რომელსაც ხორცი აზავებენ, ხორცი კი იხარშება იმდენ ხანს, ვიდრე მთლად არ ჩაიშლება. სწორედ ასე იყო ქალაქის ენაში ბევრი სხვა ენა და მათ შორის სომხურიც, ჩაშლილი. არადა, ქართველებისა და სომხების კინკლაობისა და მეტოქეობის ამბავი საყოველთაოადაა ცნობილი. როგორც ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე წერს, ამ დაპირისპირებისთვის ნოყიერი ნიადაგი მიუცია ქართველებისა და სომხების ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის განსხვავებულობას: ქართველები, ძირითადად, მინათმოქმედები იყვნენ, სომხები კი - ხელოსნები და ვაჭრები. ამ განსხვავებას ხედავს ბარონი დე ბაიცი, რომელმაც საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა:

„უსამართლობა იქნება არ ვალიაროთ მათი [სომხების] უნარიანობა და შეუპოვრობა. ურთიერთთავებობა, კომერციის ნიჭი, რომელიც უზრუნველყოფს მათ დლითიდელ მზარდ უპარატეზურბას. თავიანთი წარსულით ისინი მომზადებულნი აღმოჩნდნენ დღევანდელი მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებსადმი. <...> ქართველები კი ასეთები არ არიან. მათ უცებ გაიარეს ფეოდალური წყობა, შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. ამ ხალხის ისტორიული ცხოვრება ხანგრძლივი ბრძოლა იყო, სადაც ბრწყინავდა მათი გმირობა, დიდი სიყვარული იარაღისადმი. მათი გულუხვობა, მათი ხასიათის სიდიადე ნაკლებად ეხამება თანამედროვე ცხოვრების წყვილმან ანგარებას“.

„XIX საუკუნეში, განსაკუთრებით ქართველი არისტოკრატია, ვერ ახერხებს ფეოდალური ცნობიერებიდან გათავისუფლებას და ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადაწყობას, რის გამოც მისი ქონების დიდი ნაწილი სომეხი ბურჟუაზიის ხელში გადადის. ასეთ პირობებში მდიდარი სომეხი ვალატაკებული და დავალიანებული ქართველისათვის ისეთივე მტრისა და სისხლისმსმელის ბატებად იქცევა, როგორც მდიდარი ებრაელია გერმანელი ან რუსი ნაციონალისტებისათვის“ (გიორგი მაისურაძე, არმენოფობია, რადიო თავისუფლება, 2011 წ.).

ეს დაპირისპირება ქართულ არისტოკრატიასა და სომხურ ბურჟუაზიას შორის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი თემაა - ერთ მხარეს თავქარიანი და უყარაოთ, ქეიფე გადაყოლილი ქართველი თავადები („გავედე მამული, ვიყიდე ხრამული“) დგანან, მეორე მხარეს კი - ანგარიშიანი სომეხი სოვდაგრები („სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირობით ვიცხოვრო, თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი“). ამ დაპირისპირების ტიპურად გამოძახილია ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილი“ სოლომონისა და თავად ალექსანდრეს დიალოგი:

„ - კნიაზო! ნუ გეწყინებათ, მაგრამ ერთი სიტყვა მინდა მოგახსენოთ!



- მიზრძანეთ, თქვენი ჭირიმი!
 - ამას მოვახსენებთ, რომ ქართველები დაუდევრელები ხართ და არა ფიქრობთ ხვალისთვის. აი, მაგალითებრ: კურთხეულს მამათქვენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეხადა, ახლა იმისი შვილი ოთხასამოცდაცამეტ თუმანსა, ცხრა მანეთსა და ხუთ შაურ ნახევარსა არ გადაიხდიდა.

ესა ვთქვი და მაშინვე ვიგრძენ უგუნური წინდაუხედაობა ჩემი, მაგრამ რაღას გავაწყობდი!

- სარწმუნო ბრძანდებოდეთ, სოლომონ ისაკიჩი! - მითხრა ალექსანდრემ - მე ვალს არ ავიღებ. თუ ავიღებ როგორმე, ოცდაათ თუმანსა ხუთას თუმნამდინ არ ვაქცევ. ნუ გავკიცხავთ ჩვენ მამებსა, რომელთაც მცირედი ვალი ერთი ასად გარდაუქცევიათ; იმათ ჰქონდათ ათასი შესაწყნარებელი მიზეზები. მაგრამ მე გკითხავთ თქვენ: ქართველს სომხისაგან რათ განარჩევთ! განა არ არიან ქართველები ხელმოჭირებულნი და ხვალისთვის მზრუნველნი და სომხები გამბნენნი?!"

დაპირისპირების ეს ამბავი ცხადია XIX საუკუნეში არ ჩარჩენილა და არ ამოწურულა, მერეც გაგრძელდა, თუმცა ბევრად ნაკლები სიმძაფრით, რადგან XX საუკუნის 20-იან წლებში ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა წითელმა ნიაღვარმა ერთმანეთისგან დიდად არ განასხვავა და არ დაინდო კლასობრივად მიუღებელი როგორც ქართველი თავად-აზნაურობა, ასევე სომხური ბურჟუაზია. გალაკტიონ ტაბიძის დღიურში იძენება 1936 წლით (19/1/1936) დათარიღებული ჩანაწერი, რომელიც სოლომონ ისაკიჩისა და თავად ალექსანდრე რაინდიძის დიალოგის ერთგვარ გაგრძელებადაც შეიძლება მივიჩნიოთ:

"- ჩვენა - ეუბნება სომეხი ვართანა „კნიაზ“ ნიკოს - თქვენ გეძახებთ ტუტუც თავადიშვილებს. სშირად მიფიქრია, ე რა ოხრის ფასად ჩამიგდო ხელში მამული კნიაზმა-მეთქი. ვამბობდი, იქეიფებს, ეს სულელი, და მეტი არა შერჩება-მეთქი. ახლა ტუტუცები ჩვენ გამოვდექით: თქვენ ქეიფი მაინც შეგრჩათ და ჩვენ კი რა? მახლას! ჭკვიანები თქვენ გამოდექით და ტუტუცები ჩვენა!"

ცხადია, ამ განსხვავებას უცხო თვალიც ხედავდა. ცნობილი გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი, რომელმაც კავკასიაში XIX საუკუნის 20-იან წლებში იმობაზრო (საქართველოს შესახებ) გამოცემილ „არტანუჯი“, 2005 წ) მგავსი კომიქსითი ცდილობდა თბილისში მცხოვრები სომხებისა და ქართველების დახასიათებას, თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ქართველი ხალხის ხასიათზე არ შეიძლება მსჯელობა ქალაქ ტფილისის მოსახლეობის მიხედვით, რადგან აქ ძველთაგანვე ისინი სხვა ხალხებში შერეულნი არიანო.

„სხვა ხალხებში შერეულობა“, ენობრივი სესხებები და, ზოგადად, ურბანული დიფუზია, თბილისში მცხოვრები ცალკე აღებული ყველა ხალხისთვის იყო დამახასიათებელი, რასაც ადასტურებს კიდევ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სტატისტიკურ მასალათა კრებული („Сборник статистических све-

дений о Кавказе“), რომელშიაც თავმოყრილ სტატისტიკური მონაცემები კავკასიის, მათ შორის, ცხადია, ტფილისის შესახებ.

შოთა კაკურიამ 1979 წელს გამოცემულ წიგნ „ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ.“ წერს, რომ 1876 წელს ჩატარებული აღწერისას მოსახლეობის ეროვნებად დაყოფა ხდებოდა დედამისის მიხედვით, ე. ი. ვინც ჩათვლიდა თავის დედასად რუსულს, ე. ი. მიეკუთვნებოდა რუს ეროვნებას, ვინც ქართულს - ქართველ ეროვნებას, ვისომხურს - სომეხ ეროვნებას და ა. შ.:

„თბილისის მოსახლეობის აღწერისას სააღწერო ფურცელში კითხვა „ეროვნება“ შეუსტანია იმიტომ, რომ თბილისში მცხოვრები სომხების უდიდესი ნაწილისათვის ქართული ენა ყოფილა დედენად მიღებული, ამიტომ ცალკე ეროვნებათა ზუსტი განსაზღვრისათვის შემოულიათ კითხვა „ეროვნება“, მაგრამ „აღწერის სიის ფურცელში“ კითხვა „ეროვნება“ გამოჩენილათ და, მაშასადამე, ვინც აღწერა გაიარა აღნიშნული სიის ფურცლის მიხედვით, მათი ეროვნება გაურკვეველი დარჩენილათ. თუმცა მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ცხრილებში და სააღწერო ფურცლებში ერთმანეთთან დაპირისპირებით და შედარებით კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტს მაინც მოუხერხებია თბილისის მთლიანი მოსახლეობის ცალკეულ ეროვნებად დაყოფა, რაც მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენილგვა მისი ეროვნული შემადგენლობის რაოდენობაზე. 1876 წლის 25 მარტის აღწერით თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 104 024 სულს, ეროვნებათა მიხედვით კი ყოფილა 41 სხვადასხვა ეროვნების მცხოვრები: ქართველი - 22,1 ათასი (21,4%); სომეხი - 37,6 ათასი (36,2%); რუსი - 30,8 ათასი (29,6%); პოლონელი - 2,7 ათასი (3,4%); თათარი - 2,5 ათასი (2,4%); გერმანელი - 2,1 ათასი (2,1%) და სხვ.“

ამ ანგარიშთან კარგად ჩანს, თუ რა რთული (შესაძლოა შეუძლებელიც კი) იყო ენის (ცოდნის) მიხედვით თბილისის მოქალაქის ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების დადგენა.

სხვათა შორის, გაერთიანებული სამეფოს მომავალი უმადლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სერ ოლივერ უორდროპი, XIX საუკუნის მინურულის თბილისის მოსახლეობაზე საუბრისას, ახსენებს არა მხოლოდ ამ თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთა რაოდენობას, არამედ საქმიანობის სფეროსაც, რომელთაც მოცემული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იყო დაკავშირებული თუ გაიგივებული.

„თბილისში ცხოვრობენ არა მხოლოდ ქართველები, - ამბობს უორდროპი, - არამედ რუსები (სმოქალაქო მოსამსახურეები და ჯარისკაცები) სომხები (ვაჭრები და მეცაზმეები), სპარსელები თათრები, ცოტა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები (კოლონისტები შვაბიიდან), ფრანგები (მკერავეები, სასტუმროს მუშატრონეები) და სხვ. ძველი თბილისის თითოეულ უბანში ცხოვრო-

და უპირატესად ერთი რომელიმე ეროვნების მოსახლეობა. ასეთი უზენაესი ჰქონდათ სპარსელებს, ებრაელებს, სომხებს, რუს-მალაკნებს და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენდა ალბათ სოლოლაკი, სადაც ქართველი არისტოკრატები, რუსი მოხელეები, სომეხი ვაჭრები და სხვა ეროვნების მდიდარი თბილისელები სახლობდნენ. ბუნებრივია, რომ თბილისის (როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის ელიტა) თავის საქმიან ცხოვრებაში რუსულს იყენებდა. ცხადია რუსულს იყენებდნენ გარეუბნისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს ლარიბულ უბნებშიც, თუმცა იყენებდნენ ბევრად უხეიროდ (შეიძლება ითქვას კომიკურადაც), ვიდრე გოლოვინსა და მიხეილის გამაზირებზე, დაახლოებით ისე, როგორც არტემ ახანაზაროვის შეყვარებული კინტო, ნლების შემდეგ რეზო გაბრიაძემ კოჯრის ტყეში რომ გადასვა და ხეწაუ რომ დაარქვა:

პაუაღი, ტებე ლუბიძი,
დღია ტებე დუშუ გუბიძი.
ტკოი ტურნური ი პროჟინა
მაია ვალავა პაურედილა.
ზაჩემ მნე ნიხორიშ ლუბიძი,
ზაჩემ ხორიშ მენე უბიტი?
ზაჩემ მოი ვალავა მაროჩიტი ი ტუდი-სუდი ვა-
როჩიტი!

ანგელ რაია, დუშა იაშჩიკ!
ია ტკოი ლაკეი, სტოროუ, იაშჩიკ!
პადი კამენ, პადი ბლიზკი, პაცელუემ ტუბე
ვისკი...
რაზ პასმატრი, მიგნა ვლაზმი, პატომ ხორიშ,
დუშუ ვაზმი!.. [არტემ ახანაზაროვი, „კინტოს წე-
რილი“ (რუსის ქალთან მიწერილი)]

ძველი თბილისის საყოფაცხოვრებო-სასაუბ-
რო ენაც დაახლოებით ამ თარგზე იყო გამოჭრი-
ლი: სიტყვათა შეკავშირების წესები ანუ სინტაქსი
ქართულია, ხოლო საკუთრივ სიტყვები, ლექსიკუ-
რი ერთეულები ისეთივე ჭრელია, როგორც თბი-
ლისის ეთნიკურ-ლინგვისტური შემადგენლობა.

„თბილისი, როგორც საქართველოს გული, ბევრ
უცნობ სიტყვას იკრებს თავის გარშემო. თბილი-
სის ენა ძარღვიანი ენაა, ფერადოვანია. ხშირად
ზოგიერთი ტერმინი ამ ენაზე ისე მკვეთრად და
მოსხლეტილად ისმის, რომ არსებული სავნის შე-
სატყვისი გულსასვედ გამოკრების. თბილისურ ენას
აქვს ინტონაციების საიდუმლოება და მეც 30 წე-
ლია სათუთად ვკრებ თბილისში ვანავონ სიტყვებს,
რომლებიც არც ერთ ლექსიკონში არ არის მოხსე-
ნიებული“; - წერდა იოსებ გრიშაშვილი თავის „ქა-
ლაქური ლექსიკონისთვის“ დაწერილ წინასიტყვა-
ობაში.

თბილისის ჰქონდა საოცარი უნარი, შეერწყა
და თავის ყაიდაზე გარდაექმნა აღმოსავლურ-და-
სავლური ყოფისა და კულტურის მძლავრი ნაკა-
დები, თბილისურ მეთყველებად ექცა ლინგვის-
ტური სიტყვულ და ქალის.

„თბილისის მრავალეროვნობა არასოდეს უშ-
ლდა ხელს იმას, რომ დროთა განმავლობაში ჩა-

მოყალიბებულიყო საკუთრივ თბილისელი მოქა-
ლაქის ტიპი, რომელშიც ორგანულად იყო შეხამე-
ბული სხვადასხვა ერისათვის დამახასიათებელი
ნიშან-თვისებანი ქართული ენისა და ქართული ხა-
სიათის პრიმატი: ვახუშტი ბატონიშვილი - „მსახ-
ლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი
მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს კარეთ უფროს სომეხნი
და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართული-
თა“ [„სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური
დამატება. ქართული ენა და ლიტერატურა სკო-
ლაში №4. 1983. „იოსებ გრიშაშვილი და თბილისუ-
რი ქართული“. ბესიკ ვორობეძე].

ქალაქი სწორედ ამ თბილისურ ენაზე ლაპარა-
კობდა, მისი ვინორ ქუჩაბანდებიდან თუ ფართო
პროსპექტიებიდან, ევროპული ყაიდის სასახლეე-
ბიდან თუ მოხარატებული აივნებიდან, ღია ბანე-
ბიდან თუ ვინორ სანთურებიდან მოისმოდა თბი-
ლისური ესპერანტო - ქართულ ყაიდაზე გარდაქ-
მნილი ქალაქური ენა, რომელიც ცხადია არ იყო
ოფიციალურად მიღებული სალიტერატურო, სამ-
წერლობო ენა, ამიტომაც ბევრი ერჩოდა მას: რო-
გორც კი ეს ენა ზეპირი მეტყველების ფარგლებს
გასცდებოდა და საგაზეთო პუბლიკაციების თუ
„გროშიანი წიგნების“ სახით ქალაქზე დამკვიდ-
რებას შეეცდებოდა, როგორც ნესი, კვლავ იფეთ-
ქებდა ხოლმე დავა, ოღონდ ამჯერად „დარბაის-
ლური ქართულისა“ და „კინტოთ კილოს“ გამიჯ-
ვნის მიზნით.

„საკვირველია, ჩუენნი ქართული ენა რათ ვა-
სომხეს ასე უწყალოდ? - კითხულობდა გრიგოლ
ორბელიანი, - მაგრამ მიზეზი ესრეთის ცვლილე-
ბისა შევიტყვე დღეს „დროების“. 44-დამ, რომელ-
შიაცა ვილაცა ჰსწერს, რომ „ახალი სტილი შემო-
დის“. ამ სიტყვამ უფრო გამაკვირვა და შემაწუხა.
რათა ჰკონიათ ეს სტილი ახლად? ჰსწორედ ამ ენით
ლაპარაკობენ თბილისის ბაზარში სომხები, ურიე-
ბი, თათრები...“

„ამ ენით ლაპარაკს“ გრიგოლზე მეტად და სა-
ფუძვლიანად ერჩოდა ვახტანგ ორბელიანი, რო-
მელიც 1884 წელს დაწერილ თავის ცნობლ ლექ-
სში („პოეტს“) ამბობდა:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვირო, ტოლობაში და კინტო,
მათ დუღუეო, დიპლიბიო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიუინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?“

აი, ასე უპასუხა ვახტანგ ორბელიანმა ქართუ-
ლი ურბანისტულ პოეზიისა და ე.წ. შაურინი ლი-
ტერატურის მოზღვავებას, რასაც ადგილი ჰქონ-
და XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში. რო-
გორც გიორგი შაყულაშვილი წერს („ძველი თბი-
ლისის პოეზიის ისტორიიდან“, გამომცემლობა
„მეცნიერება“, 1987 წ.), „შაურინი ლიტერატურა“
უნოდეს აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიცი-
ებზე აღზრდილ ძველი თბილისის პოეტთა იაფფა-
სიან, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის გამო-



ცემულ თხზულება-ნიგნაკებს:

„კომერციული საქმით დაინტერესებული გამომცემელთა ერთი ნაწილი ყურადღებას არ აქცევდა ლიტერატურის აღმზრდელი-ესთეტიკურ მხარეს და ზედმედ ბეჭდავდა ისეთი სახის პროდუქციას, რომელიც ქართველი ინტელიგენციის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ძველი თბილისის ურბანისტული პოეზია დიდ ყურადღებას უთმობდა ჰედონიზმს, სუფრის თემატიკას, სატრფიალო და რელიგიურ-სოციალურ საკითხებს. ძველი თბილისის პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედების დიდი წილი თავდავიწყებისა და მომავალზე ფიქრის უკუგდების აპოლოგიაცაა“.

თბილისური „შაურიანი ნიგნების“ ცნობილი ავტორებია: ანტონ განჯისკარელი (ანტონ ხუდავერდიანი) - „ჯიბგირი ვარ“; „კინტოს გოდება“; დავით გივიშვილი - „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა“ და სხვ.; გიორგი სკანდაროვა - „მსუნჯი კაცის ცხოვრება“, „კინტო საქულას შიქასტა და ბაიათები“, „საარმიყო სარკე“; გ. მატინიანცი - „არ შეგცვიდეს „ბარაშკა“, ქართული, სომხური და თათრული ახალი ლექსები“ და ა.შ.

თამარ გომართელი, ნიგნში „მოდით, გავიხსენოთ...“ (გამომცემლობა „მერანი“. 1986 წ.) შენიშნავს, სკანდაროვას ლექსების ენა ქალაქურია, სომხური მიმოქცევით, რაც გასაკვირი არაა, რადგან გიორგი სკანდაროვა ტფილისელი სომეხია (ხელობით მღვდელი, შპალერების გამჩითავი), სკანდარიანი, სკანდარ-ნოვა კი საიათნოვას მიბაძვით დაურქმევია.

როგორც იოსებ გრიშაშვილი ამბობს თავის „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემიაში“ („სახელგამი“, 1927 წ.), გიორგი სკანდაროვა და დავით გივიშვილი - ეს ორი მგოსანი თბილისის დაბალ მოსახლეობაში ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ზედა ფენებში - ილია და აკაკი, მაგრამ ისე გარდაიცვალნენ, რომ მათზე ერთი ჩქამიც არ დაძრულაო. „მე მხოლოდ მინდა დავიწყების სუფარა მოვაცილო მათიანებს, რომელთა შემოქმედებაც ტფილისის მდაბიო ხალხის რამდენიმე თაობას ასაზრდოებდაო“.

მაგრამ გრიშაშვილმა დიდად ვერ უშველა ერთ დროს „მდაბიო ხალხის ტვინის მეჯლისზე უმდივი თარეებად“ მყოფ პოეტებს, ვერ უშველა ორი მიზეზის გამო - „მუხამბაზური სიუჟეტებისა“ და ქალაქური ენის გამო. ცოტა თუ იზიარებდა ქართველი ლიტერატორის, მთარგმნელ-პოლიგლოტისა და ლიბრეტისტის პეტრე მირიანაშვილის (1860 - 1944 წწ) მოსაზრებას ქალაქური ლექსიკის, ტფილისის განსაკუთრებულ კილოს მნიშვნელობის შესახებ:

„საზოგადოდ ქალაქელი სომხობა და მასთან ქართველობაც კიდევ ლაპარაკობს ისეთ ქართულს, რომ გულდასმით დამკვირვებელი არაერთ ძვირფას სიტყვას და სიტყვის საქცევს უპოვის. თქმა არ უნდა, ქალაქი, ფრთხილისა და ხელოვანის მუშაკის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალ ობოლ მარგალიტს შესძენს, მხოლოდ მეტის-მე-

ტად საჭიროა, ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლის მისმა მოხდენილმა და შროიანმა საუბრის კლარომელიც ღირსია ამ პატივისა, როგორც ჩვენი მოქალაქეობრივის ცხოვრების სათავეში დგამი. და თუ ეს პატივი არ ვაღირსეთ, ქალაქი ვითავადებს“.

ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემიის ვარსკვლავების - სკანდაროვას, გივიშვილის, განჯისკარელის, ბენარას და სხვათა ბედი განიხილავს არტემ ახნაზაროვამაც, რომელიც ქალაქური ცხოვრების შესახებ შესანიშნავ ფელეტონებს ბეჭდდა და ილიას „ივერიაში“.

„იქ, სადაც ახნაზაროვი თავისის მსუბუქის სტილის ფარ-ხმალით შეიარაღდება, მომხიბლავს მისი ტექსტები ძალდაუტანებლობის კომპლექსის არის აღსავსე“, - წერდა ცნობილი ლიტერატორი კიტა ბუაჩიძე 1912 წელს კერესელიძის სტამბაზე დაბეჭდილი და ოსკარ შმერლინგის კარიკატურებით გაფორმებული არტემ ახნაზაროვის „ლექსებისა და სცენების“ წინასიტყვაობაში. განსაკუთრებით შთაბეჭდავია ამ კრებული ვრცელი, პროზაული ნაწილი, რომლის პერსონაჟები, ძირითადად დაბალის ფენის სომეხი თბილისელები - კრეტოები, ხელოსნები, ვაჭრები და ა.შ. თავიანთი ტკბილ-მწარე ცხოვრებითა და „ქალაქური ლექსიკონის“ გარეშე ძნელად გასაგები, მაგრამ საოლად საამური თბილისური ენით აცოცხლებენ ძველ ქალაქს.

„პატარა დახურული ბაზაზხანა ვინ არ იცის, საკვირველს ბაზარში თითქმის ყველა გლეხი ეყოფილა, არამც თუ ქალაქელი. ჯვრის-მამის გელესისი ქვემოდ ქუჩა ჩადის, ამ ქუჩის ზემო თავს ესრედ წოდებულ „ჯვრის-მამის ლავამებს“ აცხობენ და ყუბოებს აკეთებენ, ამათ ქვემოდ-კი სულ ბაზაზხები არიან. ამ ბაზაზხების დუქნებს გვერდობს კიდევ პატარა შესახვევია, სადაც თელთელურ რძე-მარონი ჩამოაქვთ და მექოშეები და მექლამენები სხედან. დილის ათი-თერთმეტი საათი და თითქმის მთელი ბაზაზხანა გაჩაღებული მუშტრის დროა. ამ დროის ვაი იმას, ვინც ამ ქუჩაზე გაივლის, უეჭველად რომელსამე ბაზაზხში გვირდი ჩამოეკიდება კალთებზედ, ვაჟკაცი იქნება თუ მანდილოსანი, სულ ერთია, და თავის ოსტის დუქანში შეთრევს“, - ასეთია „ბაზაზხანის სურათი“, სადაც გეორგი ზემო დუქნიდან სამი თაქე ჩითსა სთავაზობს ასაკიან ქალბატონს, ცოტა ქვემოთ მილდისა საპურანგედ „სხვილ, თანხიან მიტკალს“ ურჩევს იმერელს, პატარა ბიჭი თავბრუს ახვევს დედიჯან-ქალბატონს, ყველფერს მოგართმევთო, ეუბნება, ჩითი, მიტკალდარაია, ბამბაზიონი, მადარფაკი, ყალამქარი, ქშირი, ყუთნი, ალფაკა, ტერნო, მოვი, ალიში, ნაც სულ ახალ-ახალი მოტანილი, ზაგრანიცურ მცორე მხრიდან კი პოლოს ფიცება კნიაზს, სუნთშინი გამიწყრეს, თუ სხვას მივცე ამ ფასად მაგრამ ყველაზე იარაბაში ბეგლარა სულ ბოლოთვის ჰყავს შემონახული ავტორს:

„ჰა, რა მინდაო, მიჭო, სუდარა? აქ მობძახდედი, აქ არის, მკედრებისთვის სულ ჩემგან



ჯამენ. სუდარა მოგცე, ხუთი წელიწადი წვიმა-ტალახმა და ჭიამ, იმ ჭიამ, ჩვენც რო დაგვიზაკუს-კებს, დედიჯან, - ვერა დააკლოს-რა. რამდენი სუ-დარა გინდა, დედი? თქვი, ნუ მბანდებ. ვა, და-ლოცვლო, ვაჭრობ კიდევცა?! სუდარას ერთი ფა-სი აქვს, დედიჯან, ქვეყანა გადაბორუნდება, სუდარ-ას ფასი არ ვამოეცვლება. რამდენი მამკვდარა, აბა წაი ჰკითხე. ვინ მოკვდა, დედი? ვა, მართლა! კაცო, ორი კვირა არ იქნება ბაზაზხანაში ჩამოი-რა. ექვსი თვე ფეხზედ არ წამომდგარაო? რა ვი-ცი, მე კი ესე მახსოვს, იქნება ვისმე მივამ-გაზუსე. ძალიან კაი კაცი იყო, დღემართმა სულთი გაათალოს, დედი (ცრემლებს იწმინდავს). წაი-ლე, დედი, წაილე, ის იმისთანა კაცი იყო, რომ არ მოგატყუებ. ჰო, აი კუბოებსაც ჩემს გვერდით აკე-თებენ, დედი, ჯვარის მამის პურიც ბევრია, ქე-ლებსითვის მოგინდება. ჰა, კარგი იყიდე, მკვდარ-ნი ვაცივდა. დალოცვილო, ახლა წიწაკის მურაბა ნუ ვახდები და. გინდა შენი მკვდრები იჯარით ავი-ლო, დედი, ვივაჭრო, ხეირი არ მინდა. მადლის გუ-ლისათვის, ცხოვნებულს მინდა სიკეთე ვუყო... საი-ქიოს გადამიხდის...“

ტილოსური სიტყვა-გამოთქმით, ე.წ. ყარაჩო-ლული სიტყვებით მდიდარია „რა მასმევეს ღვინოს? (კინტოს მონოლოგი)“, რომელიც პირველად (ისე-ვე როგორც ა. ახნაზაროვის ტექსტების უმეტე-სობა) პირველად „ივერიამი“ დაიბეჭდა:

„<...> რა მასმევეს ღვინოს?... რა და შუშა კიტ-რი, თავის კომპოსტოს ფოთოლში გახვეული მოთ-ლით, სველი, წინწკალ-შეყრილი ჩარექა, დუდუ-კის ტკბილი კენესა-ტირილი, „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ჩასპანდ კულა-ყანწის „კლ-კლ-კლ“ მას-მევეს, რა ვიცი კიდევ. რა მასმევეს ღვინოს?... შენ ისა სიტყვი რა მიძლის, თორემ სმით რა არ მასმევეს, რადა, შენი ძმა-ბიჭობა, გენაცვა სულის კლიტეში, შენი ლოთი-ფოთურობა, თქვენ გაგზავნეთ ქრის-ტიანობა, ქვეყნის რჯული და ადათი, ჭირი და ღვინო, მტერი და მოყვარე... ვინ მოთვლის?“

რა მასმევეს ღვინოს?... უმბა კი და ქაჯვი, რა ვი-ცი რა მასმევეს-და, ცაკანას ჭიჭყინა თევზი, მელ-ქუას ჩიყვი-პიყვიბიანი ხაში, შამაიის ალთა-მალათი, შიშინა და მცვრიანი ღორის მწვადი, ტივად მო-ხარშული დედალი, გულში რომ ყვითელი დაუნა-ჭუჭტებელი კვერცხები გამოსჩრია, წითლად დაბ-რანული ინდაურის ფრთაბარკალი, ალზედ გატუ-რული ბურვაკის ნეკნები, მარილში დახალული ფსტა-ნუმი... სად მახსოვს რა მასმევეს ღვინოს?... ერთმანეთში საყვარლებსავით ჩახვეულ-ჩახუტუ-ლი ვაზის რქაფოთოლი, პაჭარძლის ხელით დაკ-რეფილი და კობტა ვირით მოტანილი პრასა-ნია-ხური, აღდგომის კვერცხსავით ჭიაფერში ამოვ-ლებული ბოლოკი, თალიში ხახვი, კბილებში რომ ქნაწა-კნუწი გააქვს, ჩაბიჭობიყებული და ძმარ გამ-ჯდარი მიუყუფი... შენ დათვალე.

რა მასმევეს ღვინოს?... ჩემის ტოლ-ამხანაგის, ჩემსავით ბეჰაია ლოთის, სიყმემკვდარ ყარაჩო-ლელის „გამარჯობა. გაგიმარჯოს“, „ალავერდი-იანშიოლი“ მასმევეს, რა უნდა მასმევედეს. დუდუ-კის ტკბილს ხმაზედ ატეხილი ეშხი მასმევეს. აბა


ერთი თათარიანხად ორი ჩარექა გადაჰკარ, მტერი ორთაჭალას მტკერის პირად კუბრიას დუდუკი ააზუზუნებინე და გაიგებ რაც მასმევეს. ყური და-უგდე, კუბრია რომ დუდუკს ჩაუშაქრებს და ჩა-უტკბილებს, ჩააკაკან-ჩაარაკაკაეებს, ასწევს, აიტანს, ჰაერში წავა და შენც თან წაგილებს და მა-შინ შეიტყობ, რაც მასმევეს... გული ჭიანურივით კენესას დაგიწყებს და ზურნის ეშხიანი ჰანგი გვერ-დებში გაგიჯდება, სული ჰაა, საცაა ყანყრატოში ამოვივა... ფილა ვიჭირავს და ვონებთი ვარსკვლა-ვებში ჰფრინავ, არც სხვა გახსოვს, არც შენი თა-ვი, გარშემო ღრუბლები გახვევია, გული ლამის ისე ვიფრინდეს საგულედან, როგორც მელქუას ბადიდან ჭიჭყინა ამოფართხალდება ხოლმე, - ის მასმევეს“.

1938 წლის „ლიტერატურულ საქართველოში“ (N10) დაიბეჭდა წერილი არტემ ახნაზაროვის სა-ზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის შესრულე-ბის გამო, რომელშიც ბუნებრივია დიდი ადგილი დაეთმო მწერლის ლიტერატურულ საქმიანობას, მის „მოთხრობებს თანამედროვე ცხოვრებიდან, მოხერხებულ, მოსწრებულ ლექსებს, ფელეტონ-ებს, რეცენზიებსა და წმინდა წყლის იუმორის-ტიკას“.

„მისი სიტყვა იყო მკვეთრი, მოსწრებული და დამკოდავი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკა-კის შემდეგ (გაიხსენეთ აკაკის „ცხელ-ცხელი ამ-ბები“ „დროება“-ში) ახნაზაროვისთანა ცოცხალი, მახვილი და თანამედროვეობის კვალში მიმდევა-რი ფელეტონისტი არა გვეყოლია. თუ შედარებზე წავა საქმე, თავისი შუშხი, სიმწვაით და კომ-პოზიციით ახნაზაროვის ფელეტონები დიდაც არ ჩამოუვარდება ერთ დროს რუსეთში კარგა ცნო-ბილ დოროშევიჩის ფელეტონებს. ამავე დროს ახ-ნაზაროვი არის უსათუოდ საყურადღებო სტილის-ტი, მისი ქართული მდიდარია და მხატვრული, ყვე-ლასათვის გასაგებ და თან ლიტერატურული. ტყუ-ილი არ იქნება ვთქვათ, რომ დიდხანს ჩვენს ლი-ტერატურაში ამ სტილს ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ამ ქართულზე იზრდებოდა ბევრი მაშინდელი ხე-ლოვანი მწერალი“ (შალვა დადიანი, „ლიტერატუ-რული საქართველო“, 1938 წ. N10).

4 წლის შემდეგ ამავე გაზეთში (1942 წ. N14) გამოქვეყნდა არტემ ახნაზაროვის ნეკროლოგი, რომლის მიხედვითაც, „ილია ჭავჭავაძის ლიტე-რატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ა. ახნაზა-როვი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სტილის ფელეტონის ერთ-ერთ შემქმნელად, რად-გან მან ამ ჟანრს უთუოდ თავისებური ქართული კოლორიტი და სპეციფიური ქართული სიმძაფრე მისცა“.

ასეთი შეფასებების მიუხედავად არტემ ახნა-ზაროვი ვერ მოხვდა ქართული ლიტერატურის კა-ნონის ყველაზე შორეულ პერიფერიაზეც კი. მას ვერ უშველა ვერც „მდიდარმა, ყველასათვის გა-საგებმა და ლიტერატურულმა ენამ“, რომლითაც მისი პერსონაჟები- დიდწილად თბილისელი სომ-ხები - კინტოები, ვაჭრები, ხელმსენები საუბრობ-დნენ („ბაზაზხანის სურათი“), „რა მასმევეს ღვი-



ნოს?“, „რად მიყვარხარ?“, „ოჰანებას ნადირობა“, „გეურქას მასლაათი“, „წყალ-კურთხევა დღეს“, „კარაპეტა ხოლერის დროს“ და ა.შ.) და ვერც ქართული ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანმა ადგილმა და გარემომ თბილისის სახით, სადაც მისი პერსონაჟები მოქმედებდნენ. უფრო პირიქით მოხდა, გმირი - კინტო, მოქმედების ადგილი - შუა ბაზარი - საკმარისი აღმოჩნდა მკაცრი განაჩენისთვის, ახნაზაროვის შემოქმედებაც მოენათლათ „მუხამბაზის კილოდ“ და, ფაქტობრივად, ე.წ. შაურიან ლიტერატურად. გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ ახნაზაროვის სიცოცხლეშივე დრომოჭმულად, ანაქრონიზმად გამოცხადდა როგორც ძველი ტფილისი (20-იანი წლებიდან იწყება თბილისის გარდაქმნის, ევროპეიზების პროექტი), ასევე მისი პერსონაჟები.

„აგერ, რომ კინტო მღერის ლოთურად: ღვინო დამისხით, ჯეფლებო, დამისხით ღვინო, ცეკვავს მასხრულად და ფეხებზე ჰკიდია ყველა, თავისი თავიც, ოხრობს და ლხინობს, - მთორე მხრით მას ფოლადის კაცი დაჯერებული და შემქმნელი დღევანდელი დღისა - უცქერ პირქუშად ცხოვრების ამ საბრალო ნარჩენს და მუშტს უღერებს ინდუსტრიისა.“ [„ფიქრები თბილისზე“. იონა ვაკელი (მეგრელიძე). 1930 წ.]

ფოლადის კაცებმა ნელნელა გააქრეს ძველი ქალაქი, სულ მალე კი თბილისურმა ენამ და თბილისის მოსახლეობამაც დაიწყეს მკვეთრად გაქართულება/გაქართველება. თბილისი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პერიფერიული ქალაქიდან იქცა ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად. სწორედ ამ პროცესის დაწყებისა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობის გამოძახილია 1920 წლის 2 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი „პატარა შენიშვნები. სახალწლო კარიკატურა და უკმაყოფილებანი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ზოგიერთი ჩვენს სახელმწიფო სამსახურში მყოფიც კი გაურბის საქართველოს მოქალაქეობას. იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა მათ საანკეტო ფურცელი წარუდგინებ, სადაც საჭირო იყო სხვათა შორის ქვეყნდროშობის აღნიშვნა, მათ ბევრი არ უფიქრიათ აიღეს და დასწერეს ტფილისის მოქალაქენი ვართო. რას ნიშნავს ეს? რუსი სოციალისტ-რევოლუციონერი ტფილისელი ხუდდოვი ამტკიცებდა - ტფილისი საქართველოს ამბაპირა ქალაქია, ის ქართველებს არ შეუქმნია, ამიტომ უნდა დარჩეს ინტერნაციონალურ ქალაქადო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით არშაკ ზურაბოვის ვჯუფის საარჩევნო პლატფორმა შეიცავდა ტფილისის სრულიად გამოყოფას საქართველოსგან და ცალკე სახელმწიფოს, თუ რესპუბლიკად აღიარებას.“

საქართველოს პოლიტიკური თუ კულტურული კლასი დღემდე ნეგატიურად რეაგირებს თბილისის არაქართულ, განსაკუთრებით კი სომხური

ელემენტებით მდიდარ წარსულზე. არტემ ახნაზაროვს ამ მხრივაც არ გაუმართლა. მწერალ ვაკე სასაფლაოს მწერლთა პანთეონშია დაკრძალული („არტემ ახნაზაროვი დარჩება ჩვენს ხსოვნებში როგორც მწერალი, რომელმაც თავისი წარუღებელი კვალი გაავლო ქართული პერიოდიკის ისტორიაში“, - ფრამგენტი ნეკროლოგიდან), თუმცა ახნაზაროვიც ლიტერატურის მუზეუმისათვის დარჩილ თავის ავტობიოგრაფიაში წერს, „მე, არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი დავიბადე ქ. თბილისში 1866 წელს, 1 ოქტომბერს, ხელოსნის ოჯახში. მამა მომავლობით გლეხი, ქართველი“, მაგრამ საქართველოს თავაზღაურის ენციკლოპედიის მიხედვით, „არტემ ახნაზაროვის წინაპარი არაბეთში გადმოხვეწილა საქართველოში (ახნაზარი არაბულად ნიშნავს - ღვთის მსახურებას), აქ კი სომხური გვირგვინითა სარწმუნოება მიუღია და ცოლად ქართველი ქალი შეურთავს, ქართული წერტილი კი თხზვა უსწავლელია ბებია ელისაბედს, რომელიც ამ საქმის „ოსტატად“ ითვლებოდა მთელ ახლობლობაში“.

როგორც ჩანს, გარკვეული როლი მწერლის ფიციურმა წარმომავლობამაც ითამაშა. საყურადღებოა ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცული რანდენიმი წიგნზე თავად გრიშაშვილის მიერ გაკეთებული მინანურები:

I - რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. ტფ., 1920. კანზე მინანური: „ეს წიგნი შეადგინდა ა. ახნაზაროვმა. ავტორი იმიტომ არ აწერია, რომ გ. ყორღანიამ წაშალა: „სირცხვილია, სომხური გვარი ეწეროს ქართულ ლექსიკონსაო“. ასე მითხრთ თვით ავტორმა. ი. გრ. 1920. 20/IX.“

II - „ბაბაევ-ბაბაიანი ა. ფილტვების ქლეტის (ზღმურდღურას) გადადებლობა და საშუალებანი ან სენის გავრცელების წინააღმდეგ“. ნათარგმნი ა. მ. ახნაზაროვის მიერ ექიმის ვოლსკის რედაქციით. ტფ., 1889“. მიწერილია: „სტამბა როტონიანცისა. ამ წიგნზე აკაკიმ იოხუზჯა - ქართულ რადააო!“.

თუმცა, როგორც უნდა იყოს, არტემ ახნაზაროვი თავისი დროის უდავოდ მნიშვნელოვანი ქართველი ავტორია. თუ ძველი თბილისის მხოლოდ ფოტოების დათვალიერება არ გაკმაყოფილებთ მისი „წკრილიად“ და პოლიფონიური ხმანობის მოსმენაც გინდათ, მაშინ უყოყმანოდ უნდა გააშალოთ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ძველი ნომრები და წაიკითხოთ მასში „ორანის“, „ჩიორასა“ და „მანოლიძის“ ფსევდონიმებით დაბეჭდილი არტემ ახნაზაროვის მოთხრობები, ფელეტონები, ლექსები, რეცენზიები და იუმორისტული ჩანახატები. ამავეს გირჩევთ, ალბათ, რუმინული წარმომავლობის ფრანგი ფილოსოფოსი, ემილ ჩორანიც, რომელიც ამბობდა („ქვეყნად მოვლენის უსამოვნებაზე“ გამოც. „დიოგენე“. 2018 წ.), თუ ქვეყნის გაცნობა გინდა, მის მეორეხარისხოვან მწერლებს უნდა მიმართო:

„მხოლოდ ისინი წარმოგვიდგენენ ქვეყნის ნამდვილ ბუნებას. დანარჩენები ან გმობენ, ან სახე უცვლიან თანამემამულეების არარაობას“.



დალი ჩიტუნაშვილი

ისტორია

შუამავლების გარეშე

საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაერთა კოლექცია



დამწერლობის შექმნა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა, მან გააჩინა ვერცხლის ძაფები, რომლებმაც გაანათა მესხიერების ბნელი ლაბირინთი. არასოდეს ყოფილა მანამდე ასეთი მტკიცე კავშირი წარსულსა და მომავალს შორის. კაცობრიობამ გამოიგონა უნივერსალური მეთოდი, რომ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, გრძნობები და უმოციებო შთამომავლობისთვის გადაეცა. ამიტომაც ნებისმიერი, ვინც ხელნაწერ მემკვიდრეობას შეეხება, ვინც ერთხელ მაინც შეისუთნა დაძველებული, გადაქექილი ეტრატის ფურცლების მტკვერს, სამუდამოდ მოინალება და უკვე ვეღარასოდეს შეეღწევა მას.


ჩვენ, სამხრეთ კავკასიის ხალხები, უძველესი ცივილიზაციების შთამომავლები ვართ, საუკუნეებს ითვლის ჩვენი სამწერლობო ტრადიციებიც. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა თუ სომხეთის მატენადარანში დაცული ქართული და სომხური ხელნაწერები ამ ორი ხალხის ისტორიას გვიგმობს, ისტორიას - ტკივილითა და სიხარულით, გამარჯვებითა თუ მარცხით სავსეს. ხელნაწერთა არმუზეუმზე დართული ანდერძ-მინაწერებიდან წარმოგვიდგება უბრალო ადამიანების თვალთ დახახული კილიკიის სამეფოს დედაქალაქი - სისი და პატარა სოფელი ოძაბერდი, სეფიანთა იმპერიის მშვე-

ნება ისპაჰანი თუ მთებში ჩაკარგული გორისი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სომხური ხელნაწერების კოლექციას საკუთარი ისტორია აქვს. მისი შეგროვება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების - ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა სახელებთან. მათი წყალობით ქართულ სიძველეებთან ერთად სომხურმა ხელნაწერებმა თავი მოიყარა სამ დიდ კოლექციაში - წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებში. მოგვიანებით ხელნაწერმა მემკვიდრეობამ სახელმწიფო მუზეუმში გადაინაცვლა, იქიდან კი ხელნაწერთა ინსტიტუტში (დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), სადაც სომხური ხელნაწერები ცალკე კოლექციად გამოიყო.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ სომხურ ხელნაწერთა ქრონოლოგია ათ საუკუნეზე მეტს მოიცავს (IX-XX საუკუნეები), ეს 311 სომხური ხელნაწერი სომეხი ხალხის ბედისა და უბედობის, მარცხისა და წარმატების ყველაზე მეტყველი და პირუთენელი მოხრობელია.

მოდი, ჩვენც ვიმოგზაუროთ ხელნაწერთა შემ-



ქმნელების კვალიდაკვალ და თვალი გავადევნოთ მათ საოცარ თავგადასავალს.

A-491. სომეხი ხალხის ქრისტიანობაზე მოქცევა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიამ“, რომელიც მეოთხე ასნლეულის დასაწყისის სომხეთში განვითარებულ დრამატულ ამბებს გვიყვება, გვიანდელი ხელნაწერებით მოაღწია ჩვენამდე. XIII საუკუნის მიწურულს ქალი გადამწერი (და ასეთი არც თუ ისე ბევრია ხელნაწერთრადიციაში), ლატავრი, იწერს ქართულ საგალობელთა კრებულს. კრებული ეტრატევა შესრულებული, მაგრამ საწერ მასალად გადამწერს უძველესი VIII-IX საუკუნეების სომხური ხელნაწერი - აგათანგელოსის ისტორიის შემცველი ფურცლები გამოუყენებია. დღეს უკვე ვეღარ ვავიგებთ, სად იზახებოდა სომხური ხელნაწერი და რატომ გამოიყენეს ის მეორად საწერ მასალად მხოლოდ XIII საუკუნეში.

Arm 18. ილხანთა სამეფოში ხელისუფლების ცვლილებას კავკასიის ქვეყნებისათვის იოლადა არასდროს ჩაუვლია. ყაზან ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ძმა, ილხანი შინამეჯში მკრტიჩ მღვდელმა დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ყველაზე ადრეული თარიღიანი სომხური ოთხთავი გადაწერა. თითქმის 300 წლის შემდეგ (1595 წ.) იმავე არტემში, საპისინაკში, წმინდა სტეფანე პირველმონაშის სახელობის ტაძარში ბარსელ მღვდელმა სახარების კიდევ ერთი ახალი ნუსხა შექ-

მნა. უხვად ილუსტრირებული ოთხთავი დღესაც იქცევს მნახველთა ყურადღებას, შესაძლოა, კითხვაც კი დაგებადოს: რას ფიქრობდა მხატვარი, როდესაც განკითხვის დღის მინიატურას ქმნიდა?! (ფოტო!)

Arm 173. სამი საუკუნე იარსება კილიკიის სომხურმა სამეფომ, სამი საუკუნე - უზარმაზარი ცოდნა, კულტურათა გზაჯვარედინი, ჯვაროსნები და მალრიბელები, კათოლიკები და ორთოდოქსები კილიკიის განუმეორებელ გარემოს ქმნიდნენ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ერთი პატარა ხელნაწერი ინახება, მარგალიტებით ჩანკიკიკებული ბოლოორგირით შესრულებული შარაკნოცი (საგალობელთა კრებული). ხელნაწერი ლევონ V ჭეთუმიდის, კილიკიის მეფის ზეობის მე-9 წელს (1329 წ.) მხატვრისა და ოქრომწერლის - სარგისის მიერ გადაწერა დედაქალაქ სისში, მაშინ როდესაც „მოიკლნებოდა კი სტეფანე პირველმონაშისა და იაკობ მოციქულის, გრიგოლ განმანათლებლისა და იაკობ ნიზიზინელის დახვეწილი სახეები დღესაც შვეიდად შემოგვცემტიან. (ფოტო)

Arm 23. 1516 წელი იდგა, სამცხე-საათაბაგოს მმართველს ყვარყვარე III-ს მისივე ბიძა, მანუჩარ აუჯანყდა. მანუჩარმა გაიმარჯვა, სამცხიდან გაუვებული ყვარყვარე კი თავრიზში ჩავიდა და დაბარება შაჰ-ისმაილ I-ს სთხოვა (1501-1524 წწ.). სულ მალე სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს ირანელთა ჯარი მოადგა დიგ-სულთან რუმელუს მეთაურობით.

სომხური სახარების გვიანდელი მფლობელი გად-
მოგვეცემს: „მე, შაჰადესმა, უკანასკნელმა მფლო-
ბელმა ამ წმიდა სახარებისა, რომელიც 100 თაკად
ფუციდ და ჩემი სულისათვის დავიტოვე, მოსახსენ-
ებულად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა: მამი-
სა ჩემისა სარგის მღვდლისა და დედისა ჩემისა ნა-
რი-ხათუნისა და მეუღლისა ჩემისა ასტუანატური-
სა და ძმისა ჩემისა ტირა?ტურ მღვდლისა, შეიღო-
ბისა ჩემთა დაბარისა და მირიანისა და მირიჯანისა.
ფუციდ ძნელბედობისა და გაჭირვების დროს, რო-
დესაც მოვიდა დევა? ალი და აილო თმოგვი, მრავა-
ლი ხმლით ამოწყვიტა ან ტყვედ ჩაიგდო და სრუ-
ლად ააოხრა სამცხე. ასეთი გაჭირვების დროს შე-
ფიძინე ღვთიური სახარება, ვინც ნაიკითხოთ ან გა-
დანეროთ ცოცხალთათვის ცხონება და მშვიდობა
იიხოვეთ...“

Arm 11. 1555 წელი, ალთამარის კუნძულზე აპა-
რანის მონასტერში ივანეთის აბელა¹ წმინდა მამა-
თა პომოლების კრებულს - „ოქროწყაროს“ იწერს
მწარე და ტკილ დროში, როდესაც ცოფათა სიმ-
რელოსა და სიმრუდის გამო რისხვა ღმრთისა ვარ-
შემოგვერტყა ჩვენ, წმინდანთა სიტყვების დარად -
მწუხარება ზეცით და დარად მიწიდან, მწუხარება
ზოცი და დარად ხმელეთიდან, ვერ დაიკვიდრონ
მშვიდობა ამპარტაყანთა, ცოფა დაგვეტებს და რის-
ხით აღსავსე მოდის ჩვენ ზედა. სასჯელად მოგ-
ვევლინა მკალი სასტიკი, დაფარა ქვეყანა ისე, რომ
ბევრ ადგოლას მდინარეც აღარ ჩანდა. შეჭამა მოსა-
ვლი - ყანის, ბალის და ბაღის ნაყოფი... და ისევ
გამოვიდა ხონთქარი სტამბოლიდან დიდძალი ჯა-
რით 700 000-მდეო, სხვები მეტსაც ამბობენ. მძლავ-
რებით წამოვიდა სომეხთა ქვეყანაზე და მოაწინა
მანაზკერტს. შაჰ თამარე, ბატონი თავრიზის და ხო-
რასნის უთვალავი მხედრით შეკრებილიყო ნახიჭე-
იანში. და განეწყენენ ერთმანეთს პირისპირ, ბოლო
კი არ ვიცო, რით დასრულდა. მაღლი და დიდება შე-
მოქმედ ღმერთს, რომლისა გზანი დაფარულ არი-
ან.“ (ფოტო)

Arm 34. „სადაურსა სად წაიყვანო“ და ამ პრინ-
ციპით არც ყირიმია შორს. ქრისტეს სიყვარულმა
წამოიყვანა ვარდან მარტოღმყოფი კილიკიიდან, „და-
უტევა ხორციელი სახმარი, გაუტყვოდა ყოველთა-
გან საყვარელთა და ნათესავთა მისთა, მდიდართა-
გან ძმთა და თანაშემზრდილთა მისთა... აღილო ჯვა-
რი ბრწყინვალე იესუ ქრისტესი და პავლეს მსგავს-
ად განეშორა მშობლიურ ჰამინს², გარდავლო უამ-
რარი გავარი და მაღალი მთა, გადალახა ზღვა და
პოევა სამოთხის სადარ ველზე, მხარესა ჩრდილოი-
სასა ბერძენთა ქვეყანაში, კეთილად ნაგები ქალაქი
სულხათი... და მოიგო სულთაგანმბახლებელი წიგნი
წმიდისა და ჭეშმარიტისა მოძღვრისა გრიგოლ ნა-
რეკელისა, მოსახსენებულად სულისა მისისა... დაი-
წერა სომეხთა წელთაღრიცხვის 807 წელს (1358) ყი-
რიმში...“

Arm 299. ხელნაწერები ადამიანებს ჰგვანან და
მათ ბედს იმეორებენ, ხელიდან ხელში, ქვეყნიდან -
ქვეყანაში გადადიან. 1379 წელს ყირიმშივე „წმინდა

ანტონის საფარველქვეშ“ ჰოვსეფ გადამწერმა გა-
დანუსხა გრიგოლ ნარეკელის „ქებათა-ქების თარ-
გმანებისა“ და მხითარ სკევრელის თხზულებათა
შემცველი ხელნაწერი. მოგვიანებით წიგნი ყირიმი-
დან სპარსეთში, ირანის შაჰის პირად ბიბლიოთეკა-
ში აღმოჩნდა, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი ის სო-
მეხ დიაკვანს - ტერ-ავეტისიანს შეუძენია ყაჯარი
პრინცისაგან. არავინ იცის სად, რომელ საგანში
გამოიყენეს მეათე საუკუნის ქართული საგალობე-
ლი კრებულის ორი ეტრატის ფურცელი სომხური
ხელნაწერის ყდის გასამაგრებლად. 1922 წელს ხელ-
ნაწერი დიმიტრი გორდევემა იყიდა, სწორედ იმ გორ-
დევემა, ანტისაბჭოთა მოძრაობის გამო საქართვე-
ლოში რომ გადმოსახლეს და მთელი დარჩენილი
ცხოვრება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ფონ-
დების მცველად რომ მუშაობდა. დ. გორდევემა ხელ-
ნაწერი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს შესწი-
რა, დღეს კი მრავალტარნახული კრებული ხელნა-
წერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

Arm 24. დღეს, როდესაც პოლიტიკა არად დაგი-
დევს ისტორიას, როდესაც იცვლება საზღვრები,
იკარგება ცოდნა, რუდუნებითა და სიყვარულით
შექმნილი ხელნაწერები წარსულის უტყვე მონმე-
ბად გვევლინებიან, არცაბში 1568 წელს გადანერი-
ლი ოთხთავის ფურცლებიდან დღესაც მოგვესმის
პეტროს აბელას სიტყვები: „... ხოლო მე ეკლესიის
ყრმათა შორის განწესებულთაგან უღირსმა და უცემ-
მა, ცოდვამრავალმა, წიგნის წერაში უფიცმა ... პეტ-
როსმა, სახელით მხოლოდ და არა საქმით აბელამ,
უფლის შეწვევით ვიწყე და მისივე შეწვევით გან-
ვასრულე ეს წმიდა სახარება, სომეხთა წელთაღ-
რიცხვით 1568 წელს სოფელ ოწანაბრდში, წმიდა
ღმრთისმშობლის მფარველობით, ყოველთა სომეხ-
თა კათალიკოსის უფალ გრიგორისის პატრიარქო-
ბისას, ჩემი წინამძღვრობისას ქთიმის წმიდა მონას-
ტრის საყდრისა, უფალ ალექსანოსის, უფალ მათე-
ოსის და უფალ კოსტანდიის დროს, შაჰ თამაზის
ბატონობისას. ... გვევდრებით სავსე გულით და
ღმრთის რწმენით, შენდობა გვითხარით და მიტყე-
ვა ითხოვეთ ჩემთვის და ჩემი ვარპეტისთვის, პატ-
რიარქო-სტატისათვის ...“

როდესაც XII საუკუნის მიწურულს მხითარ გო-
ში „სამართლის წიგნს“ ქმნიდა, ისტორიული სომეხ-
ეთის ტერიტორიაზე სომხური სამეფო აღარ არსე-
ბობდა, მაგრამ იმედი უკეთესი მომავლისა სომეხ-
ეთის საუკეთესო შვილების არასდროს დაუკარგავთ.
ამიტომაც წერდა მხითარ გოში: „ბევრს, ვინც ჩემს
„სამართლის წიგნს“ წაიკითხავს, სასაცილოდ არ ვე-
ყოფით მე და ჩემი ნაშრომი. ბასრობითა და ქირ-
დვით იმ ადამიანად დამსახვენ, რომელსაც სიზ-
მრად სამეფოც აქვს და სხვა ბევრი სიამეც, მაგრამ
რა გაიღვიძებს, აღმოაჩენს, რომ ზმანებაა ყველა-
ფერი. ვაგლახ, რომ ადამიანებს ავიწყდებთ, რაო-
დენ წარმავალია წუთისოფელი და ამქვეყნიური ყო-
ფა ჩვენი - არც წარსული გვეკუთვნის, ვერც აწმყოს
ვიხელთებთ და ვერც მომავალს მოვესწრებით. ვერ
მოვესწრებით ჩვენი სამეფოს აღზევებს, მაგრამ

¹ ბერი
² ციხე კილიკიაში.



მასზე ოცნება და მტკიცე რწმენა ამართლებს ჩვენს გარჯას. მომავალნი, რომელნიც ამ სახელმწიფოს შექმნიან, აზრს მისცემენ ჩემს თითქოსდა ამაო შრომას. და თუკი დროის სვლას ალღოს ვერ აულებენ, ვერ ისარგებლებენ და ვერ შექმნიან სამეფოს, დაე, უფალმა მიუტევოს განზილვა ჩემი“.

Arm 14. ხაჩენის მთავრის, ვახტანგის ძის ჰასანის მიერ მეთორმეტე საუკუნის მინურულს დაკვეთილი მხითარ გოშის „სამართლის წიგნის“ პირს წარმოადგენს ვენეციაში 1862 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ჰასან ჯალალანთა საგვარეულოსა და არცახის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. სამართლის წიგნის ბოლოს შემორჩენილი მხითარ გოშის ანდერძი დღესაც შესთხოვს უფალს - „იესო ქრისტე, დღესა მოსვლისა შენისა საცხოვნებელად ქვეყნისა, საუკუნო ცხოვრებით აცხოვნე სულითა და ხორციით ღმრთისმოყვარე იშხანიძისანი ვახტანგი და ცოლი მისი არზუ ხათუნი, დაიცვე განსაცდელთაგან შვილებითა და ყოვლითა სახლეულითა მისითა, მიეც წყალობა განსვენებულთა მათთა, ამინ.“

Arm 9. ომგადახდილი, ნაბრძოლი და ნატანჯი შუშა ერთნაირი სიყვარულით იღებს გამარჯვებულებს და დამარცხებულებს, მისთვის დამარცხებული არც არავინაა, მაგრამ ყოველი ბრძოლა შუშისთვის ისტორიაში იწერებოდა და, სამწუხაროდ, დღესაც იწერება, ამიტომაც აღნიშნავს წერსეს შნორალის „ლოცვათა განკარგვის“ გადაწესებისას ჰარუთიუნ უფალეთი: „დაწვერე [ეს ხელნაწერი] 1182 (1734) წლის 18 ივნისს, მე ჰარუთიუნ უფალეთმა, ტერ ჰაკობის ძემ, ქალაქ შუშის ტაჭიკთაგან გათავისუფლების ჟამს, შაჰ თამაზის მეფობისას, აბრამ კათალიკოსის მამადმთავრობისას, ქალაქ შუშაში ასტუნანატურ ვარდაპეტის წინამძღოლობისას, რომელიც დღესასწაულთა მოყვარე იყო. ვინც მიემთხვიოთ ამ ლოცვანს, მოიხსენეთ ცოდვილი ხუცესი ტერ ჰაკობი უფალი ქრისტეს წინაშე და დღესა ამას სამსჯავროზე თქვენც მოხსენიებულ იქნებით, ამინ“.

Arm 111. არაერთხელ დაუკარგავს სომეხ კაცს სამშობლო, სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებს პირისაგან მიწისა აღუხოციათ სომხური სოფლები და ქალაქები ისე, რომ მათი კვალიც აღარ იძებნოდა, მაგრამ ზღაპრული ფენიქსის მსგავსად ფერფლიდან აღმდგარი უცხო მიწაზე აგრძელებდნენ ცხოვრებას და ოცნებას, ენასა და რწმენას არ ივიწყებდნენ და ხელნაწერებსაც წერდნენ სომეხი ლტოლვილები. ისპაჰანი გადაწერილი სახარების ანდერძი გვიამბობს: „მე უღრისმა, ამ წიგნის მწერალმა, მესროპ მწიგნობარმა და ჩემმა მოწაფემ უფალმა გასაპარმა ბრძანება მივიღეთ სამოციქულო სიტყვისაგან, რომელიც ამბობს, რომ „იმად დარჩეს, რადაც იქნა ხმობილი“... უფლის წყალობით დავიწყე და მიხივე შემწეობით განვასრულე ღმრთისმეტყველი, ღვთიური, გასხვოსნებული ასო-ნიშნები ამ წმინდა სახარებისა, კარგი და რჩეული წუსხიდან, სომეხთა წელთაღიგებვის 1076 (1627/28) წელს, ქალაქ შოშაში, რომელსაც ისპაჰანი ეწოდება, ვალაჟნის კიდეს, ნორაშენში, წმიდა ღმრთისმშობლის მფარ-

ველობით. ჩვენი უფლის ხაჩატურ ვარდაპეტის მამათავრობისას, უცხოთესლი შაჰ-აბასის მეფობისას, რომელმაც მრავალი ბრძოლა გადაიხადა, ანაღოც ბრძოლის ველზე და მხოლოდ ღმერთმა უწყაროვარი იქნება მისი მომავალი. მძიმე და გაჭირვებულ დროს, რომელშიც შევიწროებულნი ვართ უფალის წყალობით, უფალმა შეგვიწოდებინა ნონო ხარკისა და ულუქმაპურობის გამო. უფალმა ღმერთმა დაიცვას ყოველი ქრისტიანი ერი ძლიერად და მფარველი მარჯვენი. ვინც დააგემოვნოთ და ისიამოვნოთ ტრანკუზის სოფელში და მიემთხვიოთ წმინდა სახარებას ნასაკითხად ან გადასახსნად უბრალონი იყავით ამ წიგნის შეცდომების სიმრავლის გამო...“. მოგვიანებით 1764 წელს, ისპაჰანში გადაწერილი ოთხთავი საქართველოში აღმონდა „ეს სახარება ვერცხლით შექცეული მე თანაწილ ზურაბას შვილამა გურგინ სულთანამა შევიწერე წმინდა და ყოვლად წმინდა მღთისმშობელს ჩემის სულს მიუხებთა. ქორონიკოს უნა“.

Arm 17. ერთი ხელნაწერის ერთ ანდერძში ჩატეული X-XI საუკუნეებში ქართლში მოღვაწე ტეტლთა ძლიერი საგვარეულოს ჩამომავალთა ისტორია რომელთაც ერთიანი საქართველოს მეფეებთან და პირისპირების მიუხედავ მიუტყვევიათ მშობლიური მიწა-წყალი და იწყება მათი ხეტიალი მთელს სახარეთ კავკასიაში, სომხეთში ისინი ახალ სამშობლოს პოულობენ და ამ საგვარეულოს სომხური შტოს ისტორიას იწყებენ. 1417 წელს გადაწერილი ოთხთავის მომგებელი მღვდელი არაქელი, სწორედ ამ ტეტლების შთამომავალია არანის ოლქის, შერგის გავარის, პარტავის მახლობელი სოფლიდან, რომელსაც პარისი ეწოდებოდა. არაქელს გაუყვია ყველაფერი, რაც კი ეხება და მეუღლესთან ერთად იერუსალიმის მოსალოცად გამგზავრებულა - მეჰდისა³ გამწიფარა. საკუთარ ანდერძში ის შენდობას თხოვს: „...ვინც წაიკითხოთ ეს წმინდა სახარება, მოიხსენეთ ქრისტეს წინაშე მღვდელი არაქელი, მისი მეუღლე - შირიქი, მისი მამა - ტპელები ამირა და დედა - არუხი, მისი ძმა - ტპელი მხითარი, ბიძა - ხოცადელი და მისი შვილი - ჰაკობი...“.

სპარსთა და ოსმალთა გამუდმებული შემოსევებით დაუძღურებულ სომეხთა ქვეყანას, ერთი მეტყველი, სულიერებისთვის აღარც ეცალა და აი, ისტორიის სარბიელზე სომეხი კათოლიკეები გამწიფარან - თომა აქვიენელი, ბართლომე ბოლონიელი, ვინჩენცო პრუნი, ალფონს ლიკურიელი და სხვები სომხურად ამეტყველდნენ.

Arm 10. იაკობ ქრელი ერთ-ერთი პირველია, ვინც თომა აქვიენლის თხზულებები თარგმნა ლათინურიდან სომხურად „...თარგმნა ფრა ჰაკობის მიერ, ტომით სომხის, წმინდა დომინიკელთა დასაფარად, რომელიც ქრნის ზემო მონასტრიდან იყო, სადა ვარგელსა ქვეშე ღმრთისმშობლისასა, რომლის დაფარსებულა, წინამძღოლი და პირველი სულიერი მამა იყო ფრა ჰოვჰანესი, მეტსახელად ქრელი, რომლის სახელზეც აღაშენა წმინდა მონასტერი ღმრთისმოყვარე და კეთილმსახურმა უფალმა გეორგიმ და მისმა უფალმა ქალბატონმა ელითკმა ...“.

Arm 245. XVIII საუკუნის 70-იან წლებში სომხური ენით მოხილულმა კაპუცინელმა ბერმა გაბრი-

³ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მომლოცველთა ზოგადი სახელი „მაჰტისი“ - სიკვდილის მწახველი



ულ ვილაფორემმა „ეს უძველესი და უღამაზესი ენა“ სრულყოფილად შეისწავლა და სხვებისთვისაც რომ გაეზიარებინა საკუთარი ცოდნა, სომხურ-ლათინურ-იტალიური ლექსიკონი მოამზადა. ვისაც ერთხელ მაინც უცდია ლექსიკონზე მუშაობა, მიხვდება, როგორ შრომასა და გარჯასთან არის ეს დაკავშირებული, მაგრამ გაცილებით მეტი დრო დასჭირდა ლექსიკონის გამოცემისათვის თანხების მოძიებას. გაბრიელმა „რკინის ქალამანი“ ჩაიცვა, არც ლუდოვიკო XV სამეფო კარი დავიწყებია და არც „Propaganda Fide“, მაგრამ ლექსიკონის გამოუცემელი ავტორაფული ნუსხა დღესაც ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში ინახება გაბრიელის ლათინურ წერილთან ერთად.


Arm 3. რთულია უმინაწყოდ დარჩენილი ადამიანის ბედი, განწირულია ის სახეციალოდ. პოლიტიკურ ქარცეცხლს არც სომხები დაუნდია, დიდ იმპერიათა განხეთქილების ვაშლად ქვეყნული, სამშობლოდან ისინი მთელ სამყაროს მოედვენ. მაგრამ შაჰ აბასისა თუ შაჰ თამაზის მიერ სპარსეთში გადასახლებულმა სომხებმა, 1828 წელს რუსეთსა და ირანს შორის დადებული თურქმენჩაის ზავის პირობებით რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასვლის შესაძლებლობა მიიღეს. ხელშეკრულების XV მუხლი ავალდებულებდა დაზავებულ მხარეებს მსურველებისათვის შეუფერხებლად გაეხსნათ საზღვრები. სომხებმა ირანის დატოვება შეძლეს ისე, რომ ქვეყნიდან გამორჩენილი ქონების ბაჟიც არ გადაუხდიათ. ამ ზავის დადების შემდეგ დარქილისოკენ⁴ ირანის სოფლებიდან წამოსული ლტოლვილები მოდიან, მოდი-

ან, მაგრამ იმედი იმისა, რომ საბოლოოდ ჰპოვებენ მშვიდ ნავსაყუდელს, არ აქვთ: „წელსა 1828-ს ჩვენ, სალმასტელები, მოვედით რუსთა ბატონობის ქვეშ, რადგან მრავალი ადამიანი მოკვდა თავისი სიკვდილით და ჩვენც დავემორჩილეთ ჩვენი რწმენით. ჩვენ სანრგვილელები, ოთხი სახლი დავბნავდით დარქილისში, ვნახოთ, რამდენი ხანი დავრჩებით...“

Arm 110. ალებ-მიცემობაში დახელოვნებული სომეხი კაცი ყოველთვის და ყველგან სასურველი მოქალაქე იყო, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის სომეხთა ჩამოსახლებით არაერთ უცხოელ მეფეს უსარგებლია. ასე იქცა პატარა დასახლება გორი სავაჭრო ცენტრად, მაგრამ განა მხოლოდ ვაჭრობა იყო სომხის საქმე? 1700 წელს გორში ბეჟან ქაიხოსროს ძის დაკვეთით გადაინერა მდიდრულად მოხატული სომხური ოთხთავი, მაცხოვრისა და მახარებელთა მინიატურებს კი ქართული მინაწერები ამშვენებს. 1793 წელს ხელნაწერისათვის ძვირფასი ქვებით მოჭედული ყდა კაჭკაჭანთ მიქელას შეუწირავს, რის აღსანიშნავადაც ყდაზე ქართული და სომხური მინაწერიც დაუტოვებია „მოიხსენიე უფალო კაჭკაჭანთ მიქელა და მიცვალებულნი მშობელნი მისნი სასუფეველსა შინა ქე ს უპა იანვარსა ა.“

H 404. თეიმურაზისა და ერეკლე მეფის დროს საქართველოს სომხური თემის სალაპარაკო და სამუშაო ენა ქართული ენა ხდება. იძლევა ზღვარი მოსულებსა და დაშვადურებს შორის, ენის დაკარგვა კი თავისა და იდენტობის დაკარგვასაც ნიშნავდა. ხელნაერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელ-

⁴დღეს კიროვკანის რაიონი.



ნანერთა ფონდში ულამაზესი მხედრულით 1717 წელს გადაწერილი ქართულ-სომხური ხელნაწერი ინახება. ხელნაწერის ერთი ნაწილი ქართული ასოებით ნანერი სომხური ტექსტია, მეორე კი ქართული. ხელნაწერის გადაწერილი „ქართლის მოქალაქის“ მირიამანის შვილი გიორგი ყოფილა, გვარად ამირალაშვილი.

ანდერძის მიხედვით, კრებული დაიწერა ქალაქ იეზუმი სპეციალურად ქართლის მეფის მნივინობრისა და მდივნის, ოთარის შვილის - ოთარასათვის. გიორგი მირიამანის ძე, რომელიც ირანში სავაჭროდ იყო წასული, ვაზად გაუძარცვავთ და ბოლოს ციხეში აღმოჩენილა. ამ რთული მოგზაურობის დროს გადაიწერა ჩვენთვის საინტერესო კრებული, მაგრამ გადაწერილისათვის ადრესატები მხოლოდ გაქართველებული თუმანოვები როდი არიან, ის ხელნაწერს ქართლს მცხოვრები სომხებისთვის წერს, რომლებმაც მშობლიური ენა დაივიწყეს: „ესა პატარა წიგნი, ლუსავორაჩის მორჯულებულითა ?ემწიფებანი რომა იყვნენ, იმა ?ემწიფების დროს თავადობითა იყვნენ თუმანიანთა გვარნი, და ქართლის მდივანთა ოთარის შვილსა ოთარას მივართვით, რომა მრავალი სარჯლის წამებების რიგები წაიკითხონ ...და ლუსავორაჩის და თავის დარიგებაც და სიცხოველის რიგებაც და ჩვენის საბრალობითა ცოტა-ცოტათ დაგვიწერია, რომა ქართლში ვინაღცა ხუცური წიგნი რომა არა წაუკითხავთ, ადვილათა ლუსავორაჩის და თავის პატრიაქების დარიგებული რიგებს მიხედნენ და სხვათა სიტყვითა არა უორგულონ და არა მოსტყდნენ. და ვინაღცა ამასა უორგულონ,

ან თავიანთ თავის მუცლობითაც თევზის ჭამისათვის, ან სხვათა სიტყვების მტერობითა ამასა და თავის სარჯელსა უღალატონ, საიქიოს სამართალზე პასუხი ვასცენნ. ამინ“.

H 2809. მხოლოდ შეხსენება არ კმარა, საჭირო ყველაფერი გაკეთდეს, რომ სომხებმა საკუთარი თავი არ დაკარგონ, ასე იქმნება ორიგინალური სომხური მწერლობა, ამჯერად ქართულ ენაზე. გვერდ გორელი ვარდაპეტე - კაცი, რომელიც თარგმნიდა, ქმნიდა, იწერდა და ამშვენებდა ხელნაწერებს. მანდერძში ვკითხულობთ „გადმოთარგმანებულ სომხის ენიდან ქართველთ ენაზედ გორელი გეოვორგ უღირის ვართაპეტესგან სარგოთ ყრმათა სობხეთის ეკლესისათა, ვისაც სომხის ენა არ ესმით... ან გვედრები თქვენ, ყრმანო ეკლესისანო, რაფხა აღმოიკითხოთ, მამიხსენიეთ ცოდვილი ფრიად, გეორგ ვარდაპეტე და მშობელინი ჩემნი, რა დიდი ძღვენი შემოვძღვენ ძეთა ეკლესისთა ჩემის გლახაკის სულისგან, რა აღარ დამრჩა ძალი სულსა ჩემში ამის თარგმანო[!]. იცით, თუ როგორის შიშით და თრთოვლით გარდამამწერია სომხის ენით ქართველის ენაზედ თქვენის სულის სარგოსთვინ“.

ღვლესაც შეგონებად ისმის გორელი ვარდაპეტის სიტყვები: „გმართებთ თქვენც, რომ დიდის სარწმუნოვებით აღმოიკითხოთ და შეიტყოთ, თუ რით იქმნება სხნა ჩვენის სულისა, თქვა უფალმან - გამოჩნობათ წიგნებო. რამეთუ თქვენ ფაგონიათ მით მიღებულსა საუკუნო ცხოვრებასაყო, არსით არის გზა წვეწინის ცხოვრებასა, თუ არ წმინდა წიგნებისაგან, რომ გვიწინამძღვრებენ ზეცის სასუფეველში“.

მზა ბურჯანაძე

„ჩვენი უბანი“ და „ჩვენუბნელები“



2021 წელს თბილისში გამოიცა თბილისელი სომეხი მწერლის, ნარ-დოსის მოთხრობების კრებული - „ჩვენი უბანი“ - ქართული თარგმანი.

წიგნი თარგმნა ასია დარბინიანმა.

კრებული გამოსცა ნოდარ დუმბაძის გამოცემლობამ და ლიტერატურულმა სააგენტომ.

პროექტი განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს „სომხური ლიტერატურა თარგმანებში“ საგრანტო პროგრამის დახმარებითა და თანადგომით.

წიგნში შევიდა თბილისში მოღვაწე, თბილისში დაბადებული და აქვე გარდაცვლილი მწერლის ნარ-დოსის შვიდი მოთხრობა, გაერ-

თიანებული სათაურით „ჩვენი უბანი“.

ნარ-დოსის პერსონაჟების უბანი ერთი ჩვენური, თბილისური ქუჩაბანდია, სადაც, რამდენად ბანალური და გაცვეთილიც არ უნდა ჩანდეს ეს ფრაზა და სათქმელი, ერთსულ და ერთხორც ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური და სარწმუნოებრივი კუთვნილების ადამიანები და ამაში ვერც განსაკუთრებით ამაღლებულს ხედავდნენ რამეს და ვერც - გასაოცარს. არც სიტყვა „ტოლერანტობა“ გაეგონათ და არც მისი თანამედროვე აღებ-მიცემობის თაობაზე ჰქონდათ წარმოდგენა. მხოლოდ ძველი და უბრალო სიტყვები იცოდნენ: მეგობრობა, მეზობლობა, ადამიანობა და სიყვარული. და ამ უბრალო სიტყვებით და მარტივი ცოდნით გაჰქონდათ თავი. ასე ცხოვრობდნენ.

ადამიანებს, რომელთაც ნარ-დოსმა - მიქაელ ჰოვანესიანმა - თავის „უბანში“ მოუყარა თავი, ერთნაირი დარდი და ტკივილი აერთიანებდათ: ყოფითი გაჭირვება, თავის გატანის სიძნელე და რიგით ადამიანურ მოუწყობლობასთან მომქანცველი, დაუსრულებელი ჭიდილი.

ამ მომცრო, მაგრამ ძალიან ფერადოვანი წიგნის მთარგმნელი, ასია დარბინიანი, წინასიტყვაობაში წერს: „სომხეთისა და საქართველოს სახალხო მწერალი ნარ-დოსი (ნამდვილი სახელი და გვარი - მიქაელ ჰოვანესიანი, ნარ-დოს ყვავილის სახელია) დაიბადა 1867 წლის 1 მარტს. ვარდაიცვალა 1933 წლის 3 მარტს თბილისში. დაკრძალულია ხოჯივანქის სომხურ სასაფლაოზე“.

ყვავილი ნარდოსი სხვანაირად ტუბეროზაა, სხვადასხვა ფერის, მაგრამ ერთნაირად სურნელოვანი. რატომ აირჩია მიქაელ ჰოვანესიანმა ნარდოსი ფსევდონიმად, ან სწორედ ყვავილს გულისხმობდა თუ სხვა რამეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ, ალბათ, ეს არც არის მნიშვნელოვანი. ქართველი მკითხველისთვის ავტორის სიმბოლური სახელი, ამ პატარა წიგნისა არ იყოს, სხვადასხვა ფერისა და სურნელის უბნად შემოვიდა ჩვენს ლიტერატურაში.

ეს კრებული ნარ-დოსის თხზულებების პირველი ქართული თარგმანი არ გახლავთ. როგორც თავად მთარგმნელი აღნიშნავს კრებულის წინასიტყვაობაში, რამდენიმე მოთხრობა მეოცე საუკუნეში ითარგმნა ქართულად („უკანასკნელი მოჰიკანები“, თარგმნეს ივანე, არტემ და არჩილ დავითიანებმა, „საბჭოთა საქართველო“, 1967; „მე და ის“, თარგმნა ეთერ ხუციშვილი, „ნაკადული“, ერთი მოთხრობის ბიბლიოთეკა, 1968; „მე და ის“, თარგმნა ზეზვა მედელაშვილი, „პირველი სხივი“, თსუ ახალგაზრდა მწერალთა წრის აღმანახი, წიგნი 8, თსუ გამომცემლობა, 1968). თუმცა კრებული „ჩვენი უბანი“ პირველად ახლა ითარგმნა.

ასია დარბინიანი თავადაც „ჩვენი უბნიდან“ გახლავთ, ჩვენი ქალაქიდან და ჩვენი - ქართული - კულტურიდან. ის ისევე წარმოადგენს ამ უბნის კოლორიტული ფერადოვნების სინთეზს, როგორც თავად ნარ-დოსი. ან, თუ გნებავთ, გაბრიელ სუნდუკიანცი, არამ ხაჩატურიანი, სერგო ფარაჯანოვი, ანაიდ ბოსტანჯიანი, გაიანე ხაჩატურიანი, ოვანეს თუმანიანი, მიქაელ ტარივერდიევი...

ასია ქართული უნივერსიტეტის აღზრდი-

ლია, თბილისში დაბადებული და გაზრდილი ადამიანი, რომელსაც ერთნაირად უყვარს ორივე კულტურა და რომელმაც ერთნაირად გააღივინა იცის ქართული და სომხური ენები. დღევანდელ ერევანში ცხოვრობს და ორი ქვეყნისთვის ორი კულტურისთვის ძალიან საჭირო საკუთრება აკეთებს: ქართველი მწერლების ნაწარმოებები - სომხურად, სომეხი მწერლების თხზულებები - ქართულად თარგმნის.¹ ვფიქრობ, ეს არის ადამიანების არსებული სიახლოვის საუკეთესო გამოხატულება და, ასევე, მათი დაახლოების ყველაზე ქმედითი და საიმედო გზა.

ნარ-დოსის სომხურ ენაზე მოსაუბრე პერსონაჟების ტკივილები ძალიან ჰგავს ნიკოლოზ მოურისა თუ ეკატერინე გაბაშვილის, ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა თუ ეგნატე ნინოშვილის ქართულ ენაზე მოლაპარაკე პერსონაჟების სუფილს და იმედი უყვას.

ნარ-დოსის მოთხრობებშიც თამაშდება უცხო მხრივ ტრაგედიები; ნარ-დოსის მოთხრობებშიც ცბიერობენ მკითხვევები და მისწვნილებიც უსაშველო გაჭირვებისგან გაბნეულ და უბირ ადამიანებს ცრურწმენების ფანჯამი იმწყვდევენ.

ანდა რა არის გასაცარი. ეთნიკური სტრუქტურული გამორჩეული „ჩვენი უბანი“ ხომ ერთი დიდი სამყაროს ნაწილია. ეს მომცრო და სვეტი დიანი წიგნი კი კიდევ ერთი დასტურია იმისა რომ ადამიანებს, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, რომელ ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ და რომელ რელიგიასაც არ უნდა წარმოადგენდნენ, ერთნაირი ტკივილი და სიხარული აქვთ, ერთნაირი სწრაფვა და სურვილები აქვთ თანებათ.

„ჩვენი უბანი“ თბილისელი სომეხი მწერლის, ნარ-დოსის, მოთხრობების კრებულისათაურია, მაგრამ სიმბოლურად „ჩვენი უბნების“ - თბილისში მოღვაწე სხვადასხვა ერების ადამიანების - სითბოს, სიყვარულს, სიმშობლას და ხშირად ნოსტალგიურ დამოკიდებულებასაც გამოხატავს ამ ჭრელი უბნის და ქალაქისადმი.

ჩვეს ჭრელი უბანში სამუშაო კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი, საკვლევი და სათარგმნელი. და ამ მნიშვნელოვან, საინტერესო „სულისთვის ამო“ საქმეებს სწორედ ასია დარბინიანის მსგავსმა ადამიანებმა უნდა უპატრონონ. ადამიანებმა, რომელთაც ორივე კულტურა ერთნაირად უყვართ, რადგან ისინი „წიგნები“ არიან.

¹ ასია დარბინიანის თარგმანები: არჩილ ქიქოძე, „სამხრეთული სპილო“, გამომცემლობა ვერნატუნი, 2021, „სომხური პოეზიის ანთოლოგია“ (დიანა ანფიმიაძთან ერთად), ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა, 2021, ნარ-დოსი „ჩვენი უბანი“, ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა, 2021 და მრავალი ცალკეული ლექსისა და მოთხრობის თარგმანი გამომცემული სხვადასხვა ჟურნალსა თუ გაზეთში.

დავით
ქართველიშვილი

მეგაკოლისი და ფიზიკური პირები

რომანი-ბმული




წიგნის სანახავად
დაასკანერეთ QR კოდი


ნასვლაზე, საკუთარ თავში მოსვლაზე, დიდ შინაგან
აყალმაყალსა და საბოლოო გადარჩენაზე

ამ ყოველმხრივ დაქსელილ რომანში მაღალოსტატურადაა მოთხრობილი, თუ რა რეალური და შინაგანი აღმართ-დაღმართების დალაშქვრა უწევს სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილ მთავარ გმირს. ასეთი ბმული ტექსტს უამრავი აქვს, იქნება ეს მწვავე ემოციური ბმები შორეულ წარსულთან, რომლის გარეშეც ეს ანმყო არ შედგებოდა, თუ ამ ანმყოს სამომავლო მეტაფიზიკური ბმულ-გრადაციები.




პალიტრა L
გამომცემლობა

 www.palitra.l.ge

 facebook.com/Palitra.L.Publishing

ჯონ სტაინბეკი

მოგზაურობა ამერიკულ ლიტერატურაში



“


ამ მოთხრობის მიზანია, ერთხელ საუდაბოდ მოუსკოს კოკაბშეკრ მეცნიერებს დამცინავი ღიმილის მიზეზი.

“

მე კი აი, რის მჯერა: ინდივიდის დამოუკიდებელი, ცნობისმოყვარე გონება ყველაზე ძვირფასი რამ არის დადაპინის ზურგზე.



“



როგორც ეტყობა, მთავარი ის კი არ არის რას აკეთებ, არამედ როგორ აკეთებ და შენ თვითონ რას არქმევ ამ საქმეს.



სულაკაური
გამომცემლობა

9 772 298 09 5006